მრეწველობის წარმომადგენელი

საქართველოში

დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი

მრეწველობა ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში.

29

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი

დავით ზაქარიასძე სარაჯიშვილის მოღვაწეობის ადწერა იწყება 88 ბგ

ზ. ჭიჭინაძისა.

თბილისი.
ელეკტრო-მბეჭდავი „შრომა“ მაჯ-ანის ქ. № 12.
1 9 [illegible]

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ა. ბრიგაძეების სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა

საქართველოში

დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი.

წინასიტყვაობა.

ქართველ ერს—თუ აქვნდა კულტურული წარსული, მაშინ მათ უეჭველია ცხოვრებაში ბევრი საყურადღებო მხარეებიც ექმნებოდათ აღორძინებული და დამკვიდრებული. უამისობა არ შეიძლებოდა. მართლაცა და ხუმრობა საქმე კი არ არის, რომ ხალხი სცხოვრებდეს, აქვნდეს ფული, ზარაფხანა, ჰყვანდეს მეურნე გლეხკაცობა, ხელოსნები, მუშები, მოქალაქობა, თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ამავ დროს მათ არ აქვნდესთ სოვდაგრობა, ვაჭრობა, აღებ-მიცემა, მექარვასლობა და სხვანი.

უეჭველია ძველ კულტურულ ერს ყოველივე ესენიც ექმნებოდა. ამას ეჭვი არ უნდა, ხოლო ჟამთა ვითარების წყალობით ყველა იგინი შემცირდნენ და მოისპნენ მაშინ, როცა საქართველოს სამეფომ იწყო დაუძლურება, დავრდომა, დანაწილება, როცა ერთი მეფობა განსქდა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ერთი ოჯახის შვილები რვად გაიყვნენ, მის შემდეგ კი წაგვიხდა საქმე, შინაც ავიშალენით და გარეთაც, ამ გარემოებას სხვებიც ღფრო აზვირთებდენ.

საშუალო საუკუნოებიდამ იწყება ჩვენი სისხლის ღვრა, მთელი საქართველო იკირწყლება ქართველთ სისხლით და ძვლებით, მთელს სამშობლოს მდუღრად ეპკურება ქართველთ ვაების ცრემლები, ყველა ესენი ხდებოდა მიტომ, ვინაიდგან ქართველი ერი ვერ სთმობდა თვის მამულს, მიწას, ტერიტორიას და სხვა ქვეყანა—დაკარგულ ერივით არ ჰკარგავს თავის ბინას. XI საუკუნის 8 მილიონი ქართველი გახდა მეათედი, დაკარგეს ყოველისფერი, თვით საჭირო საქმენიც-ხელოსნობა, მუშაკობა, ვაჭრობა, სოვდაგრობა, ზარაფობა. შემცირდა მათ შორის მეურნეობა, ბაღოსნობა და სხვანიც მრავალნი. ერთად-ერთი შეინარჩუნეს სამშობლო ქვეყანა, მისი საზღვრები და დიდის წვალებით, სჯულის დათმობით და გა-

ნუსაზღვრელის გმირობით XIX საუკუნის დამდეგამდე მოაღწიეს უვნებლად.

ქართველ ერს თავის ქვეყნის შენარჩუნების დროს, შერჩათ მხოლოდ უსაჭიროესი მხარენი ცხოვრების. მაგალითებრ: მეურნეობა—პურის თესვა და ბალოსნობა—ღვინის და არყის დაწურვა—და გამოხდა. სხვა ყოველივე დასთმეს დროებით; მისი დრო მათ აღარ აქვნდათ, ამ ვრდომას ხელს უწყობდა როგორც შინაური აურ-ზაური, ისევე გარეშე მტერთ მოქალაქობა და მუსულმანთ სიმძლავრე. საქმე ისე მოეწყო, რომ უკანასკნელ ჩვენ გავხდით საოცნეობო არსებანი, ჩვენს გვარში თითქოს არც ხელოსნობის წარსული გახლდათ, არც სოვდაგრობის, ვაჭრობის, მექარხნეობის, მუშაკობის და სხვანი.

რამდენათაც ეს მხარენი ცხოვრებისა ქართველთ შორის მოისპო, შემცირდა და დავიწყებულ იქმნა, იმდენი მას მიენიჭა დიდი ისტორიული მნიშვნელობა. ასე თუ ისე, მაინც ყოველ ჩვენ სულის განწირულების და დაცემის დროსაც, ქართველთ შორის აქა-იქ დიდათ თუ არა, მცირედ მაინც შენახული თითო რამ ძალა როგორც ხელოსნობის, მუშაკობის, ისევე ვაჭრობის, სოვდაგრობის, მექარვასლობის და სხვანი. მაინც არა მძლავრად, მაგრამ ცოტ-ცოტათი აქეთ-იქით უბეუტავსთ ამ საქმეებსაც, უამისობა არც შეიძლებოდა, ერი, რომელიც თავის ტერიტორიაზედ მძლავრის გმირობით სცხოვრებდა და მით იცავდა თვის მეფობას, მოქალაქობას და სჯულს, შეუძლებელი იყო, რომ მათ თუ დიდათ არა, მცირედ მაინც არ შეენახათ თავის შორის ხელოსნობა, ვაჭრობა, მეურნეობა და სხვანი. ეს რომ ასე ყოფილა, ამას ასაბუთებს ის გარემოებანიც, რომ ყველა ამაების შესახებ მრავალნაირი ცნობებია ჩვენს ძველს წიგნებსა და ბარათებში დაშთენილი. ვსარგებლობთ ამით და ეხლა ვიწყებთ ბეჭდვას ისეთ კრებულისას, სადაც მოთავსებული იქმნება ასეთი ცნობები ისტორიულ ცნობებს გარდა იქმნება ზეპირ შეკრებილი ცნობებიც, მხოლოდ ხელოსნობის, მუშების, ვაჭრების, სოვდაგრობის და ალებ-მიცემის შესახებ.

შემდეგ წიგნებში მოთავსებული იქმნება ქვემო ხსენებული წერილები:

ხელოსნობა და ხელოსნები საქართველოში. ხელობის რიცხვი, ხელოსანთ ვითარება, საფლეისოდ რა ხელოსნობა მოისპო და მის მაგიერ XIX საუკ. შემდეგ რა ხელოსნობა აღორძინდა. ხელოსანთ სამეფო ბაჟი.

მუშა ხალხი საქართველოში. დღიური მუშა, კვირის, თვიური, წლიური და დროული. შრომის ფასი და მუშათ პიროვნების ვითარება ძველადგან. ამის დასაწყისი 1882 წ. ჟურ. „იმედში" დაისტამბა.

ამქრული წეს-წყობილება საქართველოში. მის დაარსების ხანა, მართველნი, კანონდება, მოქმედება, მუშათ პიროვნების მფარველობა, სამეფო კანონთან დამოკიდებულება.

შეძლებული და წვრილი ვაჭრები საქართველოში. დუქანდრობა და დუქანდარნი, მათი რიცხვი, სავაჭრო საქონელი, საქონლის ფასი, წონა, მაზანდა, სამეფო გადასახადი, საიდამ რა საქონელი მოჰქონდათ და სხვაგან რა გაჰქონდათ. ვაჭართ ვინაობა

სოვდაგრობა და სოვდაგრები საქართველოში. სოვდაგრები პურეულობის, თევზის, ზეთის, თაფლის, სამთლის, მატყლის, ბამბის, ჯაგრის, საფეიქროების და სხვანი. სად რა გაჰქონდათ და საიდამ რა საქონელი შემოჰქონდათ, სამეფო ბაჟი და სხვანი.

საქართველოს ვაჭრები: სპარსეთს, ინდოეთის კალკუტა-მადრასეს, არაბისტანს, ბიზანტია-ოსმალეთს, რომს, რუსეთს და სხვა ქვეყნებში. მათი მოგზაურობა და ვაჭრობის საქმენი.

ევროპიელთ ვაჭრები საქართველოში. რა საქონელი შემოჰქონდათ ევროპიდამ და რა საქონელი გაჰქონდათ საქართველოდამ, სამეფო გადასახადი და სხვანი.

ქულბაქობა (იარმუკობა), მეიდნები და მეიდნობა, კვირის ვაჭრობა, ობის ვაჭრობა, პარასკეობა. იარმუკობის წესი და რიგი, როდის დაარსდა იარმუკობა, როდის შემოვიდა პარასკეობა, ვაჭარნი რას იხდიდენ სამეფოდ და სამთავროდ ხარკს. ქართველ ვაჭართათვის კატარინეს იარმუკის დაარსება 1781 წ.

ქართველ კათოლიკეთ ვაჭრები. თფილისს, გორს, ახალცი-

ხეს, ბათუმს, ქუთაისს, ინდოეთს, სპარსეთს, რომს, რუსეთს და სხვაგან. მათი ვინაობა და აღებ-მიცემის საქმენი.

ქართველ ებრაელთა აღებ-მიცემა საქართველოში. მათში ვაჭრობის დაარსების ხანა, მგზავრობა საქართველოს სოფლებში, უცხო ქვეყნებში, სხვა და სხვა საქონლის გატანა და შემოტანა. დღეინდელი ვითარება.

ჭანსიანთ (სომეხი) ვაჭარი და ხელოსნები. როდის გაჩნდენ საქართველოში, როდის და როგორ აღორძინდა მათი ვაჭრობა, ხელოსნობა, სიმდიდრე, მემამულობა, ვაჭრობის საშუალებით თავად-აზნაურობის და ყმების მიღება. თფილისს ქალაქს როდის გაჩნდნენ ამ ტომის ვაჭრები და როგორ აიდგეს ფეხი ქართველ გვარში.

ვაჭრობა და ხელოსნობა: იმერეთს, სამეგრელოს, გურიას, შავი-ზღვის ნაპირებს, მათი მდგომარეობა ძველად, შემდეგი: წარმატება სადღვისოდ რაში და სად გამოიჩინეს ნიჭი.

ხელოსნობა და ვაჭრობა სოფლად, სასოფლო იარაღის კეთება, ნაყოფის გატანა, გასყიდვა, სამეურნეო და საოჯახო საქონელი, იარაღი, ავეჯეულობა და სხვა ცნობები მეურნეობის და ხელოსნობის შესახებ.

ქართველი ერი XIX საუკუნეში. რა და რა ხელოსნობას, ვაჭრობას და სოვდაგრობაში გამოიჩინეს ნიჭი. შეძლებულთ მოწინავე ვაჭართ ვითარება და ცნობები. საერთო სახელოსნოები, დეპოები, კასები, ბანკები, მექარხნენი, სოვდაგრები და სხვანი. ყოველივეს დაარსების და მოსპობის მიზეზები.

79 გვ. გამოგვრჩა და აქ ვასახელებთ:

1750 წ. თფილისს იყო ქალალდის მაღაზია, მაღაზიის პატრონი თფილისის ერთი მდიდარი მოქალაქე იყო. მერე ამის ამხანაგი იყო მელექსე ბესიკი, ქალალდი მოჰქონდათ ამსტერდამიდამ, სტამბოლიდამ და რუსეთიდამაც. ბესიკმა იცოდა კონვერტების გამოჭრა. ამის გამო იმერთ მეფე სოლომონ I საგან მან თავადობაც მიიღო.

დიდი საქანდაკე ქარხანა აქვნდა XVIII საუკ. ბოლოს იოსტოს ბერს-ანდრონიკაშვილს, სიონის კანკელი ამისის ქანდაკების გეგმით განუახლებიად. იყო დიდი ხელოვან-მოქანდაკე ქვის და ხის.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი.

მრეწველობა, ხელოსნობა და ვაჭრობა ქართველთ შორის

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი.

ჟამთა ვითარების წყალობით, საქართველო ერთ დროს ამაღლდა, თავის შინაგან სამეფოს ძალოვნებით დაწინაურდა, ხალხით, მათის დროის მართვა-გამგეობით, მეურნეობით, ხელოსნობით, მრეწველობით და აღებ მიცემით. უამისობა არც შეიძლებოდა, ვინაიდგან დაწინაურებულ სამეფოს ქართველნი სკოცხლობდენ, სჭამდენ, სომდენ, ტანთ-იცომდენ და სახლ კარს იკეთებდენ, მაშასადამე მათვის ზემოხსენებულ საქმეთ ცოდნაც აუცილებელ საჭიროება იქმნებოდა. ეს ასე უნდა იყოს, ამას გვასწავლის საღი ლოღიკის დასკვნა.

დაწინაურებელ სამეფოს, მეურნეობის, მრეწველობის და აღებ-მიცემის მექონ ერს დაწინაურებავე უხდებოდა გონებრივათაც, კულტურულად. ქართველნი კარგად იცბობდენ ბიზანტიელთ, არაბთ, სპარსთ და მათის დახმარებით და ზე გავლენით იძენდენ ყველა სამეცნიერო საგნებს.

ფინიკიელებთაგან უძველეს დროს შევისწავლედ პურის საქმენი, მაგალითებრ: ხორბლის თესვა, მოყვანა, მკა, ლეწვა, ფქვა, ზელა და ცხობა. წისქვილების კეთება, ჯამ-ჭურჭლის, ქსოვა, ზღვაზედ ცურვა და სხვა ამ გვარები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვნდა ძველებურს აღებ-მიცემას და მრეწველობასთან. მათგანვე ისწავლეს ქართველთა მინის კეთება, თვით ქართული ანბანიც კი ამათის მიბაძვით უნდა იყოს შედგენილი. ფინიკიელებს ქართველებთან ვაჭრობის მხრით დიდი ზეგავლენა ექმნებოდათ, ვინაიდგან იგინი დ. ბაქრაძის სიტყვით

(10 გვ.) „ფინიკიელები ცურავდენ შავსა და კასპიისს ზღვებში , აღებ მიმცემლობდენ ამ ზღვების მხარეებში. თვით ხელოვნება და მხატვრობაც ამათგან უსწავლიათ როგორც ელინთ, ისევე ქართველთ.“

ეგვიპტელთაგანაც ბევრი რამ შემოსულა ჩვენს ტომში და გავრცელებულა. ამათგან ქართველთ შეუსწავლიად ლაშქრის განწყობა, მათი შესამოსლის გამზადება, იარიღის კეთება, ეტლების მოწყობა, ნამეტურ ურმის და საქონლის შემბა და მუშავობა. ამათგანვე უსწავლიად სხვა და სხვა ძეგლების კეთება, ხიდების, კოშკების, ციხეების. ამათგან უფრო უკეთ ისწავლეს პურის თესვა, და ქერის მოყვანა, ისევე საჭმელების ხარშვა და ჯამ-ჭურჭელ ქვაბების კეთება და მასთან ვაჭრობაც. იმასაც ამბობენ მსწავლელნი: რომ ეგვიპტელები საქართველოშიაც ყოფილან, მეგრელები მათი შთამომავალნი არიან და ქართველებიც ეგვიპტეში ყოფილანო.*)

ნინევის ქალდეველთაგან შეითვისეს ნემსების და ძაფის კეთების შნო, მევენახობა, ღვინისა და არყის კეთება, ქვევრების წვა, ასევე თონის. ტიკების და რუმბების კეთება, ღვინის შენახვა. ნამეტურ აღებ-მიცემა, რადგინაც ნინევიელთ დაახლოვებული კავშირი აქვნდათ ქართველებთან. ასეთ საგანთა გარდა სხვა გვარი გავლენაც დიდი აქვნდათ მათ.

არაბთაგან შეისწავლეს მათებური ყველა მეცნიერებანი, ბაღდადის მსწავლულთა სამეცნიერო და საფილოსოფო წიგნები, ვარსკვლავთ-რიცხვა, ალგებრა, ანუ „ცის-ქმნილება“ მკურნალობა, დოსტოქრობა და სხვაც მრავალნი, არაბთა საქართველოზედ დიდათ ეჭირათ თვალი და მათ ერთ დროს დაიპყრეს კიდეც. საქართველო მათ ეკავათ 200 წლამდე, ანუ 1115 წლამდე ამ დროს, მათ თფილისში, დააფუძნეს სამეცნიერო ვარსკვლავთ მრიცხველური აბსერვატორია, რომელიც თავის სახელიანი მსწავლულებით განთქმული იყო მთელს აღმოსავლეთის მეცნიერ ერთა აბსერვატორიებზედ. ამას ასა-

*) ეგვიპტელები საქართველოში ნ. გამრეკელისა 1885 წ. თფ.

ხელებს შლოსერიც, საიდამაც უსარგებლნია ს. ბარათაშვილსაც. (მსოფლიო ისტორია შლოსერისა 5 ტ.) ყველაზე, უფრო მეტი გავლენი არაბებს ვაჭრობის, აღებ-მიცემის და მრეწველობის მხრითაც ჰქონიად.

ელინთაგან შეისწავლეს ქვის ჭრა, ტეხა, ტინის ხიდების კეთება, ღებვა, სურათების ხატვა. შესანიშნავი ნაშთების აღგება, ჩუქურთმა და ქანდაკი როგორც ქვაზედ, ისევე ხეზედ და სხვაზედაც. ამაებს გარდა მათგან შეისწავლეს სხვა და სხვა ხელოსნობანი, ვაჭრობა, აღებ-მიცემა და სხვანი. მათს ფილოსოფიურს და მეცნიერულს წიგნებსაც ერთობ დიდი ზე გავლენა აქვნდა ქართველებზედ. ელინთა ყოველნაირი კულტურული ძალა ქართველებმა სულ საქართველოში გადმონერგეს. ელინთა გავლენა ქართველთ დღესაც ეტყობა, ამის უარს ვერავინ იტყვის. ჩვენსა და ელინთ კავშირს და ზე გავლენას მეტად ვრცელი ისტორია აქვს. სასმელების კეთება ამათგანაც წავიდა წინ და ნამეტურ (ჯანაოზი) მკურნალობა.

სპარსელებთანაც დიდი დამოკიდებულება და ერთობა გვქონდა ძველიდგანვე. სპარსელთ გავლენა საქართველოზედ ერთობ დიდია, თვით ქართულ ენასაც კი ეტყობა დიდი გავლენა სპარსულის ენის. მრავალ ნივთების და საქონლის სახელები სულ სპარსელია. სპარსელთაგან ქართველებმა შეისწავლეს ქართული ენის შემუშავება, სპარსულებრ ლექსების სიკეკლუცე, ხელოვნება, მხატვრობა არა მარტო ლექსებში, არამედ პროზაში, ხელოსნობაში, ვაჭრობაში და სხვა. ქართველთ ძველადგანვე აქვნდათ სპარსელებთან გამართული აღებ-მიცემა, იქიდამ შემოქონდათ ყავა, ჩაი, ინდოეთის მხრით შაქარი, ხმელი ხილი, ნართი და სხვაც მრავალნი ამ გვარნი. მათთან ჩვენი ვაჭრობა XIX საუკუნომდე არ შეწყვეტილა.

რომაელებთაგანაც ვისწავლედ ბევრი რამ ნივთების სახელები, ნამეტურ იმ დროს, როცა შავი ზღვის ნაპირები მათ ეკავათ და განაგებდნენ, მაგალითებრ ქართულ ენაში თვით ლათინური გვარებიც კი არის დაშთენილი: ლორია, კიპიანო,

ჟორდანია, შენგელია, და სხვაც მრავალ ამგვარნი, სიტყვებში საპონი (სავონ) სკამი, სტომანქი და სხვაც მრავალნი.

ნურავინ იტყვის, რომ საქართველოს ერს ვითომც ძველადგან არც ვაჭრობის შნო აქვნდა და არც ხელოსნობის და მრეწველობისო. კარგად ვიცით, რომ აზიიდამ ევროპაში გასულ ერს სულ საქართველოზედ უვლიად და ამიტომ მათ თავიანთის მგზავრობის დროს დიდი ზე გავლენა ექმნებოდათ ქართველებზედ, როგორც ვაჭრობის მხრით, ისევე ხელოსნობის და სხვანი.

კარგად სჩანს ისიც, რომ სულ ძველის ძველად, ქართველთ შორის, არამც თუ მარტოდ ქალაქებშიც ყოფილა აღორძინებული ხელოსნობა და ვაჭრობა, არამედ უცხოთა გავლენის წყალობით სოფელიც აყვავებულ პირობებში ყოფილა მოთავსებული სახელოსნოს მხრით, ქართველთ გლეხობა სოფელში მუშავობის მხრით ბევრად დაწინაურებული იყო ვინემც სხვა ტომთა გლეხნი ზემო და ქვემო აზიაში. მაგალითებრ სოფლის გლეხებმა კარგათ იცოდნენ ნიჩბების თლა, თაბხებისა, ხონჩებისა, ხახლებისა, გოდრების, ჯინების და სხვაც ასეთი მრავალნი, რაც კი გონებით და ხელოსნობით დაწინაურებულ ერთა გლეხობას ეკადრება. ასე აქ ჩვენ მიტომ ვასახელებთ ქართველ გლეხებს, რადგანაც იგინი სხვა და სხვა მოგზაურ ერთაგან, რომელთაც კი გავლა, ან ბინადრობა უხდებოდათ მათ სამშობლოში, მაშინ იგინი სარგებლობდენ აქით და თითო ტომის ერისაგან თითო მათს უცხო სახელოსნო, სავაჭრო და სამეურნეო საქმეებსაც სწავლობდენ.

ერთ დროს, ქართველი ტომი ისე დაწინაურდა თავის შინაგან ძალოვნებით, ხალხის რიცხვით და სხვა საგნებითაც, რომ XII საუკუნის დამდეგს, ქართველთ რიცხვის, ორივე სქესის იყო რვა (8) მილიონი. ამას ასაბუთებს თვით დავით აღმაშენებლის ცხოვრების ცნობა. ქართველთ ასე დაწინაურებას საშუალ საუკუნოებში, წინ—გადაეღობა ისლამი და ამან დასძლია აღმოსავლეთში ქრისტიანობა—დაეცნენ ძვე-

ლადგანვე სომხეთის სამეფო, ბიზანტია და მრავალიც სხვანი. 1627 წ. ოსმალმა დაიპყრო სამცხე-ქართველობა გაამამადიანა, ამავ საუკუნეში შაჰმაზმა სპარსეთში გადაასახლა 100 ათასი ქართველი, შაჰაბაზმა 50 ათასი ქართველი და ამით შევიმუსრენით დიდათ კახეთისკენ.

ვნახეთ ერთიც და მეორეც, ვნახეთ ქართველ ტომის დაწინაურება, ამაღლება და ზოგთ ჩვენ უგვან მეფეთა მეოხებით ვნახეთ მისი ქედ-მოდრეკა და დაუძლურება. მოვესწარით ერთსაც და მეორესაც, მაგრამ მაინც ქართველი ერი არაფრის გულისთვის მომავლის იმედს არ ჰკარგავდა, აღმოსავლეთის მოსეულ მუსულმანთ მტრებს გმირულად ხვდებოდა წინ, ქუდზედ კაცის ძახილი, მდევარი და სხვანი მათ საქმედ გადაიქცა. მთელი ქართველობა გაჰყვა გმირობას და ვაჟკაცობას. ამაზედ სთქვა ვ. ორბელიანმა.

„აქ დაბლა მე ვარ მის მოწამედ და იქ მაღლა ცა,
როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა.“

ცალს ხელში ხმალი დავიკავედ და ცალ ხელში ჯვარი, ასე ვიცავდით ჩვენს სამეფოს და მიწა მამულს აუარებელ მუსულმანთ მტერთაგან, ასე შევინახეთ ჩვენი არსებობა იმ დრომდე, ვიდრე რუსეთს ჩავბარდით 1810 წელს. ასე და ამ გვარად ჩვენი სამეფოს დიდის ხნის შენახვის გამო და გმირულის ბრძოლის წყალობით, დროებით ჩვენ გამოვეთხოვედ მეურნეობას, ხელოსნობას, მრეწველობას, ვაჭრობას და სხვანი. XV საუკუნის შემდგომ ამ საქმეებს ქართველ ტომის შვილნი ისე აღარ მისდევდენ, როგორც წინა საუკუნოებში, ამის დრო აღარავის ჰქონდა, უმეტესად ქვეყნის შენახვა ღა აგონდებოდათ ქართველთ. ჩვენი ყოველივე ძალოვნების და დიდების მოგონება გადაეცა ჩვენს საისტორიო ფურცლებს და ვიქმენით ანუ ხსვილი მით, თუ როდის როგორ ვიყავით, როგორ ვცხოვრობდით. რა გვაქვნდა ბევის შორის აღორძინებული და რა განათლების, მეცნიერების, ვაჭრობის და მრეწველობის ცოდნითაც ვსარგებლობდით.

თუმცა ვაჭრობა და მრეწველობის საქმე ვრდომას მიეცა და ეს ყველგან კარგად ემჩნეოდა, მაგრამ ქართველთ მეფენი და მთავარნი მაინც ყოველთვის გულს არ იტეხდნენ, ქვეყნის უბედურებას არ ემორჩილებოდნენ და ვაჭრობას და მრეწველობას მაინც დიდ მფარველობას უწევდნენ. ჰპატრონობდენ ისე, რომ მასზედ მეტი მათგან იმ დროს არც შეიძლებოდა. ვაჭრობის გულისთვის მრავალთ მისცეს თავად-აზნაურის შვილობა და გლეხებიც. მაგალითებრ XVIII საუკუნის ნახევარს, თფილისში გაათავადეს ხოჯა მინასოვი, რუსეთში მოსიარულე ვაჭარი, აბმელიქი, ამატუნი, და სხვანი. აზნაურთ რიცხვიც დიდია ამათში, ასევე გააზნაურეს იმერეთს, ქუთაისს, ზოგნი ქართველ კათოლიკენი და ზოგნიც სხვანი. ასეთ პატივისცემის გარდა, მეფე ერეკლემ თფილისში ვაჭართაგან საპატიო მოქალაქენიც გააჩინა, რომელთაც შეეძლოდ სამეფო სახლში, მეფესთან კარის კაცთა დაუკითხავად შესვლა, საპატიო მოქალაქენი მაშინ აზნაურებზედ მაღლა იდგნენ.

ქართველ მეფეთა დროს, რომ ქართველნი ეხლანდურად ვაჭრებს ჩარჩებს არ ეძახდენ და მაშინ საქართველოში, ეხლანდურ ქართველივით ვაჭრობა არავის სძულდა, ესა სჩანს იმ გარმოებიდამც, რომ მაშინ ვაჭრობას მისდევდნენ თვით ქართველთ მწერლები და გრამატიკოსებიც კი, პატივცემული პროფესორი ცაგარელი მოგვითხრობს რომ გრამატიკოსი ზურაბ შანშოვანი, თანამედროვე ვახტანგ მეფის, რომელმაც ანტონ კათოლიკოზად ბევრად ადრე შეადგინა ქართული გრამატიკა და რომელ გრამატიკაც 1881 წ. ალ. ცაგარელმა ცალკე წიგნად დასტამბა პეტერბურგს. სწერს, რომ ეს გრამატიკოსი ზურაბ შანმოვანი ვაჭარი კაცი ყოფილა. ვაჭრობისთვის მას თურმე ბატონიშვილებიც აფასებდენ, ყოფილა ხელოვანი ვაჭარი. ამისივე მაგალითია პოემა „სარიდონიანის“ დამწერის მთიელის ბეწინას საქმე, რომელსაც ვაჭრობა თვით ევროპაშიაც აქვნდა, სტამბოლის გზით ევროპაში XVIII საუკ. მატყლი და ჯაგარი გაჰქონდა. ასევე იყო ვაჭარი კარგი მელექსე, სტეფან ფერშანგი და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვა ასეთნი.

ვიტყვით, რომ ვაჭრობის და აღებ-მიცემის პატივის მცემელნი ყველა ქართველთ მეფენი იყვნენ, მაგალითებრ, როცა ვახტანგ მეექვსემ საბა ორბელიანი რომში პაპთან და საფრანგეთში ლუდოვიკ მეთოთხმეტესთან გაგზავნა, მაშინ ესე იგი 1713 წ. როცა ვახტანგ მეფის წერილით საბა რომის პაპს და საფრანგეთის კაროლს შესტიროდა და დახმარებას სთხოვდა, იმავ დროს იგი აუწყებდა: თუ საქართველოს შველას მისცემთ, მაშინ მეფე და კათოლიკოზი კათოლიკობას შეუერთდებიან, მერე ამის მაგალითით მთელი საქართველოც გაკათოლიკდება, ამას გარდა ვახტანგ მეფე გახსნის გზებს, გზებზედ დაადგენს ყარაულებს, გამართავს ფოჩტას და ხელს შეუწყობს საფრანგეთის ვაჭრებს, რათა მათ შავის ზღვიდამ თვისი საქონელი ატარონ საქართველოს გზით და ასალონ აღმოსავლეთის ქვეყნებში.*)

ვახტანგ მეფის შემდეგ, მეფე ერეკლემ, ერთის ინდოელის მდიდარ მილიონერის, იაკობ შიხრიმიანის დახმარებით, ინგლისის მთავრობასთან 1769 წ. მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება დაიწყო. მიწერ-მოწერამ 28 წელს გასტანა. საქართველო ინგლის უნდა ჩაბარებოდა, ამ საქმეში დიდს მონაწილეობას იღებდა იაკობ შახრიმიანი, მდიდარი, მილიონერი, იმ დროის ინდოეთის ქალაქებ მადრასეს და კალკუტაში მცხოვრები და აუარებელი მონა ინდუსების მყოლი, თვით შეძლებითა კრეზი. ამან მეფე ვრეკლეს ინდოეთიდამ ძვირფასი სამეფო ძღვენი მოართვა, ამიტომ მეფე ერეკლემ მას თავადისშვილობა უბოძა და თან მთელი ლორის მაზრაც საკუთრებად დაუმტკიცა.*)

საქართველოს ინგლისთან დაკავშირების გამო, იმ დროს

---

*) საბას პირობის წერილიდამ კარგად სჩანს ის გარემოება, რომ ქართველობას ვაჭრობაზედ კარგი წარმოდგენა ჰქონიად და არა ისე, როგორც ამას ჩვენზედ სხვები ფიქრობენ, რომ ვითომც ჩვენი ვაჭრობის და მრეწველობის წარმოდგენაც არ გვაქვნდა. საქართველოს შესახებ ევროპიელთ ცნობა 1891 წ.

*) ქართველების ვაჭრობა ძველად ინდოეთს. 1905 წ. თფ.

ინგლისში პირობის წიგნიც დაიბეჭდა ინგლისურს და სომხურს ენაზედ. ამ წიგნის ერთად ერთი ცალი სომეხთა მეისტორიე ალექსანდრე ერიცოვს აქვნდა, ამ იშვიათ წიგნში მოყვანილია ყველა ცნობები თუ საქართველო როგორ უერთდებოდა ინგლის, ამ საგნის შესახებ ჩვენ რადგანაც ცალკე გვაქვს წიგნი დაბეჭდილი, ამიტომ აქ იმაზედ არას ვიტყვით, მივაქცევთ კიდევ მის ღურადღებას, თუ თვით ამ დაკავშირების დროსაც რა ადგილი ჰქონია დათმობილი ვაჭრობის და აღებ-მიცემის საქმეს.

საქართველოს ინგლისთან დაკავშირების წყალობით იმართება ქართველთა და სომეხთა კავშირი. ინდოეთის მხრით ინგლისიდამ საქართველოში მოდის იაკობ შახრიმიანი, თან მოჰყავს 10,000 მონა ინდოელები, ამათ საქართველოში მოჰყავთ შაქრის ლერწამი და ამათ მზგავსად სხვა ინდოელებიც საქართველოში ხსნიან სხვა და სხვა საქონლის ქარხნებს და სავაჭროებს. საქართველო ვაჭრობის მხრით უახლოვდება ინგლისს. ეს ჩვენთვის ხამი და უცხო არ უნდა იყოს, რადგანაც ქართველები ინდოეთს ძველათგანვე იცნობდენ, ევროპამ ინდოეთი XVI საუკ. გაიცნა, ჩვენ კი უფრო ბევრად ადრე, ჩვენი საქმე მათთან ისე იყო ძველადგანვე მოწყობილი, რომ 1620 წ. საქართველოდამ მქადაგებელ კათოლიკე ავითაბოლის ინდოეთში გაჰყვა ქართველი მქადაგებელი ანდრია ქართველად წოდებული, რომელმაც შეისწავლა ინდოური ენა და იქადაგა იქ ქრისტიანობა, იგი იქ გარდაიცვალა 1646 წ. ინდოეთის ქალაქ გოაში. ასე რომ ინდოეთის ქრისტიანებზედ ქართველებსაც აქვსთ შრომა დადებული.*)

კვალად ამ სავაჭრო საქმეთა ცხადი ნიშან წყალია შემდეგი გარემოება: ქართველებს ინდოეთან ვაჭრობის მხრით მისვლა-მოსვლა ძველათგანვე აქვნდათ. XVIII საუკ. დამდეგს კალკუტასა და მადრასეს საქართველოს ვაჭართათვის ქარვა-

*) თამარაშვილი. 1902 წ. თფილისი.

ულებიც არსებობდა, იქიდამ საქართველოში მრავლად შემოჰ-ქონდათ ინდოეთის საქონელი. საქართველოდამაც გაჰქონდათ იქით სხვა და სხვა საქონლები. XVIII საუკ. დამდეგს, ინდოეთში გადასახლდა საქართველოდამ გიგო ხურსიძე (ისარლოვი), იქ ეს ვაჭრობით გამდიდრდა და გარდაიცვალა კალკუტას 1835 წლებს-მილიონერი. ამისავე დროს, იმავ ინდოეთის ქალაქებს კალკუტასა და მადრასეს სხვა ქართველთ ვაჭრებიც ცხოვრობდენ აღებ მიცემით და ნამეტურ ახალციხის ქართველ კათოლიკეთა ვაჭრები, ერთი ასეთ ვაჭართაგანი იყო სტეფანე ივანეს ძე ზუბალიშვილი, რომელიც ინდოეთში გადავიდა 1805 წლებს და მას შემდეგ იგი იქიდამა აღარ დაბრუნდა, იქ ვაჭრობდა და იქვე გარდაიცვალა 1810 წლებს იქ ახალციხელ ქართველ კათოლიკეთ ვაჭრები იმ ზომის რიცხვამდის იყვნენ, რომ მათ 1815 წ. საქართველოდამ თავიანთვის მღვდელიც კი მოითხოვეს, იქ მღვდლად წავიდა ახალციხის ქართველ კათოლიკეთ მოძღვარი ანტონ ხუციშვილი ხიზაბავრელი. ამ მღვდელმა იქაურ ქართველ კათოლიკე ვაჭრებთან რამდენსამე წელიწადს დაჰყო და მერე დაბრუნდა საქართველოში.

საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების შემდგომ, ქართველთ ვაჭართ მგზავრობა მოისპო აღმოსავლეთისაკენ, მაგალითებრ სპარსეთს, ინდოეთს, არაბეთს, სომხეთს და სხვაგანაც, ამათ ნაცვლად მათ იწყეს მგზავრობა რუსეთისაკენ, ევროპისკენ ქართველები წინეთაც მგზავრობდნენ საკვაჭროდ. იტალიაში კომერციელი სწავლისთვისაც კი მიდიოდნენ XVII საუკუნიდამ, 1640 წ. ნეაპოლში სამი ქართველი სწავლობდა კონგრეგაციის დახმარებით სასულიერო სწავლის გარდა კომერციასაც. ამ ქართველებს გარდა სხვებიც იყვნენ იქ ასეთ მოსწავლენი. XVIII საუკუნეშიაც, რომში რამდენიმე ქართველი სჩანს რომელნიც სასულიერო სასწავლებელში ყოფნის დროს, სწავლობდნენ საერთო, ანუ კომერციულს ცოდნასაც.*)

---

*) ისტორია კათოლიკობისა მ. თამარიშვილის. 1902 წ.

ქართველ კათოლიკობაში ახალციხეს, გორს, თფილის, ართვინს და სხვაგანაც სულ იმ გარემოებისაგან დაწინაურდა ვაჭრობა და მრეწველობა, რადგანაც ქართველ კათოლიკენი ჩვენზედ უფრო ფხიზლები იყვნენ, უფრო ენერგიულად მოქმედებდენ ვაჭრობისათვის ვინემც ჩვენ. ამ გარემოებას მათში დიდათ აცხოველებდა კათოლიკეთ სამღვდელოება, იგინი ჰპატრონობდნენ მრევლს და ამხნევებდნენ ვაჭრობისათვის, ესენივე გზავნიდნენ მათ ევროპაში სამგზავროდ და სავაჭროდ, სულ კათოლიკეთა მოძღვართ მხნეობა იყო, რომ 1620 წ. რომში, კონგრეგაციამ ქართული სტამბა გახსნა, კოლეგიაში დააფუძნეს ქართული ენის კათედრა, პროფესორებათაც განაწესეს ქართული ენის მცოდნენი.

ამათივე მეოხება იყო, რომ XVIII საუკ. კონსტანტინეპოლს ქართველთ ვაჭრების ორი ქარვასლა არსებობდა, ერთ ქუჩაზედ იქ სულ ქართველ მერკინებით და კომისიონერებით იყო სავსე. ვინაიდგან იმერეთიდამ, ანუ შავმ ზღვის ნაპირებიდამ დიდი მისვლა-მოსვლა აქვნდათ კონსტანტინეპოლს და ვაჭრობა. კონსტანტინეპოლიდამ ქართველთ ვაჭრებთ გარდა ბერძნები და ოსმალნიც ხშირად მოდიოდნენ სავაჭროდ და ასევე იტალიელნი, ფრანცუზნი და ინგლისელნიც. ვიცით, კარგად, რომ 1780 წ. შავის ზღვით სამეგრელოს და გურიაში რამდენჯერმე შემოვიდნენ ევროპიელი ვაჭრები, იმგზავრეს შავი ზღვის ნაპირებზედ, თან ივაჭრეს და ამას გარდა ასწერეს კიდეც გურია, სამეგრელო, ლაზიკა და შავი-ზღვის ნაპირა მდებარე ხალხი და ქალაქები.

ქართველ კათოლიკობაში ვაჭრობის საქმე ისე იყო დაწინაურებული და აღორძინებული, რომ 1870 წ. კონსტანტინეპოლს, ქართველ კათოლიკეთ ერთმა აბტმა, პეტრე ხარისჭირაშვილმა, ხელის მოწერაც კი გამართა და კონსტანტინეპოლს აპირებდა ქართველ გვარის ვაჭრებისთვის საერთო დიდი ქარვასლის გახსნას. იქ უნდა ევლოდ საქართველოს ვაჭრებს და ეზიდნათ თან საქართველოს ერის ნაწარმოები სა-

ქონელი; იგი იქ უნდა ესალებინად, მის მერე იქიდამ უნდა საქართველოში შამოეტანად იქაური საქონელი. კონსტანტინეპოლის ქართველთ ქარვასლა უნდა ყოფილიყოს მოფენილი ქართველ გვარის ვაჭრებით და მოზარდი თავობით, ქართველებს იქ უნდა ევროპული ვაჭრობა ესწავლად, მერე ნასწავლები საქართველოში დაბრუნებულიყვნენ და უნდა დაეწყოთ ვაჭრობა და თან ხელი შაეწყოთ ქართველ გვარში ვაჭრობის გაგრძელებას, რათა ოდესმე შაინც საქართველოში, ქართველი გვარი განთავისუფლდეს უცხო ტომის ვაჭრების ზე გავლენისა და ცარცვა-გლეჯისაგანაო. იხილეთ ამაზედ ჩვენი წიგნი*) უნდა ვსთქვათ, რომ დღეინდელ ქუთაისის, ბათუმის და იმერეთის სხვა ქალაქებში მოვაჭრე ქართველ კათოლიკენი და ქართველები სულ სტამბოლში არიან გამოწურთნულები ვაჭრობის ასპარესზედ. თვით ქუთაისის მოწინავე მერკინეთა მოვაჭრენიც კი სტამბოლიდან არიან მოსულნი ასევე სხვა ვაჭრებიც მრავლად.**)

ქართველ ერს ვაჭრობის მხრით ბაზრობის და იარმუკობის გამართვის გამო ლტოლვა ადრიდანვე აქვნდათ, მაგალითებრ სამცხე-საათაბაგოს და იმერთს „პარასკევობა" დაარსდა XVIII საუკ. ისიც კი ვიცით, თუ ამ პარასკეობას, გურიაში, გურიის მთავრის გურიელების სასარგებლოდ ვაჭრები და ხელოსნები რას იხდიდნენ ხარკად, ამის წესების დასამტკიცებელი საბუთები ჩვენ თვით ძველის ნაწერებით გვაქვს. ასე რომ დღეინდელი იმერული პარასკეობის-იარმუკობა ძველი დროის ნარჩენი გახლავსთ. იგი საქართველოში ოსმალთა გავლენის დღიდამ სჩანს. ასეთივე ბაზრობა თფილისშიაც სცოდნიად XVIII საუკ. იგი იმართებოდა თურმე თფილისის მეიდანზედ „პარასკევობის" მოწყობა მუსულმანურია, წინედ

*) ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა 1905 წ. თფ.

**) აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი 1891 წ. თფ.

უეჭველია იმერეთში კვირა დღეს ეკოდინებოდათ ეს „პარასკევობა.“

საქართველოს ვაჭრებს რუსეთშიაც მრავლად აქვნდათ მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემა, საქართველოდამ მრავლად გაჰქონდათ ღვინო, არაყი, ბამბა, მატყლი, აბრაშუმი და სხვანი. საქართველოს ვაჭართათვის, კავკავს იქით, დაბა ეკატერინეში, 1780 წ. მეფე ერეკლეს თხოვნით, ეკატერინა იმპერატრიცამ სავაჭრო იარმუკობაც დაარსა. წელიწადში ერთხელ აქ მიდიოდნენ საქართველოს ვაჭრები, თან მიჰქონდათ აქაური საქონელი და იქ ასაღებდნენ, ნამეტურ ღვინოს, რასაც იქ დიდი გასავალი აქვნდა, რუს ვაჭრები მრავლად ყიდულობდენ ზიარებისათვისაც და იქიდამ მიჰქონდათ მთელს რუსეთში.

რუსეთსა და ევროპაში მაავალთ საქართველოს ვაჭრებს სამეფოსაგან ეძლეოდათ პასპორტები ქართულად დაწერილი, თათრულად და ევროპიელთათვის ლათინურად. სამგზავროდ ეძლეოდათ ყარაულებიც. ხშირად იყო ისეთი წესიც, რომ ვინც რუსეთში წავიდოდა სავაჭროდ, იმას უსათუოდ ცოლი უნდა ჰყოლოდა და ცოლშვილი საქართველოში უნდა დაეტოვებინა მძევლად, თორემ იგი შეიძლებოდა საქართველოში აღარც კი მოსულიყო, როგორც არ დაბრუნდნენ ამ გვარად მრავალ სხვა და სხვა ვაჭრები, აღმოსავლეთის ქვეყნებში კი უშვებდნენ სავაჭროდ უცოლშვილოებს, რადგანაც იცოდნენ, რომ იქ ესენი არ დარჩებოდნენ, არც რჩებოდნენ, ამ გარემოებას 1773 წ. ერთმა რუსის მოგზაურმა აფიცერმა პეტროვმა ყურადღება მიაქცია, რუსეთის კარს ეს გარემოება რაღაც ოცნებით და ეჭვის თვალით აცნობა, რომ რუსეთში უცოლშვილო ვაჭრებს არ უშვებენ სავაჭროდო, ვინც რუსეთში წამოვა სავაჭროდ, იმას ცოლშვილი უნდა ყავდესო, თუ არ ჰყავს და უნდა შაირთოსო, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ნებას არ მისცემენო. ამასაც რასაკვირველია თავის მიზეზები აქვს და მკითხველს ვგონებთ ამის ახსნა არც მოუნდეს.

ქართველთ მეფეებს და ერს რომ ვაჭრობის მიხვედრა და

ცოდნა აქვნდათ, ეს გარემოება იქიდამაც კარგად სჩანს, რომ 1781 წ. ქართველთ და რუსთა შეერთების პირობის დარღვევის შემდეგ. რუსეთის ჯარმა სხვა მხრით დაიწყო ერთობა, მათ უნდოდათ საქართველოს მადნების აღება იჯარით და შემუშავება. ამისთვის მათ სამხედრო ინჟინერი მუსინ პუშკინი გამოგზავნეს, მადნები დაშინჯა და საქმეც უნდა დაეწყოთ, მაგრამ ამასაც გადაეღობა წინ სხვა დაბრკოლება. მერე ხომ თვით ქართლი და კახეთი შეუერთდა რუსეთის იმპერიას და ამით უფრო ფართოდ შესრულდა და დაწინაურდა აღებ-მიცემის საქმე. რუსეთის იმპერიასთან ქართველთ დაკავშირებას უმთავრესად რომ ვაჭრობაც ჰქონია მიზნად ამას კარგად აჩენს აღა მამაჰდხანის ულტიმატუმი, რომელიც მას 1795 წ. მეფე ერეკლესთვის გამოუგზავნია და უცნობებია, რომ **„შენ რუსებს უკავშიდრები სოვდაგროვისთვისაო და ეს არ გეკადრებაო, სტყუვდები ამითო“** ეს ცნობა მეფეს მოსვლია თფილისზედ დაცემის ექვსი თვის წინედ. რაკი მეფემ არ დაარღვია რუსებთან ვაჭრობის მხრით კავშირი, მიტომაც იყარა მან ჯავრი 1795 წ. ენკენისთვის რიცხვებში. დიახ, ქართველთ აქვნდათ ვაჭრობის შეგნება და ყოველთვის ცდილობდნენ, რომ თუ ვისმეს დაუკავშირდებოდნენ, მაშინ მათ ესარგებლნათ ამ დაკავშირებით და ვაჭრობითაც დაწინაურებულიყვნენ. თვით რუსეთის იმპერიასთანაც დაკავშირებას პირდაპირ ეს სდებია სარჩულად. აი ესეც ულტიმატუმი: **„ვმადლობ ღმერთსა, რომელ დიდ არს სახელი მისი და დიდება“** *).

„ერანის ბეჭედი ხელმწიფის აღა მაჰმად შაჰისა.“

ბრძანებასა ამასა ჩუჱნსა გამოუცხადებთ მისს სიმაღლეს საქართუჱლოს მეფეს.*)

მომლოდნესა წყალობისა ჩვენისა ვითარმედ ესრედ გეუწყოს: სამეოცდა ათის წლის ჟწინარეს, რომელიცა საქმე ყანდაარს ქართუჱლთა დაიჭირეს და ერანის ნამუსი წაახდინეს, (!) ის საქმე, რომელიც აწ გამოცხადებულია, რომელ

*) ახტალის მონასტრის აღწერა ე. თაყაიშვილისა.

შაჰ სულთან უსეინიც მომკვდარი არის და აღარც არის. ახლა თქვენმა უმაღლესობამ იცის, რომ ეს ასი თავობა არის, ერანისანი ყოფილხარ‌ით, ახლა განკვრვებით ვჰბრძანებთ, **ვითომც რუსებს მოჰკიდებიხართ, რომელთაც ამის გარდა სხუა არა არის რა, რომ ერანში ივაჭრონ, რომელთა საქმე სოვდაგრობა არის.** ოთხმოცდა ათი წლის კაცი ხარ და ამისთანა საქმეებს ჰშურები, რომ ურჯულონი მოგიყუანია და მათთან შეერთებულხართ, ნება მიგიციათ. თუმცა თქუენი სჯული და ჩვენი სხვა და სხვა არის და განთვსება აქვს, მაგრამ ყოველთვის ერანთან შეერთება გქონიათ. ერანში თათარი, ქართველი, სომეხი, ურჯულო და მრავალი სჯულის სხვანიც არიან, ამისათვის ჰხამს, რომ ყოვლისავე სირცხვილი შენ გასწიო და ეს საქმე არა ჰქმნა. შარშანდელ დროსა რამდენიმე ქართველნი მე გამაფუჭებინე, მეტადრე ჩვენი ნება არ იყო, რომ ჩვენნი ყმანი ჩვენის ხელით წამახდენინე, ახლა სწორე ეს არის, ჩვენ ღ‌თის მოწყალებით, რომლისაც ძლიერებითა ამას დიდებ-სა შინა აღვედით. ახლა ჩვენი დიდებული ნება ეს არის, რომ თქვენ ერთი ჭკვიანი კაცი ხართ, ამგვარი საქმეები განიშოროთ, რომ ქვეყნის თასლიბიც (!) არის და რუსების შეერთებულება დახსნა. თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებია, ამ ცოტა ხანში საქართველოზედ მოვალთ, რუსთა და ქართველთ სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მსგავსად მდინარედ გავაკეთებთ. რადგანაც ამის შეტყობინება საჭირო იყო, ამისთვის ეს ფირმანი მოგწერეთ, ჩვენ ბრძანებას არ გადახვიდე და შენი მდგომარეობა იცნა". 1795 წ.

ეს ულტიმატუმი მთლად მიტომ მოვიყვანეთ აქ, რომ ვინმემ ეჭვი არ დაგვწამოს. დიახ, ეს ასე გახლდათ და მეფე ერეკლეს დროს, რაკი პირველ ხელშეკრულობის შეერთების პირობა დაირღვა, მერე რუსეთის მთავრობამ მეფესთან სხვა და სხვა მადნების მხრით მოინდომა კავშირი და ამისთვის კარგა ხნის განმავლობაში მოლაპარაკებაც იყო დანიშნული. საქართველოს მადნების სიმდიდრე რუსეთის კარს, ფართოდ აცნობა აკადემიკმა ღულდენშტეტმა, რომელმაც იმგზავრა საქართველოში და საქართველოც აღწერა:

მაშ ამაზედ ვიტყვით მცირედ რამე ცნობას: აღა მაჰმადხანის შემოსევის შემდეგ მეფე ერეკლე მალე გარდაიცვალა და სამადონო საქმეთა მხრით შეერთება საქართველოსი რუსეთთან ვერ მოხერხდა. მაინც თათბირი და მოლაპარაკება გიორგი მეფესთან იქმნა გამართული *).

ვიდრე საქართველო რუსეთს დაუკავშირდებოდა, მინამდეც მეფე გიორგისთან ამის გამო არ შეწყვეტილა ლაპარაკი, თუ პოლიტიკურად შეერთება არ იქმნებოდა, მაშინ მადნების მხრით მაინც უნდა მომხდარიყოს ერთობა. საქმე ისე მოეწყო-რომ პოლიტიკური შეერთება დროთი ვერ ხერხდებოდა, ამიტომ მეფე გიორგის წინაშე მოვიდა რუსეთის იმპერატორისაგან გრაფი აპოლონ მუსინ პუშკინი 1799 წ. 20 დეკემბერს. ამან განაახლა მეფესთან მოლაპარაკება და პირობით აიღო ოქროს მადანი, ვერცხლის, ტყვიის და სხვანიც, რომელნიც მას უნდა შეემუშავებინა. 8 ოქტ. 1800 წ. იმპერატორის პავლეს ბრძანებით მუსინ პუშკინი შეეკრა მეფეს ხელშეკრულობით.

ამ დროს, აქვე იყო განსწავლული ევროპიელი მემადნე ეიხვალდი, რომელიც დაიწყებდა მუშაობას. მუსინ პუშკინს და მეფის შორის 1800 წლის ბოლოს გათავდა პირობის შესახებ ლაპარაკი და ხელშეკრულობაც დაიწერა. რუსეთს უნდა მადნების მუშაობა დაეწყო თავიანთ მუშებით და მეფისთვის უნდა ეძლიათ ხარჯი. ვიდრე ამ სამადნო პირობის წერილს მუსინ პუშკინი იმპერატორს პავლეს წარუდგენდა, მინამ საქართველო უკვე რუსეთს დაუკავშირდა. 1801 წ. 6 იანვარს წარადგინა მუსინ პუშკინმა იმპერატორის წინაშე მეფე გიორგის პირობა, მაგრამ ეს აღარ იქმნა სახეში მიღებული, ვინაიდგან საქართველო პოლიტიკურად უკვე დაკავშირდა და ამიტომ ამ პირობის მუხლებიც დაირღვა. ვგონებთ, ყოველივე ეს საქმენი კარგად გვისაბუთებენ, რომ ქართველთ უნდა სცოდნიყოთ თავიანთი შეძლების და გვარად ყოველივე საგაჭრო თუ სამადნო საქმეთა ვითარება.

*) ცხოვრება მეფე გიორგისა. პ. იოსელიანი 1891 წ.

სამწუხაროდ ეხლა ჩვენ ისეთი დრო დაგვიდგა, ისე მოვთავსდით, რომ ჩვენი ყოველივე ძველი გმობა და სულ არაარაობა გაისმის. სულ იმას ჩაგვძახიან, რომ არაფერი იყავით, არაფერი გაქვნდათ, ყოველივე XIX საუკუნის შემდეგ შეიძინეთ, თფილისიც არაფერი იყო, სულ სოროებით იყო სავსე და სხვანი. ამას გვეუბნებიან ყველანი, რადგანაც ჩვენ თვით ვართ დაბალი ღობე და მათაც ვაძლევთ ამის საფუძველს. თვით მთავრობაც მოვალეა ამის, რომ ჩვენს პამპულად აღებას და მასხარად გახდენას ყურადღება მიაპყრას და ხშირად ესეთი კიცხვა აკრძალოს და მკიცხველ-მგმობელნიც გააფრთხილოს, რომ მათ შემდეგ ეს აღარ ქმნან. ჩვენ რუსეთს კიცხვა-გმობისთვის არ ჩავბარებივართ და არც იმის სათქმელად, რომ თქვენ სულ არაფერი იყავითო. ვიყავით კიდეც და მეტიც ვიყავით, მაგრამ ბევრს ეს დღეს არ სჯერადა და ყოველთვის ახალს მანქანებად, ახალ ძალად სთვლიან. არც სხვებმა უნდა იკადრონ ისეთი ერის ისტორიულად დამდაბლება და მასხარად აგდება, რომელთაც 100 წლის წინედ ჰყვანდათ გვირგვინოსანი მეფე, ჰყვანდათ მხედრობა, მოქალაქობა, დიდკაცობა, ნასწავლი ხალხი, ხელოსნები, ვაჭრები, სოვდაგრები, მუშები და სხვანი. ვიტყვით, რომ ჩვენს საშობლოში შემოსულ და დაბინავებულ უცხო ტომის ერთ ჩვენი ქვეყნის შესწავლა უნდა და არა ჩვენი გმობა, კიცხვა და დამდაბლება ისტორიულად. ასეთ პირთა დასახელება უეჭველია მკითხველს აღარ მოუნდება.

ჩვენის წარსულის ჭეშმარიტების და სისწორის აღსანიშნავად, რომ ეჭვი არავინ იქონიოს და თაღლითობა არ დაგვწამონ, მოვიყვანთ აქ იმ ცნობებსაც, რაც ცხად ჰყოფს იმათთვის, ვინც ჩვენს უარარაობას, უკულტურობას, უხელოსნობას და უვაჭრობას ხმა მაღლა ჰქადაგებენ.

თფილისში 1770 წ. იყო 70 ათასი მცხოვრები. თფილისის მცხოვრებთ გარდა სცხოვრებდნენ კვალად 20 ათასი სხვა და სხვა ტომისანი: სპარსნი, ბერძნები, ოსმალნი, ქურ-

თნი, ლეკები და სხვანი კავკასიის მთის ერნი. ევროპიდამ იყვნენ პოლონელები, ნემენცები, იტალიელნი, ფრანცუზები და რუსეთიდამ რუსნი. ევროპიელთ აქვნდათ თავიანთი სავაჭროები, კავკასიის ტომთაგანნი იყვნენ მუშაკნი, ხელოსნები და სხვანი.

თფილისი განთქმული იყო ვაჭრობის მხრივ მთელ კავკასიის ტომთა წინაშე. ცხრა დიდი ქარვასლა ყოველთვის სავსე იყო სავაჭრო ხალხით და მათის საქმიანობით. ვაჭრებთ შორის იყვნენ შემოსულნი ვაჭრები სპარსეთიდამ, ოსმალეთიდამ, ევროპიდამ, რუსეთიდამ და სხვა ქვეყნებიდამაც. თფილისში იყო თითქმის ყველა სავაჭრო და სახელოსნო მაღაზიები, ამასაც დავასახელებთ.

მესაათის მაღაზიები არსებობდა. XVIII საუკ. ბოლოს, მესაათედ იყო ნემენცი გოტფლიდი. ასევე იყვნენ სხვანიც ევროპიელნი და სტამბოლელი სომხებიც.

წამალხანები (აფთიექი) იყო რამდენიმე. მის მართველნი იყვნენ ევროპიელნი. ადგილობრივ ქართველნიც.

ხმელი ხილის მაღაზიები აქვნდათ სპარსეთიდამ შემოსულ თათარ ვაჭრებს.

მეხალიჩენი, მეფარდაგენი და მეჭილობენი იყვნენ ქართველნიც და უცხო ტომისანიც.

ფეიქრები, მქსოვნელი ყველა ნაირი ნართულობის და ბევრის ძვირის ნართისაც, უმეტესად იყვნენ ქართველნი და ნამეტურ დედაკაცები.

მესარკეები იყვნენ უმეტესად ქართველნი, ამათ სარკეები შემოჰქონდათ კონსტანტინეპოლიდამ. ესენივე აკეთებდენ, ანუ სწომდენ და ჰყიდდნენ სხვა და სხვა ფერის შუშებს: ლურჯს, წითელს, ყვითელს, შავს და სხვანი, შუშაბანდებისთვის.

ყაზაზები, ჰყიდდნენ ყველა ნაირ ძაფეულობას, ყაითნებს, ჩაფარიშებს და სხვათაც, მოგზაურობდნენ სპარსეთს, ოსმალეთს, ინდოეთს და სხვაგანაც, იქაც გაჰქონდათ თავიანთი საქონელი და იქიდამაც შემოჰქონდათ.

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Муз

მებამბენი, ჰყიდდნენ ბამბას, მატყლს, ყაჭს, აბრეშუმს და ჯაგარსაც. ჯაგრის და მატყლის გატანა ქართველებმა რუსეთს, კონსტანტინეპოლს და ევროპასაც იცოდნენ. პირველად ბეწინამ გაიტანა ევროპაში მატყლი და ჯაგარი 1770 წლებს.

მეშალენი, ჰყიდდნენ რიზაიშალებს, ქირმანიშალებს, ადგილობრივ შალებს, სხვა და სხვა ამგვარ შალეულობის ნარეთებს. ესენივე მგზავრობდნენ სპარსეთს, ინდოეთს, ოსმალეთს და რუსეთს.

ქურქჩნი, ქურქჩებს კაი მოთხოვნილება აქვნდათ, იგინი საქართველოს ყველა კუთხეში მგზავრობდნენ და სხვა და სხვა ცხოველთა ტყავებს სიამოვნებით იძენდნენ. ამათი ხელ-საქმე კარგად ჯილდოვდებოდა მყიდველთაგან. უცხო ქვეყნებიდამაც შემოჰქონდათ სხვა და სხვა ტყავეულობა.

დაბღები, იყვნენ თფილისში მრავლად, იგინი შოულობდნენ ყველა ნაირ ტყავებს გასასყიდათ და ჰყიდდნენ, აქვნდათ კაი ქარხნები და გასავალიც დიდი აქვნდათ. ამათ ტყავები სხვა და სხვა ქვეყნებიდამაც შემოჰქონდათ.

ჭონები. თფილისში, ჭონების მთელი ქარვასლა არსებობდა, ამ ხელობის ხელოსნები რამდენიმე ასის კაცისაგან შესდგებოდა. თფილისში მათ აქვნდათ დიდი საქმიანობა, დიდი გასავალი იყო მაშინ ქართული ქუდების.

ხარაზები, მეჩუსტე და მექოშენი. ესენი მრავლად იყვნენ, თფილისში, ამათი რამდენიმე ქუჩა და ბაზრები არსებობდა. მექოშეები სადღეისოდ მოისპენ.

დერციკები და თერძები, იყვნენ მრავლად და ჰკერავდნენ ქართველ შამაკაცთა კაბებს, ქულაჯებს, ჩოხებს, ჩერქესკებს და სხვათაც მრავალთ.

მექვაბენი იყვნენ მრავლად. სპილენძს ქვაბებისთვის საქართველოშივე შოულობდნენ. საქართველოში იყო სპილენძის მადნები და ქარხნები.

სამართებლის ოსტატობა. სამართებლებს საქართველო-

ში აკეთებდნენ ჩინებულათ. ასეთ ჩინებულ ხელოსნობამ თვით საქართველოს რუსეთთან დაკავშირებასაც მოასწრო, მერე კი დაეცა, რასაც თურმე თვით რუსეთის ვორონცოვსაც კი შურდა თურმე ამის დაცემა, რადგანაც ვორონცოვს 1800 წ. ენახა ასეთ ოსტატთა რიცხვი და მათ მიერ გაკეთებული სამართებლებიც *). ამ ხელოსნების ამქარიც იყო მაშინ თურმე.

მეშანდლენი. თფილისში იყვნენ მრავლად და აკეთებდნენ ყოველნაირ შანდლებს. შანდლის თითბერსა და სპილენძსაც საქართველოში შოულობდნენ.

ოქრომჭედლები. იყო თფილისში მთელი უბნები, სადაც სულ ოქრომჭედლები იყვნენ. მათი დიდი მოთხოვნილება აქვნდათ თფილისში. მათგან კაი დიდი ამქარიც არსებობდა. სადღეისოდ ამ ხელობამ ერთობ იკლო, ევროპიდამ შემოტანილ ბეჭდებმა, საყურეებმა, სამაჯურებმა და სხვა ასეთ ნივთებმა დიდი ჯიბრი გაუწია მათ, დღეს ეს ხელობა თფილისში ძრიელ შემცირდა ქამრების ტარების ჩვეულებაც ისპობა, ესეც მოქმედებს მათზედ.

კალატოზები იყვნენ თფილისში მრავლად, უმეტეს ქართველ გვარის მუშებიცა. აქვნდათ ამქარი.

დურგლების რიცხვიც დიდი იყო ქართველთაგან, მათი დიდი ამქარიც არსებობდა 1770 წ. ზოგს ოჯახში ორი ძმაც იყო დურგალი **).

ხურო და მხერხავნიც ბევრად უფრო მრავლად იყო, ვინემც დურგლები. უმეტეს რაჭველებიც იყვნენ.

ქვის მთლელთა რიცხვი საქართველოში ძველთაგანვე იყო ალარძინებული, XVIII საუკ. მათი რიცხვიც დიდი იყო, ხელობას არ აქვნდა ნაზი მიმართულება.

მექანდაკეთა და ჩუქრთმის მჭრელთა რიცხვიც არსებობდა, მხოლოდ იმ ხელოვნებით და მხატვრობით კი არა, როგორც იგი XII საუკ. არსებობდა.

მხატვრების რიცხვიც დიდი იყო, ხოლო მხატვრობა კი

*) რანი ვიყავით გუშინ. ი. გოგებაშვილისა 1900 წ. თფილისი.

**) საქართველოს სიძველენი II ტ. გვ. 203.

არ არსებობდა იმ ხელოვნურის სახით, როგორც იგი აღორძინდა ძველის დროის საქართველოში, რის ნიშნებსაც ცხადად გვიჩვენებს ძველ ნაშთებთა რიცხვი. XVIII საუკუნის ბოლოს გამოჩენილი მხატვარი იყო ნიკოლოზ აფხაზი. იმ დროს ამან დახატა ანანურის ეკლესია და სხვებიც მრავალი. იყო გამოჩენილი თავის დროს და პატივცემული მეფეთაგან. ამაზედ არა ნაკლებ ხელოვანი მხატვრები სხვებიც იყვნენ იმ დროს, თვით მხატვართა ამქრობაც არსებობდა, ესენივე ხატავდენ სამეფო დროშებს ხელოვნურად. საქები იყო კიდევ ერთი მხატვარი ისაია ჯანჯუღაზოვი. თფილისელი მოქალაქე, ხელოვნური მხატვარი. ამან დახატა ყველა ბატონიშვილები 1799 წ. ამის ნახატი მეფე ერეკლე ქართულის კაბით არის დახატული, ბუხრის ქუდით და ხლმით. ასევე დაუხატავს გიორგი მეფე და ალექსანდრე ბატონიშვილი. იყო მყვედრებელი და მომდურავი საქართველოს სამეფო ტახტის დასრულების გამო. ალექსანდრე ბატონიშვილს გადაჰყვა სპარსეთში, იქ დაშთა, აღარ დაბრუნდა, იქვე გარდაიცვალა. ამის ნახატი სურათები მოთავსებულია „კავკასიის აქტებში“.

ზეინკლობაც არსებობდა თავის ზომიერებით. (ლიტეინჩიკი), იგი ძველად უფრო აღორძინებული იყო.

სლესრები, მჭედლები და **მენალბანდეთ** რიცხვიც ყოველთვის იყო. ესენი აკეთებდენ ლურსმებს, კოჭაკებს, რაზებს და სხვა და სხვა სახელოსნო იარაღებს. ზოგი იარაღი სპარსეთიდამაც შემოჰქონდათ. დიდი იყო ნალბანდობა.

მეჭურჭელნი. ესენი სწვავდენ ყველა ნაირ ჭურჭელს, ჯამებს, მათრათებს, თეფშებს და სხვა აძგვარებს, ასევე ლიტრებს, დოქებს, კოკებს, ქვევრებს, საღვინეებს და სხვანი.

მეკრამიტენი და **მეაგურენი**. ერთნიც და მეორენიც იყვნენ უმეტესად ქართველნი, ძველ მეკრამიტეთა კრამიტი მაგარ რკინის მსგავსებას წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, არ არის დღეს ჩვენში ერთი ისეთი ხელობაც, რომ მაშინ ჩვენ მამა-პაპათა შორის არ ყოფილიყოს.

მესაპნეთა ქარხნები. საქართველოში საპნის ქარხნები ძველადგან სჩანს. მის ცოდნა აქვნდათ ყველა კუთხის ქართველთ. თფილისში იყო რამდენიმე ქარხანა.

მესამთლეები. ამათი ქარხნები თფილისში იყო რამდენიმე, ასევე ქართლში, კახეთში და სხვაგანაც. ხშირად და მრავლად სამთელი და საპონი უცხო ქვეყნებშიაც გაჰქონდათ და შემოჰქონდათ, ნამეტურ მთებში.

ლილახანები, ანუ სამღებროები თფილისში იყო მრავლად, მათში მოიპოვებოდენ ყველა ფეროვნების და ხარისხის.

სამღებროები. თფილისში იყო კერძო პირთა და სამეფონიც.

მეხანჯლენი, ხმლების გამკეთებელნი იყვნენ მრავლად მემასრენი და სხვა ასეთნი. მერე მეთოფენი და მედანბაჩენი XVII საუკ. რიცხვიდამ. სადღეისოდ ამათი რიცხვი თფილისში დიდათ დაეცა.

მერკინეთა რიცხვიც დიდი იყო, მათ მრავლად უცხოეთში გაჰქონდათ და საქართველოში შემოჰქონდათ რკინეულობის იარაღი, ამისთვის აქვნდათ ქარხნებიც. სტამბოლის ერთს დიდს ქუჩაზედ, ახალციხელ ქართველ მერკინეთა მთელი გუნდი არსებობდა, თითქმის ქარვასლა აქვნდათ.

მცხეთის შეყოლება, მტკვრის ხეობის გასწვრივ ყოფილა რკინის მადნები და ქარხნები, რაისა გამო ამ ადგილებსაც „სარკინეთი“ ჰქვიან ძველის ქართულის წიგნებით.

კლარჯეთს, ანუ მურღულის ხეობაში, ძველადგანვე ყოფილა სპილენძის, რკინის და თითბრის მადნები, რომელ მადნებს და სპილენძეულობას ძველის ძველ დროის მეისტორიენიც ასახელებენ. ამ ადგილებში დღესაც არსებობს ინგლისელთაგან გახსნილი თითბრის და სპილენძის მადნები, სადაც 1000 კაცზედ მეტი მუშავობს, დიდი მოძრავობა არის აქ ასეთ მადნების.

თუთიის (ცინკი) ხმარებაც იცოდნენ ჩვენში და იყო აქ ამის მადნებიც, კლარჯეთში მრავალ ალაგას არის ასეთ თუთიის მადნები დღესაც ხელ უხლებელნი. ყველა ასეთ მადნე-

ბის ქარხნებში მუშებათ და ხელოსნებათ ბერძნებს გარდა უმეტესად ქართველებიც იყვნენ ძველად.

რკინის, თითბრის, სპილენძის შემუშავება მაჰახელშიაც კარგად იცოდნენ, ასევე ქებული იყო ძველადგან „მაჰახლური“ იარაღის კეთება და ფასი, მაჰახელში განთქმულნი იყვნენ ამის ოსტატები, „მაჰახლური“ იარაღი თვით სტამბოლშიაც კი დიდათ ფასობდა. სადღეისოდ აქ ასეთ ხელოვან ოსტატ ხელოსნებთა რიცხვი მოისპო, აღარაფერია დაშთენილი.

ვერცხლის მადნებიც იყო, მაგალითებრ როგორც ბორჩლოს მაზრაში, სადაც ვერცხლის მადანი არსებობდა თვით იმ დროსაც კი, როცა საქართველო რუსეთს დაუკავშირდა.

ოქროს მადნებიც იყო, არა მრავლად, მაგრამ მაინც იშვიათად. ოქროს ფულს სჭრიდენ თვით XVIII საუკუნეში, მეფე ერეკლეს დროს. ეს გარემოება ჩვენთვის საყურადღებოა, თორემ ბევრნი ამბობდენ, რომ ქართველებს საქართველოში ოქრო არ აქვნდათო. ჩვენ კი საქართველოში მოჭრილი ოქროს ფულიც გვაქვს.

ზარაფნი. ზარაფნი არსებობდენ საქართველოში ძველადგანვე. მათ აქვნდათ სპარსთ, ოსმალთა და სხვათა ფულებიც და ახურდავებდენ ქართულს ფულებზედ, მათ იცოდნენ ოქრო-ვერცხლის ფასი, მაზანდა და სხვანი, მგზავრობდენ სხვა და სხვა ქვეყნებში და ახურდავებდენ სხვა და სხვა ნაირ ფულებს. ძველი დროის ბანკები და ბანკირები ესენი იყვნენ. თფილისში ზარაფების რიცხვი მეტად დიდი იყო. აწინდელი ზარაფიშვილები, ანუ ზარაფოვები სულ ძველის დროის ზარაფთაგან მომდინარეობენ. ესენივე იგირავებდენ სხვა და სხვა ნივთებს, თვალ-მარგალიტებს და მფარველობდენ მათ. ყოველივე შრომისთვის ზარაფებს ეძლეოდათ შრომის სამაგიერო.

გიშრის ხელობა ქართველთ შორის იცოდნენ ძველადგან, ნამეტურ იმერეთში. გიშრისაგან აკეთებდენ კრიალოსნებს, ჯვრებს და სხვა და სხვა ასეთ ნივთებს, მშვენიერად გაკეთებულებს. სხვა ქვეყნებშიც გაჰქონდათ.

მძივთა და თვალ მარგალიტთა ოსტატნი და ვაჭრები: ესენი პოულობდენ, აკეთებდენ და ჰყიდდნენ ყველანაირ თვალ მარგალიტებს. მაგალითებრ ფირუზს, ქარვას, მარჯანს, ლაჟვარს, იაგუნდს, გოარს, მარმარილოს (დრუნგული) შესანიშნავ ნივთებს, ძარგალიტს, ეს შემოდის ელადიდამაც, ზურმუხტს და ვინ იცის რამდენ კიდევ სხვა ძვირფას თვალ მარგალიტებს. ასეთ იშვიათ ძვირფას თვალმარგალიტებთა ხელოვნურად ძებნა, ოსტატობა და მოპოვება დიდათ იყო ქართველთ შორის გავრცელებული და ამათ შრომას თვით ხალხიც კარგად აფასებდა. სადღეისოდ კი ასეთ ძვირფას თვალ მარგალიტთა ცნობიერება ჩვენ სულ არა გვაქვს, მისი არაფერი ვიცით, თუ ჩვენში როდის რის კეთება იცოდნენ. საჭირო კია, რომ ყოველივე ასეთ საგანთა ცნობიერება გვაქვნდეს ანუხსული.

მეთუთუნე და მებურნუთენი. მეთუთუნეებს მრავლად მოჰყვანდათ თუთუნი და იგი მრავლადვე გაჰქონდათ რუსეთს, ოსმალეთს, სპარსეთს და სხვაგანაც. თფილისში მისი დუქნები იყო მრავლად, თვით ქარვასლაც კი არსებობდა კერძოთ მისი. უკანასკნელ დროს ქართველთ მეფობის 1790 წლის შემდეგ თუთუნის და ბურნუთის მოიჯარადრე იყო სტეფანე ფერშანგი, გორელი, მელექსე გარდაიც. 1839 წ. „გ. მეფ. ცხ.“.

სამეფო სამოსთა მკერვალნი, მოსავნი და მქარგავნი. ესენი იყვნენ შესანიშნავად მომზადებულნი, ხელოვნურად, ესენი ჰკერავდენ სამეფო შესამოსლებს, ზოგს რთავდენ თვალ-მარგალიტებით, სხვა და სხვა ძვირფას ნივთებით. იცოდნენ გვირგვინების კერვა და ქარგვა, ასევე სხვათაც ამგვარ მრავალთა. ამათვე იცოდნენ სამღვდელ-მთავრო შესამოსლების შეკერვა, მორთვა, მოკაზმვა სხვა და სხვა ფერადის ძაფეულობით, თვალ მარგალიტებით და სხვანიც მრავალნი. ამათ მიერ შემკობილ სამეფო და სამღვდელ მთავრო შესამოსლებს განცვიფრებაში მოჰყავს თვით თანამედროვე მსწავლულ-მოგზაურ-მხილველნიც. ასეთ ხელოვან ხელოსნებთა ოსტატობას

დიდი წარსული აქვს, დიდი ღირსება. სამწუხაროდ სადღეისოდ ასეთ ხელოვან ხელოსნებთა საქმიანობის ღირსების მოგონების არავინ არაფერი იცის. მათ მომგონებლად ჩვენი ისტორია სჩანს, ისევ მათივე გაკეთებული ნივთები თუ მოგვაგონებენ ხანდისხან მათს მკეთებელთა საქმიანობის ხელოვნობას, მხატვრობას და მის მნიშვნელობას.

ხატთა ხელოსნები. ხატთა ხელოსნობასაც დიდი სამხატვრო წარსული აქვს, მისი ხელოვნების და მხატვრობის ანუ სხვა ჩვენგან შეუძლებელია, მას უნდა მისებურივე მხატვარ და ხელოვან ამწერნი. ჩვენ აქ ვიტყვით იმ გარემოებას მხოლოდ, რომ მის უტყუარს მდიდარს სახელოსნო, ანუ სამხატვრო და ხელოვნურს ღირსებას თვით მათგანვე განაკეთები ნაშთები აჩენენ, მაგალითებრ ვის არ გაახსენებს მდიდარს წარსულს ხახულის მღვთისმშობლის ხატი, ანჩის ხატისა და ვინ იცის კიდევ სხვა რამდენი ასეთნი, შემკულნი, მდიდრად, მოქარგულნი. სადღეისოდ ჩვენში ასეთი ხელოვნური მხატვრობა და ქანდაკება სრულიად დაცემულ არის, სრულიად მოსპობილი.

ჩვენ აქ ყველა ხელობათა სახელები და ცნობები ვერ მოვიხსენეთ, აქ ესეც ვიკმარეთ, ეხლა უნდა დავასახელოთ საქართველოს ვაჭრები და სოვდაგრებიც. თფილისში იყო 1770 წელს, თითქმის ყველა საქონლის სავაჭრო მაღაზიები, როგორც ევროპიელთა, ისევე აზიელთა. ყოველ მათგანს ჰქონდა საკმარისი შეძლება. იგინი სავაჭროდ დადიოდნენ სპარსეთს, ინდოეთს, ოსმალეთს, ევროპას, რუსეთს და სხვა ასეთ სამეზობლო კუთხის ხალხში. თფილისის ქუჩები და ბაზრები დაყოფილი იყო ისე, რომ თითო ხელობის ხალხს თითო ქუჩა და ბაზარი აქვნდათ არჩეული და ყველანი ერთი ხელობის და ვაჭრობის მიმყოფნი ერთს ქუჩაზედ ესახლნენ. ამის ნიშნები დღემდეც არის იმ დროდამ დაშთენილი. მაგალითებრ მექვაბეები ესახლნენ ერთს ქუჩაზედ, ასევე მეშანდლენი, ხარაზები და ამათ ქუჩას ეწოდებოდა „ხარაზხანა“, ასევე ჭონე-

ბის და ეწოდებოდა „ჭონხანა“, ყასპების ულბანს „ყასაბხანა“, სირაჯებისას „სირაჯხანა“; ასევე იყო ვაჭრებთა ქარვასლების სახელწოდებანიც, დახურული ბაზაზხანა, ქარვასლა და სხვაც ამგვარნი მრავალნი.

მაშინ ჩვენში ქურდობა იშვიათი იყო, სავაჭრო დუქანს ვერავინ გასტეხდა, ვერავინ რას მოიპარავდა, ყველა სახელოსნო და სავაჭრო საქმეს თავისი მფარველი ოსტატი და ვაჭარი ჰყვანდა, ვინც რას გაჰყიდდა, ის გასაყიდი გამყიდავის ხელობის უნდა ყოფილიყოს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში უცხო პირს მაშინათვე შეუტყობდენ, რომ მას ნაპარავი აქვნდა რამე და ჰყიდდა. ამიტომ ქურდობა ჩვენ ვაჭრებსა და ხელოსნებში სულ არ იყო. რომ მომხდარიყო და სადმე სახელოსნო, ან სავაჭრო დუქანი გაეტეხათ და გამტეხავნიც დაეჭირათ, მერე მას მოელოდა ცუდი დღე, შერცხვენა მთელ ქალაქის ხალხში. ასე იყო საქმე და ყოველი მედუქნე ვაჭარი ქურდობისაგან უზრუნველი იყო, მაგრამ მათ მაინც აქვნდათ ჩვეულებათ, რომ ქუჩებში „ჰასასები“ ჰყვანდათ, ესენი ჰყარაულობდენ, რომ ვისიმე სავაჭროს თავ-დასხმა ლეკთა და ან ასეთ მთიელ ბრბოთაგან არ მომხდარიყოს, ესენი კი ახერხებდენ ყველაფერს.

საქართველოში, აშკარად ქურდობის დასაწყისი და ხელოსანთა და ვაჭართ სავაჭროების გაქურდვა და გაცარცვა იწყება XIX საუკუნის დამდეგიდამ, როცა გარემოება შეიცვალა, თფილისში სხვა და სხვა ტომის ერი გამრავლდა, მასთან ვაჭრობაც დაწინაურდა, მასთან გაჩნდა მრავლად სხვადასხვა ნაირი ევროპის და აზიური საქონლები, რასაც გზა და კვალიც გაეხსნა და ყოველივე გაფართოვებას და აღორძინებას უძლეოდა. რა იყო ეს, დრომ მოიტანა თუ გარემოებამ, ამისი რა მოგახსენოთ, ხოლო ის კი უნდა ვსთქვათ, რომ XVIII საუკ. გასვლამდე, თფილისში იყო რამდენიმე ათასი დუქანი, რამდენიმე ქარვასლა და მასში გაჩაღებული ვაჭრობა, მაგრამ ქურდობა კი არ იყო მათში. ეს ცხადი ჭეშმარი-

ტება არის და ეს ჩვენს ძველს კაცებსაც კარგად უნდა ახსოვ-
დესთ, რომ საქართველოს მეფეების დროს, ძრიელ ძნელად
სრულ იშვიათად, რომ ვინმე ვაჭრის დუქანი, ან სახელოსნო
ლამე გაეტეხათ და გაექურდათ. ამას თავის ისტორია აქვს და
ამიტომ აქ ამას ასე მოკლედ ვასახელებთ.

ასე თუ ისე, საქართველოში, ყოველ ქართველ მეფის
დროს, ქართველთ შორის, ყოფილან თითო-ოროლა სოვდაგ-
რები, მრეწველნი, ვაჭრები და ხელოსნებიც. მათი რიცხვი
ყოველთვის იყო შესამჩნევად, ხოლო 1795 წ. შემთხვევამ დი-
დათ შეაფერხა და შეამოკლა, ვინაიდგან თფილისიდამ მტერმა
40 ათასი ქართველი წაიყვანა, რომელთა რიცხვში იყო ქარ-
თველობა მრავლად, მათში მოიპოვებოდა ყველა ნაირი ხელო-
ბის და ვაჭრობის ქართველობა. ესენი თფილისს ისე მოსცილ-
დნენ, რომ მათი რიცხვი ჩვენის დედა-ქალაქისა და ტომის-
თვის სრულიად დაიქსაქსა. ამაობაში ქართლ-კახეთის რუსეთის
იმპერიასთან დაკავშირებაც მოახლოვდა, 1801 წ. ქართლი და
კახეთი რუსეთს ჩაბარდა, ამ გარემოებამ გახსნა თფილისში ვა-
ჭრობის გზა-კვალი და რაკი საქართველო ძრიელ საქრისტია-
ნო სამეფოს კუთხედ გამოცხადდა, ამიტომ ამ ქვეყანაში, ყვე-
ლა კუთხიდამ იწყეს მრავლად შემოსვლა სხვა და სხვა ტომის
ერთა: ვაჭრებმა, ხელოსნებმა და სოვდაგრებმა იწყეს მოქმე-
დება და აღებ-მიცემა. ქართველთ სიმრავლეს თფილისში ამათ
უსწრეს წინა. თფილისში დარჩენილ ძველ ქართველ მოქალა-
ქეთა ერთობ ცოტა რიცხვი ღა სჩანდა.

ასე და ამ გვარად გადიოდნენ დღენი და თფილისში უც-
ხო ტომის ვაჭრები და ხელოსნები კი დიდათ მრავლობდნენ,
მრავლობდნენ ისე, რომ მათ ქვეშ იფარებოდა ქართველობა
და იჩრდილებოდა, ამ გარემოებას ხელს უწყობდა ის პირო-
ბებიც, რომ თფილისში შემოდიოდნენ მრავლად სხვა და სხვა
ხელოსნები და ვაჭრები ოსმალეთიდამ ბერძნები, სომხები, ოს-
მალნი, სპარსეთიდამ სომეხნი, აისორები, სპარსნი და ვინ
იცის კიდევ რამდენი რა გინდა რა. ესენი რასაკვირველია

ქართველებს ყველაფრით წინ უსწრობდნენ და რაც ხანი გადიოდა, მით იგინი ჩვენს ქვეყანაში უფრო წინ მიდიოდნენ, აღორძინებას ეძლეოდნენ, ვაჭრობას აფართოებდნენ, მამულებს იძენდნენ და ზედ სახლ-კარს იკეთებდნენ. საქმე ისე მოეწყო, რომ ჩვენ, ქართველებმა რუსეთთან დაკავშირებით ვერ ვისარგებლეთ, ჩვენ თითქოს ამისთვის მომზადებულები არ ვიყავით, ჩვენის დაკავშირებით სხვებმა ისარგებლეს, სხვებმა წადგეს მით ფეხი ჩვენს ქვეყანაში როგორც ეკონომიურად, ისევე ვაჭრობით, ფაბრიკებით, ბანკებით და სხვანი.

რაც ხანი გადიოდა, ჩვენ მით ვმცირდებოდით ყველაფრის ასპარეზზე. მარტოდ ძველებურად კიდევ სამხედრო სამსახურს გავყეთ და რუსის მხედრობაში შესვლას, სხვა ყველაფერს მოვესხლიტეთ და მოვშორდით. ამ გარემოებით ჩვენ იქამდის მივედით, რომ მალე დავიმკვიდრეთ სახელი უვიცობის, ზარმაცობის, გაუნათლებლობის, უკულტურობის და სხვანი, რაკი ერთხელ საქმე ცუდათ წაგვივიდა, მის მერე სულ უკულმა ვიარეთ. ქართველთაგან თფილისში ყოველივე მცირდებოდა და ამიტომ მრავალნი თამამად ამბობდნენ, რომ ქართველები სულ უნიჭოები არიანო, მათ არც სწავლის შნო აქვსთო, არც მეცნიერების შეძენისა, არც ხელოსნობის, არც ვაჭრობის და არც მრეწველობისაო.

საქართველოში ყოველთვის ხელოსნებათ სულ ბერძნები, სომხები, აისორები, თათრები და სხვანი ყოფილანო. ქართველებს არაფრის კეთების შნო არ ჰქონიათო. მათ შეეძლოთ მარტოდ თაგვის სოროებივით მიწური თხრილის ქოხები ეთხარათ და შიგ ყოფილიყვნენ ლორებივითაო, ანუ ეწურათ ჭყაპი ღვინო და არაყი, ეთითხნათ ქერის და ჭვავის პური, ეხარშათ ლობიო და ხაში და მით ეცოხნათო. სხვა დანარჩენი მათი საქმე არ იყოვო. აი თუნდა დღესაცაო, მათში ერთი ნასწავლი კაცი არ არისო, ერთი ინჟინერი, ექიმი, ვაჭარი, ფაბრიკანტი, მეხანიკი, ტეხნიკი და მრავალიც სხვანიო. არ არის იმიტომა, რადგანც ამ ერს სწავლის ნიჭი სულ არ

მოეძევებათო, იგინი სულ ქეიფობის დროს არიან შექმნილ-ბი და ამიტომაც გახლავან ასეთი სუსტნიო.

უნდა ვსთქვათ, რომ ასეთ ცნებას ხშირად ჩვენ შესახებ თვით ნასწავლი კაცებიც ჰფანტავდნენ, მეცნიერ-პროფესორებიც კი და ვინ იცის რამდენ კიდევ რა ჯურის და რა ყალიბის მეცნიერი გვამნი არ იყვნენ. ჩვენ აქ ყველას არ მოვსთვლით, დავასახელებთ რამდენსამე: ადრინდელმა I კლასიკურ გემნაზიის ცნობილმა მსწავლულ დირექტორმა ჟილიხოვსკიმ 1873 წ. თფილისში, საჯაროდ ლექცია წაიკითხა ქართველების შესახებ და ლექციაში სხვათა შორის მოიყვანა ასეთი მაგალითებიც: კაცი იბადება, იზრდება, მერე ბერდება და ბოლოს კვდებაო. ასევეა დღეს ქართველების საქმეო. ოდესმე მათ აქვნდათ კარგი დროვო, ეხლა კი მათ თავიანთის გაუნათლებლობით და უკულტურობით დაიმტკიცეს სრული უმეცრებაო. ამიტომ იგინი დღეს სამარეში წვანან და ერთი მიწის მიყრის მეტი სხვა აღარაფერი უნდათო. ასე გახლავთ ამათი ერის საქმეო.

მეორემ, ასეთმავე ცნობილმა პირმა გიორგი მუხრანსკიმ, ყალბათ განათლებულმა პირმა და ორდენების მიღებაზედ დაბრმავებულმა და ხარბმა ისურვა გარუსება და ვითომც გარუსდა, ასე ატყუილებდა მთავრობას, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ასეთის ტყუილებით დიდს ფონს ვერ გავიდოდა, მიტომ მან ისურვა თავის ყალბი ჰაზრების მწერლობით, ანუ მეცნიერებითაც მტკიცება, რითაც იგი თვის შესახებ უფრო მეტს მცნებას მოფენდა, მეტს პატივს შეიძენდა. ამ მეცნიერ ბატონმა დიდმა კაცმა და დიდი თანამდებობის მექონმა 1873 წ. თფილისში დასტამბა ერთი რუსული წიგნი, სადაც სხვათა შორის საუბრობს ასე:

კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, არის ოცნაირი მილეთის ხალხი, მაგალითებრ ქართველები, კახელები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სვანები, ფშავები, ხევსურები, თუშები და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვანი. ყველა ამაო

რომ თავიანთ დედა ენაზედ მიეცესთ სწავლა, ეს ერთობ შორს წავალ. ამიტომ საჭირო არის, რომ ბრიყვულ და მოუხეშავ გონებას, მათ გაუწურთნავ ტვინს მძლავრის ერის, ანუ სახელმწიფო ენაზედ მიეცესთ სწავლა და მით გვიან მოსარჩენი უმეცრული ჭირი ადრევე მორჩესო. ეს პირი თავის მოსაზრების დასკვნას აგვირგვინებდა მით, რომ დიდი თევზები პატარა თევზებს სჭამენო, დიდი ჭიები პატარასა, დიდი ფრინველი პატარასაო, ამიტომ ეს შეჭმის კანონები კაცშიაც უნდა იყოსო და მედგარმა სუსტი უნდა შეჭამოსო. უნდა შეიჭამონ ეს სუსტნი მით უფრო, რადგანაც ესენი თავიანთ უნიჭობას დიდი ხანია ასაბუთებენ თავიანთ უმეცრებითაო.

ერთმა ქართველმა მსწავლულმა მოძღვარმა ერთ რუსის რევიზორს, 1871 წ. მოახსენა შემდეგი: ქართული ენა ისეთი ბრიყვული ენა არის, ისეთი ტლანქი, რომ ჩემის აზრით ეს ენა სემენარიაში ხმარებიდამ უნდა მოისპოს, რადგანაც იგი ქართველ ბავშვებს აყრუებს, ტვინს ულაყებს და აბრიყვებსო.

პატივცემულმა პროფესორმა ეგიაზაროვმაც ასევე მოგვიხსენია ჩვენ და მან თავის მეცნიერულს „საამქრო გამოკვლევაში“ ქართველების ძველის და ახალის ცხოვრებიდამ საყურადღებო არა დაინახა რა და მისის აზრის დასკვნით ეს ხალხი იხატება როგორც უზრუნველი, მჭამელი, მსმელი, მომღერალი და მოთამაშე. სხვა არაფერი, ერთი სიტყვით უმეცრების და უცოდინრობის ნიშან წყალი *).

ასეთ პირთ გარდა ჩვენში ყოფილან ძრიელ ხშირად ისეთი მწერალ-მსწავლული პირნიც, რომელთაც თავიანთის კალმით უვრცელებიათ, რომ ქართველი ხალხი ზარმაცი ხალხიაო. უზრუნველი, მათ არც სწავლის შეძენის შნო აქვსთო, არც მეცნიერებისა. არც ხელოსნობის, არც ტეხნიკ-მეხანიკისა, არც ვაჭრობისა, არც მრეწველობისა, არცარა სხვა რამ კულტურულის განვითარებისაო. ვაჭრობის შესახებ ხომ იტყოდნენ თამამად: ქართველი კაცის არც ვაჭრობა თქმულა და ქნილაო, არც ჩოტკი და არც დავთარიო, ვინ ქართველი და ვინ სწავ-

*) Городскіе цехи, С. Егіазарова, 1891 г., Казань.

ლა, ვინ ქართველი და ვინ ფულიო, ვინ ქართველი და ვინ მექარხნე და ფაბრიკანტიო. ვინ იცის კიდევ ასეთებისას რას არ იტყოდნენ. ყველა ეს კი მოწმობდა ჩვენს უნიჭობას, ზარმაცობას და უკულტურობას.

ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენი მდგომარეობაც ისე მოეწყო და ისე მოემართა, რომ თითქოს მართლაცა და გავხდით ღირსი ასეთის სახელის დარქმევის და აბუჩათ აღების. რა გაეწყობა, ესეც ჩვენი ბრალია და იმ ისტორიულის გარემოების, რამაც XIX საუკუნის შემდეგიდამ ასე გაგვანაცარმტვერა, ასე შეგვამცირა ვაჭრობის და აღებ-მიცემის ასპარეზზედ, რამაც აგვაფეთქა მხოლოდ ჭამა, სმით, ქეიფებით, მამულების დაყიდვით, შეჭმით და ვინ იცის კიდევ რამდენი რა გინდა რით, რომელთაც აქ არ მოვსთვლით ჩვენის გულის გასახეთქათ.

ერთის მხრით ჩვენი უხეირობა თვით ჩვენი ბრალიც იყო, ამაში სხვებს არ გავამტყუნებთ, ყველაფრის მიზეზები ჩვენ ვიყავით, ჩვენთვის არც სკოლების დახსნა იყო 1801 წლიდამ, არც სახელმძღვანელო წიგნების ბეჭდვა, არც სხვა და სხვა სავაჭროების დახსნა, სახელოსნოების, ქარხნების და ვინ იცის კიდევ რამდენი რა გინდა რის, ძველი ხელიდამ გვეცლებოდა, გვესპობოდა და მათ ნაცვლათ ვერც ახალს ვიძენდით. მარტოდ ვისხედით ჭანდრის ქვეშ და პირ დაღებულნი ვჭამდით, ვსომდით, ვქეიფობდით და ნაქეიფარები კიდევ ერთმანეთს ვეჩხუბებოდით, ძმა-ძმას უტეხდა შუღლს, მამა შვილს, შვილი მამას, ცოლი ქმარს, ნათესავი—ნათესავს, ერთის სიტყვით ყველა ერთმანერთს და ამ უბედურების დროს, საქართველოს ქალაქებში თუ ქართველთა მამულები რა უბრალო ფასებად იყიდებოდა, რა უბედურ და ხურმის ფასად ილუპებოდა, ყველა ამას ვინ მოსთვლის (იხ. ისტორია ქართული სტამბის და ჟურნალ-გაზეთებისა). ჩვენს ნაკლს და უბედურებას არც ჩვენ ვმალავთ, რომ დავმალოთ მიდამ რა გამოვა, არაფერი, ეს ჩვენი თავის მოტყუილება იქნება, ხოლო იმასაც ვიტყვით, რომ ჩვენი უბედურება, ჩვენი დაძინება და სიმკვიდრე იყო დროე-

ბითი, იმას თავის მიზეზები აქვნდა და ამ მიზეზების ახსნას ჩვენ არ გავყვებით, ვიტყვით იმას კი, რომ ეს მიზეზები და მისი საიდუმლოება კი იმ პირთ უნდა სცოდნიყოთ კარგად, ვინც ჩვენს უნიჭობას, მრეწველობის და ვაჭრობის ვერ შეთვისებას და ბევრსაც სხვა ამ გვარებს თვით მწერლობითაც კი ჰფანტავდნენ. მათ უნდა სცოდნიყოთ ეს და ჩვენთვის ისეთი გულ-გასატეხი მსჯავრი კი არ უნდა ეძრიელებინათ, არამედ საქმის დაკვირვებით, ჩვენი პოლიტიკური და უფლებითი მხარეების შეგნება-შესწავლით, მის კარგად აწონ-დაწონვით, ჩვენი მდგომარეობის და სამზადისის მოძებნით და სხვანი.

ესეთი განჩინება ჩვენთვის შეიძლებოდა მოეცათ მხოლოდ უმეცართ, რომელთაც არც ჩვენი წარსული იციან, არც ჩვენი ისტორია, კულტურა, განათლება, ხელოვნურად მწერლობა, ფილოსოფიური განსჯა, ვარსკვლავთ-მრიცხველობა, კაცთა და ბედაურთ მკურნალობა, მეურნეობა, ხელოვნურად ფერადის წამლებით ხატვა, ჩუქურთმა, ქანდაკი, ძველ ხალხებთან აღებ-მიცემა და სამრეწველო და სასოვდაგრო საქმენი, რომელთა ცნობებიც დაშთენილია ჩვენს ისტორიაში, ჩვენს ძველს სიგელ-გუჯრებს და სხვა და სხვა სამეფო დავთრებში.

გინდ ეს ასეც არ ყოფილიყოს და გინდ ჩვენ ვყოფილიყავით ძველი უკულტურო ხალხი, არაფერი სწავლა-განათლების, ხელოვნობის და ვაჭრობის მექონი, მაინც ასეთ განჩინებით ჩვენზედ არ უნდა ელაპარაკნათ, და ჩვენ საიქიოს ხალხად არ უნდა ვეხსენებინეთ, არ უნდა მოვეხსენებინეთ ასე, ვინაიდგან ჩვენ კარგად ვიცით სპენსერის „მოძღვრებით" *), რომ დედამიწის ზურგზედ, ძველად მრავალ ერთა შორის ყოფილან ისეთნიც, რომელთაც არც წიგნი ჰქონიათ, არც კულტურა, არც განათლება, არც ვაჭრობა და მრეწველობა, მაგრამ დროსა და განათლების წყალობით ისინი იმ ველურის მდგომარეობიდამ გამოსულან, დამდგარან განათლების და

*) სოციალოგია ჰერბერტ სპენსერისა 1875 წ.

კულტურის გზაზედ, მათ მიუღიათ ევროპიული სწავლა-განათლება და სადღეისოდ იგინი გამხდარან მოწინავე ხალხთან ერთად წოდების ღირსნიც. ამის მაგალითი ამერიკის ერი და რამდენი კიდევ სხვა ასეთნი არიან.

მაინც იმასაც მოგახსენებთ, რომ თუნდ იმ დროსა და ჟამს, რომელსაც ჩვენის უბედურობით და უკაცობით ანუხსვენ, თვით მაშინაც გვყოლიან ქართველთ ჩვენს ქვეყანაში თითო-ოროლა ისეთი პირნი, რომელთა სიცოცხლეს, ცხოვრებას და მოქმედებას ხსენებულ ცრუ ყალბის ჰაზრებისათვის საძირკველი უნგრევ-უქცევიად, ჩვენ კიდევ სხვა და სხვა სახელოვანის სავაჭრო და სამრეწველო საქმეების შექმნით დაგვხმარებია, ჩვენის გვარისა და ოჯახისთვის კარგი სახელოვანი სამსახური გაუწევიათ, მართლაცა და ჩვენ არც ისე წყალწაღებულები ვიყავით და ვართ, როგორც ზოგიერთები აქამდის გვთვლიდნენ და გვთვლიან კიდევაც. ჩვენშიაც მოიპოვებიან თითო-ოროლა შესამჩნევი პირნი როგორც მწერლობის ასპარეზზედ, ისევე მეცნიერების, მეხანიკ-ტეხნიკის, აღებ-მიცემის, ხელოსნობის და მრეწველობის. მაშ აქ ჩვენ შევჩერდებით და შევეხებით ერთ ჩვენს თანამემამულე დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის აღწერას და გაცნობას. ეს ერთი პირი არ გეგონოთ ჩვენში, სხვებიც არიან შესამჩნევი პირნი, ყველას თავის ღირსეული ამაგი და შრომა მიუძღვის ჩვენის ტომის წინაშე და ამიტომ ჩვენც მოვალენი ვართ, რომ ეს საყურადღებო პირნი თავიანთის ენერგიულის შრომით და ხალხის სიყვარულითაც ხალხის წინაშეც გამოვაქვეყნოთ.

დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის აღებ-მიცემის საქმე და წარმოება ქართველთ ცხოვრებაში დიდ-მნიშვნელოვანია; საყურადღებოა მით უფრო, რადგანაც იგი არამც თუ ქართველის კაცისაგან დაწყობილი საქმე მარტოდ საქართველოში არის საყურადღებო, არამედ იგი გამოჩენილია მთელს რუსეთის იმპერიის პირველ ხარისხოვან დიდს და პატარა ქალაქებშიაც, რუსეთს გარდა სამზღვარ გარეთაც ბევრს ალაგას იც-

ნობენ. ყველასთვის ცხადია, რომ დავით სარაჯიშვილის სასმელები ევროპაშიაც ისევე არის მოწონებული და ქებული, როგორც თვით განათლებულ ევროპელთ გაკეთებულნი.

ბუნებითად სჩანს, ქართველნი ღვინის, არყის და ლუდის ხდას და სმას მისდევდნენ ძველის ძველადგანვე, უხსოვარის დროდამ, ქრისტეს დაბადებამდე ბევრად უწინარეს, განსაზღვრით კი მისი დრო ჩვენ არ ვიცით, თუ ქართველებმა როდის მოახერხეს ღვინის, არყის და ლუდის გამოხდის საქმე. უეჭველია ყოველივე ეს აღორძინდებოდა უხსოვარის დროდამ, რასაკვირველია უცხო ტომთა გავლენის საშუალებით, რომელთაც საქართველოზედ გავლა-გამოვლა ხშირად უხდებოდათ და იგინი აქ სტოვებდნენ თავიანთ მგზავრობის დროს ცხოვრების კვალს, სხვა და სხვა საქმეთა ცოდნათა შნოს, მოხერხებას და სხვანი. ვფიქრობთ, რომ საქართველოში როგორც ღვინის და არყის გამოხდა, ისევე ლუდის უნდა იყოს ერთობ ძველის დროდამ.

როგორცა სჩანს მაგალითებით, ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ქართველთ შორის, ღვინის და ხილეულობის არყის გამოხდის ცოდნა უფრო დაწინაურებულა და ამ წინსვლას მისი მოთხოვნილებაც გაუდიდებია ერთი ასად. თქმულება არის, რომ ძველ კერპთა და ღმერთთა მოგვნი, მოძღვარნი და ასეთი სასულიერო პირნი ღვინისა და არყის სმას ერთხნობით არ მისდევდნენ, მათ ამის დალევა ცოდვათ მიაჩნდათ. ქრისტიანობის მღვდელნი კი პირველის დროდგანვე სიამოვნებით სომდნენ ერთსა და მეორესაც, რადგანაც იგი მიაჩნდათ ქრისტეს სისხლად. ამიტომაც, იმავ თავიდგანვე, რაც საქართველოში მონასტრების აშენება გამრავლდა და სხვა და სხვა ძმობის ბერები გაჩნდნენ, მით უფრო ესენი სიამოვნებით მისდევდნენ მონასტრის ძმათათვის ვენახების მოშენებას, ვაზის გამრავლებას, სამონასტროდ ღვინის და არყის გამოხდა-დაყენებას, მონასტრის მახლობლივ მარნების მოწყობას და იქ ქვევრებით ღვინის შენახვას.

მონასტრის ძმათათვის ღვინო იმოდენად საჭიროებას შეადგენდა, რომ ბერები თავიანთ საკუთარ ღვინოს გარდა სხვათა ღვინოსაც იღებდნენ 'შემწირველობით და მონასტრის ახლო-მახლო ქვევრებით ინახავდნენ, ასეთ შენაწირავ ღვინოს „ზედაშეს“ უხმობდენ და დღესასწაულ დღეებში ხსნიდნენ ქვევრებს და მონასტრის მლოცველთ ურიგებდნენ უფასოდ, ამათში ღვინოს ისეთი მოთხოვნილება აქვნდა, რომ მას ეტრფოდნენ თვით მონასტრის განდეგილი ძმანი და მამანიც, რომელთაც ამიერ სოფლის ცხოვრებიდამ პირი აქვნდათ არიდებული. დაუმატებთ იმასაც, რომ ესევე მონასტრის ძმები და მამანი მისდევდნენ არყის ხდასაც, იგინი ხდიდნენ ჭაჭის არაყს, სიმინდის, ქერის და სხვა და სხვა ხილეულობის. არყის ხდა ამათში ისე წავიდა წინ, რომ მათ გამოხდა იწყეს თვით ახალ თაფლის, ანუ უცეცხლო თაფლის წმიდა სამთლიდამაც. სამთლის არყის ხდა მარტოდ მონასტრის ძმათა ხელობა იყო და იგინი XVIII საუკ. გასვლამდე მას მრავლად მისდევდნენ, დღეს კი ეს მათში შემცირებულია. სამთლის არაყს ზეტად კარგი სუნი აქვს, გემოთიც არა უშავსრა, დღეს ძვირათაც ფასობს ასეთი არაყი. მონასტერსა და ბერებს გარდა ღვინის შენახვას „ზედაშედ“ სამღვდელოებაც მისდევდა და ყოველს მღვდელს თავის საყდრის გვერდით ქვევრები აქვნდა მომზადებული და მრევლს შეაწირვინებდა „ზედაშედ“ ღვინოს, ეს რომ ასე ყოფილა ამას ეჭვი არ ენდა, რადგანაც დღემდეც კი სხვა და სხვა მონასტრის და ეკლესიათა მახლობლივ მრავლად შევხვდებით ხოლმე მიწაში დამარხულ ძველს ქვევრებს, მარნეულებს და სხვანი.

საქართველოში, ქართველთ, მაჰმადის სწავლის გავრცელების შემდეგ, რაც მუსულმანთ შორის, შარბათის კეთება და ოსტატობა გავრცელებულა, მის შემდეგ, მეშარბათენი ქართველებშიაც გაჩენილან. მერე ამ ხელობის ხალხს „მეშარბათე“ სწოდებიათ. შარბათის მკეთებელნი მთელ საქართველოში ყოფილან გამრავლებული. იგი XIX საუკ. გასვლამდე არ-

სებობდა ქართველთ შორის. მეშარბათენი სიგელ-გუჯრებშიც მოიხსენებიან *). ესევ მეშარბათენი აკეთებდენ სხვა და სხვა ტკბილ სასმელებს, რომელთაც უმაღლეს ოჯახებში და საერთოდ ქორწილებში ხშირად ხმაროობდნენ. სადღეისოდ მეშარბათენი საქართველოში მოისპო.

მაგალითებით სჩანს, რომ ღვინის და არყის ხდის განვითარების საქმეს, ქართველი ბერები და მღვდლები ძველადგანვე დიდს დახმარებას უწევდნენ, მათ ამის ოსტატობა უფრო უკეთ აქვნდათ შესწავლილი და ამიტომ ვაზის მოშენებას, ღვინის და არყის ხდასაც უკეთესად მისდევდნენ. ამ უკეთესობის ოსტატობას იგინი თავიანთ მრევლსაც ასწავლიდნენ და ასე და ამ გვარად ავითარებდნენ ხალხში როგორც ღვინის დაყენების საქმეს, ისევე არყის ხდის და სხვანი, უამისობა არ შეიძლება, თუმცა ბერძნები და რომაელები ჩვენგან შორს იყვნენ, მაგრამ მაინც ჩვენ ღვინის და არყის დაყენების ოსტატობას მათგანაც ვსწავლობდით. მონასტერმა და ეკკლესიამ თავისებურად შეუწყო ხელი მეევნახობას, ღვინის და არყის ხდის საქმეს, იგი განამრავლა მთელს საქართველოში, არ დარჩა სოფელი, ქალაქი და უდაბნო, სადაც კი ვაზის შესაფერი ადგილები იყო, რომ იქ ვენახი არ მოეშენებინათ. ვაზის ვენახების კეთების გარდა იგინი სხვა და სხვა ხილთა ვენახების გაშენებასაც მრავლად მისდევდნენ, რადგანაც მონასტრის-ძმათათვის საჭირო იყო ხილის შენახვაც, ჩირის კეთება და სხვანი, რასაც იგინი ზამთრობით ეწყობოდნენ.

ქართულის საეკკლესიო ისტორიულის წერილებიდან კარგად სჩანს, რომ საქართველო XI საუკუნეში, სხვა და სხვა ხილის და ვაზის ვენახებით მორთული ყოფილა, ყოველს მონასტერს თუ ეკკლესიას ჰქონია მრავლად თავის საკუთარი ზვრები და სხვანი. ასევე გამრავლებული ყოფილა ღვინის დაწურვა და არყის ხდა. მთელს საქართველოში, თვით XI და

*) საქართველოს სიძველენი II ტ. გვ. 257 თფ. 1909 წ.

XII საუკუნის ისტორიული ცნობები გვაუწყებენ, რომ მაშინ მრავლად სწირავდენ სხვა და სხვა მემამულენი, სოფლის გლეხნი და ხან მთელი სოფელიც ერთად რომელიმე მონასტერს და ეკკლესიას ღვინოებს. ასეთის შენაწირავ ღვინოების ცნობები ჩვენ მრავლად გვაქვს ძველს წიგნებში. ვიტყვით იმავ ისტორიული ცნობების საფუძვლით, რომ XII საუკუნეში მთელ საქართველოში, ღვინის და არყის დაწურვა და ხდა ისე ყოფილა გამრავლებული, ისე ყოფილა გავრცელებული, რომ მას კარგად იცნობდენ ბიზანტიელნი, რომაელნი, რუსნი, სლავიანთა ტომნი, საქართველოს მოსამზღვრე კავკასიის ქრისტიანთ და თათართ, ანუ მუსულმანთ ტომნი.

ყველამ იცოდა, რომ საქართველოში მოდიოდა ბუნებით კარგი ღვინო, ნამეტურ კახური იყო მათში ქებული და დიდებული, ამიტომაც იგინი საქართველოს ღვინოებს კარგადაც ეწაფებოდნენ. საუწყებელია ისიც, რომ საქართველოდამ ხსენებულ ქვეყნებისაკენ ერთხელ და ორჯელ კი არ იგზავნებოდა სხვა და სხვა ღვინოები და არაყი, არამედ რამდენჯერმე და იქმნება დიდათ მრავლადაც, ამისთვის საქართველოში უცხოთა ვაჭრებიც იქმნებოდნენ და თვით ქართველთაც ექმნებოდათ შნო, რომ თავიანთ მოყვანილ სასმელებისთვის თვისივე ტომის ვაჭრები და გამსაღებელნიც ჰყოლოდათ. საზოგადოთ კი, რომ ქართველებში ძველადგანვე ყოფილა ღვინო და არყის კეთება დაწინაურებული, ამას აჩენს თვით ძველი ცნობებიც. მაგალითებრ XIII საუკუნის სიგელიდამ სჩანს, რომ ქართველთ შორის, მაშინ და მასზედ ძველადაც ღვინო და არყის ოსტატობა ისე ყოფილა მოქარგული, რომ ყურძნის მკრეფავთ ხელობა სხვა ყოფილა ღვინის მწურავთა სხვა *). ამათ გარდა ყოფილა მეღვინეთ უხუცესიც, რომელსაც კარგად ჰქონია შესწავლილი ღვინო და არყის დაწურვა-კეთება და ეამოხდა. თვით სიტყვა ოქტომბრის სახელიც ღვინობის

*) საქართველოს სიძველენი II ტ. თფ. 1909 წ.

თვე ქართველებში მეტად ძველის დროდამ იხმარება, იმ დროდამ, როცა ქარველთ თვეთა და წელთა დროთა სახელები სულ თავიანთებურად ქართულად აქვნდათ.

ისიც ვიცით, რომ საქართველოს ღვინოებს ევროპიელთ გარდა კარგად ეტანებოდნენ თვით აღმოსავლეთის ხალხნი, სომხები, ქალდეველთ და ნინეველთ აისორები, ოსები, ამათ გარდა თვით მრისხანე სპარსნი, ლეკნი, ოსმალონი და დრო და დრო არაბნიც. მართალია მუსულმანებს ღვინის დაწურვა კი არა და ისლამისაგან თვით სმაც აქვნდათ სასტიკად აღკრძალული, ეს აღკრძალვა სჯულის ძალით იყო დაკანონებული, მაგრამ მაინც მათ შორის მრავლად იყვნენ ისეთნიც, რომელნიც ღვინოს და არაყს კარგად მისდევდენ და ხშირად ძალზედაც სომდნენ, მაგალითებრ ასეთივე ყოფილა ქართველის თავ. შალიკაშვილის ქალისაგან ნაშობი შაჰ აბაზი, რომელმაც კახეთი და ქართლი 1618 წ. აიკლო და რომელმაც ბევრი ვნება მოგვიტანა, თვით ეს ტირანიც კი თურმე ძალზედ სომდა ღვინოს. მას გარდა მრავლად სხვანიც მისდევდნენ სმას, ზოგნი ჩუმად და ზოგნი აშკარად.

ამიტომ ასეთ პირთა მეოხებით, საქართველოს ღვინოს და არაყს მათს ქვეყნებშიაც კაი გასავალი აქვნდა, იქით საქართველოს ვაჭრებს ღვინო და არაყი ხან ჩუმად მიჰქონდათ და ხან აშკარად, იქ ზოგ ალაგას აშკარად ჰყიდდნენ და ზოგ ალაგას ჩუმად, მუსულმანთ ზოგ დიდ კაცებს კი პირდაპირ სახლებში უგზავნიდნენ ჩუმად ღვინოს და არაყს. ამიტომ თუმცა არა მრავლად, მაგრამ მაინც აღმოსავლეთის ქვეყნებში საქართველოს ღვინოს და არაყს კაი გასავალი ჰქონდა, ნამეტურ ჭაჭის არაყს, რასაც დაღისტნელნი, სპარსნი, ოსმალნი და არაბნი ღვინოზედ უფრო თავისუფლად მისდევდნენ და სომდნენ.

აღმოსავლეთის თათრის ტომთ შორის, სადაც კი ვაზი ხეირობდა, იქ ღვინის და არყის ხდასაც თათრები მრავლად მისდევდნენ, სწურავდნენ სხვა და სხვა ფერის ღვინოებსა და

ხდიდნენ მრავალნაირ არაყებსაც. სმითაც დიდათ იყვნენ შეჩვეულნი და ძრიელ ხშირად და მრავლადაც ეწაფებოდენ ღვინო და არაყს. მევენახობა, ღვინის და არყის დაწურვა და ხდა მათში მაჰმადის გამოჩენამდე დაშთა. ამ პირმა რა ნახა თათრის ტომთაგან უხვათ ღვინის და არყის სმა, ამიტომ იგი აღკრძალა და „ყურანშიაც“ დაუთმო ადგილი და უბრძანა, რომ ღვინის სმა ცოდვა არისო. ამ მოციქულის შემდეგ კი თათრებში ღვინის და არყის ხმარებაც შემცირდა და გამოხდა და დაწურვაც მოისპო. ეს რომ ასე იყო, ამას აჩენენ ის სპარსთა პოეტური წიგნები, რომელნიც მაჰმადზედ წინეთ ჰრიან დაწერილნი. ამის მაგალითია თვით ფირდუსის პოემა „შაჰ-ნამე“ ქართული თარგმანი XVII საუკ. და „როსტომიანად“ წოდებული *). სადაც ფირდუსის სიტყვით, ძველ სპარსთა გმირები ძრიელ ხშირად სომენ ღვინოს, არაყს და მის მერე მისდევდენ ბრძოლას. ამას ვხედავთ თურანელ გმირებში, ირანელებში, სპარსეთში, არაბეთს და მთელს აღმოსავლეთის ერთა შორის. მერე კი მოისპო ეს მათში, მაგრამ მაინც ღვინისა და არყის ხმარების გემო კი არ გამქრალა მათში. ამიტომ ესენი ჩვენს ღვინოსა და არაყს ცის მანანასავებ უმზერდნენ.

ასე და ამ გვარად, კარგად სჩანს, რომ საქართველოს ღვინო და არაყი ცნობილი ყოფილა როგორც დასავლეთ ევროპის ზოგ ხალხთა წინაშე, ისევე ცნობილი ყოფილა იგი აღმოსავლეთის ხალხთა შორისაც. ქართველთ დაკავშირება და გაცნობა რუსთათვის იწყება იმ დროიდამ, როცა რუსებმა ქართველთ მაგალითით ბიზანტიელთაგან ქრისტიანობა მიიღეს, მის მერე ნელ-ნელა საქართველოს და ქართველ ხალხსაც დაუახლოვდნენ და საქმე ისე მოეწყო, რომ თვით თამარ მეფეც კი რუსის მეფის შვილზედ იქმნა გათხოვილი. ამ გარემოებამ ქართველები რუსების წინაშე ცნობილ ჰქმნა არა მარტო ქრი-

*) „შაჰ-ნამე“ ფირდუზის. ქართულად ნათარგ. „როსტომიანი“, XVII საუკ.

სტიანობის მხრით, არამედ საქართველოს ნაყოფით, თვით ღვინოთი და არყით. ქართველთა ღვინო ცნობილ იქმნა რუსის სამღვდელოების წინაშე XII საუკუნის დამდეგიდამ, იგინი საქართველოს ღვინოს ზიარების და ზედაშესთვის ყოველთვის ნატრობდნენ და ამიტომ ხშირად საქართველოში რუსის ბერებს და მღვდლებსაც გზავნიდნენ და ღვინოებს ყიდულობდნენ.

ქართველთ ღვინო რუსის სამღვდელოების და თვით მათ დიდებულთ წინაშე იქამდის გაცნობილ იქმნა, რომ XVII საუკუნის დამდეგიდამ, რუსის ბერებს და მღვდლებს გარდა საქართველოში იწყეს მოსვლა მოსკოვის ვაჭრებმაც, ესენი მოდიოდნენ კავკავის გზით კახეთში, იქ ყიდულობდნენ სხვა და სხვა ნაირ ღვინოებს და მერე ეს ღვინოები რუსეთში მიჰქონდათ გასაყიდათ. XVII საუკ. კახეთისთვის ავი დღეები დადგა შაჰაბაზის წყალობით, თეიმურაზ პირველმა იმავ დროს მოსკოვის მეფეებთან წერილების მიწერ-მოწერა დაიწყო და დახმარების თხოვნა სპარსეთის წინაშე, რათა შაჰაბაზს მოესვენებინა ქართლი და კახეთი, ასეთ მიწერ-მოწერამაც კარგი გავლენა იქონია ქართველებზედ. ქართლ-კახეთი რუსებმა უფრო კარგად გაიცნეს, ამიტომ მათ ხშირადაც იწყეს საქართველოში შემოსვლა, ასევე ქართველები დაუახლოვდნენ, რუსებმა ეს დაახლოვება ღვინის სავაჭრო ასპარეზზედ კარგადაც გამოიყენეს. მათ საკმარისად გაუადვილდათ რუსეთში საქართველოს ღვინოების გატანა და ვაჭრობა. XVII საუკუნის შემდეგ, ქართველთ ვაჭართ აღებ-მიცემის საქმე უფრო გავრცელდა და წინ წავიდა.

წინედ თუმც ორიოდე ქართველი ვაჭარი მიდიოდა რუსეთში სავაჭროდ, მერე კი, ანუ XVIII საუკუნის შემდეგიდამ საქართველოდამ რუსეთში მრავლად დაიწყეს ვაჭრებმა მგზავრობა და საქონლის გატანა-გასაყიდათ, ასევე მათი საქონლის შემოტანა აქ გასასყიდათ. ქართველთ ვაჭართ დაახლოვებამ და ამის პირობებმა გამოიწვია, რომ ეკატერინე იმპერატრიცამ,

1780 წ. ეკატერინეში, საქართველოს ვაჭართათვის ბაზრობა, ანუ იარმუკობა დააფუძნა. აქ იარმუკობა ხან წელიწადში ერთხელ იმართებოდა, ხან ორჯერ. ამ იარმუკაზედ მიდიოდნენ ქართველთ ვაჭრები, თან მიჰქონდათ თავიანთი საქონელი, იქ რჩებოდნენ იარმუკობაზედ, მოისაქმიანებდნენ და მერე დაბრუნდებოდნენ შინისკენ. ამ მგზავრ ვაჭართათვის ქართველ მთავრობისაგან სამეფო მფარველობაც იყო დადგენილი, მთავრობა ქართველ ვაჭრებს გზის მაჩვენებელ და მფარველთ უნიშნავდენ, მასთან ქართულად, თათრულად და ლათინურად დაწერილ პასპორტებსაც აძლევდნენ. ასევე მფარველობდა საქართველოს ვაჭრებს თვით რუსეთის მთავრობაც.

ცნობა არის დაშთენილი, რომ ქალაქ კატარინეს იარმუკობაზედ" მრავლად მიჰქონდათ ქართლ-კახური ღვინოებიც, სადაც კაი ფასად ჰყიდდნენ ამ ღვინოებს. ასე და ამ გვარად, ჩვენ ვიცით კარგად, რომ XVIII საუკუნეში, საქართველოს ღვინოებს რუსეთში კაი გასავალი ჰქონდა, იმის ცნობაც არის დაშთენილი, რომ რუსეთში იმერეთიდამაც გადაჰქონდათ ღვინო და ჰყიდდნენ. საზოგადოთ საქართველოს ღვინოს და არაყს ყველგან კაი გასავალი აქვნდა, ყველგან იგინი კაი ფასში იყიდებოდა, ხოლო საქართველოს ვაჭრებს აღმოსავლეთის მტაცავთ მუსულმან ხალხთა შიშით ვაჭრობა არ აქვნდათ რიგიანად დაყენებული, ვაჭრობისთვის თითქოს მათ დრო და გარემოება არა სწყალობდათ, ამიტომ იგინი ამის ასპარეზზედ მოკატუნებულნი იყვნენ. ხოლო ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებამ კი მათ მისცათ საფუძველი წელში გაშლის, აღორძინების და წინ სვლის.

ქართველთ მეფობის დროს, ანუ XVIII საუკუნის გასვლამდის, სამეფო გამგეობას ქ. თფილისში, აქვნდა სამოქალაქო გამგეობა, ეს სამოქალაქო გამგეობა შემოიღეს მას შემდეგ, რაც ქალაქის მცხოვრებთ შორის საპატიო მოქალაქობა განწესდა, როცა მოქალაქეებს მიენიჭათ უფლება და პატივი ისეთი, რომ მათ თვით მეფის სახლში შეეძლოთ შესვლა კარის

კაცთა დაუკითხავად, ასეთ საპატიო მოქალაქეთ მომდევარნი თფილისში დღესაც სცხოვრობენ, ხოლო რიცხვი მათი კი ძრიელ შემცირდა. მაშინდელი საპატიო მოქალაქენი თვით საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების დროს, რუსის მთავრობამაც იცნა და დღეს მათ მომდევარნი თფილისში „პაჩოტნი გრაჟდანათ“ იწოდებიან. დიახ, აი ასეთ საპატიო მოქალაქური წესების შემოღების შემდეგ, თფილისში, სამეფო გამგეობისაგან დანიშნულ იქმნა თფილისის მელიქიც.

მაშინდელი მელიქი ახლანდლრად ქალაქის თავს უდრის. თფილისის მართვა-გამგეობა მელიქს ჩაბარდა, მაგალითებრ ხიდების პატრონობა, ხარჯის აკრეფა, გზების კეთება, ხელოსანთ ამქრების უსტაბაშების ზედამხედველობა, თევზის იჯარა, აბანოების, ბურნუთის, თუთუნის, წურბლის, ღვინის, არყის და ყველაფრის, რაც კი რამ მოიპოვებოდა მაშინ თფილისში. 1770 წ. თფილისში რამდენიმე ათასი დუქანი იყო, ასევე სხვა და სხვა ქარვასლები, სადაც ისადგურებდნენ მოგზაურნი, მოგზაური ვაჭრები და ასევე სხვანი. თუ ვინმე მსწავლული მოვიდოდა მაშინ, იმას სამეფო პირნი მიიწვევდენ თავის ოჯახში. 1770 წ. რომ თფილისის მოვაჭრეთა დუქნები ერთობ მრავლად ყოფილა, ამას ასაბუთებს თვით იმ დროის მოგზაურთ აკადემიკი ღულდენშტეტი, რომელმაც მიმოვლო მთელი საქართველო, მასთან ანუხსა თფილისი და მოიხსენა ყოველივე იმ ვაჭართ და ხელოსნებთ საქმენი, რაც კი მაშინ თფილისში არსებობდა. მან ეს რიცხვით არ უჩვენა, მაგრამ ჩვენ ვიცით ეს ჩვენის ისტორიულის დასკვნით.

სხვა და სხვა იჯარათა საქმეებს ჩვენ არ ავნუსხავთ, ვიტყვით მხოლოდ მას, რომ მთელის თფილისის ღვინის და არყის მოვაჭრეებს წელიწადში 1000 მ. ჰქონიათ ხარჯად შეწერილი. ასევე სხვა და სხვა იჯარებიც მცირე ყოფილა, ყოველივე ამას ქალაქის ვაჭრებთაგან თფილისის მელიქი და მისი გამგეობა ჰკრებდა და მერე ეს ანაკრეფი სამეფოშიაც შეჰქონდათ. ვიცით ისიც, რომ მაშინ ბურნუთის იჯარა წელიწადში

100 მ. ყოფილა. ღვინის და არყის გადასახადის ცნობა ჩვენ შემდეგის გარემოებიდამ ვიცით: 1800 წ. 28 დეკემბერს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე გიორგი. მაშინ ჯერეთ ისევ ქართველთ სამეფო მთავრობა არსებობდა, ასე რომ 1801 წ. ხარჯი ქართველთ მთავრობამ განაწესა თფილისზედ, მათ რაც 1801 წ. ხარჯი აიღეს თფილისიდამ, იმით დაასაფლავეს მეფე გიორგი. მეფე სამ თვეს დაშთა დაუმარხავი, სიონში იდო მისი გვამი და აქ ინახამდენ ყინულით, რასაც მოქალაქეთაგან ხარჯი სჭირდებოდა.

თუმცა ქართლ-კახეთის მეფე 1800 წ. 28 დეკემბერს მოკვდა, თუმცა რუსეთის მთავრობამ 1801 წ დასაწყის უკვე საქართველო რუსეთის იმპერიასთან შეკავშირებულად გამოაცხადა, მაინც მათ 1801 წ. ხარჯის გაწერა კი ვერ მოასწრეს, ვერ მოახერხეს. 1801 წ. ხარჯი თფილისის ვაჭრებმა და ხელოსნებმა საქართველოს სამეფო წესისამებრ გადახადეს. რუსეთის მუავრობამ 1801 წლის ბოლოს კი მოახერხა და თფილისის ვაჭრებს და ხელოსნებზედ თვისგან მიერ დაწესებული ხარჯი განაწესეს, მაგალითებრ მთელის თფილისის ღვინით და არყით მოვაჭრეებზედ დაუდგენიათ 2000 მ. წლიურად გადასახადი, ნათქვამია, **რომ წინა წლის ქართლ-კახეთის მთავრობის მიერ განწესებულ გადასახადზედ** 1000 **მ. მეტი**" *). აქედამ ცხად არს, რომ წინა წელს 1000 მ ყოფილა. თქმულია ისიც, რომ თუმც ღვინო და არაყი მაშინ ერთობ იაფი იყო, მას მაინც თფილისში დიდი გასავალი ჰქონია, კარგად სჩანს, რომ ადგილობრივ აღებ-მიცემის გარდა, ღვინო და არაყი მრავლად გაჰქონდათ თფილისიდამ სხვა და სხვა ქვეყნებშიაც, რაზედაც ჩვენში ცნობებიც არის მრავლად დაშთენილი. ისიც კი უნდა ითქვას, რომ იმ დროს, თფილისში, ღვინო და არყის გამსყიდავი, ანუ სირაჯების რიცხვი დიდი უნდა ყოფილიყოს. „სირაჯებს" მრავლად და ხშირად ახსენებენ ძველ სიგელ-გუჯრებში **).

---

*) კავკასიის აქტები I, II და III ტ.
**) საქართველოს სიძველენი II ტ. გვ. 256 თფ. 1909 წ.

ვიტყვით, რომ ვაჭრების პატივის ცემაზ თვით ქართველთ მეფენიც მხურვალედ მისდევდენ. მოქალაქობას გარეშე მეფე ერეკლეს ვაჭარ ხოჯიმინასოვს თავადისშვილობა უბოძა, ბაბანას, ანუ ბაბანაშვილს დღეს ბაბანასოვი—აზნაურობა და თვით რუსეთის წინაშეც დაახლოვებას პირდაპირ სოვდაგრული მიმართულება აქვნდა, რაზედაც ზემოთაც ვისაუბრეთ, ღვინო და არყის ნიხრის ზომა ჩვენ აქ მიტომ მოვიყვანეთ, რომ მით დაგვესაბუთებინა ქართველთ მეფეთ დროის მთავრობისაგან აღებ-მიცემის და ვაჭრობის მნიშვნელობის ზომიერად ცოდნა. ვაჭართა მნიშვნელობა კარგად ესმოდათ მით უფრო, რადგანც XVIII საუკუნიდამ, ქართველთ შორის გაჩნდენ ევროპაში ნამყოფი ვაჭრები, რომელთაც იქიდამ სხვა და სხვა საქონელიც შემოჰქონდათ. იყვნენ ისეთნიც, რომელთაც თფილისის კათოლიკის ბერების დახმარებით კომერციული სწავლა ნეაპოლში მიეღოთ, იყვნენ ისეთნიც, რომელთაც სპარსეთის მხრით ამსტერდამში და ინგლისშიაც ემგზავრნათ სავაჭროდ და იქიდამაც თფილისში საქონელიც შემოუტანიათ ხშირად.

სომხურის ცნობებით სჩანს, რომ საწერი ქალალდი საქართველოში, სპარსეთის გზით ინგლისის სამფლობელო ინდოეთის მადრასეს და კალკუტიდამაც შემოჰქონდათ და ასევე გოლანდიიდამ. მე მაქვნდა იზმიროვების ძველ საგვარეულო სავაჭრო ცნობები და იმ ცნობებიდამ სჩანდა, რომ საქართველოს ვაჭრებს, არამც თუ მარტოთ საქართველოს დაბა და სოფლის ბაზრობა სცოდნიათ და ოსმალთა „პარასკევობა“, რაც იმერეთში იქმნა XVII საუკუნიდამ შემოტანილი და რუსეთის იმპერატრიცასაგან განწესებულ კატირინეს ბარმუკობა, ჯრამედ ამათ სცოდნიათ კარგად თვით ინგლისის სააღებ-მიცემო ბაზრობის დრო და ჟამიც. ვიცით ისიც კი, რომ ერთ დროს, საგარეჯოდამ რამდენიმე ვაჭარი წასულა სპარსეთს და ინდოეთში სავაჭროდ და ამათ თან ღვინო და არაყიც კი წაულიათ გასასყიდათ, ესენი მადრასეს და კალკუტას მისულან და იქ სომხის მდიდარ ვაჭარ კრეზის შახრიმიანის მახლობლად

უცხოვრნიათ. სამწუხაროდ ეს ცნობები მოსეს იზმიროვთან დაიკარგა, საინტერესო კია ვიცოდეთ, თუ XVIII საუკუნის ნახევარს, საგარეჯოდამ ვინ ვაჭრები წავიდნენ სპარსეთს და ინგლისს სავაჭროდ. ამაზედ უეჭველია საგარეჯოში რამე ცნობები იქმნება დაშთენილი. იმასაც კი ამბობენ, რომ თვით შახრიმიანიც კარგად იცნობდა საგარეჯოს სომხებს და მათში ერთს ოჯახს ენათესავებოდა კიდეცო.

ქართველ მეფეთა დროს არყის ხდას ყველა მისდევდა, ვინც მოისურვებდა და სახდელ იარაღს, ანუ ქვაბებს იშოვნიდა, იმას შაეძლო არაყი ეხადა, ასევე ღვინო იყო. რუსეთის მთავრობის დამყარების შემდეგაც ცოტა ხანს დარჩა ღვინის და არყის ხდა იმ ძველის წესებით და უკანასკნელ ჟამს კი არყის ხდას ბაჟი დაედო იმ წესით, როგორც ეს რუსეთში იყო დადგენილი. ამიტომ ქართველთ შორის არყის ხდა ძრიელ შემცირდა, აღარავინ ხდიდა იჯარის გამო, ყველამ ღვინის დაწურვას მიმართა, აუარებელი ჭაჭა უბრალოდ იყრებოდა, ხან კი მთის ხალხი მიზიდებოდა ბარიდამ და იგინი ხდიდნენ ჭაჭის არაყს, მთის ხალხს ნება აქვნდა არყის ხდის და სმის, რადგანც მათში ვაჭი ვერ მრავლობდა, როგორც მთის ხალხს ნება აქვნდათ უბაჟოთ არყის გამოხდის. ბაჟის დადგენამ ისე იმოქმედა, რომ ქართველებმა ერთ დროს ქალაქ ადგილებს სრულიად ამოჭკვეთეს არყის ხდა და მასთან სმაც კი, არაყს კაცი სადმე დიდს წვეულებას, ქორწილს და ასეთ ლხინსა და ჭირში თუ ნახავდა, თორემ სხვა არსად და არას დროს. ასეთი გარემოება ნელ-ნელა ქართველებში საყურადღებო ხდებოდა, რადგანაც კერძოთ საქართველოში და საერთოდ მთელს კავკასიაში, რუსის მხედრობა დღითი დღე მრავლდებოდა, ემატებოდა ჯარი ჯარს და მათი სიმრავლე კიდევ აუცილებლივ ითხოვდა არყის ქონვას და მით ვაჭრობას. ქართველთ ვაჭრები კი სახელმწიფო ბაჟს უშინდებოდნენ და არაყს ვერ ხდიდნენ, არც ვაჭრობდნენ, საქმე ისე მოეწყო, რომ 1820 წლებიდამ თფილისის ვაჭრებს არაყი რუსე-

თიდამ შემოსატანი გაუხდათ, ნამეტურ პურის არაყი, რასაც რუსის მხედრობაში კაი გასავალი აქვნდა.

ქართველთ ვაჭრები რაკი ცხადათ დარწმუნდნენ არყის ხდის საჭიროებას და მის კარგს ვაჭრობას, ამიტომ მათ მოაწყეს სახდელი ქვაბები, იწყეს არყის ხდა და მით ვაჭრობა, მოკლე დროის განმავლობაში ქართლს და კახეთს ძველებურად მოიფინა არყის ხდის საქმე და თფილისის ვაჭრებშიაც გამოჩნდა მალე საქართველოს არაყი. პირველ დროებს ჭაჭის არაყს ხდიდნენ, მერე ამას პურის არყის ხდაც მოჰყვა, მართალია ქართველებმა არყის ხდა იმ განვითარებით და ოსტატობით არ იცოდნენ ეს როგორც დღეს არის, მაგრამ როგორც იცოდნენ და ხდიდნენ, იგინი მის ცოდნით იოლას მიდიოდნენ. ნელ-ნელა არყის ვაჭრობა ისე მოეწყო და ისე წავიდა წინ, რომ ამ გარემოებას და მის საჭიროებას თვით შეძლებულ ვაჭართა მცოდნე რიცხვმაც კი მიაქცია ყურადღება, მათაც დაიწყეს არყის ხდაზედ ლაპარაკი, ცდა და საქმის მოწყობა, უამისობა მათგან არც შეიძლებოდა, ვინაიდგან მათ არყის ზიდვა ბოჭკებით რუსეთიდამ უხდებოდათ მოტანა და ამ მოტანისათვის დიდს ხარჯსაც იტანდნენ.

ქართველებმა რუსეთის მთავრობის წინაშე, ვაჭრობა და სოვდაგრობა იწყეს 1825 წლიდამ. მანამდისაც იყვნენ თითოოროლა, ხოლო ამ დროდამ კი ვაჭრობას, სოვდაგრობას და ფოდრაჩიკობას კერძოდ მოჰკიდეს ხელი. პირველ სოვდაგრებათ თფილისში ქართველთაგანნი აღმოჩნდნენ ზუბალაშვილები, ფორაქაშვილები, მერე სარაჯიშვილები და შემდეგ სხვანიც მრავალნი. პურის შალაზიების დახსნა და ვაჭრობა ქართველთაგან თფილისში იწყება 1820 წლიდამ, „ალაფობა“ კი ძველადგანვე იყო. არყის ხდის დაწყება კი 1825 წლიდამ. არყის ხდის ასპარეზზედ სჩნდება იაკობ ზუბალაშვილი, სომეხი მდიდარი მირზუაშვილი, მერე ფორაქაშვილები, ამათ ძოსდევს სარაჯიშვილი და სხვანი. ზუბალაშვილების არყის სახდელი ქარხანა თავის დროის კვალად შემცნეული ყოფილ

და მას წელიწადში 8000 ვედრაზედ მეტი არაყი უხდია, როგორც ეს მაგალითებრ მოხსენებულია „კავკასიის აქტებში“, რომ 1838 წ. 8000 ვედრა არაყი გამოიხადა ზუბალაშვილის არყის სახდელ ქარხანაშიო.

შეიძლება, ამ პირთ გარდა სხვებსაც აქვნდათ საქართველოში არყის ქარხნები, მაგრამ მისი ცნობები ჩვენ არ გვაქვს, ამიტომ რაც ვიცით, ჩვენც იმას მოვიყვანთ გაკვრით. ფოთის აღების შემდეგ, იმერეთს გაერთიანება მოეკლინა, მალე გურიაც დამორჩილდა და ყოველივე ესე იმერეთის სამეფოსთან დაკავშირებული რუსეთის საქართველოსთან დაკავშირებული გამოცხადდა 1810 წლის შემდეგ. ამ გარემოებამ ბერძნების და სხვათა ტომთ დაახლოვებასაც ხელი შეუწყო, მათ თავისუფლად იწყეს საქართველოში შემოსვლა, სხვა და სხვა საქონლის შემოტანა, ასევე საქართველოდამ გამგზავრება და ნაირ-ნაირი საქონლის გატანა, ნამეტურ სიმინდის, ღომის და სხვათა, ამისთვის მათ თავისუფლება მიეცათ, აღარც ოსმალთა მთავრობა აწუხებდა, აღარც ყაჩაღთა ბრბო სცარცვამდა. ფოთი პირველ წლებში მიუდგომელი ნავთ-საყუდარი იყო, ამიტომ მის აღების შემდეგ სავაჭრო ადგილად ორპირი იქმნა, აქ გაშენდა სავაჭრო ბაზარი, აქ იწყეს ოსმალოდამ ვაჭრებმა შემოსვლა და თან შემოტანა ლიმონის, აპელსინის, ლეღვის და სხვა და სხვა სასმელების. საქართველოს ვაჭრებიც ორპირში მიდიოდნენ და იქა ვაჭრობდნენ ყველა ნაირ საჭირო საქონლით. მართალია სავაჭრო ბინა, ანუ ნავთ-საყუდარი ბოღაზი ფოთიც იყო, აქაც იყო ვაჭრობა გამართული უცხო და საქართველოს ვაჭრების, მაგრამ შიშიანობის და ულიდაბის გამო ვაჭრობა ისე არ იყო, როგორც ორპირში.

ოსმალეთიდამ და სლავიანთა ტომთ ვაჭრებთ შემომსვლელთ შორის პირველი ადგილი ბერძნებს ეკავათ, ბერძნები შემოდიოდნენ ყველაზედ მრავლად, იგინი ყიდულობდნენ სიმინდს ერთობ ბევრს და ნაყიდი გაჰქონდათ ოსმალეთის ქალაქებში, ოსმალეთიდამ მათ შემოჰქონდათ გასაყიდათ სხვა

და სხვა ნაირი არაყი და ნამეტურ მასტიკა და სხვა მაგარი სასმელნი. ბერძნებმა კარგად წაიყვანეს არყის ვაჭრობა ფოთს, ორპირს და სხვა ასეთ ქალაქებში. მათ ოსმალეთიდამ შემოტანილი სასმელები სავაჭროდ არ ჰყოფნიდათ, მალე ელეოდათ, შემოტანა კი ყოველთვის სჭირდებოდათ, ამიტომ რამ დენმამე ბერძენმა იმეცადინეს და 1825 წლებს ფოთს და ორპოპს, ადგილობრივ არყის ქარხნები გახსნეს, მათ იწყეს აქ პურის, ჭაჭის და ხილის არყის ხდა და ხანდისხან მაგარ სასმელებსაც აკეთებდნენ. ჭაჭა და ხილი მაშინ იმერეთში ოხრად იყო, აბა მათ ამისთვის არ გაუჭირდებოდათ, სახდელს ყოველთვის იშოვნიდნენ, საქმე კარგად მისდიოდათ, გამოხდას ვერც კი ასდიოდნენ, ხოლო მათმა არსებობამ დიდხანს არ გასტანა 1830 წლის შემდეგ, ფოთს და ორპირში ბერძენ მეარყეთა აღარც სახდელი ქარხნები იყო და აღარც ამის ვაჭრები. რუს-ოსმალთ ომიანობის პირობებმა მოსპო იგი.

არყის ვაჭრობა კი დღითი დღე მატულობდა, ფეხს იდგამდა, იგი ყველგან საჭირო ხდებოდა და ნამეტურ რუსის მხედრობისათვის. ორპირიც ნელნელა უფრო წინაურდებოდა ვაჭრობის მხრით. საქართველოს გარდა მთელს კავკასია და ოსმალეთის ქალაქებში ორპირი იქმნა ცნობილი, როგორც კარგი სავაჭრო ალაგი. აქ ნახავდით თქვენ ვაჭრებს ინგლისელებს, იტალიელებს, ფრანცუზებს და სხვათაც, ესე იგი მთელის ევროპიდამ შემოსულ ვაჭრებს, ასევე რუსის ვაჭრებსაც. ორპირში რუსეთის ვაჭრებთ რიცხვი ისე წავიდა წინ, რომ მათ რიცხვს ორპირში შემოჰქონდათ ყველანაირი რუსეთის საქონელი, მათვე მოჰქონდათ მრავლად სხვა და სხვა სასმელები, ნამეტურ არაყი. ყველა საქონელი ზღვით შემოჰქონდათ და მერე ზღვიდამ ოიონში შემოდიოდნენ ნავებით და ორპირამდის ამით მოდიოდნენ და ზიდავდნენ საქონელს.

ასეთ ვაჭრებსაც არყის შემოტანა საკმარისად უჭირდებოდათ, ამიტომ 1840 წ. ორმა რუსმა ორპირში გახსნეს არყის ქარხანა, არყის საქმეები კარგად მისდიოდათ, ხოლო ად-

გილობრივ მთავრობას ვერ ეწყობოდნენ, ამიტომ ეს ქარხანა რამდენიმე წლის შემდეგ დაიკეტა. 1845 წ. სამტრედიაში ერთი არყის ქარხანა გახსნა ერთმა რუსის გენერალმა, მაგრამ საქმე ვერც ამას წაუვიდა კარგად, თუმცა არყის მოთხოვნილება კი მაშინ დღითი დღე იზრდებოდა, 1850 წ. ეს ქარხანაც დაიკეტა. ამის შემდეგ არყის სახდელ საქმეს დიდი ყურადღება მიაქციეს იმერეთში მოვაჭრე ბერძენთ და სხვა წვრილ ვაჭრებმაც, ამათაც იწყეს ორპირს, ფოთს, სამტრედიას და შავის ზღვის მდებარე ქალაქებში პატარ-პატარა არყის ქარხნების დახსნა, მაგრამ მალე ამათაც მიეცათ დასასრული, რადგანაც იგინი მთავრობის მიერ განწესებულ ბაჟს ადვილად ვერ იხდიდნენ. ამიტომ ასეთ პირთაგან დახსნილი ქარხნებიც მოისპნენ ისე, რომ მათი ხსენება 1850 წ. ალარსად იყო, მოსპობილ იქმნენ ყველაფრით. ამ პირთა შედეგს მოჰყვა ერთი არყის ქარხნის გახსნა ქუთაისს, ეს გახლდათ გიორგი ქაიხოსროს ძე ბოლქვაძე და 1865 წ. ქუთაისში მისგან გახსნილი არყის ქარხნის საქმე.

გიორგი ბოლქვაძე კონსტანტინეპოლს გაზრდილა, იქ უსწავლია არყის ხდა და გასუფთავება, მერე საქართველოში დაბრუნებულა და ქუთაისში გაუხსნია არყის ქარხანა, სადაც არაყს თვით იმერთა გლეხებთაგანაც ყიდულობდნენ და ასუფთავებდნენ. ამას გარდა სხვა გვარადაც აზავებდნენ. გიორგი ქაიხოსროს ძე ბოლქვაძემ ამის ასპარეზზედ კარგი შნო და უნარი გამოიჩინა, მის არყის ქარხნის არსებობის საქმეს კარგი ისტორია აქვს; ამას თავის ალაგას მოვიყვანთ, აქ კი რადგანაც ქუთაისი ვახსენეთ, ამიტომ განმეორებით მოვიყვანთ რიგის აღწერისამებრ, რომ გიორგი ბოლქვაძეზედ ადრე, ქუთაისში, 1835 წლებს, ზუბალაშვილების ცდით გაიხსნა არყის ქარხანა, რომელ ქარხნის არსებობის საქმენიც გვაუწყებენ, რომ ქუთაისში, 1838 წ. ამ ქარხანაში 8000 ვედრა არაყი გამოუყვანიათ. ერთს და იმავ დროს, როცა არყის ქარხნების დახსნის საქმე იმერეთში ყველგან ასე წინაურდებოდა,

იმავ დროს, ამავ გარემოებას და წარმატებას არც ქართლი და კახეთი უვარდებოდა უკან, აქაც ძრიელ ხშირად იხსნებოდა სხვა და სხვა პირთაგან არყის ქარხნები.

როგორც ვიცით დამხსნელთ შორის ხშირად ქართველებიც იყვნენ ხოლმე, ერთი ასეთ პირთაგანი ყოფილა ივანე ადამის ძე ფორაქაშვილი, რომელიც სოვდაგრობას და ვაჭრობაში კარგად ყოფილა დახელოვნებული. ასეთი ხელოვნება და შნო მათ გვარის წევრთა საკუთრებას შეადგენს. ივანე ადამის ძემ სხვებთან ერთად რამდენსამე ალაგას გახსნეს კარგი არყის ქარხნები და მათ რიცხვში ვლადიკავკავსაც, სადაც მათ მიერ გახსნილ არყის ქარხანა კარგა ხანს არსებობდა, ამათსავე დროს, საქართველოში გაჩნდნენ სხვა და სხვა რუსის არყის მოვაჭრენი და ასევე ქართველნი და საქართველოს სომხებიც, რომელნიც მრავლად ხსნიდნენ საქართველოს და კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებში არყის ქარხნებს. ამათსავე დროსა და ნიადაგს მოჰყვა დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის მიერ დაარსებული ქარხნის საქმე, რომელსაც მომავალში ენერგიული პატრონის წყალობით საქმე კარგად წაუვიდა.

ბოდიშს ვიხდით პატივისცემით, რომ აქ ასე უნდა ვისაუბროთ, იქმნება ამის სურვილი თვით პატივცემულ დავით ზაქარიას ძესაც არა აქვს, მაგრამ იმედია მოგვიტევებს, ვინაიდგან ისტორიული ჭეშმარიტება, ისტორიის მეცნიერული რიგი და წესი ხალხის ცხოვრების საქმეთა ძიებისა აუცილებლად ითხოვს ასეთ საქმეთ ანუსხვას, მის არსებობის პირობების გაცნობას და ყოველთვის გამოიმზეობას. უეჭველია განათლებული მკითხველი დაგვეთანხმება ამაზედ, რომ თუკი ოდესმე მეცნიერული მეისტორიენი გვეყოლებიან, თუკი ოდესმე ქართულს ენაზედაც დაიწერება ქართველი ერის ცხოვრების განახლებით მეცნიერული ისტორია, იქ უეჭველია დავით ზაქარიას ძის ცხოვრების და მოქმედების ცნობებიც ადგილს დაიკავებს.

ამიტომ მოვალენი ვართ, რომ ქართველ ერის სამრეწველო, სავაჭრო და სახელოსნო საქმეებს ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ, ავნუხსოთ ყოველივე დაწვრილებით და მით ჩვენს მეისტორიეთაც მომავალში მასალები ექმნებათ მის შესახებ, თუ ქართველ ერმა როგორ გამოდგა ფეხი მრეწველობის და ვაჭრობის ასპარეზზედ, როგორ დაწინაურდნენ, როგორ რა შეისწავლეს და შეითვისეს, ამის ანუხსვა საჭირო არის, რადგანაც მას მიენიჭება ფართო მნიშვნელობა, ვინაიდგან XIX საუკუნის ქართველთ მრეწველობა და აღებ-მიცემა აღორძინდა ერთობ ღატაკის ნიადაგიდამ, ამ ნიადაგის სიღატაკესაც თავის მიზეზები აქვს და ამიტომ ჯერ-კიდევ დავასახელებთ მოკლედ, რომ თანამედროვე უცხო მეთვალყურეთ მიზეზები არ მივცეთ მასზედ ძახილის, რომ ქართველი ერი უნიჭო ერია, ვაჭრობის და მრეწველობის ასპარეზზედ მათ ვაჭრობის შნო არა აქვსთ და მიტომაც XIX საუკუნის დამდეგიდამ ქართველნიც ამის ასპარეზზედ არაფერი იყვნენ და თუ რამ აღორძინდა და გავრცელდა მათ შორის ეხლაო, ამას უნდა უმადლიდეთ სხვებსაო. ესეც შეიძლება, ასეთ საჩუქრებს ჩვენ ხამი არა ვართ, ასეთ მოწყალებას ხანდისხან თვით მეცნიერ-პროფესორებიც გვიძღვნიან ხოლმე.

ქართველი ერი ვაჭრობას, ხელოსნობას და მრეწველობას ძველადგანვე მისდევდენ, მათ მთელს საქართველოს დაბასა და ქალაქებში აქვნდათ დახსნილი სხვა და სხვა ქარხნები, სავაჭროები და დიდრონ ქალაქებში სავაჭრო ქარვასლებიც კი. ქართველ ვაჭრებს და მრეწველთ ვაჭრობა აქვნდათ გამართული ინდოეთში, სპარსეთში, ბიზანტიას, რუსეთს და სხვა კუთხეებშიაც. საქართველოში ძველადგანვე იყო მრავლად დახსნილები სხვა და სხვა საფეიქროები, ძაფეულობის ქარხნები, ნემსების, ქინძის თავების, სადგისების, მახათის და სხვანი. საძღებროები სამეფონი და საერონი, ლილახანები, ზეთის სახდელნი, საფუტკროები, სამთლის ქარხნები, საპნის, თაფლის სავაჭროები. აბრაშუმის ქარხნები ანუ მეაბრეშუმეობა, ძვირ-

ფას ნართების საქსოვნი: დიბა, ბაბთი, ატლასი, მოვი, დიმიკიტონი, ფარჩა მრავალნაირი და მრავალფეროვანები სულ საქართველოში კეთდებოდა.

ქართველ ფეიქრებისაგან: მაუდი, შალები, ჩითები და სხვანიც აქ იყო. იყო აგრეთვე ჭურჭლის ქარხნები, მინეულობის (შუშეულობა), თეფშების, ჯამჭურჭლის და ბროლის მინა-ჭურჭლის. ოქრომჭედლებიც მრავლად და სხვანი. ყველაფერი დროის კვალად წინ წასული. ყველა ეს ძლიერება ქართველთა შემუსრვას მიეცა XIII საუკუნის ნახევრიდამ, მის შემდეგ ისე შეიმუსრა, რომ ქართველ ერს აღარა სცალოდათ ვაჭრობის და მრეწველობისთვის. ვაჭრობა, მრეწველობა და თვით ხელოსნობაც ძრიელ შემცირდა ქართველთ წინაშე, საქმე ისე მოეწყო, რომ XIV საუკ. შემდეგიდამ ქართველებში თითქმის ყოველივე სამთლით საძებარი გახდა. ქართველებს მარტოდ ხმალი და ხანჯალი გაუხდათ საქმედ და ქვეყნის მფარველობა. XV საუკუნის გასვლიდამ, საქართველოში მრავლად იწყეს გადმოსახლება სომეხთა, ესენი როგორც პოლიტიკურად დაცემულნი და დაბნეულნი ვაჭრობას მალე მოეწყვნენ და ამიტომ საქართველოში მათ იპოვეს ვაჭრობის ბინა და იწყეს ვაჭრობა. ნელ-ნელა ამათი საქმე ისე მოეწყო, რომ ვაჭრობის მთელს საჭირო ძალას ესენი წარმოადგენდნენ. ყოველივე ამათ ხელში მოემწყვდა, ამათ აღორძინებას ისიც აფართოვებდა, რადგანაც ქართველებს იგინი როგორც ობოლი ხალხი და შემოხიზნული ომში სალაშქროდ არ გაჰყვანდათ, ასევე არ გაჰყვანდათ ქართველთ ისრაელნიც, რომელნიც აგრეთვე ვაჭრობას შეჩვეულნი იყვნენ ძველადგანვე და მთელს საქართველოს დაბასა და სოფლებში მგზავრობდნენ და ვაჭრობდნენ.

ვაჭრობის ასპარეზზედ ქართველთ მოსპობა, თუ მიმალვა, ანუ შემცირება იწყება XIII საუკუნის გასვლიდამ და იგი გრძელდება XVII საუკუნის დამდეგამდე, მის მერე კი, სომეხთ და ქართველ ისრაელთა გვერდით, ქართველ ვაჭრები და სოვ-

დაგრებიც სჩნდებიან, იგინი სჩნდებიან კახეთში, ქართლში, თფილისში აკეთებენ 15 კარგს სავაჭრო ქარხანას, ასევე იმართება ვაჭრობა სამცხეს, იმერეთს, გურიას, ოდიშს და სხვაგანაც. XVII საუკ. კახეთის, ქართლის და თფილისის ვაჭრობას მეხად ევლინება 1617 წ. შემთხვევა და შაჰაბაზისაგან კახეთის აყრა, სპარსეთში გადასახლება და ქართლის ამოწყვეტა, ამასვე ერთვის ოსმალთაგან სამცხე-საათაბაგოს ავტონომიის გაუქმება 1628 წ. და იმერეთსაც ოსმალთა მოხარკეთ გახდენა, მაგრამ მაინც ეს იყო დროებითი და რაკი XVII საუკ. შემდეგიდამ ქართველთ შორის ვაჭრობის მიდრეკილებამ თვალთ ხილულის საჭიროებით იფეთქა, ამიტომ იგი ვერც სპარსთა აოხრებამ მოსპო სრულიად და ვერც ოსმალთა მონობამ. XVII საუკუნის ნახევრიდამ საქართველოში ქართველთ შორის სომხებს და ისრაელთ ვაჭრებს, სოვდაგრებს და მრეწველებთან ქართველნიც სჩანდნენ, იმ დღიდამ ქართველები ნელნელა ეძლეოდენ წარმატებას და ნამეტურ თფილისში მცხოვრებ მოქალაქე, ანუ გლეხ ქართველნი წინაურდებოდნენ სხვა ტომის ერთან ერთად *).

თფილისის ქართველთ საქმე ისე პირიანად მოეწყო, რომ 1760 წლებს, თფილისში ქართველთ რიცხვი დიდი იყო და მასთან მათშივე მოიპოვებოდნენ ყველა ხელოსნობის მუშები და ოსტატები, აქვნდათ მრავალთა სხვა და სხვა საქონლის ქარხნები, სავაჭროები და სხვანი. მაშინდელ ქართველთ ხელოსანთ, მექარხნეთ და ვაჭართ რიცხვს სხვა და სხვა სიგელ-გუჯრებიც გვამცნევენ *) და ამათ გარდა ევროპის მოგზაურ მსწავლულნიც კი. დიდის გაკვირვებით კი არ ვიტყვით და მაშინ ჩვენში, ანუ 1760 წლების შემდეგ, თფილისში, იყო მესაათების მაღაზია და ქარხნები, გაიხსნა ევროპიულ საქონელთ მაღაზიები, სადაც მრავლად იყიდებოდა სხვა და სხვა

---

*) საქართველოს სიძველენი I ტ. თფილისი.

*) ისტორია კათოლიკობისა მ. თამარაშვილისა 1903 წ. თფილისი.

საქონელი, იყო აფთიექები, ანუ „წამალხანები“, იყო ბევრი კიდევ სხვა რამ, ამათ გარდა თფილისში იყო ერთი სასულიერო სემენარია, მეორე საკათოლიკოზო სკოლა, მესამე კათოლიკეთა სასწავლებელი, დაარსებული 1626 წ. მეოთხე სამხატვრო სკოლა, მეხუთე საექიმო სკოლა, სადაც ჯარა (ხირურგია) ექიმობას ასწავლიდნენ კარგად და ამათ გარდა სხვა და სხვა წვრილი სკოლები იყო. ყველა ეს ძალოვნება და სასოება ქართველის ერის აოხრებულ იქმნა 1795 წ. ქ. თფილისთან ერთად და 30,000 მარტოდ ქართველიც სპარსეთში იქმნა ტყვეთ წაყვანილი.

ამ გარემოებამ ქართველთ რიცხვი თფილისში დიდათ შეამცირა, ისე შეამცირა, რომ 1795 წ. შემდეგ, ქართველნი კინალამ სამთლით საძებარნი გახდნენ, თავი მოიკრიფა მცირე რიცხვმა და ისიც უმეტეს სომხებმა. ასე რომ ქართლი და კახეთი რომ რუსეთის იმპერიას ჩაბარდა, მაშინ თფილისში, რუსის მთავრობის წინაშე ქართველზედ ბევრნი სომხები გამოჩნდნენ. ეს გარემოება კავკასიის აქტებშიაც არის მოხსენებული. მიზეზები ამისი ის იყო, რომ ქართველთ ძრიელ ეშინოდათ 1795 წ. უბედურების და მის განმეორებასაც ხელახლა ელოდნენ და მიტომ სოფლებიდამ ვერ ბრუნდებოდნენ თფილისში საცხოვრებლად და სავაჭროდ, მაგრამ რაკი მოხდა ქართველთ და რუსთა შეერთება, მის შემდეგ კი ქართველთაც იწყეს თფილისში გადმოსვლა და დასახლება, ისე რომ 1808 წელს, უკვე თფილისში სავსე იყო ქართველთ რიცხვი, რომელნიც კარგად სჩანდნენ სომხებსა და ისრაელებთან ერთად.

თუმცა დიდის დიდებით კი არა, მაგრამ მაინც ქართველნი მალე გამოჩნდნენ თფილისში თავიანთის აღებ-მიცემით. 1810 წლების შემდეგ ქართველებს დაემატნენ იმერლებიც, ამ გარემოებამ უფრო გააბევრა იგინი და მათი რიცხვი თვალსაჩინოდ გახადა, მათ მერე ქართველი ერი ნელ-ნელა ეძლეოდა ვაჭრობის და მრეწველობის ასპარეზზედ აღორძინებას და

რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი ქართველნი როგორც რიცხვით მრავლდებოდნენ, ისევე ვაჭრობით და მრეწველობითაც სჩნდებოდნენ საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში. აი ასეთი გახლავსთ მოკლე მიმოხილვა ქართველ ერის ვაჭრობის თუ მრეწველობის აღორძინების თუ დაცემის და ეს აქ ჩვენც მიტომ მოვიყვანეთ.

ასე თუ ისე, მაინც დღევანდელ ქართველ ერის ვაჭრობითი თუ მრეწველობითი წარმატებას წარსულთან აქვს კავშირი და იქიდამ იწყება აწინდელ ქართველ ვაჭართ და მრეწველთ ნიადაგი, რომლის უტყუარი ნიშან-წყალი და მაგალითიც გახლავსთ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი. იმედია, რომ ასეთ მიმოხილვის შემდეგ, ჩვენ პირში სულს არავინ ჩაგვიდგამს და არავინ რას იტყვის, რომ თქვენ ეს არ იყავით და ისაო, თქვენ თუ რამე გაქვსთ ყოველივე სხვების წყალობა არისო. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ქართველი ერი საქართველოში საერთოდ და კერძოთ თფილისში იმ წარმატებით არ წავიდოდა წინ, როგორც მაგალითებრ მათ იჩინეს თავი და სადღეისოთაც გაბრწყინდნენ. აბა რა ნაირად შეიძლებოდა, რომ უნიადაგო ასპარეზზედ აღმოცენებულიყოს თუნდ ისეთ სამრეწველო წარმატება ქართველი ერისა, როგორიც ეგი დღეს არის, თუნდ დავასახელებთ დავით ზაქარიას ძის სამრეწველო ქარხნებს. ისიც ერთ ალაგას კი არა, არამედ რამდენიმე ალაგას, ზოგიც სხვაგან, საქართველოს გარეშე, ხოლო სულ პირველად კი თფილისში დაუარსებიათ ამათ პირველ-ყოფილი სამრეწველო.

ვიტყვით, რომ დავით ზაქარიას ძის სამრეწველო ქარხნის არსებობასთან დაკავშირებულია მთელი XIX საუკუნის ქართველ ერის ვაჭრობით თუ მრეწველობითი აღორძინების სახელოვნების საქმეც. ამიტომ ვალად ვსთვლით, რომ აქ მოკლედ მოვიხსენოთ დავით ზაქარიას ძის მშობლების და ნამეტურ მამის, განსვენებულის ზაქარია დავითის ძის ცხოვრება. მაშ დავიწყებთ ამ პირთა მოკლეს ანუსხვით და მიმოხილვით, ეს

მით უფროა საჭიროა, ვინაიდგან ზაქარია დავითის ძე, მისი ძმა და მთელი საგვარეულო წევრნი ძველადგანვე თფილისში გამოჩენილი ვაჭრები იყვნენ, მემამულენი, ანუ ბაზაზები. ამასთანავე მთელს თფილისშიაც კარგად ცნობილნი, ზაქარია დავითის ძეს მეც ვოვესწარი, იგი შუა ბაზარში, თავის ქარვასლაში ვაჭრობდა, იქა ჰქონდა ალებ-მიცემის ბინა, ანუ ბაზაზის—მემაუდის სავაჭრო. ზაქარია დავითის ძეს ვაჭრობა პატარაობიდამვე შეუსწავლია და შეუთვისებია, დროს მოწიფულს თავის საკუთარი სავაჭროც გაუღია და ვაჭრობა დაუწყია, ნელ-ნელა საქმე ისე წასვლია, რომ მამაპაპეულ მონაგრისთვის მას უფრო მრავლად მოუმატებია თავის ნაშოვნ-მონაგარი და მით ერთი-ათად უფრო დაწინაურებულა, წინ წასულა და მთელს თფილისში სახელოვან მოქალაქედ გამოცხადებულა.

ზაქარია დავითის ძე თავის დროის კვალად საკმარისად მცოდნე პირი ყოფილა და მასთანვე ბუნებით მახვილ-გონიერი, მაინც ესეთი ბუნებითი ნიჭი მათ მამათაგანვე ჰქონიათ შემცნეული, ამისივე ცხადი ნიშან-საქმეა ის გარემოებაც, რომ მისმა ძმამ სოლომონ დავითის ძე სარაჯიშვილმა ერთ დროს ქალაქის თავობასაც მიაღწია, იყო რამდენსამე წელიწადს ქალაქის თავად. საქართველოში, ამ ძირეულს ქართველთ დედა ქალაქ თფილისში, იგი პირველი ქართველი იყო, რომელიც ეღირსა ქალაქის თავობას, მის მერე მეორე თავი იყო დიმიტრი ყიფიანი და მესამე დღეს ვ. ჩერქეზიშვილი გახლავსთ. ზაქარია დავითის ძე ყველა თავის საქმეში მცნობი ყოფილა კარგად და მცოდნე ყველა სავაჭრო და საალებ-მიცემო საქმის, ძნელად, რომ მის დროს, ესე იგი 1840 წლებში, თფილისში მას ვინმე ვაჭართაგანი შესდარებოდა, ვიტყვით, რომ მაშინ ზაქარია დავითის ძე სარაჯიშვილი მთელს თფილისში იყო მეორე ქართველი ვაჭარი, მაშინ ქართველთაგანნი ცოტანი იყვნენ, მაგრამ ვინც იყვნენ, იგინი ირიცხებოდნენ უპირველეს პირებად, ცოტანი იყვნენ, მაგრამ რაც იყვნენ, მაინც იგინი ღირდნენ ერთ რამედ ქალაქში სჩანდნენ არგად.

ზაქარია დავითის ძე ოჯახის პატრონი იყო, სახლობისა და მისი სახლობა მაშინ მთელს თფილისში ითვლებოდა ერთ წარჩინებულ ქართველ ოჯახად. ზაქარია სოლოლაკზედ სცხოვრებდა, აქვნდა თავის კარგი სახლი, მთელს სოლოლაკის სომხის არისტოკრატიულ მოქალაქეთა შორის თითქმის ერთადერთი ამას აქვნდა სახლი. მთელს სოლოლაკზედ კი სამი სახლი იყო ქართველის: ირაკლი ალექსანდრეს ძის ბატონიშვილის (დღეს აღარც ეს არის), თავ. მელიქიშვილის და ზაქარია დავითის ძის სარაჯიშვილის. დღეს ხსენებულ არისტოკრატიულ სომეხთ მცხოვრებთ შორის აღარც ეს სამი სახლია, არამედ ორი, მესამე ჩაითვლება სუმბათოვის, თუკი ეს სახლიც სოლოლაკის სახლებთა რიცხვში ჩავთვალეთ. სჩანს დღეინდელ ქართველთ მოსახლეთა რიცხვი ძველს ქართველთ გამჭრალ ხანას ბევრის ვერაფრით წასწრობია წინ. წინეთ კი, ანუ 1801 წლის შემდეგ, მთელი სოლოლაკის ადგილები ბაღებით იყო სავსე და ეს ბაღები და სახლები ეკუთვნოდათ ქართველ თავადისშვილებს, დღეს კი ჟამთა ვითარების წყალობით მათი რიცხვი სულ აღარ არსებობს. ესეც ჩვენი ჭკუის საჩუქარია.

ზაქარია დავითის ძეს მეც მოვესწარ კარგა ხანს, ვიცნობდი მას, ბევრ მწიგნობარი კაციც გახლდათ, ქართულ გაზეთს ყოველთვის აწერდა ხელს. გაზეთი „დროება“ მას ყოველთვის მისდიოდა, ისევე სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს იწერდა და მასთან ქართულ წიგნებსაც ყიდულობდა და კითხულობდა. ქართული წიგნების და გაზეთის კითხვაში ეგი დარბაისელი ადამიანი იყო, პატივისმცემელი ქართულის მწიგნობრობის და დიდათ მოტრფიალე საქართველოს და ქართულის მამულისშვილურის ჰაზროვნების მას დიდათ ენატრებოდა ქართველთ გამრავლება ვაჭრობის და მრეწველობის ასპარეზზედ, ენატრებოდა მით უფრო, რადგანც მას შეგნებაც კარგი აქვნდა, შეგნებულის კაცისაგან უამისობა არც შეიძლებოდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზაქარია დავითის ძის სიტყვით

და საქმით არა ერთი ქართველი შეისწავლიდა ვაჭრობის და აღებ-მიცემის შნოს. ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც ზაქარია დავითის ძე არ იყო თვის თანამედროვე მრავლთ გვარიშვილ-სახელოვან კაცთა მსგავსად დაძინებული.

ჩვენდა საბუხაროდ, იმ დროს, რომ ასეთ პირთა მსგავსნი 30 კაცი ყოფილიყოს, მაშინ დღეს ასეთ კაცთა საშუალებით ქართველთ შორის თფილისში კი არა და მთელ ქართლისა და კახეთის ქართველ გლეხობაში ვაჭრობა და მრეწველობა თავის ზომით იქმნებოდა აღორძინებული, ქართველი ერი თფილისში სხვა ტომის ვაჭრებს ასე არ ჩამოურჩებოდა, გარდა ჩამორჩენისა თფილისის მიდამოები, ქუჩები და სახლეგიდამაც ასე არ აღიგვებოდნენ და სულ სოფლად არ გადიხვეწებოდნენ. მართალია ქართველთ გვყვანდნენ ვაჭრები და მრეწველნი, მაგრამ მათი რიცხვი ცოტა იყო. მთელ თფილისში პირველ ხარისხოვან ვაჭართა და მრეწველთა რიცხვი სულ ათიოდე გვარი ჩამოითვლებოდა და ამათ გარდა წვრილ ვაჭართა და მრეწველთაც რამდენიმე ოცეული, რომელთაც ჩვენ აქ არ ვახსენებთ, რადგანც ეს სხვანი ხსენებულ გვარის წევრი ვერც შეძლებით შეედარებოდნენ და ვერც საქმის წარმოებით. სადღეისოდ მაინც იმ დროის წვრილ ვაჭართ მომდევართ გვარის შვილთ რიცხვი თფილისში სულ არ სჩანს, იგინი იმავ დროსვე მოისპნენ, უცხო ვაჭართ მახვილს ვერ გაუძლეს.

ზაქარია დავითის ძე თავის დროის კვალად იყო ნამდვილი სახე ძველის ქართველთ დროისა, ანუ XVIII საუკუნის დროთა თფილისის მოქალაქეთა გარეგან შეხედულებისა, მაღალის ტანის კაცი იყო, თავის შვილი დავითივით წამოსადეგი, წითურის მშვენიერის სახის, ქართულის სამოქალაქო ტანთსაცმლის მატარებელი, ქართულ მამაკაცთა მაუდის კაბას ატარებდა, შესაფერ ფარჩის ახალუხს, ზედ შემოკრული ძველებური ქართული ძვირფას ყანაოზის ქამარი, თავზედ მოკლე კარგი ბუხრის ქუდი და ტანზედ პალტო, ყველა ეს ძველ

ცხოვრების მცოდნე პირთა წინაშე, ზაქარია დავითის ძეს თვალით წინ აყენებდნენ როგორც XVIII საუკუნის სურათს, როგორც იმ დროის თფილისის მოქალაქეთ ტანთსაცმლის სურათის წარმომდგენს სახეს. ასეთის ტანთსაცმლის მატარებელი მოქალაქენი მაშინ, ანუ 1870 წლამდე თფილისში კიდევ სჩანდნენ აქა-იქ, მთელი თფილისის ძველნი თავად-აზნაურნი და მოქალაქენი და მათი შვილები სულ ასე იცომდნენ და იხურავდნენ. საღღეისოდ იგი თფილისში მოისპო თითქმის, ეხლა ძრიელ ცოტანი სჩანან, ასეთ ტანთსაცმელთა სურათები შენახულია გიორგი ერისთავის კომედიებში, ანტონოვისა, ავ. ცაგარლის, სუნდუკიანის და ყველა იმ პირთა ნაწერ კომედიებში, ვისაც კი აქამდის რამე უწერიათ და თფილისის ხალხის ცხოვრებას შეხებიან. ეს ძველი ტანისამოსი ჰიგიენურადაც არ არის ცუდი.

მომსწრე კაცთა თქმით, ზაქარია დავითის ძე თფილისში ირიცხებოდა პირველ მოქალაქედ, პირველ კაცად, პირველ ოჯახიშვილად, სადაც ერთი და ორი გამოჩნდებოდა, იქ ესეც არ გამოაკლდებოდა, პურმარილში, მეზობელთა, მეგობართა, ამხანაგთა და ნათესავთ შორის იყო გულ-უხვი, დაუზარებელი, მეგობრობის და სალმის სამაგალითოდ მიმცემი, არც დამავიწყებელი კაცის ამაგის, შრომისა, პატივისცემისა, პურმარილისა და ყველა მასთან იგი იყო ქველმოქმედიც და ამის საქმეზედ მაშინ სადაც ერთი და ორი გამოჩნდებოდა. იქ არც ზაქარია დავითის ძე გამოაკლდებოდა. ამ ცნობებს ვსწერ მის მომსწრე კაცთა, მცნობთ და მეგობართ სიტყვით, ეს პირნი მის ნათესავნი არ არიან, არამედ მცნობნი მეგობარნი, ამათ სთქვეს, რომ ზაქარია დავითის ძემ შეუძლოთა დახმარება უხვად იცოდაო, ნამეტურ დაცემულ ვაჭართა ოჯახებს ტომრით ფქვილს უგზავნიდა და ასევე სხვა ხორაგს და ზოგთ ფულსაც. ამის უარს ვერავინა ჰყოფსო. ასეთ საქმეთა შესრულება სიიდუმლო ვალად მიაჩნდა და მიტომაც იყო, რომ სიკეთეს იგი ისე ასრულებდა, რომ მის შესახებ ცნობა არავინ იცო-

დაო. მარცხენა ხელმა არ იცოდა რასაც მარჯვენა მოქმედებდა და აკეთებდაო.

ზაქარია დავითის ძის შესახებ ბართლომე ვარდიევმა მიამბო შემდეგი:

ზაქარია დავითის ძე იყო სახე გულმოწყალე ადამიანთა რიცხვის. ამას წვრილი თეთრი ფულით ყოველთვის ჯიბე სავსე აქვნდა. გზაში სიარულის დროს, სადაც კი მათხოვარს ნახავდა, თვით მიუახლოვდებოდა და უთხოვნელად მისცემდა მოწყალებასაო. გარდა ამისა, მისი მალაზიის წინ რომ ვინმე ხელ მოკლეს გაევლო, ან ახლოს მისულიყო, ის იმას უნუგეშოდ არ გაუშვებდაო. იყვნენ ისეთი ხელ-მოკლენიც, რომელნიც ზაქარია დავითის ძესთან დრო და დრო მოდიოდნენ მოწყალების მისაღებათ, ზაქარიაც უმზადებდა ყოველთვის გაჭირვებულთ თავის მხვედრსაო. ზოგიერთი ასეთი გაჭირვებული დროზედ რომ არ მოსულიყო, იმას თავის მხვედრს შემდეგის დროსთვის შეუნახავდა და მეორეთ მოსვლის დროს ეტყოდა ასე:

— **„რატომ დამივიწყე, რატომ დროზედ არ მოხველი, ხომ არა შეგემთხვარაო“.**

ასეთ მოწყალებას გარდა მან იცოდა კაცის ცნობაც, ზოგს შეუძლოს გზაში რომ შეხვდებოდა, ტანთსაცმელზედ შეხედავდა თუ არა, მაშინათვე შეატყობდა მას თავის ჯაებასაო. ამიტომ მათი დახმარებაც იცოდა მანაო. ზოგს გაჭირებულს იმასაც კი შეამცნევდა, რომ მას შნო და გამბედავობა არ აქვნდა მათხოვრობის და ამიტომ სიღატაკისაგანაც იტანჯებოდა, მშიერი კვდებოდაო. ვისაც მოასწრობდა ასეთ კაცს და ნახავდა სადმე, იმას უნუგეშოდ არ დასტოვებდაო. ასეთი კაცები ეხლა ერთობ იშვიათია ჩვენშიო. ყოველს თავის პატიოსნებასა და სიკეთესთან დავითი იყო მხიარული პირი, მახვილ-გონიერი და სამაგალითოდ მოლაპარაკეო. ამ ცნობების თანახმად სხვებმაც ილაპარაკეს, რომ ზაქარია სარაჯიშვილს იმდენი სიკეთე აქვს საიდუმლოდ ხალხზედ გაცემული,

რასაც კაცი ვერ ანუსხავსო. იგი ბევრს ისეთ ხელ-მოკლე ოჯახებს ეხმარებოდა, რომელთა ცნობა არავის ჰქონდა და ამას არც თვით გამღები ეძებდა რომ ვისმეს სცოდნიყოვო. ესეც ერთი ღირსება არის კაცისა, ზოგი ქველმოქმედებს სახელისთვის, ზოგი ავტორიტეტის სიხარბით, ზოგიც სხვა რამ ანგარიშებით, ზოგნი კი ასე ჩუმად და ქრისტეს მცნების თანხმა იდეურად. ესეც ერთი ღირსება და უპირატესობა არის კაცის პიროვნების და ზნეობითი მხარეების, არ შეიძლება რომ მამის ასეთ სულიერ ვითარებას თავის შვილს დავითზედ კი არ ჰქონოდეს გავლენა. ეს რომ ასეა, ამას ასაბუთებს თვით დღეინდელი დავით სარაჯიშვილის ქველმოქმედება, რომელიც ძრიელ ბევრს, ძრიელ მრავლად ხარჯავს ისეთ სიკეთეს და დიდებას, რის ცნობაც ჩვენში არავინ იცის.

ვიტყვით აქ იმასაც, რომ 1830 და 1840 წ. მარტოდ ზაქარია დავითის ძე არ იყო ასეთ მამულისშვილურის თვისების, მის დროთა ჟამს თითო-ოროლა სხვანიც იყვნენ, რომელთაც ფხიზელი ცნება გარდმოცემულ და მიღებულ აქვნდათ 1832 წ. შემთხვევისა და იმ ქართველ წარჩინებულ კაცთაგან, რომელნიც ქართველთ ცხოვრების სვეტად და ბურჯად უდგნენ და რომლის მსგავსნიც იყვნენ პატრი ნიკოლა დუკოლ ბარათაშვილი, გიორგი მაყაშვილი, ზაალ ანდრონიკოვი, ფილოდელფოს კიკინაძე და საქართველოდამ შორს მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი და სოლომონ მსაჯული, ამ პირს პ. იოსელიანის სიტყვით ეწოდება ასე: — **„უწოდებ მალლისა მათ დროთა ფაბრიცათ ქართველთა და ვითარცა მტკიცე და შეურვეველი ნამდვილ ისტორიის კატონად“**, ასევე სხვანი და ნამეტურ ალექსანდრე ბატონიშვილი, დაუცხრომელ მებრძოლ, ანუ სამშობლოს თვით არსებობის დაუსვენარ გმირი. დიახ ასეთ პირთა არსებობამ თუმც ბევრში არა, მაგრამ მცირე ქართველებზედ მაინც იქონიეს გავლენა და მათ ღმარტივესად გააჩინეს საქართველოს მოტრფიალეთ რიცხვი, რომლის წევრიც იყო ზაქარია სარაჯიშვილი. ხსენე-

ბულ პირთა მცნებას შეადგენდა ორი საგანი: მამულისშვილობა, ანუ ქართველობა და ქართული ენის, მწიგნობრობის და ისტორიის შენახვა, თვისი ტერიტორიის არ დაკარგვა. მეორე ქართველი ერის ყველანაირის ცოდნით დაწინაურება, ცხოვრების ასპარეზზედ ამაღლება—ვაჭრობა, ხელოსნობა და სოვდაგრობა.

სამწუხაროდ ამ ცნების ბევრს არ სწამდათ, მის არაფერი იცოდნენ, ასეთნი იყვნენ 1830 წ. ქართველთ მრავალ თავად-აზნაურთა ოჯახები თფილისში, ამიტომ მათი მცნება მარტოდ ჭამა იყო და მამულების დაყიდვა. მათ დაყიდეს მთელი თფილისის მამულები და სადღეისოდ მათი რიცხვი თფილისში დიდათ შემცირდა. სადღა არის იმ დარბაისელთ გვარიშვილთა ოჯახები, რომელთა რიცხვიც 1830 წ. ასობით სჩანდა თფილისში დღეს სამთლით საძებარნი ხდებიან. დიდი გვარის თავადნი დიდათ შემცირდნენ. ასეა ეს წუთი სოფელი. წინანი უკანა და უკანანი წინაო, უთქვამთ ეს და სრულდება კიდეც ქართველთ დიდებულთ ოჯახებზედ მათის შეუგნებლობით. დიდ გვარიშვილთაგან ასე დავეცით სადღეისოდ, ასე დავკნინდით, თუ როგორ ისპობოდა ქართველთ დიდებულთა ოჯახები თფილისში, როგორ მცირდებოდა მათი რიცხვი და მათი სახლკარიც რა ოხერ ფასად იყიდებოდა, ამას მრავალნი ვერ გრძნობდენ, გრძნობდენ თითო-ოროლა პირნი და ერთი ამათგანია ზაქარია დავითის ძე, რომელსაც აქვს მშვიდი მოქალაქური წარსული, ჩვენ დიდებულთ შორის ასეთი პირნი რომ ხშირი ყოფილიყო, მაშინ თფილისში მათი რიცხვი ასე არ შემცირდებოდა. დაკარგეს ამათ ყოველივე, ვინც დარჩნენ ისინიც გადაგვარდნენ და მით მოისპნენ საყოველთავოდ საქართველოს ერის რიცხვიდამ.

ზაქარია დავითის ძე, როგორც ძველი დარბაისელი ქართველთ რჩეული მოქალაქე და მგრძნობიერი კაცი, სავაჭრო და საღებ-მიცემო საქმეთა გარეშე იყო კარგად მცოდნე ძველის ქართულის ყოფა-ცხოვრების, ძველ დროთ ცნობების,

მომთხრობ კაცთა შორის მას ყოველთვის შაეძლო საპატიო ადგილი დაეჭირა. როგორც დროს მიხწეული და მოტრფიალე ძველის ქართველთ დროების და მის მნატვრელი, ქართველთ ძველს და ახალს დროს ყოველთვის ფხიზელის თვალით უმზერდა, ძველი მას მიაჩნდა ქართველ ერის საკუთრებად, ქართველთა ხმის სამღაღადებლო მცნებად, თუმც წარსული მისის ფიქრით მწარე იყო, მაგრამ მაინც ქართველთ საკუთრებას შეადგენდა, მათ' ცხოვრების ჩარხის ტრიალს წარმოადგენდა, ამიტომ ეს წარსული ზაქარია დავითის ძესაც ძვირფას განძათ მიაჩნდა. ამიტომ იგი ნატვრით მომგონი იყო ძველის ქართველთ დრო-ჟამის და მყვედრებელი თანამედროვე ქართველთ გულგრილობის, ვინაიდგან ამ ახალ მშვიდობიან დროს ქართველი ერი ვერ გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზედ იმ შნო და მოქმედების იარაღით, როგორათაც ის უნდა გამოსულიყო.

ამ ორი გარემოების შეგნება ზაქარია დავითის ძეს კარგად აქვნდა შეგნებული, მიტომაც იყო, რომ იგი ოხვრით უმზერდა თანამედროვე ქართველთ უძლურებას და მის მიზეზებს ყოველთვის გმობით და წყევლით ეხებოდა, ასეთ მგრძნობიარე პირთა რიცხვი ზაქარია დავითის ძის გარდა მაშინ თითო-ოროლა სხვებიც იყვნენ. ასეთი იყო მაგალითებრ ალექსანდრე და ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანები, პლატონ იოსელიანი, ტარასი არქიმანდრიტი, სოლომონ დოდაშვილი, ს. რაზმაძე და რამდენიმეც სხვანი, რომელთაც კაი ცნობა აქვნდათ ზაქარია დავითის ძის და რომელნიც თუმცა არ იყვნენ ვაჭრობის მცოდნენი და აღებ-მიცემის გზაზედ დამდგარნი, მაგრამ მაინც აქვნდათ კარგი შეგნება მისი, იცნობდნენ თვის თანამედროვე ქართველთ სავაჭრო დავრდომილებას კარგად და ამიტომაც იგინიც ზაქარია დავითის ძის მსგავსად მწუხარებით იყვნენ ყოველთვის აღვსილნი და ქართველთ დაძინებულ გარემოებას შეჩვენებით უმზერდნენ.

ივანე კერესელიძემ მიამბო შემდეგი: თავ. ალექსანდრე

ორბელიანი ქართველ ვაჭართ გაჩენით ისეთი მოხარული იყო-ვო, რომ იგი მეტყოდა, „**ვინიცობა არის და მე მოვკვდე და ქართველთ ვაჭართა აღორძინებას ვერ მოვესწრაო, იქნება თქვენ ნახოთ ჩემ შემდეგაო. თუ ღმერთმა ქმნას და ქართველთ შორის გინდ მატყუარა ვაჭრები გაჩნდნენ და გამრავლდენ, მაშინ მოდი ჩემო ივანე, საფლავზედ ფეხი დამარტყი და ჩამამძახე, რომ ქართველებმა გაიღვიძეს, აღარა სძინავსთ, ვაჭრობის გზაზედ გამოვიდნენო**“. ეს ცნობა მე ადრე დავბეჭდე, როცა ივ. კერესელიძე ცოცხალი იყო, ეხლა აქ მომყავს ჩვენის ძველის დროის ზოგიერთ პირთა თვისების გასაცნობათ, რომელთა თანამედროვეთაც ითვლება ზაქარია დავითის ძე სარაჯიშვილი.

ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთ მხნე და მოხერხებულ საყურადღებო აღებ-მიცემის მცოდნე კაცთა შესახებ ჩვენს ძველებს არაფერი აქვსთ ნაწერი, მაგრამ რა ითქვას ამათზედ, როცა ვაჭართა და მრეწველთა შესახებ კი არა და უბრალო შაურიან ანბანსაც კი არ ბეჭდავდნენ იმ დროს, თუმცა იმ დროის ქართველებში ფულები კი მრავლად იფლანგებოდა და იჭმებოდა, ეს რომ ასე არ ყოფილიყო და ჩვენ ძველებს რომ ქართველ ძველ აღებ-მიმცემ პირთა წარმოების და მოქმედების შესახებ რამე ცნობები დაეტოვებინათ, მაშინ აქ ზაქარია დავითის ძე დიდის ამაგდარის ცნობებით გამოსჩნდებოდა, მის ცხოვრებაში ბევრი რამ ისეთი ღირსეული ცნობა აღმოსჩნდებოდა, რაც ღირს გახდიდა მის მარად პატივისცემას და განაკეთებელ საქმეთა ცნობების ანუსხვას, უამისობა არ შეიძლება, ზაქარია დავითის ძე რაც გინდ გულ გაციებული აღებ-მიცემის კაცი ყოფილიყოს, იგი მაინც იმ დროის ქართველ ერის ცხოვრებას თვალს ვერ შორდებოდა, ავად თუ კარგად, ყოველთვის მის გვერდით იქმნებოდა და შეძლების და გვარად ბევრს ქართველს ასწავლიდა ვაჭრობის და აღებ-მიცემის შნოს. ამის უარყოფვა არ შეიძლება.

უამისობა არც შეიძლება, რადგანაც XIX საუკუნის შემ-

დეგ, ქართველი ერი თფილისში უპატრონოდ შეიქმნა, პამ-
პულად გახდა, მისთვის პატრონი აღარავინ იყო. XVIII საუ-
კუნის თფილისის ქართველთ ტომის ვაჭრები ისე გაქრნენ,
ისე მოისპნენ 1795 წ. რომ მათის რიცხვიდამ ძრიელ მცირე
რიცხვიღა დაშთა, სულ მცირე, ისე რომ XIX საუკუნის შემ-
დეგ, იგინი თვალითაც აღარ სჩანდნენ. თფილისის ქართვე-
ლობა შემცირდა დიდათ, მათი პატრონი აღარავინ იყო, არც
ცა, არც დედამიწა. ბატონ-ყმობამაც სხვა სახე მიიღო, სხვა
კალაპოტში ჩაჯდა.

ამიტომ ქართველ ვაჭრებთა გამრავლებისათვის აღარავის
სძალოდა, თფილისში ყველა ტომის ერი მიდიოდა წინ, ყვე-
ლა წინაურდებოდა, ყველა ეჩვეოდა ვაჭრობას და წარმოე-
ბას, ყველა იმას სცდილობდა ამ საქართველოს ერის მიწა-მა-
მულზედ თვის სარწმუნოების მექონი ერნი დაეწინაურებინა,
იგინი აემაღლებინა გონებით, ცოდნით, აღებ-მიცემობით და
შეძლებით. ქართველები კი ამისთვის არ იყვნენ მომზადე-
ბულნი და არც მისი ცოდნა და ძალა შესწევდათ, რომ მა-
თაც თავიანთ სამშობლოში მოქცეულიყვნენ ისე, როგორც
იქცეოდენ მათს წინაშე სხვა ტომის ვაჭრები.

თფილისში ქართველთა შვილები თუ დღითი-დღე ვაჭ-
რობა და მრეწველობას სწავლობდენ და დუქან ბაზარს ეჩვე-
ოდნენ, ეს უნდა დაუმადლოთ ზაქარია დავითის ძისთანა კა-
ცებს და მათს გულშემატკივრობას. იგინი აძლევდენ ქართ-
ველთა შვილებს თვის სავაჭროებში ბინას და ამ გარემოები-
თაც სწურთნავდენ მათ. ეს ჭეშმარიტება გახლავსთ, დღეს
თფილისის ქუჩებზედ, თუ სადმე ქართველთ ვაჭართ რიცხვი
სჩანს და მოიპოვება ვინმე, ყველა იგინი გაზრდილები არიან
იმ ქართველ მცირე რიცხვთან, რომელთაც თავი XIX საუ-
კუნის შემდეგ იჩინეს თფილისში და რომლის ერთი პირიც
გახლავსთ ზაქარია სარაჯიშვილი. ასე იყო საქმე ჩვენს ქვეყა-
ნაში ქართველთ ვაჭრობის მიმდევართა პირთ ვაჭრობის შე-
სწავლის საქმე და ეს ნურკარავის ეუცხოვება.

ზაქარია დავითის ძე სარაჯოვი და მის თანმედროვე ქართველთ საბაზაზო, სასოვდაგრო, საქარხნო და სავაჭრო საქმენი ჩვენ ნებას გვაძლევენ, რომ ისევ ჩვენს ძველს დროს მიუბრუნდეთ და შევეხოთ. ზემოთ სადაც დავასახელე ზოგი რამ ჩვენი დროის სავაჭრო, საქარხნო და სახელოსნო საქმენი, იქ ჩვენ ყველა ვერ მოვთვალეთ, ყველა სავაჭრო და სახელოსნო საქმენი ვერ მოვიხსენეთ, რაც დავასახელეთ, იმიდამც იმედი გვქონდა, რომ მკითხველისთვის ცხადი იქნებოდა ჩვენი საუბრის სინამდვილე. მაგრამ ეს ასე არ იქმნა, აქაც, სადაც ზაქარია დავითის ძის შესახებ გვაქვს ლაპარაკი, აქაც მოგვინდა კიდევ ისეთ ცნობების მოყვანა, რაც უფრო ნათლად ასაბუთებს ჩვენს საუბარს, მაშ ჩვენ აქ დამატებათ მოვიყვანთ შემდეგ ცნობებსაც, რომელ სახელოსნო და სავაჭრო ვითარებანი ზემოდ არ არის მოხსენებული.

ეს ცნობები აქ მიტომ მოვიყვანეთ განმეორებით, რადგანაც თანამედროვე ქართველმა იცოდეს რომ ქართველებს ჩვენი მეფეების დროს გვაქვნდა ყველა საჭირო საქონელთა სავაჭროები, სასოვდაგროები და სახელოსნები, გარდა ტელეგრაფის, რკინის გზის, კონკის, ტელეფონის და სხვა ასეთების ჩვენში ყველაფერი იყო. ეს არავინ იუცხოვოს. საქმე ისე არ იყო, როგორც ზოგი ერთნი ამბობენ, რომ ვითომც ჩვენ ტიტველ-შიშველები ვიყავით. არა, ჩვენ გვაქვნდა ყოველივე და ამ ყოველივეს ძველის ნაყოფია ზაქარია დავითის ძე და მის ნიჭიერება აღებ-მიცემის ასპარეზზედ, იგი თუმც 1807 წ. დაბადებულა, მაგრამ საბაზაზო ნიჭიერების ნიადაგი მასში მაინც ძველ დროს და ხანას მოუმზადებია.

ასე და ამ გვარად, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ რაც საქართველოში დღეს საკუპწო, საბაზაზო, სავაჭროები და სახელოსნოები არსებობენ, რომ ყველა მათი დასაწყის რუსთა შემოსვლის შედეგ დროს კი არ ეკუთვნის, არამედ მათზედ უწინარეს დროს, ე. ი. იმ დროს, როცა ქართველთ თვისი მეფე ჰყვანდათ, მაშინ თფილისში აქვნდათ თავიანთ საკუთარი

ხელოსნობა, ვაჭრობა, მრეწველობა, სასოვდაგროები და მრავალიც სხვანი.

დიახ ასე იყო საქართველოს ერი და ქართველებს თფილისში ყოველთვის ჰყვანდათ თავიანთი ვაჭრები, ხელოსნები, და მუშებიც. იყვნენ სომეხნიც, რომელნიც XVII საუკ. ნახევრიდამ გაჩდნენ და XVIII საუკ. იმატეს კარგად, მათ გარდა ქართველთა რიცხვიც დიდი იყო და ეს დიდი რიცხვი მოსპო 1795 წ. ამ გარემოებამ დასცა და შეამცირა ქართველთ ვაჭართ და ხელოსანთ რიცხვი. შემდეგ გარემოებამ ქართველთ გამრავლებას არ შეუწყო ხელი, უფრო სომეხთ იწყეს გამრავლება. მათი პირობებიც ისეთი იყო, რომ იგინი უფრო მრავლდებოდენ თფილისში ვიდრე ქართველნი.

ამ უბედურს გარემოებას და თფილისში ქართველთ რიცხვთ შემცირებას სავაჭრო და სახელოსნო ასპარესზედ 1795 წ. შემდეგ დიდი ყურადღება მიაქცია სოლომონ ლეონიძემ და იოანე ბატონიშვილმა, სოლომონ ლეონიძემ ამის შესახებ მოხსენებაც შეადგინა და ეს მოხსენება ივანე ბატონიშვილმა 1799 წ. მეფე გიორგის წარუდგინა და ამითი სთხოვდა მას, რომ ღონის ძიება მიეღო და თფილისის ვაჭრებს, სოვდაგრებს, ხელოსნებს და მუშებში ქართველ გლეხთა შვილებიც გაჩენილიყვნენ, ამ გარმოებისთვის მეფესაც ეზრუნა, დახმარება აღმოეჩინა და მით თფილისში ქართველ გვარის ვაჭრები, სოვდაგრები და ხელოსნები ისევე გამრავლებულიყვნენ, როგორც იგინი 1795 წლამდის იყვნენ. ეს ვრცელი წერილი დაბეჭდილია გაზეთ „წყემსის“ ნომრებში, აღარ მახსოვს რომელ წელს. იგი ძვირფასი მასალა არის XVIII საუკ. ქართველ ტომის სახელოსნო, სასოვდაგრო და საამქრო ისტორიისათვის.

მიზეზები ქართველთ მოსპობის და სომეხთა ვაჭართ და ხელოსანთ გამრავლების იყო ის გარმოება რომ 1795 წ. თფილისში უწყალოდ ქართველები იქმნენ მოსპობილნი და მათს ახლოს მცირედ სომეხნი და ებრაელნიც. ქვემო ქვეყნელ სომეხთ ვაჭრებმა 1795 წ. უბედურების არაფერი ნახეს, მათ ამით არა ევნოთ რა. იგინი უვნებლად გადარჩნენ, რადგანაც მათ

მტრობა არ ჰქონდათ ყეინის, ამიტომ მათგანი არავინ დაურ-ბევ-დაუწიოკებიათ, დაწიოკეაა და მოსპობა მარტოდ თფილისის ქართველთ ხვდათ, სადაც მოისპო 30,000 ქართველ ვაჭარ, სოვდაგარ, ხელოსან და მუშათ რიცხვი, რასაც მალე თვით სოლომონ მსაჯულმა და ივანე ბატონიშვილმაც მიაქცია ყურადღება. *)

სომეხ ვაჭართ სიმრავლეს ხელი შეუწყო ერეკლე მეფემაც. 1795 წ. შემდეგ, მეფემ მიმართა განჯის და ერევნის სომეხთ ვაჭრებს და თფილისში შემოსვლა სთხოვა და ვაჭრობის გამართვა, რაისთვის მეფე მათ დახმარებასაც ჰპირდებოდა. მათ შეისმინეს მეფის თხოვნა და უზრუნველად ყოფილ სომეხ ვაჭრებმა ქვემო ქვეყნებიდამ იწყეს 1796 წლიდამ შემოსვლა და ვაჭრობით და ხელოსნობით აღორძინება, განახლებისათვის ვაჭართ, ხელოსანთ და მუშათ საჭიროება ისე გავრცელდა თფილისში, რომ მალე თვით სალმასტელ სომხებმაც იწყეს შემოსვლა და ურუმიიდამ ქალდეველთა. ვაჭრობა განახლდა, ქალაქიც ეძლეოდა სახლებით აღშენებას და გამრავლებას, ამიტომ თფილისში მუშა ხელოსნებიც დიდათ იყვნენ საჭირონი, სამუშაო დიდი იყო, ვაჭრობაც დაწინაურდა. ცოტა არ იყოს 1795 წ. უბედურებამ და უცხო ვაჭართ ხელოსანთ და მუშათ სიმრავლემ 1797 წ. თფილისში დიდი პურის სიძვირეც გამოიწვია, მაგრამ ვერც ამან შეაბრკოლა უცხო ვაჭართ და ხელოსანთ შემოსვლა და გამრავლება თფილისში და 1798 წლამდე, მთელი თფილისი გაივსო ქვემო ქვეყნელ სომეხთ ვაჭრებით.

ვიტყით იმასაც, რომ 1795 წ. დიდი რამ უძლურება არც თფილისელ სომეხთ ვაჭრებს ხვდათ, უმეტესი ნაწილი მათის რიცხვისა უვნებლად გადარჩა, ამ გარემოებამ და იმანაც რომ ქვემო ქვეყნელნი თფილისელ სომეხთ სჯულის გამო ადვილად ენათესავებოდენ, ამანაც დააწინაურა მათი რიცხვი ახ-

---

*) აღწერა ვაჭართა და ხელოსანთა და წარდგენილი 1799 წ. მეფე გიორგის წინაშე. „ძწყემსი“

ლად მოშენებულ თფილისში. ეს გარემოება მაშინ ყველასათვის ცხადი იყო. ქართველთ დახოცილთ ვაჭართ და ხელოსანთ რიცხვს გარდა ტყვედ წაყვანილ იქმნენ 30,000 ათასი სპარსეთს, ესენი იქ გაწყდენ ლოლიალში, მათის რიცხვიდამ თფილისში თითო ოროლა კაცი მობრუნდა, ერთობ მცირედ. აი ეს გახლავსთ მიზეზები ჩვენი შემცირების თფილისში და სხვათა გამრავლების.

ქართველ ებრაელნიც მოისპნენ თფილისში 1795 წ. წინედ მათი რიცხვი აქ იყო 1000 კომლი. იგინი სახლობდენ ფეთხაინის შეყოლება. ბეთხაინიც მათებური სიტყვა არის თურმე და ქართულად სასაფლაოს ნიშნავს. მათ აქვნდათ მაშინ ორი თორა და ერთი ქარვასლა. იგინი ვაჭრობას მისდევდენ, მტრის შემოსევის დროს თფილისიდამ არსად წავიდენ, დუქნები კი დაკეტეს, ხოლო შინ იყვნენ, ჩვენ ებრაელნი ვართო და ყეინი არას გვერჩისო. მაგრამ საქმე ასე არ აღმოსჩნდა. ყეინმა ქართველ-ერთან ერთათ ებრაელნიც მიწაზედ გაასწორა, დაუქცია ორივ სალოცავი, ერთი დიდი ქარვასლა, აიკლო მათი ქონება და ბევრი ტყვეთაც იპყრა და სპარსეთს გარეკა. ომის გათავების უმალვე ებრაელთა რიცხვი მთლად მიეფარა თფილისიდამ, მათ სახლკარი აღარ აქვნდათ, გადასახლდენ ცხინვალს, ახალციხეს, იმერეთს და მით მოისპენ თფილის. 1797 წ. ისევ გაჩდნენ, 60 კომლი. ძველს ალაგას, სალოცავიც გააკეთეს, მაგრამ უბრალო, აგურის, ეს ძველი სალოცავი 1901 წ. დააქციეს და ახალს აგებენ ეხლა. ვაჭრობასაც მიჰყვეს ხელი, მაგრამ მცირედ, რადგანაც გალარიბებულნი იყენენ სპარსელთა ომისაგან. მის შემდეგ, თფილისში ქართველ ებრაელთ ძრიელ გაუჭირდათ ცხოვრება და ვაჭრობა. აქ მათ სომხის ვაჭრობამაც გაუწია შეღლი და მტრობა. ამათ აჯობეს სიმდიდრით, სხვა და სხვა საქონლის შემოტანით. სახლების შენებით, მაღაზიების კეთებით და სხვანი. უეჭველია რომ 1795 წ. თფილისის ქართველ ებრაელთა დაცემის და აკლების ამბები მათში ბევრს მოხუცებულს ექმნება გაგონილი ზეპირად, ვინაიდგან, ამ გარემოებას იგინი დიდათ დაუწოკებია და მთლა მო-

ესპია მათი ვაჭრობის და ქონების ხსენება თფილისში. მინამდის კი ოგინი მეტად მდიდრად ყოფილან ქონებით, სავაჭროდ თურმე ოგინი მგზავრობდენ სპარსეთს, ოსმალეთს, ევროპას, იერუსალიმს და რუსეთსაც. მათ თურმე დიდი აღებ-მიცემა აქვნდათ თფილისის მიდამო სოფლებში. იყვნენ მაშინ ძათში ისეთი მდიდარ ებრაელნიც რომელნიც ძვირფასის თვალ-მარგალიტებით ვაჭრობდენო. მარტოთ ებრაელთაგან ყეინს წაღებული აქვს მილიონ მანათის ოქრო, ვერცხლი და თვალ-მარგალიტიო. ურიათა უბედურება თფილისში მოულოდნელი იყო, მათ იმედი არ აქვნდათ, რომ ყაენი ერჩოდათ, ამის მოლოდინი სულ არ აქვნდათ, ამიტომ მოულოდნელთ დიდი უბედურება სწვევიათ და სულ აოხრებულან, რაისა გამო მათგან ურიული დიდი ცრემლიც დაღვრილა.

ნათქვამ-დარჩენილია, რომ თფილისში, ერთად ერთი სახლი გადარჩა თურმე, სიონის ზემოთ, დღეინდელ ვადავოზნი ქუჩაზედ, მელიქიაანთ სახლი, სადაც თურმე ყეინი იჯდა და დურბინდით უყურებდა როცა თფილისის ქარვასლები, სხვა და სხვა ბაზრები და დუქნები იწოდა. მაშინ თურმე თფილისი იხილვებოდა ავლაბრით, სეიდ-ბადით, ჩულურეთ-კუკია მის მიდამოებით. თფილისში, როგორც ვსთქვით ზემოთაც იყო ყველა სახელოესნოები, ქარხნები და ქარვასლები. ქარვასლები აქვნდათ თვით ბატონიშვილებსაც. *) და კერძო პირთაც. ნათქვამია, რომ თფილისში 1795 წ. 130 ქარვასლა დაწვეს და დააქციეს, ხოლო რიცხვით კი მეტი ყოფილა. ესენი ყოფილან დიდრონი ქარვასლები, პატარა ქარვასლები რიცხვში არ არის მოხსენებული.

თფილისში ვაჭრობით აღორძინება და ქართველთ დაჭინაურება XVII საუკ. ნახევრიდამ იწყება, ანუ როცა ბრძენი ხოსრო მირზა შემოვიდა თფილისში და გამეფდა. მას დიდი ხმა და სახელი აქვნდა სპარსთა წინაშე, ამან განაძლიერა ქართველთ ვაჭრობა და ამის დროს ქართველთ ვაჭრებმა იწყეს სა-

---

*) საქართველოს სიძველენი II ტ. XVII საუკ.

ვაჭროდ მგზავრობა სპარსეთს, არაბეთს, ინდოეთს, ოსმალეთს, ავღანისტან, და სხვაც ბევრს ასეთ ხალხთა ქვეყნებისაკენ. 1795 წლამდე თფილისში სხვა და სხვა ქარხნები არსებობდენ სულ ქალაქ-გარედ მაგალითებრ:

ავლაბარში—კარგა შორს, არსებობდენ საპნის ქარხნები, ქონის სამთლისა. დარიის მონასტრის მახლობლივ ზეთისა, ზოგი სამეფო იყო და ზოგი კერძო.

სეიდაბათს—ქვემოთ სადაბღოები, ლილახანები, ბასმახანები და სხვა და სხვა ფერის სამღებროები.

გარეთ-უბანს—სხვა და სხვა საფეიქროები, ჩითისა, მიტკლის, ტილოსი, შალეულობისა და სხვა მრავალთა.

ბუკიას—ჭურჭლის, კოკებისა, თონე-ქვევრ-დოქების და სხვათაც ასეთის მრავლის ჭურჭლეულობის.

ვერაზედ—არსებობდა საგურენი და საკრამიტენი, აქეთ-კენვე იყო სარკინე ქარხანა და საპილენძე.

ქალაქის ოთხსავ კუთხივ მოფენილი იყო სხვა და სხვა სახელოსნო ქარხნები.

თვით შიგ თფილის ქალაქში იყო მრავლად სხვა და სხვა ქარვასლები, აქ ბევრს ქარვასლებში იყო სავაჭრო საქონელთა თავლებიც, სავაჭროებიც და მასთან პატარ-პატარა ქარხნებიც, როგორც ყაზაზები, მესავარცხლების, მაკრატელ-სამართებლის, მესარკეთა და მრავალთაც სხვათა. ყველა ეს ცნობები აქ მიტომ მოვიყვანედ, რომ ვიცოდეთ ის ისტორიელი ცნობები, რომ ქართველებს ყველა სავაჭრო ქარვასლა, ქარხნები და სხვა რამ საწყობნი XVIII საუკ. ჰქონდათ დახსნილები. ამათ არსებობას აქვნდა დიდი მნიშვნელობა და თუმც საბოლოოდ 1795 წ. უწყალოდ მოისპო, მაინც მისი ნიადაგი ისეთი ძლიერი იყო, რაის ძალამაც წარმოშობა უადვილესად საბაზაზო და საქარვასლო ასპარეზზედ ზაქარია დავითისძე სარაჯოვი, რომლის დაბადებაც ეკუთვნის 1807 წ. მაშინ თფილისში ხელოსანთ და ვაჭართათვის ყველასთვის არსებობდა ამქრული წესები. ამქარი აქვნდათ თვით ბაზაზებს და სხვა ასეთ ვაჭრებსაც. ხელოსნებს ყველას, ამქარს ჰყვანდა გამგედ ოთხი

კაცი: უსტაბაში, ჰასაყალო, იკიტბაში, გზირი და ამქრის კაცნი. ხელოსნებმა შეგირდის აყვანა 4-5 წლით იცოდნენ. ვაჭრემბა 3 წლით. დურგალი, კალატოზი, ხურო და მღებარი დღეში 60 კ. 70 კ მუშაობდენ. უბრალო დღიური მიწის მუშა 30 კაპ. ასევე სხვა ხელოსნებს აქვნდათ ფასები: დერიკებს, ჭონებს, სარაჯებს, მექოშე-მეჩუსტებს, ყაზაზებს და ბევრსაც სხვათა ძნელად რომ 60 კ. მიმატებოდათ. ეს იშვიათი იყო *).

მაშ ჩვენ ეჭვი არ უნდა გვქონდეს მასზედ, რომ ჩვენში ვაჭრობა და სოვდაგრობა არ ყოფილიყოს. არ ყოფილიყოს აგრეთვე ბაზაზობა, მეფარჩეთა რიცხვი და მოვაჭრეთა და ხელოსანთ დუქნები და აღებ-მიცემა. ვიტყვით რომ იყვნენ და მათმა ყოფნამ წარმოშობა XIX საუკუნის შემდეგ იმ ქართველთ ვაჭართ და მრეწველთ რიცხვი, რომელთაც ჩვენში თავი იჩინეს, თუმც მცირედ, მაგრამ მაინც გამოსჩდენ.

შევნიშნავდ, რომ ჩვენ არამც თუ ასეთ სავაჭრო და სახელოსნო ცოდნა გვქონდა, არამედ ჩვენ დახელოვნებულ ვყოფილვართ თვით მეზღვაურობაში, თვით XVII საუკ. ნახევარს, სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს, კოსტანტინეპოლს 9 გემი შეუძენია და ამ გემების კაპიტნად, ანუ საქართველოში ზღვით შემოსატანად თვისი—მცოდნე მეგრელი ქრისტე კოჩი დაუნიშნავს, გვარად რატია, რომელსაც უმოგზაურნია შავის ზღვით და ყველა გემებიც შემოუტანია. ამაზედ ეჭვი არ უნდა ვიქონიოდ, რადგანაც ქართველთ მეზღვაურობა, მევენახობა, მეფუტკრობა და მრავალიც სხვა მასთან ჩვენ სულ ძველად შეგვისწავლია.

ჰურნე. ქართული სიტყვა პურიდამ არის გადაკეთებული, სიტყვა ფურნე რუსეთში, ოსმალეთს და სხვა ადგილებშიც სადაც ფურნე იხმარება. ასე ხსნის ამას დ. ბაქრაძე.

ნუნუა. ქართველებს გაუკეთებიათ ძველად და ამიტომ ღვინისთვის ნუნუა უწოდებიათ, ანუ ნოე, რადგანაც ღვინო პირველად ნოეს დაუწურია და ამიტომ დაურქმევიათ მისთვის

*) ამქრელი წეს-წყობილება საქართველოში. ჩემი, ჯერ დაუბეჭდავი.

ნოეს სახელი. მერე ეს სახელი ნუნუადამ.—ღვინოდ გადაკეთდა, სხვა ტომთაც ასე უწოდებიათ. ღვინის პირველი ბინა კი საქართველოში ყოფილა და მაშასადამე მისი ოსტატობაც აქ აღორძინდებოდა.

რაყი. არაყი. ესე იგი გამონახადი რაყიდამ, ანუ რა-ხილიდამ. პლატონ ბურდულის სიტყვით არაყი იწურება ხილიდამ, ამიტომ უნდა ითქვას რა-ხილიდამ—რა-ხიდამ. რა-ხიდამ იწურებაო? მერე ეს სახელ-წოდება სხვა ხალხებსაც უსწავლიათ ჩვენგან, თვით აღმოსავლეთის მუსულმანთ ტომთ შორის არაყი რა-ხად იხმარება. ამიტომ ცხადიაო ამბობს პლატონ ბურდული, რომ ეს ოახი არის გადაკეთებული ქართული სიტყვა არაყიდამ, ანუ რა ხილიდამ. თუნდ რა-ხიდამ, რა ბალახიდამ გამონაწურიო. *)

ჩვენი ენის ძლიერების, კულტურის, თუ ძველის აღებ-მიცემის შესახებ ლაპარაკს თავს დავანებებთ და გადავალთ ისევ ცნობებზედ, რომლითაც შევავსებთ ზემოდ მოყვანილ ცნობებს და მასთან ავნუხსავთ ჭეშმარიტს მოთხრობას თანამედროვე მომდინარეობის ნიადაგის შესახებ

რიზაი შალების და ქირმანი შალების საფეიქრო. წინეთ ეს შალები სპარსეთ-ოსმალეთიდამ შემოჰქონდათ, დიდი გასავალი აქვნდა ქართველებში. XVII საუკ. დამდეგს თფილისში გახსნეს ამის საფეიქრო. საქართველოს ბაზაზებს ამით გაუადვილდათ შალების მოპოება და გასყიდვა მაშინ შეუძლებელი იყო, რომ ეს ზითევში არ გაეტანებინათ ქალისთვის. რიზაი-შალი უნდა იყოს ირიზა ოსმალური და ქირმანი შალი-ქალაქ ქირმანისა—სპარსეთიდამ.

დარაია-ბაბთის საფეიქრო. დარაია ბაბთი საქართველოში დიდს ქებასა და დიდებაში იყო, დიდი მოთხოვნილება აქვნდა. ძველი სიგელ-გუჯრები სავსეა დარაია ბაბთის მოხსენებით. ისე ქალი არ გათხოვდებოდა, რომ დარაია ბაბთით არ შეემკოთ. დარაია ბაბთი არის სხვა და სხვა ხარისხის და ფერის,

*) ქართული სამეცნიეროო ტერმინები. დაუბეჭდავი პ. ბურდულის.

მეტის მეტი მდიდრად და უხვად იხმარებოდა იგი საქართველოში. დარაია ბაბთი დიდის ღირსებით იყო შემოსილი. ამ დარაია ბაბთს მდიდარი ისტორია აქვს, ნამეტურ მის საფეიქრო ხელოსნობა და ვაჭრობას. დარაი ბაბთის შესახებ ლექსებიც არის ძველად დაწერილები.

დიბის საფეიქრო, აქვე ნართავდენ ყანაოსს, მოვს, დიმიკიტონს და სხვათაც ენით მოუთვლელთ ძვირფას ნართეულობას აბრეშუმიდამ და მატყლიდამ. დიბას დიდი გასავალი აქვნდა, იგი იყო მრავალ ფერიანი და სხვა და სხვა.

ჩითის საფეიქრო. წინეთ ჩითეულობა სხვა და სხვა ქვეყნებიდამ შემოჰქონდათ. XVII საუკ. თფილისში იყო რამდენიმე საფეიქრო. ჩითეულობას ნართავდენ სხვა და სხვა ფერის და ღირსების. ჩითის ქარხნები არსებობდა სეიდაბათს. ანუ ციხის გარედ. ჩითის საფეიქროები თფილისს გარდა საქართველოს სხვა ქალაქებშიც იყო. დიდათ იქებოდა თალათინის ჩითი.

შალის საფეიქრო. შალის საფეიქროები საქართველოში იყო მრავლად გამრავლებული და ნამეტურ თფილისში, ართავდენ მრავალ-ნაირს და ღირსებითაც დიდათ შემკულთ. ქებული იყო მთელს აღმოსავლეთში ქართული შალეულობა.

ტილოს საფეიქრო. იყო ლაინის საფეიქრო, უმეტესად გამოჰყვანდათ ლურჯი ტილოები, რომელსაც სოფლის გლეხკაცობა უხვად ხმარობდა საპერანგე და მის ამხანაგად. თვით მეფე ერეკლეს ძიძის ქმარი დათუნა ფეიქარიც ტილოს ფეიქარი ყოფილა, ამან გასცა 1767 წ. მეფის წინააღმდეგ „შემთქმელნი.“ ტილოს საფეიქროები დიდრონს სოფლებშიც კი არსებობდა. აქვე გამოჰყვანდათ სხვა და სხვა სუფრები და ტილოს ხელსაწმენდავები.

სუზნის საფეიქრო, იყო თფილისში რამდენიმე, სუზნებს დიდი მოთხოვნილება აქვნდათ ქართულს ოჯახში ტახტეულობის ასაფარებლათ. აქვე ართავდენ სხვა და სხვა ფართლეულობას, ზეწრებს და მრავალ სხვებს.

ეურთმაჯ-გულის ბირთ სარტეულთ საფეიქრო საქარგავნი და სამღებრონი, მდიდრად შემკულნი და მორთულნი. ხელობა

მისი ამაღლებული იყო დიდათ, მაშინდელ ნაქსოვთ, ნაღებავ და ნაქარგავ ამ ნივთებს განცვიფრებაში მოჰყავსთ თვით თანამედროვე მნახველნი.

მეაბრაშუმენი. თფილისში აქვნდათ აბრაშუმის საქარხნოები და ამზადებდენ სალამაქას და ჰყიდდნენ. ესენივე იყვნენ მებანბენი და მემატყლენი, დიდი გასავალი აქვნდა ამათგან აბრაშუმს, ბამბას და მატყლს. XVIII საუკ. ნახევარს, მთიულეთიდამ მთიელმა ბეწინამ, სტამბოლის გზით დიდი ძალი მატყლი გაიტანა შვეიცარიას გასასყიდათ.

შენაბდენი. თფილისში იყო რამდენიმე ქარხანა მენაბდების, ქებული იყო ამათი ნაბდები და სხვა ასეთნი. ნაბდები საქართველოდამ სპარსეთს, ოსმალეთს და რუსეთშიც გაჰქონდათ. მენაბდები აგროვებდენ და ასაღებდენ ღორის ჯაგარს, ჯაგარი რუსეთსა და ევროპაშიაც გაჰქონდათ.

ხემსის ქარხანა, აქ აკეთებენ ნემსებს, ქინძისთავებს, ყაისნაღებს, სადგისებს და მრავალთაც სხვა ასეთებს.

მაკრატლის ქარხანა. მაგრატლებს დიდი მოთხოვნა აქვნდა საქართველოს ერში და ამიტომ თფილისში არსებობდა 1795 წლამდე მაკრატლების ქარხნები. აქვე აკეთებდენ კარგად და ხელოვნურად სხვა და სხვა დანეულობას და სამართებლებს.

მესავარცხლეთ ქარხანა. იყვნენ წვრილი მესავარცხლენიც, იყო დიდი ქარხანაც თფილისში, სადაც გამოჰყვანდათ ძვირფასი სავარცხლები. იყო ისეთი სავარცხლები რომ იგინი მას ოქრო ვერცხლითაც რთავდენ იშვიათათ. ძვლის სავარცხლებსაც აკეთებდენ. ძვლის სავარცხლები ძვირად ფასდებოდა, ხელოსნებიც კარგად იყვნენ გამოცდილნი.

მექოლგენი. ქოლგები საქართველოში დიდათ იხმარებოდა, ქოლგებს ხშირად აკეთებდნენ ერთობ ძვირფასად და იშვიათადაც. ამის დიდი ქარხანა მოისპო 1795 წ. როგორც სხვა ყველა დიდი საფეიქრო და სხვა და სხვა ქარხნები. ესენივე აკეთებდენ მარაოებს და ჰკერავდენ ხელთათმანებს (ფელჩატკი)

მეზანდუკეთ ქარხანა. ზანდუკები, ანუ სკივრები საქართ-

ველოში დიდს მოთხოვნილებაში იყო, მაშინდელ შკაფი და კამოდი ეს იყო. ისე ქალი არ გათხოვდებოდა, რომ მისთვის ზითვებში ძვირფასად ნაკეთი ზანდუკები, სკივრები არ გაეტანებინად. ბეზანდუკეთ რიცხვი 1795 წ. დაეცა ქართველებში.

თითისტრის სახელოსნო. თითისტრის ხელოსნობა იყო, მათ აქვნდათ დიდი მოთხოვნა. აკეთებდენ თითისტრებს ყველანაირს, სამდედრო და სამამაკაცო. ესენივე აკეთებდენ კვირისტავებს, ფირფიტებს, შიბაქებს და საბავშო სათამაშოებს.

ჯარას ქარხანა. ჯარას კეთება ჩვენში დიდათ იყო გავრცელებული. ჯარას აკეთებდენ ნაირ ნაირს და ბევრს ძვირფასებსაც, რადგან სართავ ჯარას ხმარობდნენ თვით სამეფო ოჯახის ქალნი, დიდი გვარის კაცთა ქალნი და სხვანი, ესენივე აკეთებდენ საჩეჩლებს და ბევრსაც სხვა ასეთ საწეწლებს საპენტავებს და სხვანი რაც საქართველოში უხვად იყო გავრცელებული. სადღეისოდ მოისპო ესენი.

ლილის ოსტატობა, ანუ ლილებისა. ქართველთ შორის შემოსულა და გავრცელებულა ძველად. თფილისში იყვნენ ამის ოსტატნი, ქსოვდენ და აკეთებდენ სხვა და სხვა ფერის ლილებს. ბევრს ძვირფასებსაც, მათ კაი გასავალი აქვნდათ, მთის ხალხშ ც დიდათ იყო გავრცელებული სხვა და სხვა ფერად ლილების კეთება. სადღეისოდ მისი ალარა სჩანს რა. ძველ ლილების ნაშთათ მთის ხალხში ვპოულობთ და ხშირად ძველს საფლავებშიც ჩნდება, მკვდრებს ატანდენ საფლავში. ეს ხელობაც დაეცა.

მედუგმენი. დუგმების ოსტატობაც კარგათ იყო წინ წასული. დუგმებს აკეთებდენ თვით ვერცხლის და ოქროსასც კი. ბევრი მათში ძვირფასადაც კეთდებოდა. დუგმები იყო მრავალნაირი და მრავალფეროვანი, მდედრობით სქესთა ტანთ საცმლის, მამა კაცთა, სამღვდელ მთავრო და სალაშქრო. XIX საუკუნის შემდეგ ამის ქარხნები და ხელოსნობაც დაეცა ქართველთ შორის.

კრიელოსნების ოსტატობა. კრიელოსნის სამკეთებელო ქარხნებიც იყო თფილისში და სავაჭროებიც. კრიალოსნებს აკე-

თებდენ ფერად ფერადს და ბევრს ძვირფასებსაც ხმარობდენ კრიელოსნის გასაკეთებლად ქარვას, მარჯანს, ფირუზს, გიშერს და ენით დაუთვლელთ. საკრიალოსნო ნივთებისთვის ეს ხელოსნები და ვაჭრები მოგზაურობდენ ბიზანტიას, არაბეთს, პსარსეთს და ყველა იმ ქვეყნებში, სადაც რამეს იშოვნიდენ. საქართველოში დიდათ იყო წინ წასული გიშრის ხელოსნობის და ვაჭრობის საქმე. ამის ხელოსნობა სადღეისოდ იმერეთ შორის დარჩა.

ჯამ-ჭურჭლის ქარხანა. იყო თფილისში რამდენიმე და გამოჰყვანდათ სხვა და სხვა ფერად ჯამ-ჭურჭელნი. თებშები, მათლაბები, ლამბაქები და მრავალიც სხვა ქაშნაურის ჭურჭლეულობის. ჩინური და საქსონური ჭურჭლის კეთებაც მოისპო. დღეს სანახავათაც აღარ არს ასეთი ჭურჭელი. XVIII საუკ. თფილისში ასეთ ქარხანების რამდენიმე ყოფილა.

მუაბჯრეთა ქარხანა. იყო თფილისში რამდენიმე და აკეთებდენ აბჯრებს რამდენაირადმე და ბევრს ძვირფასადაც, აბჯრის პერანგებს ჰყიდდნენ თვით ძველნი ბაზაზებიც. ამის ხელობა და ვაჭრობაც დავარდა.

მესურე და მეთუნგეთ ხელოსნობა. სურა და თუნგის კეთების ხელოსნობა ჩვენში დიდათ იყო გავრცელებული და მათში არსებობდა ორნაირი ხელოვნობის ოსტატობა: ერთნი აკეთებდენ დიდრონ სურ-თუნგებს, ტაშტებს, ფლავის საწურებს და ბევრსაც სხვანი. ამაების საკეთებლად იგინი ხმარობდენ სპილენძს, თითბერს და სხვანი. მეორენი აკეთებდენ ვერცხლის სურებს, ძვირფასად კულებს, ჩარექებს და ვინ იცის კიდევ რამდენ რა გინდ რას ასეთებს. ძველად დაშთენილ ასეთ ნაშთების დღესაც მოიპოვება საქართველოში იშვიათად, ამის ხელოსნობა და ვაჭრობაც დაეცა.

მეფისენი—იყვნენ მკეთებელ ხელოსნები და ვაჭრებიც, ფისი უცხო ქვეყნებშიც გაჰქონდათ, ნამეტურ ოსმალეთს. სადღეისოდ მეფისენი აღარ არიან ჩვენში. ქართული გვარი მეფისოვი—მეფისე ხელობიდამ არის წარმომდგარი.

მემანქანენი. იყვნენ მემანქანენი და აკეთებდენ მანქანებს,

ხოლო ამათ ცნობები არ არის დაშთენილი, ქართული გვარი მანქადაროვი და მექმანდაროვი ამ მემანქანის ხელოსნობიდამ და ვაჭრობიდამ არის წარმომდგარი.

მინის ქარხანა. მინა იხმარება ქართველებში უხსოვრის დროდამ. თფილისში არსებობდა ერთი დიდი ქარხანა—ანუ ქურა და მასთან პატარა ქურებიც იყო. აქ აკეთებდენ ფერად-ფერად ჭიქებს, სხვა და სხვა სახმარ მინებს, სახლის სანათურერების, აივანების, შუშაბანდებისათვის და სხვაც ბევრი რამისთვის, ფერად ფერადი შუშებიც საქართველოში მრავლად იხმარებოდა. ამის ქურები და სავაჭროები მოისპო 1795 წ.

მეთოკე და მედაზლენი. კერძოდ იყვნენ ესენი. საქართველოში გრეხავდენ და აკეთებდენ თოკს და ღაზლას სხვა ამგვარებს, ოსმალ-სპარსეთიდამაც შემოჰქონდათ. თოკების და ღაზლების გრეხა სოფლელებმაც იცოდენ.

მეყანწენი. იყვნენ მრავლად, ყანწებს აკეთებდენ ძვირფასად და ხელობაც კარგად იცოდნენ.

წუმწუბის ქარხანა საქართველოში ძველადგან აბედი, ტალკვესი და ამგვარები იხმარებოდა. ევროპიელთ მგზავრებმა შემოიტანეს წკირნათი XVII საუკ. მერე ამის ოსტატობაც ისწავლეს და XVIII საუკ. თფილისში იყო წუმწუმის ქარხანა. აქ გამოყვანილი წუმწუმა, ანუ ასანთი ქალაქის და სოფლის შეძლებულ ხალხში იხმარებოდა. მოისპო ესეც. ძვირად იყო თურმე.

წმინდა სამთლის ქარხანა. თფილისში იყო დიდი ქარხანა წმიდა სამთლის. წმიდა სამთელს დიდი გასავალი აქვნდა, ამიტომ ქართველნიც მეფუტკრეობას უხვად მისდევდენ. ძველად წმინდა სამთელი საქართველოში ჭანეთიდამაც მოჰქონდათ, ნამეტურ იმერეთში, ოსმალთაგან ჭანეთის დაპყრობის შემდეგ, ლაზებმა მერე კონსტანტინეპოლს იწყეს სამთლის გატანა. სამთლის ქარხანაც მოისპო 1795 წ. მერე საკათალიკოზო ქარხანა გაკეთდა, სიონის გვერდით, მიტროპოლიტის სახლში. აქვე ვაჭრობდენ ამით.

ზეთის ქარხანა. ქარხნები იყო კერძო პირების და სამეფოც იყო, რადგანაც სამეფოდაც მრავლად სჭირდებოდათ ზეთი.

ავლაბარში სადაც დღეს დარიის მონასტერია, იქ, ახლოს, იყო ზეთის დიდი ქარხანა. მოისპო 1799 წ.

მეფუტკრენი. ქართველთ შორის მეფუტკრეობა კარგად იყო გავრცელებული. ყველა სოფელს აქვნდა თავის საკუთარი საფუტკრე.

მემარილენი. მარილით ვაჭრობას ალაფებიც მისდევდენ. კერძო მემამულენიც იყვნენ, დღესაც არიან ასეთ კერძო ვაჭარ მემამულენი.

ალაფები. ალაფების თფილისში მთელი ბაზარი არსებობდა, მთელი ქუჩა. ალაფნი ვაჭრობდენ პურით, ქერი, ბრინჯი, ლობიო, ცერცვი, ოსპი და სხვა ამ გვარები. ჰყიდდნენ თოკებსა ცდა ღაზლებს, ხმელ ჩურჩეულობას და სხვანი. XVIII საუკ. ალაფების რიგი იყო თფილისის იარმუკაზედ.

მეუნაგირენი. მეუნაგირეთ რიცხვი თფილისში იყო დიდი. უნაგირებს აკეთებდენ ძვირფასადაც, ოქრო ვერცხლითაც რთავდენ. დიდი გასავალი ავქნდათ მაშინ უნაგირებს.

მენიჩბენი და მეთაბხენი. ნიჩბების და თაბხების კეთებაც ხელობა იყო და ვაჭრობაც აქვნდათ. მენიჩბენი და მეთაბხენი აკეთებდენ ხონჩებს, ვარცლებს, ტაბიკებს სხვა და სხვა ტარებს და მრავალიც სხვა ასეთებს.

მესაცრენი. აკეთებდენ სხვა და სხვა საცრებს, პურის, მიწის, გაჯის, კირის და სხვაც, პატარა თუ დიდის ზომის. სპარსეთიდამაც შემოჰქონდათ საცრის საწნავი, რკოლს კი აქ უკეთებდენ, აქაც სწნავდეე ძუისაგან, მის ვაჭრებიც იყვნენ.

მეთევზენი. მეთევზეთა რიცხვი თფილისში დიდად იყო გავრცელებული, ვაჭრობაც აქვნდათ, თევზი და ნამეტურ ფალაქნური ერევნის კუთხის ტბებიდამაც შემოჰქონდათ, ასევე სალიანიდამ. მეთებზეებს საქართველოდამ ხმელი თევზი იმერეთშიც გაჰქონდათ და ჰყიდდნენ, მეთევზენი იყვნენ მაშინ შეძლებულნი, იჯარას იხდიდნენ სიონის სასარგებლოდ.

მეკავადნეი და მეჩაიდნე. იყვნენ ამის ოსტატ მექარხნენი აკეთებდენ ყავადნენს, ჩაიდნებს და სხვა ასეთებს სპილენძისას. ესენივე აკეთებდენ სხვა და სხვა ასეთ სახმარ იარაღებს. ჩაი-

ლნები, ყავადნები და ჩაის ჭურჭელი მოხსენებულ არიან ძველ ზითვის სიაშიც XVII საუკ. სამოვარი საქართველოში რუსეთიდამ შემოიტანეს 1770 წ. მერე ანუ 1780 წ. ერეკლეს მეფეს მოუვიდა ფეშქაშად ეკატერინა იმპერატრიცასაგან სამოვარი და ჩაის ჭურჭელი ფეშქაშად. საქართველოში სამოვარი და ჩაის ჭურჭელი XVIII საუკ. იცოდნენ და არა ეხლა როგორც ემ ბევრს ჰგონია.

მექაღალდენი. მექაღალდეთ ვაჭრობა ცალკე იყო და მათი რიცხვი მცირეც იყო. იგინივე ჰყიდდნენ მელანს, ბატის ფრთის კალმებს. ქაღალდი წინედ მარანდიდამ შემოჰქონდათ, XVIII საუკ. ნახევრიდამ რუსეთიდამ იწყეს შემოტანა.

მეფარჩენი. იყვნენ თფილისში მრავლად და ჰყიდდნენ სხვა და სხვა ძვირფას ფარჩეულობას. ფარჩეულობა მათ შემოჰქონდათ სპარსეთიდამაც. ადგილობრივაც აკეთებდენ. ადგილობრივ კეთების ოსტატობა დავარდა. ვაჭრობაც კი არსებობდა.

ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით, რაც კი საქართველოს მეფობის დროს, საქარხნო და სავაჭროები არსებობდენ. ერთის სიტყვით, არ არის დღეს რამე ნივთის და საქონლის ქარხანა და სავაჭრო, რომ იგი მაშინ არ ყოფილიყოს.

ყასაბები. თფილისში იყო ყასაბების რიცხვი დიდი. მათ მთელი ქუჩა ეკავათ და ამიტომ ამ ქუჩასაც „ყასაფხანა“ ეწოდებოდა, ასე იყო მაშინ: მექუდების რიგს „ქონხანა“ ერქვა, ხარაზების რიგს „ხარაზხანა“ და სხვათაც ესევე. სირაჯების რიგს „სირაჯხანა“ და სხვანი.

თანამედროვე, ანუ ზაქარია დავითის ძის მომსწრე კაცთაგან გამიგონია, რომ ზაქარია სარაჯიშვილი თავის დროის კვალად ყოფ ბუნებით მდიდარი კაცი. იგი მახვილ გონიერი იყო არა მარტო სამოქალაქო და სავაჭრო ასპარეზზედ, არამედ სასოფლო საქმეშიაც შესმენილი და მეურნეობის მნიშვნელობაც კარგად იცოდა. მახვილ გონიერ კაცთა ენერგია ასეთი გახლავსთ, მაინც ძველნი ქართველნი ასეთის ღირსებით უხვად იყვნენ დაჯილდოვებულნი, იგინი არა ჰგვანდნენ

თავიანთ ზარმაცს შვილებს, ერთობა დარღვეულებს, გადაგვ-
რებულთ და მძლავრად მფლანგავ-ფანტია მჭამლებს.

ეს არავინ იუცხოვოს, ასე იყო ჩვენში, ძველად ქართ-
ველნი ასე გახლდნენ მათ შნო ჰქვანდათ თავიანთ დროის კვა-
ლად ყველა საქმის ასპარესზედ. თფილისის ქართველ მოქალა-
ქენი მხნეთ იყვნენ სამოქალაქო და სავაჭრო ასპარესზედ, იგი-
ნი დაუცხრომლად და მღვიძრად აწარმოებდნენ სავაჭრო სა-
ქმეებს, აღებ-მიცემას და მიტომაც მოხდა, რომ მათის მზერით
გახარებული იყო ვახტანგ მეფე, ამან ისურვა მათი პატივის
ცემა და მიტომ 1710 წლებს შემოიღო თფილისის მოქალა-
ქობა. როგორც ეტყობა ზაქარია დავითის ძის მშობლებს თფი-
ლისის მოქალაქობა, ანუ პაჩოტნი—გრაჟდანინობა იმ დროს
უნდა მიეღოთ. მერე ეს მოქალაქეთ ღირსება თეიმურაზ მეო-
რემ 1740 წ. უფრო გაამრავლა და ერეკლე მეფემ ხომ 1770
წ. დიდათაც აამაღლა.

მაშინდელ თფილისის მოქალაქეებში იშვიათად ნახავდით
ისეთ პირთ, რომ მათ თფილისის ორთაჭალას და სხვა სოფ-
ლებში ბაღები და მამულები არა ჰქონოდათ ყოველ მათგან-ს
თავის ბაღი და მამულები ჰქონდა და მოქალაქე ფასდებოდა
მაშინ, როცა საკუთარი ბაღი-ბოსტანი აქვნდა, მებაღე ჰყვან-
და და ზაფხულობით სულ თავის საუკეთესო ვენახის თარფეულ-
ობა მოსდიოდა. ეს არავინ იუცხოვოს და ამის ჭეშმარიტე-
ბა არის ზაქარია დავითის ძის წარსულიც, რომელსაც ადრი-
დანვე სოფ. დიღომში აქვანდა კარგი ზვრები, მინდვრები,
ტყეები და სხვანი. იგი როგორც ყოფილა შესამჩნევი ვაჭა-
რი ქალაქის, ისევე მცოდნე მცხოვრები ყოფილა სოფლის სა-
ქმის და ხალხის ცხოვრების.

უნდა ითქვას, რომ როგორც მისი საფლავის ძეგლის
წარწერაც გვაუწყებს, იგი დაბადებულა 1807 წ., მაშასადამე
მამა ამისი დავითი კარგად შომსწრე პირი უნდა იყოს ერეკ-
ლე მეფის, თეიმურაზ მეფის და საქართველოს რუსეთთან და-
კავშირების ცნობებიც კარგად სცოდნებოდა. იგი თავის დრო-
ის კვალად იქმნებოდა შესმენილი პირი და გამოჩენილი. თფი-

ლისის მოქალაქე, დამსახურებული არა მარტო ქალაქის საქმეების წინაშე, არამედ თვით სამეფოს ოჯახის, ქართველთ მეფეთ შვილების და იმ დროის დარბაისელ კაცების. საუწყებელია, რომ ქონებრივის შემძლებლობით თვით ზაქარიას მამაც იქნებოდა დროის კვალად დაჯილდოვებული და მიტომაც მოხდა ისიც, რომ მამის მსგავსად შვილი—ზაქარიაც უფრო მკვირცხლი გამოვიდა და მამის მონაგარ ქონებრივ შემძლებლობას თავის ჰუნარითაც შემატა და ასახელა თავი როგორც ქალაქ ალაგას, ისევე სოფელს და სასოფლო საქმეებში.

მაგალითებრ: დიღომში—ზაქარია დავითის ძეს, თავის შეძლებასთან, ხალხში ერთობ კაი სახელი ჰქონია, ერთობ დიდი ნდობა და სიყვარული. თვის დროის კვალად, დიღმელები თურმე ვერც ერთ საქმეს ვერ გადასწყვეტდენ ისე, რომ იგინი ამისთვის ზაქარია დავითისძეს არ დაჰკითხებოდნენ. მომსწრე კაცთა მიამბეს, რომ ზაქარია დავითისძისთანა კაცი დიღმელებს იმის დროს სხვა არავინ ჰყვანდათო. ზაქარია დავითის ძესაც დიღმელები უყვარდა, ჰპატრონობდა მათ, ჰქომაგობდა დიდათ და ბევრს გასაჭირს საქმეში თავგამოდებითაც ეხმარებოდაო. ამიტომ დიღმელებიც მას თავიანთ მფარველ მამას უხმობდნენ და ყოველ გაჭირების იმედი და ტალკვესი ზაქარია დავითისძე იყო მათიო. დიღმელები მის ამაგს, სიკეთეს და კეთილ საქმეებს არას დროს არ დაივიწყებენო, რაც ზაქარია დავითის ძეს დიღმის გლეხებისათვის სიკეთე უქნია და ამაგი დაუდვია, ამას ყველას ველარავინ მოსთვლის, რადგანაც ბევრი რამ ასეთი მოსაგონარი ცნობები დრო-ჟამთაგან დავიწყებულია და აღარც მის დროის კაცნი არიან ცოცხალნი.

დღევანდელ დიღმელ გლეხთა ნუგეშს ერთი ის მადლიანი სასახელო მხარეც შეადგენს და იგინი მით არიან კმაყოფილნი, რომ ზაქარია დავითის ძემ, მართლაც კაცად კაცმა, ჩვენ დაგვიტოვა თვის მოადგილედ ისეთი საყვარელი კაცი, ისეთი ენერგიული და მშრომელი მამულის შვილი, როგორიც გახლავსთ მისი ძე დავით ზაქარიას ძეო. დიდი მადლობელნი

არიან დავითის, ამაზედ ქვემოთ წაიკითხავთ, აქ კი ვიტყვი, რომ თუ ამ ცნობებს მკითხველი არ დაიჯერებს, მაშინ მიბძანდეს იგი დილომს, ჰკითხოს იქ ყველას და ვგონებთ ყოველივე გამოჩნდება, მაშინ ჩვენი აღწერის ცნობები სუსტიც კი იქნება, მცირე აღნიშვნა დიდ ილირსების შესახებ.

მომითხრეს მცხოვრებთ მოხუცებულთ და მცოდნე კაცთა, რომ ზაქარია დავითის ძე იყო მარჯვენა მკლავი დილმელთაო. მის დროს, ჩვენი მებატონენი ულვთოდ გვჩაგრავდენო. ეს ჩაგვრა ზაქარია დავითისძეს არად მოსწონდა და იგი გლეხკაცობას ბატონის წინაშე მეტად ხშირად ჰქომაგობდაო. ბევრი ყმის შვილი განთავისუფლებულა მისის ცდითა და ფულითაო, ბევრს ოჯახის შვილთ დახმარებია იგი გაჭირების დროს თავის შეძლებითაო. იცოდა ხელ-მოკლე გლეხთათვის სამოსლის დარიგება, გლეხთა ტიტველ-შიშველი ბავშვების შემოსვა, ქალის გათხოვების დროს საზითვო ნივთეულობით დახმარება, გარდაცვალების დროს სამარხის გაცემა და ბევრიც სხვანი ამგვარნი, რაც იმ დროის აქაურ მებატონეთა შორის ერთობ იშვიათი იყო და ძნელიო.

მთელმა ქვეყანამ იცოდა 1840 წლებს, ცამა და დედამიწამაც, რომ დილმელი გლეხნი მათ მებატონეთაგან დიდად იდევნებოდენ, დილმელ მებატონეთ მახვილი იყო მძლავრი და სასტიკი, სხვა სოფლის გლეხებში, ასეთ მძლავრ მებატონეთ და მდევნელთ გლეხთა კაცი ადვილად ვერ ნახავდა, დილმის მებატონენი მახვილით და გლეხთა დევნით უპირველესნი იყვნენო. აი ასეთ მძლავრ პირთაგან დაჩაგრულ გლეხთა იმედი და სასოება ერთად ერთი ზაქარია დავითისძე იყოვო და მისი საქმენიო. ახ, რომ დაიხოცნენ და აღარ არიან მომსწრე კაცნი, თორემ ზაქარია დავითის ძის კეთილი საქმეების შესახებ იმდენი საქმენი გამოსჩნდებოდენ, იმდენი სიკეთე და ამაგი დილმელთა წინაშე, რაც თანამედროვე მკითხველს ერთობ გააკვირვებდაო. ამის დასამტკიცებელი საბუთი არის ის მაგალითიც, რომ დღესაც დავით ზაქარიასძეს დილმის ბაღში

ჰყავს ერთი მებაღე, რომელსაც მის მამის დროსაც უმსახურონია და ეს პირი დიდის ქება-დიდებით და განუსაზღვრელის პატივისცემით მოიგონებს ზაქარია დავითის-ძის ამაგს ხალხის წინაშე და ხსოვნას.

ზაქარია დავითის-ძე, როგორც თავის დროის შვილი, ყოფილა მღვთის მმოსავი პირიც, მას პატივისცემა ჰქონია სოფლის მღვთაებრივის საქმეების და მიტომ 1863 წ. სოფელს დიღომს, ერთს მაღლობ ალაგასა, გაუკეთებია ერთი თლილის ქვით ნაშენი სოფლისთვის ზომიერი ეკკლესია, რომელ ეკკლესიაც იმავ დროს „თეთრ წმინდა გიორგად“ წოდებულა. ვიყავ ამ ეკკლესიაშიც, კარის შესავლის ზემოდ, ერთს ქვაზედ მხედრულის ასოთი ამოჭრილია ეს მოხსენება მაშენებელის შესახებ.

„წ-დო დიდო მთავარ მოწამეო და ღვაწლ შემოსილო გიორგი, შეეხ მყავ მე მამა-პაპით მოსავსა შენსა ზაქარია სარაჯოვს,— ლუბერსკის სეკრეტრის დავითისასა და სახლეულობასა ჩემსა, რომელმანც აღვაგე წმინდა ტაძარი ესე საკუთარითა სიფასითა ჩემითა და შეეამკე ყოველთა სამკაულითა, წელს 1863-ს“

ამ წარწერიდამ სჩანს, რომ ზაქარიას მამა დავითი თავის დროის კვალად ლუბერსკი სეკრეტარი ყოფილა, ეს ცნობა წვენ საყურადღებოთ მიგვაჩნია, აქედან სჩანს, რომ ზაქარიას მამას მთავრობის ნაწილშიაც ჰქონია ადგილი და ხმა, უეჭველია იგი ამას მიიღებდა იმ დროს, როცა საქართველო რუსეთს ჩაბარდა და რუსნი შემოვიდნენ საქართველოში. სჩანს ეს პირი თავის დროის კვალად შემჩნეული პირი ყოფილა. თვით ზაქარია დავითის-ძე აქ, ამ ეკკლესიაში ასაფლავია, მას აქვს კარგი მარმარილოს ფიქალი და ზედ გახლავსთ შემდეგი წარწერა:

„ესე არს განსასვენებელი ჩემი, რომელი მთნაკს, ამას დაგემკვიდრო უკუნისამდე, ზაქარია დავითის-ძე სარაჯოვი, აღმაშენებელი ეკკლესიისა ამისა; შობიდამ 74 წლისა, გარდაგიცვალე 1880 წელს, 26 მაისს. აღმოჰკითხველთა ბეჭედრებით შენდობა ჰყავთ ჩემთვის.

ფიქალი ესე დაგსდევ სახსოვრად სიყვარულისა მისისა ჴირ-მშობელ ძმან მისმან დავით. საუკუნომცა არს ხსენება შენი საყვარელო მშობელო“.

ქართულის წარწერის შემდეგ მოყვანილია ეს რუსული წარწერა:

Здѣсь покоится прахъ-тѣла потомственнаго почетнаго гражданина Захарія Давидовича Сараджева скончавшагося 26-го мая 1880 года на 74 году отъ рожденія.

საფლავის ქვა და წარწერა დაცულია სუფთად, თითქოს დღეს ამოუჭრიად ასოებით. დილომში დიდმა, პატარა, ერთის სიტყვით ყველამ იცის, რომ თეთრ გიორგიში ასაფლავია ზაქარია სარაჯოვი. რომელსაც დილმელები დიდის ქება-დიდებით მოიგონებენ. ზაქარიას და მისი შვილის დავითის სახელი დილომში ყველა გლეხის ოჯახის ქალმა და კაცმა იცის და მათში ისე ლაპარაკი და მოგონება არ იქნება, რომ იქ ზაქარია ცხონებით არ მოიგონონ და დავითი დღეგრძელობით ალბათ ერთსაცა და მეორესაც დაუმსახურებიათ საქმით, რომ ერსაც დახსომებია იგინი. ასე უნდა იყოს.

ეს ეკლესია დილომში მეორე ეკლესია არის, იგი მიწერილია დილმის სამრევლო ეკლესიაზედ, ხოლო შემკობილია საეკლესიო ყოვლისფრით. წელიწადში ერთხელ დღესასწაულიც მოსდის, აქ მცხოვრებთ ლამის თევაც იციან, ლამის სათევი ოთახებიც აქვს დაკეთებული. ეკლესიაში ზაქარია დავითის-ძის მეტი სხვა არავინ ასაფლავია, ხალხის გარდმოცემის თანხმათ მტკიცდება, რომ დიახ ზაქარია სარაჯოვს დილომი და მის გლეხ-კაცობა კარგად უნდა ჰყვარებოდა, რომ თფილისის პირველ ხარისხოვანი მოქალაქე აქ დასაფლავდა. ამის გამოსვენება თფილისში დიდი ამბით მოხდა, თვით იმ დროის ახალი ეგზარხოსიც დაესწრო, თუმცა საერთო პატივი დიდი აგეს, ხოლო თფილისში არ დაკრძალეს. არამედ დილომს, თვისგან აშენებულ ეკლესიაში, შეულ-

ლე კი ამისი ელისაბედ სვიმონის ასული დასაფლავებულია კალოუბნის ეკკლესიაში.

საჭიროდ ვსთვლით აქ მოკლედ ვილაპარაკოთ ზაქარია დავითის-ძის შინაურს საქმეებზედაც. ზაქარიას დათიკო დიდათ ჰყვარებია, რადგანაც ამის მეტი სხვა ვაჟი არ ჰყოლია. მომსწრე და მნახველთ მიამბეს, რომ დავითმა გემნაზია რომ გაათავა და სხვაგან მიდიოდა სასწავლებლად, ზაქარიას არ ემეტებოდა, მაგრამ მეტი რა გზა აქვნდა, დათიკოს უნდოდა სწავლაო. სწავლის მიღების მნიშვნელობა ზაქარიასაც კარგად ესმოდა და თან ენატრებოდა დათიკოს სახელოვან კაცად გამოსვლაო. დათიკომ მგზავრობის დროს დიღმისკენ ამოიარა, აქ გზაში შეხვდა მამა და ნახაო, კარეტაში მგზავრებთან მჯდომი მიმავალი დათიკო რომ მამამ დაინახა, მან მაშინათვე ტირილი შექმნა, მაგრამ მალე გამოეთხოვა შვილს და აქეთ გამობრუნდაო. დათიკო კი გააქანა ეტლმაო.

ზაქარიას დიდათ ენატრებოდა შვილის განვითარება, სახელოვან კაცად გამოსვლა, ქვეყნის და ერისთვის სარგებლო მშრომლის მოვლენა. ელირსა მამას და შვილი ღირსეული პირი გამოუვიდა. შვილმა მამის ამაგი დააფასა და მიტომაც არის მამის საფლავის ქვაზე ასე მოხსენებული: — „ფიქალი ესე დადგ პირ-მშო შვილმა დავით თავის საყვარელ მშობელსა“. დედა დავით ზაქარიას ძისა ყოფილა შესანიშნავი მანდილოსანი და მარჯვენა მკლავი ზაქარიასი და მტკიცე ბურჯი ოჯახისა.

მოგეხსენებათ, რომ ძველად, საქართველოს ერის ოჯახი ძრიელი და ბედნიერი იყო ასეთის მძლავრის დედების შრომით. იგინი არ ჰგვანდნენ ჩვენს თანამედროვე ზოგთ გულგაცივებულ დედებს და დებს. ეს იყო ერთად ერთი ჩვენი ოჯახის ბედნიერება, რომ დათიკოს დედისთანა ქალებით ძველად უხვნი გახლდით და ყოველს მათს რიცხვს თან სდევდა მათი ცოდნა, მრავალნაირად დაწინაურება საოჯახო და საქვეყნო საქმეებში. ქართველი ქალის ძველი ლეჩაქი იყო ბაირაღი მის პირადი ღირსების და მცნების, რომ ქართველმა

დედამ ცხოვრებისთვის იცოდა ყოველივე კარგად, ჩინებულად და ზედ მიწევნით, მომსწრე და მცნობ კაცთაგანაც ასე გაგიგონია დავითიხ მშობლის ელისაბედ სიმონის ასულის შესახებ.

ჩვენ არც ისე გატაცებულნი ვართ, რომ ყველა ჩვენი ძველები ვაქოთ. არა, ურიგონი ძველადაც იყვნენ, და ეხლაც არიან, ასევე კარგნი ძველათაც იყვნენ და ეხლაც არიან. ამიტომ აქ ბოროტებას ნურაკინ დაგვწამებს. მაგრამ რაც შეეხება ზაქარია დავითის-ძის მეუღლეს, ეს კი, ქრმისავებ სამაგალითო თვისების ადამიანი ყოფილა.

მცნობთა სიტყვით: ძნელად, რომ დავით ზაქარიას-ძის მშობელს თვის თანამედროვე ქალებში ბევრი შესდარებოდაო. სახელოვანი ზაქარია სარაჯოვიც ბედნიერი იყო მით, რომ მას ოჯახში ჰყვანდა ისეთი სასარგებლო და სამაგალითო მეუღლეო. მოგეხსენებათ, რომ ოჯახის ბედნიერება და კეთილდღეობა დამოკიდებულია თვით ოჯახისავე დიასახლის მანდილოსანზედ, სადაც ეს არ გახლავსთ და ოჯახის უფროსი მოკლებულია ელისაბედ სიმონის ასულისთანა ღირსებას, იქ ოჯახის მომავალი ბედ-ილბალი სათუო გზაზეა დამდგარი. ბევრს ალაგას მომხდარა, რომ მამა პაპათაგან ფეხზე მდგარი საოჯახო საქმენი უხეირო ამხანაგთაგან პირქვე დამხობილა.

აქ კი, მადლობა ღმერთს, ელისაბედ სიმონის ასულის ცდით ზაქარია დავითის-ძის ოჯახი ასეთს ხვედრს ასცილებია, მისთვის ბედს წილად ურგუნებია ისეთი სამაგალითო ადამიანი, ისეთი მშვიდობის მოყვარე და ოჯახის ქომაგი და მოამაგე პატრონი როგორიც გახლდათ ელისაბედ სიმონის ასული სარაჯოვისა. ჭკვიან, ენერგიულ მხნე ზაქარიას რაკი ოჯახში მოეპოვებოდა ასეთი მტკიცე, კარგი, სასარგებლო მეუღლე, მიტომ მისი საოჯახო თუ საგარეო საქმენიც მტკიცე საძირკველზედ იდგნენ და მომავლის ცხოვრებისათვისაც დიდის სასარგებლოს ვითარებითაც სპეტაკდებოდნენ, ესე იგი აღორძინებას და წარმატებას ეძლეოდნენ, რის შედეგიც ცხადია ჩვენთვის და ამ სიცხადეს ნათლათაც გვიმტკიცებს აწინ-

დელი დავით სარაჯიშვილის საოჯახო საქმეთა სიმძლავრის ვითარება.

ზაქარია დავითის-ძეს, ამ მარად სახსოვარის ელისაბედ სიმონის ასულისაგან ჰყვანდა სამი შვილი: ერთი ვაჟი, აწ ჩვენგან კარგად ცნობილი დავით ზაქარიას-ძე—სარაჯიშვილი და ორიც ასული. ეკატერინე და მარიამი. ეკატერინე გახლავთ მეუღლე გენერალის ნიკოლოზ ერისთავის, რომელიც ერთ დროს ბათუმის გენერალ-გუბერნატორიც იყო და ირიცხებოდა ერთს საუკეთესო ქართველად, დღესაც ისეთივე გახლავსთ იგი. მარიამი—გახლავსთ მეუღლე დავით გიორგის-ძის ერისთავისა, ჩვენში კარგად ცნობილის მწერალ-მოღვაწის და „სამშობლოს“ დამწერის. დავით ერისთავი ჩვენში ისეა ცნობილი და აღწერილი, რომ აქ მასზედ რამის თქმა საჭირო არ არის. ვიტყვით კი, რომ ღირსეულს ოჯახს ღირსეული სიძეებიც ჰყვანდენ და ჰყავსთ კიდევაც, დავით ერისთავი გარდაიცვალა 1890 წ. 19 ოქტ. დასაფლავებულია თფილისის კალოუბნის ეკკლესიის გალავანში. აძევს ძეგლი ზედ წარწერით, რომელიც აღუგო მას ცოლის ძმა—დავითმა.

ელისაბედ სიმონის ასული იყო —სავანელისა, კარგი, ძველის აზნაურთ გვარის შთამომალი, მაინც მის დროს, დუშეთისაკენ დიდად იქებოდა და იდიდებოდა სიმონის ოჯახი. სადაც მაშინ იქითკენ ერთი და ორი კარგი ოჯახი გამოსჩნდებოდა, იქ მათ არც სიმონ სავანელის ოჯახი გამოაკლდებოდა. ელისაბედ სიმონის ასული აღზრდილი ყოფილა თავის დროის სათნოს კრძალულებით. ძველებურის ქართულის სიბრძნე გონიერებით აღვსილი, გაზდილი და განათლებული თვის დროის კვალად.

იგი დასაფლავებულია თფილისის კალოუბნის ეკკლესიაში. საფლავს აქვს მარმარილოს ქვაზედ—წარწერით, მაგრამ ქვის წარწერა სადღეისოდ ერთობ მიმქრალია, გადაღება ვეცადეთ, მაგრამ ვერ გავარჩიეთ კარგათ, ამიტომ არც მოვიყვანეთ აქ, საყდრის მოძღვარმა გადმომცა, რომ განსვენებულის

შვილებს წარწერის განახლება სურსთო. გვაუწყეს კვალად განსვენებულის ელისაბედ სიმონის ასულის შესახებ, რომ იგი დიდათ გონიერი ადამიანი იყოვო. სამაგალითო თვისების და დიდი მოსიყვარულე თავის შვილების და ნამეტურ დათიკოსიო. აღუსრულდა ნატვრა კარგს დედას და კარგი შვილიც გამოუვიდაო.

ზაქარია დავითის-ძე და ელისაბედ სიმონის ასული თავის დროს თფილისში იყვნენ ქებულნი და დიდებულნი, თვით ელისაბედ სიმონის ასულიც იყო გულ-მოწყალე და ქრმის მსგავსად ქველმოქმედების სიყვარულით აღვსილიო. ოჯახი იყო მათი მტკიცე და მკვიდრი, ეს სიმკვიდრე სხვა ქართველთ წინაშეც იმ დროს დიდს საყურადღებოდ იყო გამხდარიო. დავსძენთ, რომ დღესაც მრავალნი მცნობნი გადამეტებულის პატივის ცემით მოიხსენებენ როგორც ზაქარია დავითის-ძეს, ისე მის მეუღლე ელისაბედ სიმონის ასულს, მათ ბედნიერ მამათ და დედათ სთვლიან, რომ მათს ოჯახს გამოეზარდა სამაგალითო მოქალაქე შვილი—დავითი.

ჰეშმარიტად, ბედნიერია ის დედა თვით გარდაცვალების შემდეგაც, ვისი ძუძუები და ნაყოფიც ქვეყანას სასარგებლო კაცებს გაუზრდის, დიახ, ბედნიერია ელისაბედ სიმონის ასულიც, რომ მან თავის სამშობლო ქვეყანას და ერს სასარგებლო ძამულის შვილი გამოუზარდა. ჩვენისთანა ერისთვის დავით ზაქარიას-ძე დიდი მოვლენა არის და სამთლით საძებარი; ამას გვათქმევინებს მისი ცხოვრების ის ცნობები, რომელიც მის მოქმედების ასპარეზზედ ყოველ-დღე სრულდება. ამას გვათქმევინებს თვით ჩვენი წყალ-წალებული მდგომარეობაც.

ხალხის ცხოვრება და მათი წესების განკარგება და აღორძინება ითხოვს რიგიან, განათლებულ მუშაკთ და მოღვაწეთ რიცხვს. უამისოდ ყოვლად შეუძლებელია, რომ რომელიმე ერის ცხოვრება დაწინაურდეს და წავიდეს წინ, თუ მათ გულ შემატკივარ მეთაური—მოღვაწე კაცნი არა ჰყავსთ. ეს ცხადი

ჭეშმარიტება არის და ნამდვილი მაგალითი ქართველების ცხოვრებაში.

ქართველები დაქვეითებულნი ვართ მრავალნაირად, ჩვენ არა გვყავს მოწინავე კაცები, გულ-შემატკივარნი და გზის მაჩვენებელნი. არ გვყვანან ქველ მომქმედნი და ჩვენის ტომის ძეთა დამხმარენი დროსა და გარემოების კვალად. კაცები კი ბევრი გვყავს, ბევრნიც ვართ, მაგრამ მათში ჩვენის ქვეყნის გულ-შემატკივართ რიცხვი კი ერთობ მცირეა, დიდს თუ მცირეს ჩვენის ქვეყნის ცნობიერებით გული გარდაებანათ, მდიდრებსა თუ მოწინავე გვარიშვილებში ჩვენის ტომის ტრფიალების აღარაფერია დაშთენილი. მათ ქართულ ენაზედ ლაპარაკიც კი ეხამუშებათ. აღარავითარი საიმედო ნიშნების ჩვენში სადღეისოდ არა სჩანს რა. ყველას ხალისი და გული წამხდარი აქვს. ყველას სასოება წართმეული.

აი ამისთანა დროს, ამისთანა ერში და ასე დაქვეითებულთ შორის, ვიკითხოთ სინიდისის წინაშე, თუ რა მნიშვნელობის და ღირსების უნდა იყოს ისეთი პირი, როგორიც არის დავით ზაქარიას ძე. დავაკვირდეთ ჩვენის ნამუსის ქვეშ, გულზედ ხელი დავიდოთ და ისე ვილაპარაკოთ ჭეშმარიტებით. აქ ზიზღი, მტრობა და შური ნურავის გვექნება. პატიოსანის დედმამისაგან გამოზრდილ კაცმა ჩვენს გაწვალებულს და გათახსირებულს ცხოვრებაში გული არ გაიტეხა, მან თავის ენერგიით და სამრეწველოს საქმით, ბევრი რამ სახელოსნო, სამეურნეო და სავაჭრო მცნება გვასწავლა, რაც ჩვენს ეკონომიურად წინსვლას კარგს ქომაგობას უწევს. ამავე დროს, ესევე პირი არც თავის შინაგან ქვეყნის ეთნოგრაფიით და ისტორიის ცოდნით სდგას დაბლა, იგი სხვასავით არ არის მძრახველი თვისის ტომობის, ვინაობის და სხვა ასეთების, რომელთა მოთვლა აქ შორს წავა, ამითიც სამაგალითოა იგი და საყურადღებო, ვინაიდგან ბევრნაირ მაგალითებს გვაძლევს და თან ათას ნაირის მისწრაფებათა აღორძინებით გვამხნევებს.

დავით ზაქარიას-ძის სარაჯიშვილის აღებ-მიცემობას, საქარხნო საქმეებს და ფირმას ქართველ ერის ცხოვრებაში კარგი მნიშვნელობა აქვს, ნამეტურ მაგარ სასმელების სახდელს ასპარეზზედ. დიდი სახელოვნება, ანუ შესაფერი ღირსება აქვს მით უფრო, რადგანაც იგი მწიშვნელოვანია არა მარტო მით, რომ მან ფართო მნიშვნელობა მიანიჭა ადგილობრივ არყის და კონიაკის სახდელ ნივთიერებას, არამედ იგი საყურადღებო და სასახელოა მითაც, რომ მან მთელის რუსეთის იმპერიის აღებ მიცემის საქმეს პირში სული ჩაუდგა, მან იგი ევროპის მაგარ სასმელების ჭვემდებარებისაგან კარგად გაანთავისუფლა. საუწყებელია ისიც, რომ დავით ზაქარიას-ძის სარაჯიშვილის ენერგიულმა შრომამ, ცდამ და მეცნიერულად მომზადებამ დიდი ზე გავლენა იქონია კერძოთ ქართველ ერზედაც, მისის საშუალებით ბევრმა ქართველმა შეისწავლა შრომის ცდა, დაუცხრომელის მეცადინეობით არყის და კონიაკის ნაყოფის შემუშავება და რაც შეიძლება მეტი ნაყოფის გამოხდა—გამოტანა.

მეცნიერულად მომზადებულმა დავით ზაქარიას-ძემ, თავის შორს მხედველობის წყალობით და კაცთა ბუნების მარგებელ, ანუ შემრგო სასმელთა შემოღების და გავრცელების მხრითაც დიდი სიკეთე მოუტანა თვით საზოგადოებრივ საქმეთაც, ანუ კაცთა სიცოცხლის და ცხოვრების უვნებლობითაც. მოგეხსენებათ რომ მაგარი სასმელები თუ ბუნებით კარგი და შემრგო არ არის, უამისოთ იგი მრავალთათვის მავნებელიც იქნება სმის დროს და სიკეთის მაგიერ ვნებასაც მოიტანს, ეს ცხადი საქმეა და მეცნიერულადაც დასაბუთებული. დავით ზაქარიას-ძის სარაჯიშვილის სამრეწველო ქარხნების განვითარებამდის რუსეთში ვინ იცის არაყს როგორ ხდიდნენ, ხდიდნენ ისე რომ ოღონდ გაყიდულიყო, თორემ დანარჩენთან მათ საქმე არ აქვნდათ, იგი გინდ მავნე თვისებისა ყოფილიყოს კაცთათვის და გინდ შემრგო, ორივ ერთი იყო.

ამიტომაც ადრე მაგარ სასმელებს რუსეთში დიდი ვნებაც მოჰქონდა და ამ ვნებას ჯეროვნად არც არავინ აქცევდა ყურადღებას. დავით ზაქარიას-ძის მომზადებულმა ნიჭმა კი ამ სასარგებლო მხარესაც მისცა თვისი დასაწყისი და მან ისე დაიწყო სასმელების ხდა და გამოყვანა, რითაც მან იგი ყოველივე მავნებელის თვისებისაგან გაანთავისუფლა, ყველა სასმელს შემრგო, ნაყოფიერი თვისება მისცა, რამაც მისი სასმლები ხალხის წინაშე ერთი ათად წინ—წასწია, ალებ-მიცემითაც დაწინაურდა. საყურადღებოა ასეთი ღირსება და პატივსაცემი მითაც, რომ ეს გარემოება მრავალთ არყის მხდელთა წინაშე სახელმძღვანელოთაც დაშთა, მათ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს და თვისი სასმელებიც მავნე თვისებისაგან გაანთავისუფლეს, რაც დღეს ბევრგან ეს ცხადად სჩანს.

დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი განათლებული კაცია. მას თავის დროის კვალად ყველა მეცნიერება კარგად აქვს გაცნობილი და შესწავლილი და მასთან ის გარებოებაც, თუ ევროპაში, ნასწავლ ევროპიელნი როგორ ამზადებენ სხვა და სხვა ძვირფას სასმელებს, ასეთ საქმეთა ცოდნით სათქმელია, რომ ეს პირი მთელს რუსეთის იმპერიაში იშვიათი პირი უნდა იყოს, ამიტომაც გახლავსთ, რომ მისი სასმელები ასეთის შემრგო, უვნებლის თვისებისაც არის. ვიტყვი იმასაც, რომ დავით სარაჯიშვილის მაგარ ძვირფას სასმელების გამოხდის და განვითარების საქმეში მცოდნე ტოლი არამც თუ მთელს რუსეთში ეყოლება, არამედ იგი სახელოვნად გამოსჩნდება ბევრს ევროპის განათლებულ ერთა შორისაც, რასაც ეჭვი არ უნდა. ბავშვობაში კი ნუ ჩამომართმევთ და ესეც ერთი საქები ღირსება არის ქართველის ერისა, იმ ერისა, რომლის უნიჭობასაც მრავალნი მარცხნივ—მარჯვნივ ჰფანტავდენ და ავრცელებდნენ ხმა-მაღლა. დავით ზაქარიას-ძეს რომ აქვს თავის საგანში მეცნიერული ცოდნა და გამოცდილება, ამას ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ მას აქვს გერმანიაში მიღე-

ბული სწავლა და მასთან უმაღლესი სწავლის დიპლომიც, როგორც **დოქტორი** ქიმიისა.

ჩვენს გარეშე, თვით რუსეთის მთავრობისთვისაც მეტად სახელოვანი და საქები უნდა იყოს, რომ მას ჰყავს ასეთი განვითარებული ქვეშევრდომი კაცი, რომელიც თავის ცოდნით და ენერგიით თვით ევროპიელთ ხელოვან მცოდნეთაც არ ჩამოუვარდება, ამას გარდა აქვს კიდევ სხვა დიდი ღირსება და მნიშვნელობა რუსეთის მთავრობის და ერისთვისაც, ეს დიდი მნიშვნელობა გახლავსთ ის გარემოება და პირობები, რომ დავით ზაქარიას-ძის სარაჯიშვილის აღებ-მიცემის დაწყებით რუსეთში იწყება სრულიად ახალი ხანა და დასაწყისი რიგიან სასმელთა დასაწყისისა. ამის სასმელები სახელოვან არის არამც თუ მარტოდ კავკასიაში, არამედ ყველგან, ევროპას და რუსეთის დიდრონ ქალაქებშიაც, რადგანაც აქა ხდიან ყველაფერს კარგად, ჩინებულად და სპეციალურად, რაც ყველგან იშვიათი გახლავსთ და მასთან საყურადღებოც.

რაც შეეხება ქარხნებში ყველა ნაირ სასმელთა იარაღებს, ესენიც ჩინებული იარაღები და მანქანების არის, საუკეთესოს თვისების, ანუ კარგის სისტემის, კარგის სანაქებო მცოდნე კაცთაგან გამოგონებულების, რომელთაც სიკარგით და სხვა ამ გვარებით, მათზე უკეთესი მთელს ევროპაში სხვა არაფერი მოიპოვება. ყოველი უბრალო რამ ნივთი თუ იარაღიც კი, რომელნიც ემსახურებიან არყის გამოხდის საქმეს, შესდგებიან სულ პირველ ხარისხის იარაღისაგან, გარდა ამისა დავით ზაქარიას-ძეს დიდი ყურადღება აქვს მიპყრობილი იმაზედაც, რომ მთელს ევროპაში თუ ვინმემ რამე ახალი წესი შემოიღო არყეულობის სახდელათ, ანუ რამე ახალი სისტემის იარაღი და მანქანა მოიგონა, ამაებსაც იგი მალე შეიძენს და დაუწყებს იმ წესით და სწავლით შემუშავებას და ხდას, როგორც მცოდნე სპეციალისტსაც ექმნება აღნუსხული.

რაც შეეხება ახალ რამე იარაღის მოხმარების ოსტატობას და ცოდნას, ამაშიაც დავით ზაქარიას-ძე არის უცდომე-

ლი, იგი თავის საგანში ისეა მომზადებული, რომ მას ძნელათ შესცდეს რამე საქმე, ამას გარდა თვით მოსამსახურე პირნიც თავთავის ალაგას ისეთი მცოდნე კაცები ჰყავს დაყენებული, რომელთაც იშვიათად რომ რამე შეცდომა მოუხდესთ და, რამეში შესცდნენ. ასეთ პირთა შერჩევას, ცოდნას და სამსახურსაც რასაკვირველია თავისებური მეცნიერული ოსტატობა უნდა, სპეციალისტობა უფროსისა და ფრთხილი ზედა-მხედველობა, რაც გინდ კარგი, სპეციალურად მომზადებული მორჩილი მოსამსახურენი ჰყვანდნენ, მაინც ფრთხილი ზედამხედველობა ყოველთვის მოუნდება, მცოდნე პატრონი და მერე ისიც ისეთი პირი როგორი მცოდნეც გახლავსთ დავით ზაქარიას-ძე, აბა ეს თავის ენერგიულს და მეცნიერულს შრომას და ზედამხედველობას როგორ მოაკლებს როგორც თავის ქარხნების საქმეებს, ისევე თავის თანაშემწეთ და მოსამსახურეებსაც.

ყოველ სიკარგეს და შნოს გარეშე, დავით ზაქარიას-ძე გახლავსთ სანაქებო მითაც, რომ მის ქარხნებში მოიპოვება საუკეთესო ჭურჭელი არყისა, მაგალითებრ ბოჭკები მრავლად, რაც საჭირო არის, მასთანვე კარგად გაკეთებულნი, სარგოთ გამოყენებულნი, ისე მოწყობილნი სასმელს რაც თავის დღეში არ გააფუჭებს, ფერს, ან გემოს არ შეუცვლის, ასეთ ბოჭკების შენახვასაც რასაკვირველია თავისებური ცოდნა სჭირია და მოვლა-პატრონობა და თუ მას მეცნიერულად მომზადებული პატრონი არა ჰყავს, მაშინ უამისოდ ძრიელ ადვილად შეიძლება რომ ბოჭკა თვით უბრალო გარეცხა რა არის, თვით ამითაც კი ადვილია წახდეს საქმე და გაფუჭდეს ყველაფერი, მაგრამ აქ ეს არ ხდება, რადგანაც ყველა ასეთ საქმეებს მცოდნე პატრონის ყურადღება აქვს მიპყრობილი და ასეთი პატრონობაც არის წმინდათ მეცნიერული, სუფთა და სამაგალითო სხვათა წინაშეც, ნამეტურ იმათთვის, ვინც ასეთ საქმის წარმოებას მისდევენ.

ასეთ დიდრონ ჭურჭელთა გარდა, რასაკვირველია დიდი

მნიშვნელობა უნდა მიეცეს თვით მინის ჭურჭელთაც, ანუ სხვა და სხვა ნაირ ბოთლებს და ასეთსაც სხვა მრავალთა, რომლებშიაც ისხმება სასმელები და იგზავნება სხვა და სხვა ქვეყნის მაღაზიებში გასასყიდათ, ამასაც რასაკვირველია თავისებური ცოდნა სჭირია და მცოდნე კაცის ზედამხედველობა და პატრონობა. ასეთ საქმეებშიაც დავით ზაქარიას-ძე არის მცოდნე და მომზადებული, როგორც მეცნიერი ქიმიკოსი, მან კარგად იცის ყოველი სასმელის თვისება, ძალა და ვითარება და ისიც, თუ რომელ სასმელს რა ყალიბის და რა სისტემის მინის ბოთლი მოუხდება, რომელს რა გვარი ბოთლი შეინახავს ჩინებულად და უვნებლად, ამიტომაც მისი მრავალ ნაირი სასმელები ისხმება სულ სხვა და სხვა ნაირს ბოთლებში, თავ-თავის შესაფერში, ისე რომ ზოგს ბოთლში ათეულის წლებითაც რომ დარჩეს სასმელი, იგი მით არ გაფუჭდება და ყოველთვის სუფთად იქმნება შენახული. ამასაც რასაკვირველია არა მცირედი შნო მოუნდება და გამჭრიახობა, თუ არ მცოდნე პირის ხელი, უამისოდ შეურჩეველ და შეუფერებელ ჭურჭელთაგან შეიძლება ძრიელ მალე და ძრიელ ადვილად გაფუჭდეს ძვირფასი სასმელი, მაგრამ აქაც რასაკვირველია მცოდნე დავით ზაქარიას-ძის სარაჯიშვილის წყალობით ყოველივე მოსპობილია და განდევნილი, რაც თვით საზოგადოებისთვისაც არის სასარგებლო და მნიშვნელოვანი.

რაც შეეხება სასმელების რიცხვს და გემოს, ესეც არის მრავალნაირის თვისების. მრავალნაირის გემოსი და მათ ფეროვნებასაც ხომ რიცხვი არა აქვს. ყოველ სასმელს აქვს მიცემული თავის შესაფერი სიტკბო და ფერი. დავით სარაჯიშვილის ქარხნებში ისხმება მრავალ ნაირი სასმელები, მათი მოთვლა ჩვენგან აქ შეუძლებელია, რადგანაც ჩვენ ყველა ამ სასმელების სახელებიც არ ვიცით და თუ რამეს ვსწერთ, ამასაც თვალით ნახულს და გაცნობილს, თორემ ძნელად რომ ისეთი კაცი იქმნეს ჩვენში, რომ მან ყველა იმ

ძვირფას სასმელების სახელები იცოდეს, რაც კი დავით სარაჯიშვილის ქარხნებში იხდება და კეთდება. ყველა სასმელების სახელების ცოდნა და დახსომება ჩვენ კი არა და თვით იმ პირთაც კი უძნელდებათ, რომელნიც სადმე მაღაზიაში სხედან და დავით სარაჯიშვილის სასმელებით ვაჭრობენ, ბევრს სასმელს აქვს ჩინებული გემო, ჩვენთვის მუიხვედრი და მიუწდომი, რასაც იშვიათად რომ შეხვდეთ სადმე. ასეთ საქმეებსაც რასაკვირველია აქვს თავის შესაფერი ფასი. არც მეტი, არც ნაკლები, ყოველივე კანონიერად განსაზღვრული, ისე რაც კი განათლებულ კაცის შნოსა და პატიოსნებას მოეთხოვება.

ვიტყვით იმასაც რომ ამაშიაც რასაკვირველია მცოდნე კაცის მარჯვენა არის საჭირო და მასთან დიდი ადამიანური ღირსება, თორემ არიან ისეთნიც, რომელნიც ფასს ადებენ იმდენს რამდენიც სურთ და ენატრებათ, ანუ რამდენიც ენებებათ. ეს კი რასაკვირველია არ არის კარგი და სავაჭრო საქმესაც აფერხებს, ერთის მხრით მუშტარს უძნელებს საქმეს და მეორეს მხრით თვით სასმელთა გასაღებასაც ამოკლებს, ამიტომ აქ ესეც საყურადღებოა, რომ ამაშიაც დ. ზ. სარაჯიშვილი არის მცოდნე, ზომიერი კანონმდებელი და ფასების ისე დამდგენი, სადაც კაცი უკანონოდ დადგენილ ფასისას ვერას შენიშნავს, ამიტომაც გახლავსთ, რომ თვით საზოგადოებაც ამ პირის მიერ დადგენილ სასმელთა ფასებს პატიოსანის თვალით უმზერის, არავინ არსად რას ლაპარაკობს ყიდვის დროს და ყოველივეს იხდიან ისე როგორც შეჰფერის განათლებულ კაცის საქმეს, ანუ ევროპიულს პატიოსნურს აღებმიცემას, ვიტყვით იმასაც, რომ ასეთი პატივისცემა და ნდობა სხვა ფირმების სასმელებს კი ძრიელ ხშირათ აქვსთ მოკლებული საზოგადოების თვალში და მიტომ მათს გვერდით ყოველთვის ჩარჩული ლაპარაკი სწარმოებს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამდენ სხვა და სხვა ნაირ სასმლის შომზადებასაც დიდი ცოდნა უნდა, მე ამისი

სულ არა ვიცი რა, შეიძლება ევროპიულს ენებზედ ყველა ამ სასმელებთა გაკეთების და გამოსახდელის სახელმძღვანელოებიც არის, როგორც მაგალითებრ „სამზარეულო“-ს წიგნი, ღვინის დაყენების და რძის მოხმარების, ესეც შეიძლება. მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ მაინც აქ და ისიც ჩვენში ევროპიული სახელმძღვანელოები არ გამოდგება, ვგონებთ ასეთ საქმეთა შესრულების დროს, თვით მცოდნე კაცთა გამოცდილებას უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს, ვინემც უცოდინარ კაცთაგან ხელში წიგნის დაკავებას და იმითი საქმეების კეთებას, ხშირად მომხდარა და მოხდება კიდევაც, რომ უცოდინარ კაცს წიგნის ყურების საშუალებით საქმე გაფუჭებია, თვით უცოდინარ მზარეულს რამდენჯერ გაჰფუჭებია საჭმელი წიგნის საშუალებით მომზადების დროს.

ასევე რასაკვირველია სასმელების ასპარეზზედაც ხშირად მოხდება ეს და უფრო ადვილათაც, რადგანაც ზოგ სასმელთა თვისება ისეთი ნაზია და ისეთი სპეტაკი, რომ მას მცირე რამ შეუფერებლად შეზავება თუ სხვა ასეთნი უცბათ გადაასხვაფერებს, გააფუჭებს და მით პატრონსაც ეზარალება, ცალკე დრო დაეკარგება, რაღა ფიქრი უნდა, რომ ამ ნაწილშიაც დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილს არა მცირედი ცოდნის შეძენა დასჭირდებოდა, არა მცირედი მომზადება და ღრმად დაკვირვება და შესწავლა საგნისა. ეს რომ ასეა ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც მას თვალთ საჩინოდ აჩენენ თვით სასმელების სიმრავლე, თვით მათი მრავალ ფეროვან და მრავალ გემოვან ღირსება, სიკარგე და იშვიათობა, ასეთ ძვირფას სასმელებთა რიცხვი დავით ზაქარიას-ძის ფირმაში იმოდენა არის და იმ ზომის, რომ მას თუ არ კარგად და ღრმად განათლებული კაცი და ზედ მიწევნით მცოდნე სხვა და სხვა მეცნიერების და ნამეტურ ქიმიის, ძნელად რომ უამისოდ ვინმემ რამე შესძლოს და მოახერხოს. უნდა ვსთქვათ, რომ ამაების ცოდნითაც უხვათ არის დაჯილდოებული დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი.

შეიძლება ასეთ საქმეთა აღსრულებისთვის დავით სარაჯიშვილს თავის ქარხნებში სხვა და სხვა მცოდნე პირნი და ოსტატებიც ჰყავს დაკავებული, ესეც შეიძლება, უამისობა რასაკვირველია არ იქმნება, ხოლო ისიც კი უნდა ითქვას, რომ რაც გინდ ოსტატები ჰყვანდესთ და რაც გინდ მცოდნე პირნი, მაინც იგინი უპატრონოდ ვერაფერს გააკეთებენ და ხშირად საქმესაც წაახდენენ, ისიც ჩვენ დროში, როცა კაცის მტრობა, ჯიბრი, შუღლი და მოწინავე მექარხნეთა ზიზღი ხალხში უმეცრულად და გაუგებრად არის დანერგული და ხშირათ ერთი უბრალო რამ საქმის, ანუ უთანხმოების გამო კაცს ღუპავენ და აფუჭებენ, რასაკვირველია და ამას არც ეჭვი უნდა, რომ ძრიელ ხშირად და ძრიელ ადვილად წაახდენენ საქმეს, მაგრამ იქ კი ეს არ მოხდება ისე ადვილად, სადაც საქმეს აწარმოებს და ზედამხედველობს შორს მხედველი და კარგი ენერგიის პატრონი; ჩვენ აქ დ. ზ. სარაჯიშვილის ცოდნაზედ დაწვრილებით ვერ ვილაპარაკებთ, ეს არ არის საჭირო, ხოლო თვით საქმის არსებობა და წარმოება აჩენს კარგად, რომ ამოდოლა საქმეს, სხვა და სხვა თვისების სასმელთა მომზადებას და კეთებას ვერავინ მოახერხებს, თუ არ მცოდნე კაცი და კარგად მომზადებულ-განათლებული.

ვინც კი დავით სარაჯიშვილის ფირმის სხვა და სხვა სასმელთა რიცხვს ნახავს, ის მაშინ ჩვენს თქმულებაზედ ცხადად დარწმუნდება. ამაზედ ეჭვი არ მოუნდება. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ბბა უცოდინარი კაცი განა თავის სასმელებით ევროპაში თავს გამოიჩენდა, იქ განა თავს გამოჰყობდა სადმე!? რასაკვირველია არა, მაგრამ როგორც ვიცით და ამას თვით დ. ზ. სარაჯიშვილის ფირმის ისტორიული ცნობებიც გვაუწყებს, იგი მრავალ-გზის თვით ევროპის უპირველეს ქალაქების გამოფენაზედაც კი თამამად წამდგარა და წარუდგენია თავისი ნაწარმოები, რისთვისაც იქ მას მადლობა და პატივიც მიულია, თან რამე ნიშანიც შესახებ მისის საქმის ცოდნის და ნიჭიერების. ვიტყვი თამამად, რომ ესეთი კაცი

ქართველის ერისათვის უნდა იყოს საკვირველი მოვლენა და თან სამედიდუროც, ასეთ ჭირთა ცხოვრების და მოქმედების ცნობები ყოველთვის ასულდგმულებს გულ-დათუთქულ მამულის შვილის სიძაბუნეს და უიმედობას... ეს კი ჩვენი ცოცხალი იმედია, სულის ძლიერება და აი ამის მაგალითები:

პარისის გამოფენიდამ 1889 წ. მიიღო ორი ვერცხლის მენდალი. ვგონებთ ეს პირველი მაგალითი არის, რომ ქართველი კაცი ევროპის პირველ ხარისხოვან ქალაქში წარსდგა თავის საქმით და იქიდამ მადლობაც მიიღო.

ამერიკის ქ. კოლუმბოს გამოფენის გამგეობისაგან 1893 წ. ჩიკაგოდამ მიიღო ბრონძის მენდალი. ასეთის უშორესის და მასთან მოქალაქურის რესპუბლიკის ხალხიდამ ეს ბრონძის მედალიც დიდი საქმე არის და იგი ოქროს უნდა შეედაროს ჩვენის მხრით. იქ საქმე და ცოდნა დაფასებით ფასდება და არა ოქრო მარგალიტითა.

პარისის გამოფენიდამ 1890 წ. მიიღო ოქროს მედალი კერძოდ კონიაკის უმაღლეს ღირსებისათვის. ამავე გამოფენიდამ მანვე მიიღო ოქროს მენდალი ლეკიორის ღირსებისათვის. ვგონებთ ესენიც კარგად გამოაჩენენ დ. ზ. სარაჯიშვილის შნოს, ენერგიას და ღირსებას თავის საქმის ასპარეზზედ. ვიტყვით იმასაც, რომ ამის სასმელები არამც თუ მარტოდ აქ ხსენებულ ქალაქებში იყო ცნობილი და მოფენილი, არამედ ამის სასმელები გატანილია და მოფენილი მთელს ევროპის უპირველეს ქალაქებში: ლონდონს, ბერლინს, ვენას, ჟენევასა, კონსტანტინეპოლს და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა ევროპის ქალაქებს და ადგილებში. ამ ქალაქებთა მაღაზიებში კაცი ხშირად შეხვდება დ. ზ. სარაჯიშვილის ფირმის ხსენებას.

ვიტყვით, რომ ეს მაგალითიც ქართველის კაცისაგან სახელოვანი საქმეა ევროპაში, ამიტომ ჩვენ ეს მეტად საქებრად და სასახელოდაც მიგვაჩნია ჩვენის გვარის და ქვეყნისთვის, ასეთის განათლებული კაცის ჭკვიანური საქმით თავის

გამოჩენა ევროპაში დიდი საქმე უნდა იყოს ქართველის ერისთვის. დავსძენთ აქ იმასაც, რომ დ. ზ. სარაჯიშვილს რუსეთის პირველ სატახტო ქალაქებშიც მომხდარ გამოფენებიდამაც აქვს სხვა და სხვა დროს სამადლობელო დიპლომები და მენდლები მიღებული.

პეტერბურგიდან: სრულიად რუსეთის პირველ ჰიგენიურის გამოფენის გამგეობისაგან 1894 წ. მიიღო ვერცხლის მენდალი.

ყაზანიდამ: მეცნიერულ სავაჭრო, ანუ საალებ-მიცემო გამოფენის გამგეობისაგან 1890 წ. მიიღო დიპლომი ოქროს მენდლით.

ნოვგოროდიდამ: სრულიად რუსეთის გამოფენის გამგეობისაგან 1896 წ. მიიღო ოქროს მენდალი.

ჩვენ აქ ეს სამი ქალაქის გამოფენათა ცნობები მოვიყვანეთ, აქ ესეც კმარა, ვიტყვი კი იმასაც, რომ ამ ქალაქებს გარდა დ. ზ. სარაჯიშვილს რუსეთის სხვა დიდრონის ქალაქებიდამაც მრავალი მადლობის ცნობები მიუღია. თვით უმაღლეს სახელმწიფო კაცებთაგანაც და მასთან თვით რუსეთის საგვარეულო წევრთაგანაც, რომელთაც ყოველთვის საქებურად უღიარებიათ თვისის ქვეშევრდომის ასეთი ნიჭიერება, შნო და უნარი, რომ ამ პირს თავის ნაყოფით ევროპის ერთა შორის ესახელებია თვით რუსეთის მთავრობის და ერის შნო და ცოდნის ძალა ასეთ საქმეთა ასპარეზზედ. ესეც რა-საკვირველია მეტი სახელია ჩვენთვის, ესე იგი ქართველებისთვის.

შესანიშნავია ისიც, რომ მთელს რუსეთის უდიდეს ქალაქებში დ. ზ. სარაჯიშვილს აქვს დახსნილი თვისი საკუთარი მაღაზიებიც, მაგალითებრ: პეტერბურგს, რიგას, ნოვგოროდს, მოსკოვს, ვარშავს, ხარკოვს, კალარაშს, როსტოვს, ყიზლარს, პეტროვსკს, ვლადიკავკაზს, თბილისს ორს სამს ალაგას, ერევანს, ბაქოს. აქ ეს ჩვენ მარტოდ მაღაზიები მოვიხსენეთ, სადაც ბოთლებით და ბოჭკებითაც ისყიდება სასმელი.

ამ მაღაზიებიდამ მრავლად ყიდულობენ სხვა და სხვა ვაჭრებიც ბოთლობით ყველა ნაირს სასმელებს და თვის მაღაზიებში ჰყიდიან, ასეთ მაღაზიებისას კაცი თითქმის რუსეთის ყველა დიდსა და პატარა ქალაქებში ნახავს, სადაც ყველგან სახელოვნებს დ. ზაქარიას-ძის სახელი და ფირმა.

ამ ბოლოს დროს, დავით სარაჯოვის ბაქოს მაღაზიიდამ მრავლად დაუწევიათ გატანა სხვა და სხვა სასმელები სპარსეთში, ბუხარას და სხვა ასეთ აღმოსავლეთიმ ქვეყნებშიაც. თვით კავკასიაში და კერძოთ საქართველოში, თუმცა დ. ზ. სარაჯიშვილის სასმელთა სავაჭრო მაღაზიები მარტოდ თბილისს, ბაქოს და ერევანს არსებობს, უნდა ვსთქვათ ისიც, რომ ამ ქალაქებთა გარდა ამავე ფირმის სასმელებს კაცი ნახავს ყველა სამაზრო და საგუბერნიო ქალაქებშიაც, ზოგან მთელს მაღაზიას, როგორც მაგალითებრ ქუთაისს, ბათუმს, ფოთს, სოხუმს, გორს, თელავს, სიღნაღს, განჯას, და სხვა განაც მრავლად. ყველას მოთვლა აქ შორს წავა. ეს არც არის საჭირო, ვინაიდგან თვით ფირმის ასე ხალხში მოფენა და გავრცელებაც ამტკიცებს. საქართველოში ყველა ქართველმა და მასთან რუსმა, სომეხმა, თითქმის ყველამ იცის დავით ზ. სარაჯოვის სახელი და ფირმის ცნობა. საქართველოში თვით ქალებმაც იციან სარაჯოვის სახელი. ეს ხომ ცხადია, ამას ხომ მტკიცება არ უნდა. ამ XIX საუკუნის გასვლამდის, იშვიათად, რომ ასეთის სახელოვანის ღირსებისათვის სხვა რომელიმე ქართველ კაცის ფირმას მიეღწიოს. ესეც ერთი დარგია კაცის ბედნიერების და ნიჭის, ჩვენთვის ქართველებისთვის ხომ მას აქვს სახელოსნო და საქარხნო დიდი მნიშვნელობა და პატივი, ვინაიდგან დ. ზ. სარაჯიშვილის შნო და უნარი მრავალს ქართველს გამოაფხიზლებს, მრავალს აუხელს დაძინებულს თვალებს, მრავალს გაამხნევებს შრომის მეცადინეობის სიყვარულით, ბევრს გამოიყვანს ცხოვრების ასპარეზზედ მისებურად მოქმედებისთვის, ესეც ერთი საამაგდარო ღირსება გახლავთ.

ასეთის ნიჭიერის კაცის საალებ-მიცემო მოქმედებით უნდა იდღესასწაულოს ქართველმა ერმა საერთოდ და ნამეტურ იმ პირთა, ვინც აღებ-მიცემას მისდევენ საქარხნო და სამრეწველო საქმეებს და სხვანი. ვგონებთ ჩვენთვის საკმარისი უნდა იყოს ასეთ პირის მოღვაწეობას სამახსოვროდ რამე დღესასწაული დღის დანიშვნა და საერთოთ პატივის ცემით გადახდა. სამაგიერო მადლობის. ესეთი მადლობა ჩვენგან რა უნდა იყოს, არაფერი, მას დიდი რამ შრომა და ხარჯი არ მოუნდება, რაც მოუნდება და რა შრომასაც დავხარჯამთ, იგი იქმნება საფუძვლიანი საქმის წინაშე სამაგიეროს გადახდის და მასთან მის გამოჩენაც, რომ ჩვენ, ქართველებს შეგვძლებია ისეთ კაცთა დაუვიწყარ შრომის დაფასება და პატივი, როგორიც გახლავსთ დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი.

ამას მოითხოვს განათლებულ ხალხთა ვალდებულება, ჩვენი ზნეობითი მხარეები და იმ ვალის გადახდა, რისაც მოვალეა მთელი განათლებული ქართველობა, მასთან რუსობა და სომხობაც, რადგანაც ამ პირის საქმიანობით სარგებლობენ არა მარტო ქართველნი, არამედ სომეხნი, რუსნი და სხვა ტომისანიც. იქნება დავით ზაქარიას-ძემ ასეთ პატივისცემის გადახდა არც კი მოინდომოს, ვინ იცის, ყველაფერი შეიძლება, იქმნება ამისთვის ზედაც არ შემოგვხედოს, მაგრამ არა, ჩვენ მაინც იგი არ უნდა დავსტოვოთ, უნდა მოვახერხოთ და მით დაუმტკიცოთ, რომ ჩვენც ხალხი ვართ, თვალხილულნი, მივსდევთ განვითარებას, პროგრესიულად აღორძინებას და მასთანვე ვაფასებთ ყველა ჩვენს ტომის კაცთა საპატიო სიმპატიურს შრომას, ენერგიას და სახელოვან საქმეთა წარმოების არსებობას, რასაც ჩვენის ტომისთვისაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, ეკონომიურ მნიშვნელობას გარდა იგივე დიდი გარე საკიდელაც არის ჩვენის ტომის შვილთა ნიჭიერების და მოქმედებისთვის, რაშიაც აქამდისინ მრავალნი უშნოთ და ულაზათოდაც გვთვლიდნენ.

ჩვენს ეკონომიურს და სამრეწველო ასპარეზზედ, რომ და-

ვით ზაქარიას-ძე მნიშვნელოვანი პირია, დიდი ნაყოფის დამთესი, ეს ცხადია იმათთვის, ვისაც სმენა და თვალთ ხილვა აქვს, ჩვენს სამშობლოს გარდა იგი მთელს რუსეთშიაც კი საყურადღებო და ღირსია იმ პატივისცემის, რაც ჩვენ გავაცხადეთ ზემოთ, ამას დაასაბუთებენ თვით საქმის არსებობის ვითარება, თვით ცოცხალი და აღწონავი მაგალითები, ესე იგი ხსენებულ საქმეთა არსებობის დედა-ბოძნი, საქმის საძირკველი და ნიადაგნი, ანუ საქარხნო საქმენი და ქარხნები, მაშ მოვიხსენებთ ამასაც იმ კვალად, როგორც ძალგვიძს და ცნობები გვაქვს მისი.

დავით ზაქარიას-ძეს აი სადა და სად აქვს თვისი სამუშაო ქარხნები დახსნილი, რომელთა ვითარება ჩვენ კარგად არ ვიცით, ამისთვის არც აღწერის კანონიერი შნო და ცოდნა გვაქვს, არც სპეციალური მიხვედრა და არცარა ბევრი სხვა რამ, რაისთვისაც ვიხდით დიდს ბოდიშს, ეს თუ დავწერეთ იმიტომ კი არა, რომ ამით ვისიმე გული მოგვეგო და რამე გვეთქვა, არამედ დავსწერეთ მიტომ, რადგანაც მე ჩემათ ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს, თუმც მერიდებოდა. მაგრამ მაინც გავბედე კდემით ჩემი პატივისცემა და სალამი. დავით ზაქარიას-ძის შრომანი ამაზედ მეტის პატივისცემის ღირსიც არის, მაგრამ ეს დროებით ასე გახლდესთ, უეჭველია შემდეგში სხვა იქმნება, ვინაიდგან მისი ბიოგრაფია მდიდარია სხვა და სხვა ღირსეულის ცნობებით.

ვლადიკავკაზის ქარხანა. დაარსებული 1885 წ. არსებობს ვლადიკავკაზის მახლობლად, ოთხი ვერსის მანძილზედ, საკუთარს შენობაში, მშვენიერს, მოწყობილს და ყველაფრით მოხდენილს კუთხეში, სადაც წყაროებიც მრავალია, ჰავა კარგი, ნაყოფიერი და უვნო მით უფრო, რადგანაც ქარხანას გარს აკრავს მშვენიერი ბაღები და მრავლად თავისუფალი სახნავი მიწები, ქარხანას და ყველა ამ ადგილების სივრცე შეადგენს 75 დესეტინას, ქარხანა წელიწადში მუშაობს 8-დამ 10 თვემდე. აქ თურმე სასმელების სახდელად

წელიწადში ხმარდება 200,000 ფუთი სიმინდი და 500,000 ფუთამდის ქერი. აქ გამოჰყავსთ მაგარი კარგი სასმელები მრავლად, რომლის ზოგი თვით კავკავში საღდება, ზოგი თბილისში და ზოგიც ჩრდილოეთს კავკაზში. სიმინდს და ქერს ყიდულობენ თერგის ოლქში, ისე კი არა, როგორც ეს სხვა და სხვა ჩარჩებმა იციან წატაცვით და წაგლეჯით, არამედ იმ მაზანდით, როგორც ფასი ექნება ერთსაც და მეორესაც. იქაურ გლეხთათვის თუ როგორი მნიშვნელობა ექმნება ამას, ვგონებთ ეჭვი არ უნდა.

ქარხნებში მოწყობილია სამუშაოდ საუკეთესო სისტემის მანქანები და აპარატები, თითქმის პირველ ხარისხოვანის და ერთი მეორეზედ უკეთესების. სპირტეულობაც ამიტომ არის კარგის თვისების, ასეთ ღირსეულ ძვირფას და ევროპიულ მანქანათა გარეშე, ამავე ქარხნის მახლობლად არის არყის სახდელთა გამო სიმინდის და ქერის გასარეცხი, გასაშრობი, მასთანვე წისქვილები, ამასთან სამუშავო საბონდერო, სლესრის ქარხანა, სამჭედლო, სანალბანდო და მასთანვე დიდი შენობა მუშათა და იქ მშრომელთა თავ-შესაფარად. ყოველივე ესენი მოწყობილია თურმე ჩინებილად და ლამაზად, ისე რომ იგი თავის მოწყობილობით არავის ვნებს და სწყენს. მუშათა რიცხვი აქ თურმე საკმარის რიცხვს შეადგენს. ჩვენ ვლადიკავკაზის ქარხანა არ გვინახავს. მაგრამ მის ნაცვლად კავკაველ ქართველებთან გვქონია ამაზედ ლაპარაკი და მათ თავ მოწონებით უხსენებიათ როგორც ქარხანა და მისი ავ-კარგიანობა, ისევე დავით ზაქარიას-ძის სარაჯიშვილის სახელი და გვარი. სთქვეს მრავალთა: რომ დ. ზ. სახელი კავკავის ქართველებისთვის დიდს სიხარულს შეადგენსო. ვიტყვით აქ იმასაც, რომ ამ ქარხანის ნახვით ადრე, აღარც კი მახსოვს და დიდათ დამტკბარიყო ჩვენს მწერლობაში კარგად ცნობილი მანდილოსან ეკატერინე გაბაშვილისა, რომელმაც ხსენებული ქარხანა აღწერა კიდეც, მისი აღწერა „ივერია“-ში დაიბეჭდა. ამ მწერალ ქალის აღტაცებას საზღვარი არ

აქვნდა დავით ზაქარიას-ძის სარაჯიშვილის ენერგიულად და კარგად მოწყობილ ქარხნის შესახებს. ეს მწერალი აღტაცებით მოიხსენებდა ხსენებულ ქარხანას და დავით სარაჯიშვილის ენერგიულს შრომას.*) კარგად აღარ მახსოვს ეს წერილი როდის და სად დაიბეჭდა, თორემ აქ -მას მთლად მოვიყვანდი. იმედია რომ მკითხველი ჩვენს ცნობასაც ირწმუნებს და ყოველივეს ჭეშმარიტებად სცნობს.

2, ვლადიკავკაზის ქარხანა. დაარსებულია 1886 წ. აქ ასუფთავებენ სპირტეულობას. არსებობს ვლადიკავკაზის მეორე ნაბერეჟნის ქუჩაზედ, მოწყობილია საუკეთესო აპარატებით, პირველ ხარისხოვანებით, რომელნიც საუკეთესოდ და ჩინებულად ასუფთავებენ ყოველივეს. აქ წლიურად გამოჰყავსთ თურმე 2,500,000-დამ 3,000,000-მდე სხვა და სხვა ნაირი კარგი სასმელები, რომელთა უმეტესიც საღდება იქვე თერგის ოლქში. როგორც ერთის ქარხანაში, ისევე მეორეშიც სასმელების სახდელად ჰყავს საუკეთესოდ მომზადებული მუშები, სპეციალისტ ხელოსნები და სხვანი, რომელთაც ესმით კარგად თავიანთი ვალდებულება. ამათს ზედამხედველებათაც არიან მცოდნე კაცნი, რომელთაც სუფდად უჭირავთ სასმელების ჭურჭელნი, გადაღების, ჩამოსხმის და სხვა ასეთ საქმეებსაც ჩინებულად ადევნებენ თვალ-ყურს, თუ ეს ასე არა, უამისოდ არყეულობას თურმე ისეთი თვისება აქვს, რომ უწესოებით და ულაბორობით ძრიელ მალე გაფუჭდება.

3, ტფილისის, ქარხანა. დაფუძნებული 1885 წ. იგი არსებობს ვერაზედ, ოლგის ქუჩაზედ, თავის საკუთარს შენობას და ალაგზედ. აქვე გახლავსთ უმთავრესი საწყობი კონიაკების. ამ ქარხანაშიაც, როგორც ვლადიკავკაზის, მოწყობილია საუკეთესო აპარატები, სულ პირველ ხარისხოვანის სისტემის (ოსტატობის). ასეთის სამაგალითო ფარაღის ქონვით ეს ქარხანა სამაგალითოა და მასთან მთელს თფილისში

*) გაზ. „ივერია“ წერილი ეკატერინე გაბაშვილისა.

პირველი, ამ დრომდის, აქ ასეთი ქარხანა არავის ჰქონია გახსნილი, თუმცა ბევრს კი გაუხსნიათ სხვა და სხვა დროს თფილისში არყის სახდელი ქარხნები, მაგრამ ასე მოწყობილი კი არა, ეს პირველი გახლდათ. აქ ხდიან მრავალ ნაირ სასმელებს, ადგილობრივ ხილეულობის და სხვა ასეთ ნაყოფიერებისაგან, ნამეტურ საყურადღებოა აქ გამოხდილ სხვა და სხვა თვისების და ღირსების კონიაკები, აქაური სპირტეულობის სასმელები ქებელია მთელს თფილისში, ეს ვგონებთ ყველამ იცის კარგად. ამ ქარხანას წლიურად გამოყავს 6,500,000-რი სხვა და სხვა თვისებების სასმელები, ძვირფასიან და მდარე ფასიანებიც, ყველა ნაირი, ესენი საღდება უმეტესად კავკასიაში, მასთან რუსეთში, კასპის ზღვის იქითა მხრის ოლქებშიაც. ყოველივე სასმელების სახდელად აქ ჰყავს საუკეთესო ოსტატები, ევროპიდამ გამოწერილ პირველ ხარისხის სპეციალურ ოსტატები, რომელნიც პირველ ხარისხოვან აპარატებსაც ჩინებულად ამუშავებენ და ყოველივეს ფაქიზად და ოსტატურად ასრულებენ. ამავ ქარხნის მახლობლად არის ყველა საჭირო ნივთების და ბოჭკების გასაკეთებელი ქარხნებიც, ყოველივე ამ ქარხანაში ინახება სუფთად და ჩინებულად, ისე როგორც რიგია და განათლებულ კაცის საქმიანობას შეჰფერის.

4. თფილისის მეორე ქარხანა არყისა. დაარსებული 1887 წ. არსებობს საკუთარს შენობაში. ქარხანა მოწყობილია ჩინებულად, შესაფერად, ისე როგორც განათლებულ კაცთა სახელს ეკადრება, ოსტატებად ჰყავს მომზადებული კაცები და ერთიც ევროპიდამ, ანუ საფრანგეთიდამ მოყვანილი მცოდნე ოსტატი, აქაც იარაღი არის სულ პირველ ხარისხოვან ღირსების, აქა ხდიან და აკეთებენ მრავალ ნაირ ძვირფას სასმელებს, ლიკიორს და ვინ იცის რამდენ კიდევ სხვა რა გინდა რას, რასაც ჩვენ ვერ ავნუსხავთ თვით სახელებითაც კი, რადგანაც მათი ცოდნა არა გვაქვს, ყოველივე ეს იხდება სულ ადგილობრივ ხილეულობის და ახალ მცენარეთ და ყვა

ვილებთაგან. აქ გამოდის თურმე ასეთის ძვირფას სასმელების წელიწადში 9—10 ათასი ვედრა.

5, თფილისის მესამე ქარხანა კონიაკებისა, დაფუძნებული 1888 წ. მცოდნე პირთა თქმით, ეს ქარხანა პირველ სამაგალითო ყოფილა არამც თუ მარტოდ ჩვენში, არამედ მთელს რუსეთშიაც, აქ ჰქონდათ გამოწერილი ევროპიდამ საუკეთესო იარაღები კონიაკის გასაკეთებლად, ასევე აქვნდათ საუკეთესო აპარატები კონიაკისა შვეიცარიიდამ გამოწერილი. როგორც ეტყობა ეს ქარხანა თფილისში ყოფილა მაღალი ღირსების ქარხანა და საუკეთესოდაც მოწყობილი. აქ თრმე აკეთებდნენ კონიაკს კახურის ღვინიდამ, ქართლის, იმერეთის, შუშის, ქურდამირის, ერევნის და სხვათაც. ყველა ამაებიდამ პირველ ხარისხოვან ოსტატებს საუკეთესო აპარატის საშუალებით გამოჰყავსთ საუკეთესო თვისების კონიაკები, ქარხნის არსებობამ და ასეთ საუკეთესო სხვა და სხვა თვისების კონიაკების გამოხდამ მეტად დიდი გავლენა იქონია ადგილობრივ, მან მრავალთ შორის განაღვიძა და განავრცო ასეთ კონიაკების გამოხდის პატივის ცემა და სიყვარული, ანუ მისი ხელოსნობის ტეხნიკა. რაც შეეხება საყურადღებო სასმელთა პატივისმცემელთა და მცოდნეთა რიცხვსა, ამანაც რასაკვირველია ფეხი აიდგა, ერთი ორად იმატა. ნაყოფი ამ ქარხანისა ფართო იქნებოდა, მის საშვალებით ბევრი მბაძავი გაჩნდებოდა, ხოლო მას არ დასცალდა დიდხან, სხვა და სხვა მიზეზების და ღვინოების ძვირად გადმოტანის წყალობით ეს ქარხანა 1894 წ. დაიკეტა, ესე იგი 7 წლის არსებობის შემდეგ. მცოდნე პირთა მოწმობით, ამ ქარხანას თავის მოკლე დროის არსებობის განმავლობაში დიდი ზე გავლენა მოუხდენია ადგილობრივ საკონიაკო გამოხდის ტეხნივის ასპარეზზედ, ამით თურმე ეს ქარხანა მნიშვნელოვანია და ს,ყურადღებო. საყურადღებო იყო თვით მისი დიდი და კარგი აპარატიც, რომელიც 1888 წ. თფილისის სამეურნეო გამოფენაზედ იყო დადგმული, რითაც უჩვენებდენ კონიაკე-

ბის ხდის ოსტატობას და მოწყობილებას.

6, ერევნის ქარხანა. დაფუძნებულია ერევნის გვერდით 1887 წ. მერე ეს ქარხანა გადატანილ იქმნა შიგ ერევანში, (1893 წ.) სპეციალურად საქარხნო მომზადებულ ქვიტკირის შენობაში, რომელიც დღემდეც არსებობს იქ. როგორც მითხრეს, ერევანში ასეთი ქარხნის გახსნა პირველი მაგალითი ყოფილა და თითქმის მოჩვენებაც. ეს ქარხანა იქ გამხდარა მრავალთ წინაშე საყურადღებოდ, დამაფიქრებელი და წასაბაძავიც. ამ ქარხნის ასეთ ღირსებას იქაური სომხები დღესაც ლაპარაკობენ თამამად და დავით ზაქარიას-ძის სარაჯიშვილის მიერ გახსნილს არყის ქარხანას დიდის პატივით და ღირსებით მოიხსენებენ, იტყვიან ხოლმე, რომ იგი იქ პირველი ქარხანა არისო. უნდა ითქვას, რომ იმისთანა შუა გულ სომეხთა შორის, შუა სომხეთის ქალაქ ერევანში, ქართველის კაცისაგან ასეთის პირველ ხარისხოვან ქარხნის გახსნა სწორეთ სანაქებო უნდა იყოს და ჩვენთვის კიდევ დიდათ სასახელო. მე კი ასე მიმაჩნია და სხვების არ ვიცი, ქარხანა მოწყობილია საუკეთესოს წესებით, საუკეთესოს იარაღით, ანუ სასმელთა სახდელ აპარატებით, ყოველივე აქ ამ საქმისა სრულდება ჩინებულად და ოსტატურად, წარმოება ქარხნისა ისეა მოწყოლი, რომ არაფერი ნაკლი არა აქვს, თვით ქარხნის ღირსებამ იგივ ქარხანა დაარსების დღიდგანვე მთელს ერევანში სახელოვან ჰყო და იგი იქ ერთად ერთი პირველი კარგი ქარხანა არის. სასმელებს ხდიან ადგილობრივ ხილეულობის ყურძნის, ჭაჭის და სხვათა. წელიწადში ამ ქარხანას გამოჰყავს სხვა და სხვა კარგი სასმელების 2,500,000-მდე, სასმელების ზოგი იქვე საღდება ერევნის მიდამოებში და ზოგიც თფილისსა და ბაქოს ქარხნებში იგზავნება, სადაც უფრო უკეთესად აზავებენ და ასუფთავებენ.

7, ერევნის მეორე ქარხანა. დაარსებულია 1894 წ. აქაც ახმარებენ ადგილობრივ შენაძენ ყურძენს და მით გამოჰყავსთ საკონიაკე სასმელი. ეს ქარხანაც თავის სივრცე და შინაგან

მოწყობილებით ღირსეულია ყურადღებისა და აქაც მრავლად აკეთებენ საკონიაკე სპირტეულობას, აქედამ მრავლად იგზავნება თფილისის ცენტრალურს საწყობში და ასევე სხვაგანაც ეს ქარხანა უმზადებს მრავლად სპირტის სასმეულობას დავით სარაჯიშვილის სხვა ქარხნებს.

8, ყიზლარის ქარხანა. დაარსებულია 1889 წ. თვით ქ. ყიზლარში, იგი მოთავსებულია მშვენიერ ბაღში, რომელ ბაღსაც უკავია ექვსი დესეტინ- ადგილი. აქ ამზადებენ სპირტის სასმელებს ყურძნის წვენის, ანუ ღვინისაგან. აქ მზადდება თურმე 15,000 კონიაკი, ამას გარდა აქვე იძენენ კერძო პირთა გამოხდილს საკონიაკე 200,000 სასმელს, აქედამაც უმეტესი ნაწილი იგზავნება თფილისის საწყობში, სადაც უკვთესად ასუფთავებენ და სხვა და სხვა ფერით და თვისებითაც აზავებენ. ამ ქარხნის მოწყობილებაც ისეთივე არის თურმე როგორც ეკადრება დავით სარაჯიშვილის ღირსებას.

9, ბესარაბიის ქარხანა. დაფუძნებული 1895 წ. დ. კალარაშს. აქაც ადგილობრივ ღვინის ჭაჭისაგან აკეთებენ სპირტის სასმელებს, აქ გამონახადის ყოველივე იგზავნება თფილისის ცენტრალურს საწყობში.

10, ბაქოს ქარხანა. დაარსებული 1896 წ. მოწყობილია ფართოდ, საუკეთესოს იარაღით და აპარატებით. იგი მნიშვნელოვანია ყველაფრით, დაჯილდოებულია საუკეთესოს ოსტატებით და გამოდის მრავლად სხვა და სხვა ნაირი სასმელები. ბაქოში დ. ზაქარიას-ძის სარაჯიშვილის ფირმას თფილისზედ მეტი სახელი აქვს და დიდი ძალი მუშტარიც. დავით სარაჯიშვილის ქარხნის სახელი და ცნობა მთელს ბაქოში დიდათ არის მოფენილი და გახმაურებული, ეს ხმაურობაც არ არის გამოწვეული რამე გატაცებისაგან და მოტყუებით, არამედ საზოგადოებისაგან საქმის კარგად ცნობის და დაფასების მის, რაც მართლაცა და საქებია და სადიდებელი ყველასთვის და ყველგან. ამ მოთვლილის ქარხნებს გარდა დ. ზაქარიას-ძე სარაჯიშვილს სხვაგანაც აქვს არყის სახდელი ქარ-

ხნები, სამწუხაროდ ჩვენ ყველას ცნობა არა გვაქვს, ამიტომ მათ შესახებ აქ არც ვლაპარაკობთ, თუ შემთხვევა ნებას მოგვცემს და თვით პატივცემულის დავით ზაქარიას-ძის სარაჯიშვილის სურვილიც იქნება, მაშინ ჩვენ ყოველივე ამ უცნობ ქარხნებთა ცნობებს შევკრებთ და შემდეგ გამოცემაში მოვათავსებთ. ეხლა კი მოგვიტევოს ეს მცირედ შეკრებილი ცნობები.

როგორც არის ჩვენგან ცნობილი და სხვათაგანაც ქებით წარმოთქმული, მთელს რუსეთის იმპერიაში დავით ზაქარიას-ძის ფირმა ითვლება ერთად ერთ ფირმად, რომელსაც აქვს შესანიშნავი ქარხრები, სპირტის სესმელთა სახდელი პირველი ხარისხის აპარატები და იარაღი და მასთან ჰყავს ხელოსნებათ სპეციალურად მომზადებული ოსტატი ხელოსნები, ქებულნი და ცნობილნი თავიანთ ხელობის ასპარეზზედ მრავალ ალაგას, ამ შესამჩნევმა ფირმამ თავის ამდენი ხნის არსებობის საშვალებით, ადგილობრივ და მასთან მთელს რუსეთის იმპერიაშიც ბევრი რამ საჭირო საქმეთა შიმდევრებში, ბევრს ასწავლა ევროპიულად საქმის მართვა-გამგეობა, სასმელების ხდა, ვაჭრობა, ვაჭრობის მოწყობა და სხვანი, ამის მხრით ამ ფირმას დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის ერის აღებ-მიცემის წინაშე, დიდი ამაგი. ჩვენ, ქართველებს ხომ დაუფასებლად დაგვდო ვალი და ბევრს ჩვენთაგანს ასწავლა მის ცოდნა და გაგება, რის წარმოდგენაც აქამდის ჩვენ არ გვაქვნდა.

ასეთივე მეტად დიდად საყურადღებონი არიან დავით ზაქარიას-ძის სარაჯიშვილისაგან თფილისს და მასთან სხვა და სხვა ქვეყნებში, თვით სასმელებთა ცენტრალური საწყობების მოწყობა, სადაც მართლაც მას ყოველივე აქვს მოწყობილი ჩინებულად, სამაგალითოდ, ისე, რომ არა მგონია მას ამით ევროპის რომელიმე ასეთ საქმეთა შიმდევართა მექარხნეთაგან გახსნილ მაღაზიებმა და საწყობებმა უსწროს წინ. ვაჭრობის ასპარეზზედ რა უნდა იყოს ასეთი ჩინებული საწყობების და

სავაჭროების გახსნა, დიდი არაფერი, მაგრამ მთელს რუსეთში ამას საერთოდ მთელი ქვეშევრდომნი მოკლებულნი არიან და ამიტომ აქაც ამით დავით სარაჯიშვილი ჩვენს წინაშე სჩანს სამაგალითო კაცად, რომელსაც ჩინებულად შეუძლიან მორთოს და მოაწყოს თვისი მაღაზიები და საწყობები.

ასეთ ჩინებულად მოწყობილ მაღაზიის და საწყობების მაგალითია თვით თფილისის ცენტრალული საწყობის საქმე, რომელიც მართლაცა და მოწყობილია საუკეთესოდ, ისე რასაც მცოდნე კაცთა საქმიანობა თხოულობს, ანუ საუკეთესო სასმელების საუკეთესოდ შენახვის და მოწყობის წესი და რიგი. როგორც სჩანს, აქაც ოსტატობა არის საჭირო, რომ საწყობს და მაღაზიაში ყოველი სასმელი თავთავის ალაგას ეწყოს, ზოგ სასმელს მზე აწყენს და ზოგს კი რგებს, ამიტომ აქ სასმელების დაწყობასაც ადგილების შერჩევა უნდა და შერჩევა კიდევ აუცილებლათვე მასთან ცოდნასაც საჭიროებს, ამასაც მოითხოვს მისი კარგად შენახვა. ამითაც რასაკვირველია საყურადღებოა დ. ზ. სარაჯიშვილი.

ამდენ საქმეთა მოთვლას, მართვას და გამგეობას, ვგონებთ კარგი თავი უნდა, კარგად მომზადებული კაცი და საქმის ამწონ დამწონი, სხვა და სხვა ქალაქებში კი არა და ჩვენ ქართველებს იმის შნოც არა გვაქვს, რომ თვით ჩვენს დედა ქალაქ თფილისში ერთს და ორს საქმეს უპატრონოდ, ან ერთ სახლს გარდა მეორე, მესამე და მეტიც ვიქონიოდ, ჩვენ ისეთი უშნო უძლურები ვართ, რომ მაშინ ვერაფერს ვერ შევსძლებთ, ველარც ერთს მოუვლით და საქმესაც გავაფუჭებთ, ამას ჩვენ შეჩვეული არა ვართ და მინამ შევეჩვევით, მინამდის ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა მოვითმინოთ და თან ვიმეცადინოთ, რომ თვალები გავახილოდ, სხვებს შევხედოთ, დავით სარაჯიშვილისთანა კაცთა ცხოვრება გავიცნათ, მის მაგალითს მივბაძოდ, მისებურად ვიმოქმედოთ და იმედია ჩვენც წავალთ წინ, ჩვენც დავწინაურდებით, როგორც ჩვენთ შორის ერთი და ორი დაწინაურდა,

მაშინ ჩვენც ისევე დავწინაურდებით. უამისოდ კი ყოველივე ამაო იქნება და უბრალო.

დედის მუცლიდამ არავის ჰყვება მხნეობა, თვალის გახილება, შრომის სიყვარული და სხვანი, ყოველივეს კაცი დედამიწაზედ იძენს, ყოველივეს მერე სწავლობს, ჭკრებს და ითვისებს, ასევე შეუსწავლია და მომზადებულა დავით სარაჯიშვილიც, მომზადებულა ისე კარგად და ჩინებულად, რომ დღეს იგი ერთად ერთი კაცია, რომ ამდენ სხვა და სხვა ქალაქებში ქარხნებს და სავაჭრო მაღაზიებსაც უძღვება. ერთხელ ერთმა სომეხმა სთქვა:—აფსუს, რომ დავით სარაჯოვი ქართველიაო, ეგეთი მრჩო, ნასწავლი და ყოჩაღი კაცი სომეხი უნდა იყოსო, ჩვენ გვიკვირს რომ ქართველებში ასეთი შესანიშნავი კაცი გამოსულაო. ჭეშმარიტად, რომ დავით სარაჯიშვილი შესანიშნავია და სამაგალითო მისაბაძი ჩვენგანაც. აბა ამაზედ ბევრი ლაპარაკი რა საჭირო არის, რაც საქმეები მოვთვალეთ აქა და გავაცანით მკითხველს, ნუ თუ ეს საქმეები არ აჩენს ყოველივეს კარგად.

შეძლებაც არის და შეძლებაც, ზოგ შეძლებულს თვისი ქონება შეუძენია უფულოდ, უშრომლად, მაგალითად ავიღოთ თუნდ მენავთეების საქმე. ნავთის წყაროს პატრონად გინდ უმეცარიც რომ დასვად, ის მაინც არას იზარალებს და მოიგებს, რადგანაც იქ მიწიდამ მოდის წყარო და ამ წყაროს მხოლოდ ყარაულობა უნდა და ფულის კრეფა. სხვა მეტი არაფერი. აქ კი, დავით სარაჯიშვილის ასპარეზზედ ეს არ გამოდგება, ძმაო. აქ კი შრომა არის საჭირო და როგორი შრომა მერე ფიზიკური და გონებრივიც, რომელსაც ხშირად ყველა მომაკვდავი ვერ გამოიჩენს. აქ სულ სხვა გახლავთ საქმე და თუ კაცმა დიდი ენერგია არ იქონია, უიმისოდ შეიძლება ხშირად დაიღუპოს და ხელ ცარიელიც კი დაჯდეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ დავით სარაჯიშვილი ზემოთ მოთვლილ საქმეთ პატრონობას და გამგეობას გარეშე, სხვასაც ბევრ რამ საქმეებსაც აკეთებს, საქმეებს როგორც თავისას, ისე-

ვე უცხოსა, საზოგადოების და ვინ იცის რამდენ კიდევ რაგინდა-
რას, რაც კი რამ ყოველ დღე ეკითხვის ცნობები და საქ-
მენი თავისი თუ სხვისა, აბა ყველა მას ვინ მოსთვლის, ვინ
ანუხსავს, შეიძლებელია ეს ჩვენგან, ამის აწერას ვერ მოვახერ-
ხებთ. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დავით სარაჯიშვილს დიდი
შრომა და ამაგი მიუძღვის არა მარტო თვისი ქარხნების და
სავაჭრო მაღაზიების მოწყობასა და მომართვაზედ, არამედ
სხვათა საქმეებზედაც, რაც ამას თავის საქმეებზედ დახარჯუ-
ლი შრომა და ამაგი აქვს, ამაზედ ბევრად მეტი სხვების საქ-
მეებზედ აქვს დადებული თვისი ენერგიული შრომა და ამაგი.
ამითიც საყურადღებოა იგი და დაუფასებელი, დაუფასებელია
მით უფრო, რადგანაც დავით სარაჯიშვილს შრობის სიყვა-
რული დაუფასებელის და განუსაზღვრელის თვისებით აქვს შე-
თვისებული, რაც მის საქმიანობას ერთი ათად ამაგრებს და
აძლიერებს.

ადრე ადგომა, ფეხით სიარული და სხვა ასეთნი მას პა-
ტარაობიდამვე ჰქონია შეძენილ-შეთვისებული და ამიტომაც
მისი ცხოვრება და მოქმედება ყოველთვის მღვიძარეობით და
სიფხიზლით არის მორთული. რამდენჯერ მინახამს დავითი
დილით ადრე, სოლოლაკიდამ, თავის სახლიდამ ვერაზედ თა-
ვის ქარხანაში, ფეხით მინავალი, ძრიელ ბევრჯერ მინახავს და
ეს სხვებსაც მრავლად ეხსომებათ. ამის ალაგას სხვა რათ იზა-
მდა ამას, არავინ. უფაიტონოდ ფეხს არ გასდგამდა დაიქნება
ამით მერმისისთვის საქმეც დაეღუპა, როგორც ქართველთ
შორის დაღუპეს მრავალთა, მაგრამ არა, დავითმა ეს არ იცის,
იგი მცდელია, მშრომელია და დადის ისე და მოქმედებს
რაც მის ჯანისთვის არის კარგი და სასარგებლო, ეს რომ
კარგია და სასარგებლო, იგი შენიშნულია თვით ევროპის
მსწავლულ მეცნიერთა და სხვა და სხვა მწერლებთაგანაც
არის შენიშნული.

ასე შრომა და მოქმედება საყურადღებო უნდა იყოს არა
მარტო ქართველის მშრომელის ერისთვის, არამედ მას უნდა

ბაძავდენ თვით ქართველთ შეძლებულთ შვილებიც, რომელნიც ხშირად თავიანთ ოჯახის წინაშე დიდს ბოროტებას სჩადიან. უფაიტონოდ სულ ახლო, ორ ლაჯის მანძილზედაც ფეხს არსად გასდგამენ, ან სხედან, ან სჭამენ, თამაშობენ და დადიან, ან გამოძინებაში ჰკარგავენ დროს, სხვა ყოველივე ძალოვნება მათის სხეულის სასარგებლოდ დაკარგულია და მოსპობილი. იგინი არსად ერთ რამე უბრალო მძიმესაც არ აიღებენ ხელში, მათი სხეული ცუდაობით განაზებულია, მერე რა მოსდით ასეთს შვილებს — კარგი არაფერი: სადაც კი მამისაგან შვილს აყვავებული ოჯახები დარჩათ და სახლ-კარი ქონებით სავსე და დაჯილდოვებული, უვარგი შვილების წყალობით, იქ დღეს ჭილობებიც აღარ ჰყრია. თფილისში, ასეთ დაღუპულთ ოჯახებთა რიცხვი ერთობ დიდია, ასეთ ოჯახების საქმეებს ჩვენ კარგად ვიცნობთ და ეს თვით დავით სარაჯოვმაც კარგად იცის, იცნობს ასეთ პირთ რიცხვის, საქმიანობას და იმ დაძინებულს ზარმაცულ უკულმართობას, რაშიაც ქართველი ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი და თვით მშრომელთა რიცხვის უმრავლესობა ღრმად არის ჩაფლული. ასეთის პირების საშუალებით თფილისს, ამ ძირეულს ქართველთ დედა ქალაქში ბევრს ალაგას აღიგავა ქართველთ ხსენება.

ხალხის ცხოვრებაში, ხალხისავე მოქმედებას და აღებ-მიცემას, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მსწავლულთაგან დათმობილი. მუშაობა, ნივთიერება, ფული, ქარხნები, ქარხნების პატრონები, ფულის წარმოება და მათი პატრონობა. აი ეს არის ძარღვი ხალხის ცხოვრების, ეს არის ზარი მისი, რომელიც რეკავს ყოველივეს თანამედროვე ცხოვრებაში, უამისოდ ვერც ხელოსანი იხელოსნებს, ვერც მუშა იმუშავებს და ვერც კაპიტალისტი იკაპიტალისტებს, ერთიც, მეორეც და მესამეც არსებობს მაშინ და წარმატებას ეძლევა, როცა ყოველივე მოქმედებს და მუშავობს სიცოცხლე-სიცხოვლით. უამისოდ ყოველივე ამაოება გახლავსთ. არიან ისეთი პირნიც, რომელნიც

კაპიტალს და მის მიმოხვრას ბრუნდეს თვალით უმზერდენ და ფულის პატრონებსაც ღარიბ მუშების სისხლის მწუწნელად სთვლიან, ვინ იცის, ესეც შეიძლება, იქმნება იყვნენ სადმე უდიერი კაპიტალისტებიც, რომელნიც თავიანთ შეძლებას საწყალ მუშათა ძვლებიდანა ადგენენ, ამაზედ ჩვენ არ ავხირდებით, იყვნენ ასეთნი მრავლად და არიან დღესაც.

მაგრამ ვიტყვი იმასაც, რომ უკაპიტალისტოდ, უქარხნოდ, უმდიდროდ და უფულოდ აწინდელ დროში, ვერავინ რას გააწყობს, ის რაც გინდ გენიოს ვახლდეთ და შრომის ყარამან-ყათარანი. ოვენი, სენ-სიმონი, ფურიე, შულცდელიჩი და მრავალნიც სხვანი მუშებს სულ ამას უქადაგებდნენ. შეგროვდით ერთად, შეაგროვეთ კაპიტოლი, გახსენით საერთო სავაჭრო და საქარხნოები და მით შეძლებულს ხალხსაც თქვენის მარჯვენით და შრომით ჩაუდექით ჯიბრშიო, ისინი მაშინ თქვენთან არაფერს იზმენო. ხსენებულ მსწავლულნი დღეს უტოპისტათ არიან. ხმობილნი! ავიღოთ ახლა თუნდ სოციალ დემოკრატებიც, ესენიც თავიანთის მოძღვრებით ერს მსოფლიო პარლამენტარულ წესებს უქადაგებენ, ანუ საერთოდ ისეთი მთავრობის დაარსებას და მართვა-გამგეობას, რომელიც ხალხის ცხოვრებაში ძირიან ფესვიანად ამოგდებს უმეცრებას, მოსპობს სიღატაკეს, მილიტარიზმს, იმებს და უკანასკნელ დაამყარებს მშვიდობიან წესებს. რომ დავაკვირდეთ ამ პირთა მოძღვრებას, აქაც სულ ფული და ფული გამოდის საქმედ, ყოველივე ამის გარშემო ტრიალებს, მაშასადამე ყოველივე, ამ ფულს, შრომას და ცდაში ყოფილა დამარხული, თითქოს ცხოვრების ღერძი ესენი არის.

აბა, მაშ ასეთ მოსაზრების შემდეგ, დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის საქმიანობას და შრომას ხომ არ შეიძლება კერძო დანიშნულება მივსცეთ, მოვაცილოდ კოპერატიული და ასოციაციური თვისებანი, რასაც ევროპის ოვენები, სენ-სიმონები, ფურიე, და სხვანი შეერთებულის ხელით საჭიროებდნენ კეთებას, იმას ჩვენში ერთი ნიჭიერი კაცი ასრულებს და აკეთებს. მე აქ ზემოდ ხსენებულ პირთა მოძღვრების ნაკლთან

არა მაქვს საქმე, თუ იგინი უტოპისტები არიან თუ სხვანი, როგორც მათ ეხლა უწოდებენ მეცნიერულის სოციალიზმის მიმდევარნი, მე აქ სახეში მიდგა მხოლოდ დავით სარაჯიშვილის მხნეობა, ენერგია და ზემოდ ხსენებულ კოპერატივისტებთ და ასოციაციისტებთ თანახმად, ისევე მეცნიერულის სოციალიზმის სხვა და სხვა ძალებთ განმახორციელებლის მიდრეკით, თავ მოყრით, კაპიტალის მიმოხვრით, ქარხნების განვითარებით და ვაჭრობის განსპეტაკებით, რაც შესმენილ მსწავლულთაგან მუშათ და ხელოსანთ კლასთა განვითარების ცა გონებით ამაღლების უმთავრეს ძალას წარმოადგენს, უმეცარ და ვერაგ ქარაფშუტა ნაცარ ქექია ხელოსნებთაგან კი მათს ყვლეფვას და თქვლეფვას, მათს მტრობას და სხვანი, რასაც საზღვარი არა აქვს და რაც ყოვლად შეუფერებელია რომ რიგიანად მომზადებულ კაცმა იაზროვნოს ასე.

ამიტომ ჩვენ დავით სარაჯიშვილის მიერ დაწყობილ საქმეებს შესაფერის თვალით უყურებთ მას თასი ისტორიულს მნიშვნელობას არ ვაკლებთ, მისი საქმენი შეიძლება ბევრის თქმით კერძო თვისების იყოს, მაგრამ მუშათ და ხელოსანთ შორის კი ისეთს სიკეთეს სთესდეს მათ ცხოვრების განკაცების და განკარგებისთვის, რის მნიშვნელობას და სარგებლობასაც უარს ვერვინ ჰყოფს. განა ამის ქარხნებში შეკრებით მომუშავე მუშათ კრებულიც იმავე სახეს არ წარმოადგენენ, რასაც ჩვენი პარლამენტარიზმის მომხრე სოციალდემოკრატები ამბობენ, ანუ მარქსისტები და მარქსიზმის მიმდევარნი, თვით მარქსიც არ უარ ყოფს ასოციაციების და კოპერატივისტებთ მნიშვნელობას და აბა მაშ რა უფლება გვაქვს, რომ დავით სარაჯიშვილს და ასეთ მექარხნეებს რამე ღალატი დავსწამოთ. უწყებულია, რომ მინამდისინ რუსეთის იმპერიაში და მასთან მთელ ევროპაში დიდი მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიური ცვლილებანი არ მოხდება, მინამდის ძნელად რომ ასეთ დიდს ქარხანაში მყოფთ მომუშავეთ ერთობას რამე გონებრივი და პედაგოგიური საზდოება არ აქვნდეს, ეს ყოვლად შეუძლებელია და გარდა ამისა საქმითაც და-

საბუთებული, რომ მუშათ ერთათ ყოფნა ავითარებს მათ, აფ-ხიზლებს, აქეზებს და გონებითაც ამზადებს, მაშ ჩვენ რა უფ-ლება უნდა გვექმნეს, რომ დავით სარაჯიშვილის ქარხნებს, საწყობებს და მაღაზიებს საერთო საზოგადო მნიშვნელობა და ხასიათი მოვაკლოდ, სადაც მუშა და ხელოსნები ბრავლად მუ-შაობენ და თავს ირჩენენ.

ყველას რომ თავი დავანებოთ შემდეგს მაინც ვიტყვით, დ. სარაჯიშვილი არ არის ისეთი პირი, როგორც სხვა და სხვა ტომის მექარხნენი და ვაჭრები არიან, ამას სხვა ტომის ერნი ისე არა ჰყავს მიღებული, როგორც ეს სხვებმა იციან და ნა-მეტურ ეხლა. მის ქარხნებში და საწყობებში მუშავობენ მუ-შები განურჩევლად სარწმუნოების და გვაროვნების. დავით სარაჯოვისთვის ეს სულ ერთია, გინდ რუსი იყოს, გინდ სო-მეხი, გინდ ქართველი, თუნდ სხვა ტომის, იგი ოღონდ კე-თილი და გონიერი მუშა იყოს, პატიოსანი მშრომელი. ჩვენს დროში, რაღა ფიქრი უნდა რომ ესეთი საქციელი სამაგალი-თო უნდა იყოს და ჩინებული. რას ელტვის დღეს მთელი კა-ცობრიობა, თუ არ კაცთა შორის გაერთიანებას, ძმობას და სიყვარელს. დავით სარაჯიშვილის ქარხანათ და წარმოებათ საქმე რას წარმოადგენს ამას გარეშე, სხვა არაფერს, თუ არ ერთობის და ძმურს სიყვარულს, იგი ყველას თანასწორად უყუ-რებს, ყველა ტომის მშრომელთ ერთად ათავსებთ და ეს კი-დევ რაღა ფიქრი უნდა მათში აფუძნებს ერთმანერთის გაც-ნობის სიყვარულს, დაახლოვებას, დანათესავებს და სხვანი.

ჩვენ მოვალენი ვართ, რომ დავით სარაჯიშვილის საქმი-ავობას შესაფერის პატივით უმზიროდ ყოველთვის და მად-ლობელი ვ-ყოთ მისი, რომ იგი იმავ თავიდამ თავის ქარ-ხნებში ქართველთ მუშათ და ხელოსნებსაც აძლევდა და აძ-ლევს კიდევაც ბინას და ამუშავებს, იმ ქართველთ რიცხვის მუშების და ხელოსნების, რომელნიც მასთან მუშაობდნენ და ან დღეს მუშაობენ, ჩვენთვის რაც გინდ მცირე რიცხვი იყოს და იგი უდრიდეს მის მუშათა რუსების და სომხების ერთს ნა-წილს, ანუ თანასწორი იყოს და გინდ ნაკლები, მაინც იგი

არის მნიშვნელოვანი და საყურადღებო მრავალნაირის მხრით, ჩვენი ცხოვრება ისე არის დამცირებული და დაკნინებული, რომ უამისობა არ შეიძლება, ჩვენ მას შესაფერი მნიშვნელობა უნდა მივსცეთ, რადგანაც ქართველი ერის რამდენიმე კაცი მაინც არსებობს ერთად-ერთ ალაგას სხვა ტომის კაცებთან განუყრელად და პურს სჭამენ.

მართალია დღემდე ქართველი მუშა უდიერობაში არ იყო შენიშნული და მას უცხო ტომის მუშათ მტრობა თავის დღეშიაც არა ჰქონია, მაგრამ მაინც აქ ჩვენ ქართველთ ერთობას სხვა ტომის მუშებთან სასახელოდ ვაღიარებთ, ვინაიდგან მით მტკიცდება ცხადად, რომ ქართველმა მუშამ არ იცის სხვათა მტრობა და გაუტანლობა, ეს როგორც ხშირად სხვებს ეტყობათ. ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ დღეს თფილისში და მასთან მთელ საქართველოში უცხო ტომთა მუშა და ხელოსნები ასე არ იქნებოდნენ გამრავლებულნი, ეს როგორც დღეს ჰრის აქ. ქართველი თუ რამ უდიერობას ჩაიდენს, იგი ისევ შინაურებზედ, ისევ ქართველზედ, სხვა ტომის ხელოსნის და გინდ სხვა ვისმე მტრობის შნო და ძალა მას არ შესწევს.

ჩვენის ქვეყნის და ერის შესახებ ისიც უნდა აღინიშნოს დავით სარაჯოვის ამაგის სადიდებლად, რომ მისის ქარხნების საშუალებით, ბევრმა ქართველმა მუშამ გაახილა თვალები, ბევრმა ისწავლა იქ მცოდნე მუშათ საშუალებით ქართული ანბანი, ამას გარდა მათ აქვე ისწავლეს არყის ხდის ხელოსნობა ბევრად უკეთესად და უდიდესად, ვინემც სხვაგან, ესეთი სწავლა მათთვის იქამდე საყურადღებოა და სადიდებელი, რომ მას ყოველთვის კეთილი ალმნუხსველი ეყოლება. მას თავისებური მაღალი მნიშვნელობა არას დროს არ მოაკლდება, რადგანაც ნაყოფი აქ ნასწავლ ქართველ მუშათა ცხადად ღალადებენ, აქ ამ ხელობის შესწავლით ბევრი იქცა კარგ გაგებულ ხელოსნად, ბევრმა მცირეოდენი ფულიც შეიძინა და ვერისკენ სახლ-კარის პატრონიც გახდა, ასეთ პირთ რიცხვი თფილისში ქართველთ შორის იმოდოლა არის, რასაც კაცი უარს ვერ ჰყოფს.

თავ-მოწონებით ვიტყვით, რომ დავით სარაჯიშვილი, როგორც მოყვარე თავის მიწა-წყლის და სამშობლო ქვეყნის არსებობის—მუშათა ვაი-ვაგლახების დროს, წარბიც არ შეუხრია, მუშების ყოველივე ამბოხება, გაფიცვა, ჯამაგირის მომატება და ზარალი დასთმო უყურადღებოდ, აიტანა ყოველივე, ნამეტურ ფულის გატაცვა, ზიზღი და მტრობა მის ქარხნების წარმოების და საქმეები კი მაინც არ მოსპო, მუშები ზოგნი შეინახა, თუმც ზოგი ჯამაგირის მიცემით დაითხოვა, მაგრამ ზოგთ მუშებს, თუნდ მცირე ნაწილთ მუშებისას არ ულალატა და დღესაც მისი ქარხნები არსებობს და საქმეებიც სწარმოებს, იმედია რომ დავით სარაჯიშვილის ასეთს ღირსებას და საქციელს თვით მისი მუშებიც კარგად გრძნობენ და ფიქრობენ, რომ იგინი დავით სარაჯიშვილმა სხვასავით უსაქმოთ არ დასტოვა, ქარხნები არ დაკეტა და მით ზოგთ, თუნდ მცირე რიცხვს ლუკმა პურიც არ გაუწყვიტა.

დავით სარაჯიშვილის სახელი და საქმიანობა, როგორც ზემოთაც ვსთქვით, საქართველოს და ქართველთ გარდა, ხშირად უცხოთა გაზეთებშიაც ულაპარაკნიათ, ნამეტურ სხვა და სხვა გამოფენებზედ წარდგენილ სხვა და სხვა ღირსეულ საქონელთ მნიშვნელობის გამო. დიდის პატივისცემით და სიმპატიით მოუხსენებიათ როგორც დავით სარაჯიშვილის საქმიანობა, სასმეულობა და მათი ღირსება, ისევე მისი ცოდნა, გამოცდილება და განათლებაც. ასეთ ცნობებს ხშირად მიუპყრიათ თვისკენ ჯეროვანი ყურადღება ისეთ მსწავლულთ სპეციალისტთ პროფესორებს, რომელთა საგნათ და საქმეთ ქიმიის ნაწილი არის და სხვა და სხვა სასმელებთა კეთების, შეზავების და გამოხდის ვითარება-ოსტატობა, რასაც მართლაც და დიდი განათლება სჭირია, ღრმა ცოდნა საქმისა. მაგალითსაც მოგახსენებთ.

გერმანიის მსწავლულთ პროფესორებში სხვათა შორის, განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია დავით სარაჯიშვილის სახელოვნებისა და საქმიანობისათვის ერთს მსწავლულ პროფესორს, რომელთანაც დავითს სტუდენტობის დროს ბერ-

ლინის უნივერსიტეტში უსწავლია. პროფესორს დიდათ სიამოვნებია ქართველის თავის ნამოწაფარის ქება-დიდება და მასთან თვითაც დიდათ მოსურვებია, რომ ეს პირი თავის საქმიანობით თავის თვალით ენახა და დარწმუნებულიყოს სინამდვილით მასზედ, რასაც მას ევროპის სხვა და სხვა ენის გაზეთებიც მოუთხრობდნენ. მიეცა შემთხვევა და ერთ ზაფხულს საქართველოს ესტუმრა უცხო მსწავლულ-პროფესორი. მოვიდა დავით სარაჯიშვილის საქმიანობასთან და ყოველივე თავის თვალით ნახა, ასწონ-დასწონა და დარწმუნდა ნამდვილ, რომ რასაც სწერდენ ყოველივე მართალი ყოფილა და იმაზედ უფრო მეტის ღირსიც, რასაც გაზეთებში სწერდნენ.

უცხო მსწავლულ პროფესორს დიდათ გაეხარდა თავის ნამოწაფარის პირადათ ნახვა, მისი საქმიანობის გაცნობა და დარწმუნება მასზედ, თუ რა შესძლებია ენერგიული კაცის ცდასა და შრომას. ყოველივე საქარხნო, თუ სავაჭრო საქმენი გაიცნა დაწვრილებით და ბოლოს, მის აღტაცებას საზღვარი არ აქვნდა, სთქვა თურმე:

— ,,დიახ, რომ მართლა დავით ზაქარიას ძე და მისი საქარხნო და სავაჭრო საქმენი საქები ყოფილა და პატივსაცემიო". ამ მოგზაურ მსწავლულ პროფესორის აღტაცების და სიამოვნების ცნობები იმ დროის ადგილობრივ გაზეთებშიაც დაისტამბა და საქვეყნოდ გამოცხადდა დავით სარაჯიშვილის საქმიანობის ქება და დიდება, მერე ეს ადგილობრივ გაზეთების ცნობები სატახტო რუსულს გაზეთებშიაც იყო დასტამბული და ყველგან შესაფერის პატივისცემით იხსენიებდენ უცხო პროფესორის აზრებს დავით სარაჯიშვილის საქმიანობის და ღირსების შესახებ.

დავსძენთ კიდევ, რომ დავით სარაჯიშვილის საქარხნო და სავაჭრო საქმეთ დაფასება ხშირად რუსულ სპეციალურ სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებშიაც უსტამბავთ. რაც რუსულ სპეციალურ ჟურნალ-გაზეთებში დავითის შესახებ დაფასება დასტამბულა, ყველა ესენი სახელოვნება ყოფილა არა მარტო ქართველის ერისთვის, არამედ მთელის კავკასიის ტომთა-

თვისაც. ვინაიდგან დავითის ნოსაწონი და კარგი საქმენი არსებობს განურჩევლად ყველასთვის, როგორც რუსთათვის, ისევე სომეხთა, სხვათა და მასთან ქართველთათვისაც. კეთილგონიერი მკითხველი ასე იფიქრებს, განათლებული კავკასიელიც ასე მიიღებს ამას და ეს სწორედ ისეც უნდა გახლდესთ. აქ მლიქვნელობაში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ ვითომც ჩვენ დავით სარაჯიშვილის დაფასებით გატაცებულნი ვიყოთ.

მაგრამ გერმანელის მსწავლულ პროფესორის დაფასებაზედ კი ვერავინ რას იტყვის. იგი გახლდათ თავისუფალ ქვეყნიდამ, ისეთის ქვეყნიდამ, სადაც სხვა და სხვა მეცნიერებანი დიდათ ბრწყინვენ, სადაც განვითარებაც დიდათ არის ამაღლებული, სადაც კაცის ცოდნა-განვითარება, საქმიანობა და ღირსება შესაფერად ფასდება და არა ისე, როგორც ეს ჩვენში ჰგონიათ ზოგიერთებს, უცხო მსწავლულს ვერაფერი მიიზიდავდა დავით სარაჯიშვილის საქმიანობისთვის მას რომ რამე ნაკლი და ხინჯი შენიშნა, ის მაშინ იმას არ დამალავდა, არ დაიდუმებდა და უსათუოდ ყოველივე ამაებს საქვეყნოდ გამოაცხადებდა, მაგრამ მან იქ კარგის მეტი სხვა ვერა ნახა და სცნა რა და ამიტომაც მასაც რიგიანის დაფასების გარეშე სხვა არა დაუშთარა სათქმელად.

რუსულს ენაზედ და ევროპიულს ენებზედაც დავით სარაჯიშვილის საქმიანობის შესახებ სხვა და სხვა დროს ბევრნაირი დაფასებანი დასტამბულან და ჯერეთ ბევრიც დასტამბება, ვინაიდგან დავით სარაჯიშვილის განუწყვეტელი საქმიანობა და წარმოებაც მართლაც რომ საყურადღებოა და პატივ საცემი. სამწუხაროდ, ჩვენ ქართველები თვალ-ყურს არ ვადევნებთ ევროპიელთ და რუსულ სატახტო სპეციალურ სამეცნიერო გაზეთებთა წერილებს, თორემ იქ ჩვენ დავით სარაჯიშვილის შესახებ ძრიელ ხშირად ვნახამდით დაბეჭდილებს სხვა და სხვა სიმპატიურს ცნობებს, რა გაეწყობა, ესეც ჩვენი ბრალი გახლავსთ და ჩვენის მოუშზადებლობის. იმედია, ამაზედ არც დავით სარაჯიშვილი დაგვემდურება, ყოველივეს მოგვიტევებს, ვინაიდგან ჩვენ კარგად ვიცით, რომ მისი გული და

სული არ არის სავსე იმის წადილით, რომ ვინემ სადმე საქვეყნოთ მისი სახელი და საქმიანობა აქოს.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი როგორც განათლებული კაცი, ნამდვილი წევრია თავის სამშობლო ქვეყნის და ერის. მან კარგად იცის ქართველ ერის ძველი და ახალი დროის ცხოვრების საქმენი, ჩვენს მდგომარეობას ბეჯითად ადევნებს თვალ-ყურს, კარგად იცის ჩვენი ერის ნაკლი თუ სხვა რამ ღირსება, იცის კარგად, რომ ქართველ ერს თავის ქვეყანაში უცხოვრია გმირულად, ამდენ საუკუნეთა განმავლობაში ცალს ხელში ჯვარი სჭერია, ცალში ხმალი და მით უგერებია თვისი მტერი გმირულად, იცის კარგად, რომ ამ ერს სხვათა ერსავით თავის სამეფო 700-800 ას წლების წინედ კი არ მოუსპია, როგორც მოისპო არმენია, ბიზანტია, აღმოსავლეთისკენ არაბისტანი, სლავიანთა ტომთა მრავლ სამეფონი და სხვანი, არამედ ამათ შეუნახავთ კარგა უგვიანეს დრომდის და მერე 1801 და 1810 წ. თვის თანამორწმუნე რუსეთის იმპერიას დაუკავშირდნენ.

ქართველ ერს ბევრი რამ აკლია, იგი წარსულით კულტურის ისტორიულს მაგალითს წარმოადგენს და თანამედროვეს ცხოვრებით სამწუხარო მოვლენას უბედურება და დაკნინება შეიძლება, მაგრამ ისე დაკნინება როგორც ჩვენ ქართველები ვართ, ეს კი წარმოუდგენია და მოუსაზრებელი. ჩვენის ტომის ფეხზედ წამოსაყენებლად ჩვენ სულ არაფერი ძალა გვაქვს, აგერ ჩვენს წინაშე, მთელმა საუკუნემ ისე გაიარა, რომ ჩვენთ შორის, აქამდე, ქართველი არც ექიმი იყო, არც ინჟინერი, არც სხვა რამ, აიყვნენ თითო ოროლა ვექილები მხოლოდ, მთელის საქართველოს სასწავლებლები სულ სხვა ტომთა შვილებით იყოს სავსე, ქართველებს აქ თითო ოროლას ნახავდით. მეტს ვერა, ძნელად, რომ ადრე თფილისის გიმნაზიაში წელიწადში ერთს, ან ორს ქართველს გაეთავებინა სწავლა, პირველ კლასში რომ ქართველი მოწაფე 20 ყოფილიყოს, ბოლოს კლასში ერთს ან ორზედ ჩამოვიდოდა. ასეთი მდგომარეობა ქართველის ერისა, საქართველოში მრავ-

ვალ ქართველთ აფიქრებდა და ერთი იმ მრავალთაგანი გახლავსთ დავით ზაქარის ძე სარაჯიშვილი.

ამიტომ მან თავს იდვა ვალად და ქართველთ შვილების განათლების საქმეს დიდი ყურადღება მიაპყრო, დაიწყო ამის შესახებ თათბირი საუკეთესო „გულ შემატკივარ ქართველებთან“ ლაპარაკი ნამეტურ ისეთ პირებთან, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე ნ. ცხვედაძე და სხვანი. და ბოლოს იმ დასკვნას დაადგა, რომ ქართველთ შვილებთათვის დიდს საჭიროებას შეადგენდა სტიპენდიის გაჩენა. დახმარება ისეთის ქართველ მოწაფეთ რომელთაც ნიჭი შეემცნეოდა სწავლისთვის და შეძლება კი არ ექმნებოდათ, ამიტომ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა გადასწყვიტა ასეთ პირთა დახმარება, სტიპენდიების გაჩენა, მალეც შეუდგა ამ საქმის განხორციელებას, ეს მაგალითი ქართველებში პირველი იყო, სტიპენდია ჩვენში არავინ იცოდა თუ რა იყო, ამას გარდა იმასაც იტყოდნენ ხოლმე, „**მე რა მენადგვლება, რომ ჩემი ან სხვის ფულით სხვის შვილმა ისწავლოს. თავშიაც ქვა უხლია და შუცელში სამართებელია.**“

ძრიელ იშვიათად და თითქმის ერთ შეუძლო კაცის კარგს შვილსაც ვერ ნახავდით, რომ ის სხვის ხარჯით ყოფილიყოს და ესწავლოს სკოლაში. ამის მხრით დავით სარაჯიშვილმა დიდი სამაგალითო საქმე ქმნა ჩვენში. მან ქართველებს თვალები აუხილა, მრავალ ნაირად დააფიქრა და ასწავლა მასთან ის ვალდებულებაც რაც ჩვენთვის ხამი იყო და უსწავლელი ამის მოვლენა ჩვენში ისეთ ძალად ჩაითვლება, რასაც არც ლაპარაკი უნდა და არც ეჭვების შეტანა მასზედ, რომ ვითომც იგი ჩვენს ცხოვრებაში უმნიშვნელო ყოფილიყოს. ამას ვერავინ იტყვის.

დიახ, მცოდნე და შესმენილ მამულისშვილმა დავით სარაჯოვმა განაწესა ქართველთ შორის სტიპენდიების გაჩენა და მისთვის სხვა ქართველთა წინაშე დიდი ვალდებულებაც შემოიღო, აგერ 10 წელიწადი მეტი გახლავსთ მას შემდეგ, რაც მისის ხარჯით სხვა და სხვა ყმაწვილები ისდებიან, რასაკვირველია ჩვენის ქვეყნის და ჩვენის ტომის შვილები. ამაზედ მე-

ტი ვალის გადახდა ჩვენს დროში დიდათ სამაგალითოა და მასთან საყურადღებო, მისის ფულით იზრდებიან როგორც კაცები, ისევე ქალები, როგორც ერთის მთისა და ბარისა, ისევე მეორესი, მესამესი და სხვა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ როგორც ქართლელი, ისევე კახელი, იმერელი, მეგრელი, მთიელი და სხვანი. ასეთი კანონიერი საქციელი მეტად საყურადღებოა ჩვენთვის, საყურადღებოა მით უფრო, რადგანაც ამაში გამოისჭვრიტება დიდი შნო და ქვეყნის ისტორიის ცოდნა შემწირველისა, დიდად დაფასება ადგილობრივ მცხოვრებთ ვითარების და მათი საჭიროების.

მართალია დღეს ქართველი ერის სცხოვრობს საქართველოში, მაგრამ რა გამოდის მით, არაფერი, ისიც ცხადია, რომ ეს მიწა მამულიც, ანუ ტერიტორიაც ქართველთ საკუთრებას შეადგენს, ისტორიულად თუ სხვაფრივადაც აქ ამ ალაგზედ ქართველ ერს უნდა ეკავოს უპირატესი ადგილი და მათ როგორც ამაგდარ ხალხთ და ადგილობრივ ერთად მცხოვრებთ სხვები პატივსაც უნდა სცემდნენ ამისთვის, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ამას ალარავინ ფიქრობს, ეს ალარავის აგონდება და ქართველი-საქართველოში არის უპატრონო, უთვისტომო ნამეტურ ქართლის, გლეხ-კაცობა, ამათთვის ხომ არაფერი გაჩენილა, არც გულ შემტკივარი, არც ქომაგი და სხვანი, ესენი მღვთის ანაბარად არიან დატოვებულნი.

მართალია ისიც, რომ შემოსეული ხალხი მათს მამულში ხარობს და სტკბება, გლეხებმაც კარგად იციან ეს, რომ ასე თუ ისე ყოველივე ადგილობრივ ქართველი ერის საკუთრებას შეადგენს და მათს ამაგს, ყოველივე აქ დაშთენილი ისტორიული ნაშთებიც ცხადად ღაღადებენ ამას, მოწმობენ, თუ ქართველ ერს რა შრომა მიუძღვის აქ, რა ამაგი ამ კუთხის შენახვაზედ, ამ კუთხეში იმ ისტორიულ ნაშთების მფარველობაზედ, რომლებითაც დღეს სტკბებიან მრავალნი და ზოგს ისაკუთრებენ კიდეც, ეს ალარავის ახსოვს, ეს არავის აგონდება, ეს რისთვის რაში არის საჭირო. აქ ბრძოლა არის არსებობისათვის და ვის რა ენაღვლება თუ ამ ბრძოლაში ადგილო-

ბრივ მცხოვრებთ ღვაწლდებული და ამაგდარი ქართველობა დამარცხდება, ეს ყველასათვის სულ ერთია, დრო იყო, როცა ქართველობას მნიშვნელობა და სახელი ჰქონდა თავის ქვეყანაში, დღეს იგი აღარაფერია და ამიტომ მას არც არავინ ჰპატრონობს, იგი აღარავის აგონდება, დავიწყებული არიან ყველასათვის.

აი ასეთ დროს, ასეთ დავიწყებულ ერთ შვილთათვის სჩნდება დავით სარაჯიშვილი და იგი თავის შრომით და ძალით ჰპატრონობს ქართველთ შვილებს, აძლევს მათ დიდს დახმარებას და მით უწევს დაუფასებელს სამსახურს ჩვენს ოჯახს. ასეთი სიკეთის ქმნა სხვა ტომთა წინაშე რომ მოახერხოს ვინემ, მაშინ მას ამისთვის ვინ იცის რა ნაირ მადლობას არ ეტყოდნენ, მთავრობისაგან იქმნება სამადლობელო ნიშნებიც მიღო, სხვანი კიდევ ვინ იცის რანაირ სამაიეროს მიაგებდნენ ასეთის სიკეთისათვის, ჩვენში კი სადაც ყოველივე დახშულია და დაუფასებელი, სადაც ასეთ პირთ სულ უბრალოს თვალით უმზერიან, იქ ასეთ პირთა არც მადლობა იციან და არც სამაგიეროს გადახდა, რა გაეწყობა, ესეთი უბედურება ჩვენი დროებითია, მართალია დღეს ჩვენ ნამდვილი აზიელები ვართ და დავით სარაჯიშვილის ასეთს დიდს ამაგს და სიკეთეს შესაფერის ზომიერებით არ ვაფასებთ, მაგრამ სამთელ საკმეველ თავის გზას არ დაჰკარგავს.

მოვა დრო, როცა დავით ზაქარიას ძეს ერთი ათად მიაგებენ, დაუფასებელის მოგონებით ანუსხვენ ამ ჩვენის ტომის მოამაგის პატივის ცემას და ქართველთადმი სიყვარულს. თუ კი ოდესმე დაიწერა ქართველი ერის განათლების და ანუ ცივილიზაციის ისტორია, იქ დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის ამაგი და სიკეთე პირველ ადგილს დაიკავებს, იქ უკვდავის სტრიქონებით დაიწერება, რომ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი დიდათ უწყობდა ხელს ქართველთ შვილების განათლების საქმეს და მისის დახმარებით და სტიპენდიებით ქართველთა შვილები იღებდნენ სწავლას რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს გარეშე თვით ევროპის ყველა უმაღლეს სასწავ-

ლებელშიაც, ამ პირის ძალით აღიზარდა მთელი თავობა.

განათლებული ქართველობაც ყოველთვის დიდი პატივის მცემელი იქმნება დავითის, ესენი ამის ამაგს ყოველთვის ქება-დიდებით მოიხსენებენ როგორც გაზეთებში, ისევე წიგნებში და სხვა და სხვა ლექციების კითხვის დროსაც იტყვიან ხსოვნა-მოგონებას დიდებით, რომ ამა და ამ დროს, უპატრონო და უსახსრო ქართველთ ძეთა განათლების საქმეს ასეთ სიკეთეს უშვრებოდა. ასეთ საქმეთ და დავალებათ რიცხვს ჩვენ ყველას ვერ მოვსთვლით, ვინ იცის რამდენი ქველმოქმედება უქმნია, რამდენი სიკეთე სხვა და სხვა პირთათვის, დღეს მისი ხსოვნა არამც თუ სხვებს, არამედ იქნება თვითაც აღარ ახსოვს, ვინ იცის, ყოველივე შეიძლება, აბა იგი ყველას ხომ არ დაიხსომებდა და დასწერდა, რასაც ყოველ დღე აკეთებს და ასრულებს თავის თანამემამულეთ და სხვათა ტომთა ძეთა წინაშეც, რასაკვირველია არა და ამას არც იზავდა თვით, ჩვენთვისაც ცხადი საქმეა, დღეს დაკარგულია ბევრი მის ისეთ საქმეთ და სიკეთის ცნობები, რაც ვინ იცის როგორ ძვირფას სამკაულს და საუნჯეს არ შეადგენს, არამც თუ მარტოდ დავით სარაჯიშვილის ბიოგრაფიისთვის, არამედ ჩვენთვისაც, ჩვენს წასაქეზებლად, სასწავლებლად და მისაბაძავად. საქმე უკანასკნელია უფრო და ჩვენი წაქეზება გახლავსთ თორემ სხვა არაფერი.

დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის სტიპენდიების გაჩენის საქმე, ჩვენს ცხოვრებას სწორეთ მალამოსავით მოევლინა, სწორედ ზარმაცობის გონებრივი ჯურღმული დაგვინგრია, ფუქსავატი ქართველობა გააღვიძა და შით დაძინებული თვალებიც აგვიხილა, ჩვენს დროში და ისიც ასეთ გათახსირების დროს, როდესაც კეთილის ქართველის ასეთი აყაყობა არის, ამ დროს მეტად დიდს სამაგალითო საქმედ უნდა მივიღოთ, ჩვენს დიდ ძმად, ჩვენს გულშემატკივარ მოამაგე მზრუნველად და მისგან სტიპენდიების დარიგების არ მოსპობას და ეხლაც კი შენახვას, რაღა ფიქრი უნდა, მიენიჭება დიდი მნიშვნელობა მთელის ჩვენის ტომისთვის გაივლიან დღენი, თვენი,

წელნი, საუკუნენი და დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის ხსენებას ქართველთ განათლების ისტორიიდამ ვერავინ ამოშლის, ვერავინ ამოფხეკავს, მას ყოველთვის საპატიო ადგილი ექმნება დატოვებული და შთამომავლობა შთამომავლობას გადასცემს მის ხსოვნას, ვინაიდგან მისგან დაზრდილის და განათლებულის ქართველთ შვილებით და შვილის შვილებით იქმნება მთელი საქართველო სავსე.

არ შეიძლება არ ვსთქვათ აქ შემდეგიც: ზოგნი ამბობდნენ და ამბობენ კიდეც, რომ სტიპენდიები უბრალოდ იკარგებაო. გაზრდილები, ანუ ნასწავლები ჩამოდიან საქართველოში და მერე იგინი ხმას აღარავის სცემენო, ქართულად ლაპარაკსაც ხშირად არ კადრულობენ, ექიმი იქნება, ვექილი, ინჟინერი თუ სხვა ვინმე, იგი თავის ვალდებულებას ივიწყებს და რამე საქმის დროს ქართველ მდაბიო, უსწავლელთ ტყავს აძრობენო. ზოგნი საქართველოში არცკი მოდიანო, რუსეთის გუბერნიებში რჩებიან, იქ ცოლს ირთავენ, იქ სახლდებიან და მით თავიანთ სამშობლოსაც ეკარგებიან საკუდამოთაო. ასეთ პირთა გამოზრდა ჩვენთვის უმნიშვნელოაო. ზოგი მათში შეძლების პატრონიც არის და სტიპენდიას კი მაინც იღებსო. ამათ მაგიერ, ეს მათზედ დასახარჯი ფული რომ ხალხის განათლებას მოხმარდეს და სასოფლო სკოლების დახსნასაო, ეს ბევრად უკეთესი იქნებაო. მართალია, ესეც სწორეა, ესეც ჭეშმარიტია, მაგრამ ისიც რომ საჭიროა, ამას ფიქრი არ უნდა. ამაში გასამტყუნია უმრავლესობა, მათ ბედი მოწყალებას აძლევსთ, უჩნდება გულშემატკივარ ქართველის კაცის დახმარება და მათ კი მოხმარება არ იციან. ისევ ჩვენა ვართ გასაკიცხნი და საგმობნი, რომ არ ვიცით მოხმარება კეთილის დახმარებისა. ამბობენ: ყველაზედ უკეთესი კი იქნება, რომ ამ სასტიპენდიო ფულით ქართველ მაჰმადიანებში, აჭარაში, სახალხო სკოლები დაიხსნასო. თუკი საქმე ასეა, მაშინ რასაკვირველია ესა სჯობია პირველს. მეორე დიდი სამაგალითო საქმე იქნება ქართველ მაჰმადიანთ განათლების წინაშეც.

ვიტყვით, რომ დავით ზაქარიას ძე მარტოდ ასეთის საქმეებით არ არის ქართველის ტომის მფარველი, იგი ქართველებს ყველა მხარესა და საქმეში უწევს ქომაგობას, მისი შეძლება, სიტყვა, ნაბიჯი და შრომა ასეთ საქმისთვის ყოველთვის დაუზარებელია და პირდაპირი. თუ სადმე რამე საქმე იქმნება საჭირო, იგი იმას არ შეუშინდება და ყველგან თამამად წარსდგება და იტყვის სასარგებლო მფარველობას, ასეთ სიტყვას და კანონიერ მფარველობას იგი არც მთავრობის წინ დაზარდება ვისმეს, ამის მაგალითებიც გვინახამს და მას ჩვენის მფარველობის მიზნით ხშირად ადგილობრივ მთავრობის მოწინავე მოხელე პირებიც მიუწვევია თვისკენ და მათ კარგადაც გამასპინძლებია სხვა და სხვა უწარჩინებულეს ქართველთ პირებით და აქ საერთოდ ყველას ულაპარაკნია ქართველ ერის შესახებ, პირნათლად და სინდისიერად, რასაც რასაკვირველია თავისებური სიკეთის მოტანის მნიშვნელობა ყოველთვის ჰქონია. ვინაიდგან მთავრობის უცხო მოწინავე კაცს კარგად გაუცვნია ქართველი ერი, ამათი ხასიათები და საქართველოც.

ასეთ საქმეთა გარეშე იგი კარგად იცნობს მთელს ქართველთ მოღვაწეების ვითარებას. მათს რიცხვს, ამაგს და პატივისცემასაც ყოველთვის შესაფერის თავაზით აგებს. იგი მეტად დიდი მოამაგე მეგობარი იყო ილია ჭავჭავაძის, როცა ამან „განდეგილი" დასწერა, მაშინ პირველად ეს პოემა ადგილობრივ ქართველთ მოწინავე პირთა გასაცნობად, დავით სარაჯიშვილის სახლში წაიკითხა. ასევე სხვაც ბევრი რამ წაკითხულა მის ოჯახში ქართველის მწერლებისაგან. ამათ გარდა დავით სარაჯიშვილმა ხშირად იცის მიპატიჟება ევროპის მსწავლულთ მწერალთ და მოგზაურთ, რომელთაც საქართველოზედ გამოვლა უხდებათ ევროპიდამ და ქართველის ერის და საქართველოს ანუსხვა, ასეთ პირთა წინაშეც მას დიდი ამაგი მიუძღვის და შრომა ყველაფრით, ფულის დახარჯვით და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვა რაგინდა რით. ჟურნალ-გაზეთობასაც კაი დახმარებას უწევს, იგი იბარებს ქართულს ენაზედ ყველა გამოცემას და მასთან წლიურ გადასახადს გარ-

და ხშირად დახმარებასაც აძლევს, რომ გამოცემამ იარსებოს და არ დაიხუროს, ასეთ საქმეთა ასპარეზზედ, ანუ მწერლობის წინაშეც მას კაი ღვაწლი მიუძღვის, კარგი ამაგი. რაც ამას ქართულ დროებით გამოცემათა ჟურნალ-გაზეთებისთვის სიკეთე უქმნია და დახმარება აღმოუჩენია, ესეც ერთი დიდი საპატიო საქმე გახლავსთ.

თანამედროვე ქართველთა თქმით დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი პატარაობიდამ ცქვიტი ყმაწვილი ყოფილა, ყოჩაღი, ერთის სიტყვით ისეთი, როგორიც იგი ეხლა არისო, ჯერ დღესაც, ამ დაუცხრომელ კაცის ენერგია, ცოდნა და სხვანი მნახველთ აკვირვებს, აქედამ უნდა ვიცოდეთ სიყმაწვილე დავითისა, რომ იგი იქმნებოდა თავის ტოლებში არაჩვეულებრივის ბუნებისა. ჩვენ კარგად არ ვიცით დავითის სიყმაწვილის დროთ ამბების ცნობები, ხოლო ის კი ითქმება, რომ კარგს დედამის მახლობლივ შვილიც პატიოსანს აღზრდასა და გზაზედ არ ყოფილიყოს დაყენებული. პირველ დაწყებითი სწავლას, რაღა ფიქრი უნდა, როგორც ჩვეულებათ აქვნდათ იმ დროის ქართველთ, პატარა დათიკოც შინ შეისწავლიდა ქართულ ანბანს და კითხვას.

მალხაზის ნიჭიერებით დავითი თავის ტოლებში პირველი ყოფილა. იგი თავის თანამედროვე პირებში დღესაც პირველია და სამაგალითო. ჩვენს დროში მეტად დიდი ენერგიის კაცი უნდა იყოს, რომ თავის ახალგაზრდობიდამ, ვიდრე ამ დროთა მოსვლამდე, ერთის მამულისშვილურის იდეით დაშთეს, ერთის სავაჭროს ასპარეზის მიმდინარეობის პატრონად და მასთანვე ქართველთ უთანაგრძნობას და უგულებლობის მეტხებით სრულიად არ დაეცეს. განა მის თანამედროვე ქართველნი ცოტანი არიან და იყვნენ, ძალიან ბევრნი, მაგრამ მათი ხსენება იმავ თავიდგანვე არსად სჩანდა და არც სჩანს, ზოგ მათგანმა მიიღეს კარგი საქმის ადგილები, ბევრმა შეძლებაც შეიძინეს, ქონება, ფული, მამულები, სხვა და სხვა დიდრონი ორდენებიც და დიდი სახელიც, მაგრამ ასეთ სახალხო საქმეს კი, როგორსაც დავით სარაჯიშვილი დასდგომია, ეს

კი მათში იშვიათი ყოფილა, ამას იგინი ახლოს არ მიჰკარებიან, საქვეყნო და საერო საქმეებში თავი არაფრით გამოუჩენიად... მის თანამედროვე კაცებთა შორის ძრიელ ცოტამ აღბეჭდა თვისი ნავალი ცხოვრების ასპარესზედ, ასეთ კაცთრიცხვი ძრიელ ცოტა არის. ამას უარს ვერავინ ჰყოფს. ეს რომ ასეა ამას ფიქრი არ უნდა, დროც ისეთი იყო, რომ ჩვენთ შორის ასეთ კაცთ იშვიათობის გამო ვერავის გავამტყუნებთ, რა გაეწყობა, ესეც დროს მოსავალი იყო და ჩვენის ტომის დაწვრილმანება.

თუმცა დავით სარაჯიშვილი მოესწრა ჩვენს უკაცობას, უადამიანობას და თვალები გაახილა ისეთ დროს, როცა ქართველებში მხოლოდ „ცისკარი“ გამოდიდა და საზოგადოთ ქართველობას, ქართულ მწერლობას და ქართველ ერის საქმიანობასაც ღრმა საღათას ძილით ეძინა, ამიტომ ჩვენდა საბედნიეროდ იგი მოესწრო იმასაც, როცა ქართველთ შორის, „ცისკრის“ მაგიერ „საქართველოს მოამბე“ და გაზეთ „დროება“ გაჩნდა „მნათობი“—მერე „კრებული“ შემდეგ სხვანი და დღეს კიდევ მრავლად და ენით დაუთვლელნი, რასაც დავით სარაჯიშვილი მაღალის კულტურულის თვალით უმზერის. ეს ცხადი ჭეშმარიტება გახლავსთ. მას ქართულ მწერლობასთან დაახლოვებული კავშირი აქვნდა წინეთ და აქვს დღესაც.

როგორც განათლებულმა კაცმა კარგად იცის ქართველ ერის აწინდელი დრო და ვითარება, მასთან კარგი წარმოდგენა აქვს ქართველ მწერლობაზედ, იცის მწერლობის მნიშვნელობა ამიტომ იგი მწერლობას და მწერლებს ისე კი არ უმზერის, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, არამედ ზომიერის პატივის ცემის მნიშვნელობით აფასებს. მწერლობა და ისტორია არის ჩვენი ქვეყნის და ტომის ძალა, მწერლები და მოღვაწენი კიდევ ამ საქმის სულის ჩამდგმელნი. ეს გარემოება დავით ზაქარიას ძეს კარგად უნდა აქვნდეს გათვალისწინებული, ამას უარს ვერავინ ჰყობს, ვინაიდგან იგი ჩვენს მწერლებს და მოღვაწეებსაც აპყრობს ჯეროვან ყურადღებას და

ხშირად საქმის და საგნის გარემოებისა და კვალად ქომაგობის დახმარებასაც უწევს.

ამ სავალდებულო საქმის შეგნების პირნი ქართველებში ერთობ მცირე არის, ცოტა, სულ რამდენიმე კაცი და ერთი მათგანი და უპირველესიც დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი გახლავსთ. ვიტყვით, რომ ამ პირს არას დროს არ გამოეპარება ქართველთ რამე დღესასწაულის გადახდა, საქმის მოწყობა და მოთავსება რომ იქ მან თავის ზომით წილი არ მიიღოს, ამის მაგალითია აკაკის 50 წლის დღესასწაულის დროს მისგან ხმის ამოღება, კაი რიცხვის მიძღვნა, ასევე ამ ბოლოს დროს—ილია ჭავჭავაძის ძეგლის საქმესაც მიუძღვნა.

საქართველოს მიწა მამულზედ დღეს ბევრნაირი ტომის ხალხი სცხოვრებს, მთელი საქართველო სავსეა ასეთის უცხო ტომის ერით. იგინი საქართველოს საწუწნავ ძალად სთვლიან, აქ იძენენ თვის სიმდიდრეს და ამ შენაძენით იგინი ადგილობრივ ქართველებისთვის მკვდრები არიან. იგინი ქართველებისთვის არაფერს იმეტებენ, ადგილობრივ ქართველთ არც ავი იციან და არც კარგი, ასეთი გმირები თვით ქართველებშიაც მრავლად გახლავან, რომელთაც საქართველო, ქართველი ერის საქმენი, აყრა, გადასახლება, გადმოსახლება აინუშიაც არა აქვთ. ესენი თვის მამულებს ვინ იცის ვისზედ არ ჰყიდიან ოხერ ფასად ამას გარეშე მათ დღეინდელის ქართველთ ტომთ მონათესავეთ ვითარებას ხომ ზედაც არ უყურებენ. ამის მაგალითია ქართველ მაჰმადიანთა საქმე, ქართველ კათოლიკეთ, ქართველ გრიგორიანთა და ქართველ ებრაელთა წარმოდგენაც ხომ მათში დამხოვილია.

ასეთ პირთაგან დავით ზაქარიას ძე კარგად განირჩევა, ამან ყოველივე ასეთ ქართველთ მონათესავეთ და მერჯულეთ ვითარება კარგად იცის, აი ამის მაგალითიც: ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ, ოსმალეთმა საქართველოს დაუწყო ბრძოლა 1480 წლიდამ. 1570 წ. სამცხე-საათაბეგო დაიმორჩილა, ათაბეგებს ხარჯი დაადვა, სხვა ყოველივე ქართველების იყო, სჯული, ენა, სკოლა, საყდარი, კანონი, ფუ-

ლი და სხვანი. ესე იგი სამცხე-საათაბაგოს ქონდა თავის ავტონომია. ოსმალთ ეს ავტონომიაც წაართვეს 1627 წ. ათაბაგობა მოსპეს და მის მაგიერ ფაშა დასვეს ახალციხეს. მთელი სამცხე 24 სანჯაყად გაყვეს და სამს საფაშალიკოდ. მთელი ეს კუთხე წინედ 13 საეპისკოპოზო კათედრას შეადგენდა, მას ზედ მთლად ქართველი ერი ესახლა. 1630 წლის შემდეგ ოსმალთა ქართველებს გათათრება დაუწყეს და 1798 წლამდე მთლად გაათათრეს ეს სამი გუბერნიის ქართველობა. დღეს ამ კუთხის მხოლოდ ნახევარია შემოერთებული რუსეთის საქართველოსთან, ნახევარი ისევ ოსმალთ ჯაკვიათ.

ქართველ მაჰმადიანთ შორის, ქართული ენა დღემდე ბევრს ალაგას არის წმინდათ დაცული, ამათ დედა ენა ქართულია, განათლება მათ ამ ენით მოელით. ამათვის ქართულს ენაზედ ითარგმნა „ყურანი". დასაბეჭდი ფული მთარგმნელს დავით ზაქარიას ძემ მისცა. ასეთის დახმარებით დავით ზაქარიას ძემ გამოაჩინა ის მცნება, რომ მას კარგად სცოდნია და სცნობია საქართველოს ტერიტორიის და მასზედ მცხოვრებელ ქართველ მაჰმადიანთ ზომა და ვითარება. „ყურანის" დარიგება და ვრცელება ქართველ მაჰმადიანებში მე მაქვნდა მონდობილი. იგინი მოხარულ იქმნენ ამ წიგნის ნახვით და დიდს მადლობას უძღვნიდენ მის დაბეჭვდის დამხმარეს. ეს წიგნი სანატროდ გაუხდათ თვით ისეთ ქართველ მაჰმადიანთაც, რომელთაც ქართული ენა დაკარგული აქვსთ, ოსმალურად ლაპარაკობენ, ხოლო თავს კი გურჯად—ქართველად სთვლიან. ასეთ ენა დაკირგულ ქართველნი სცხოვრობენ ყარსის ოლქში, არტაანის (არდაგანი) ოლთისის, ნაწილ შავშეთს, ფოცხოეს, ქვაბლიანს და სხვა ადგილებშიაც. დავსძენთ აქ შემდეგსაც: ასეთ დაკარგულ ქართველთა სასარგებლოდ კარგი სახელმძღვანელო შეადგინა სოლომონ ასლანოვმა (ბავრელი), რომელიც კარგა ხანს სცხოვრებდა ქართველ მაჰმადიანებში, მისი წერილებით ამ ერის შესახებ ქართული გაზეთები 1877 წ. 1884 წ. სავსეა. მან იცის კარგად ოსმალური ენა და ამის წიგნით ენა დაკარგულ ქართველ მაჰმა-

დიანები ადვილად შეისწავლიან თავიანთ დედა-ქართულ ენას. ამ საჭირო წიგნის დაბეჭდვა არის საჭირო.

1905 წ. სპარსეთის ფრეოდანის ხეობიდამ საქართველოში ჩამოეიდნენ ორი სპარსელ ქართველნი. ამათი მოსვლა ყველა ქართველთ ესიამოვნად, ამათ შესახებ გაზეთებში წერილები დაიბეჭდა, მათი ამბის წიგნი:—„ქართველები სპარსეთში“ შესამედ დგავბეჭდე. ეს სპარსელ ქართველნი დავითმაც ისტუმრა, დიდი პატივი და ქომაგობა გაუწია, ნამეტურ დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის მეუღლე ეკატირინე ივანეს ასულმა. ამათ ნახვის შემდეგ მე ვნახე ეს ქართველ სპარსელნი, მქონდა მათთან ლაპარაკი და მათს მადლობას და პატივს საზღვარი არ აქვნდა, იგინი განცვიფრებულნი იყვნენ როგორც დავით ზაქარიას ძეზედ, ისევე მათის მეუღლის ეკატირინე ივანეს ასულის შესახებ.

დრო და დრო და გარემოების კვალად ჩვენ მივიდეთ ისევ დავით ზაქარიას ძის ყმაწვილობის ხანაზედ, ვინაიდგან წარსული, ანუ ყმაწვილობა არის მომავლის ნიადაგი, საძირკველი.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილმა დრო ყმაწვილობისა გემნაზიაში გაატარა სანაქებოდ, სწავლა დაამთავრა თფილისის კლასიკურ გემნაზიაში, მის მერე ერთს წელიწადს რუსეთში იმყოფებოდა და იქა სწავლობდა, მერე იქიდან გერმანიაში წავიდა, იქ დარჩა 12 წელიწადს, იქ სწავლობდა ბერლინის უმაღლეს სასწავლებელში, მიიღო ევროპიული ფართო განათლება, შეისწავლა სხვა და სხვა მეცნიერებანი, ევროპიული ენები და სწავლა დაამთავრა ბრწყინვალედ და ჩინებულად, სწავლის მხრით მიიღო ხარისხი დოქტორი ქიმიისა, როგორც თფილისში, ისევე გერმანიის უნივერსიტეტში სწავლის დროს, იგი ყოფილა შესამჩნევი მოწაფე, მეცადინე ყველა სამეცნიერო საგნებში და მუყაითი. გერმანიაში სწავლის დამთავრების შემდეგ იგი დაბრუნდა თავის სამშობლოში და 1876 წ. მოჰკიდა ხელი თავისაგან შესწავლილ საგნის თანახმად სხვა და სხვა ქარხნის და საკეთროების დახსნას ყველ-

ესენი მალეც მოაწყო და იმ დღიდამ მოკიდებული დღემდე იგი ამ ასპარეზზედ შრომობს და მოქმედებს დაუცხრომლად და სახელოვნად *).

თფილისში დაბრუნების და საქმის მოწყობის შემდეგ, დავით ზაქარიას ძემ მეუღლოდ შეირთა, ეკატერინე ივანეს ასული ფორაქაშვილისა, თფილისის ძველ ქართველ მოქალაქეთ ფორაქაშვილების ოჯახის ასული, იმ დროს, ამ გვარის კაცნი გამოჩენილ იყვნენ თფილისში და იგინი ირიცხებოდენ შეძლებულ მოქალაქედ, მთელს თფილისში ქართველთ შეძლებულ მოქალაქეთ შორის პირველ ხარისხოვან ოჯახად ეს ფორაქაშვილები იყვნენ. ფორაქაანი განთქმულ იყვნენ თავიანთ დროის კვალად ყველაფრით, მეურნეობით, სოვდაგრობით, ფოდრატების აღებით და მრავალიც სხვანი, თვით ამ ეკატერინეს მამაც ხომ განთქმული იყო როგორც მახვილ გონიერი ქართველი კაცი, კარგი ენერგიის პატრონი და ყველაფერში კარგად მომქმედი **).

თვითონ ეკატერინე ივანეს ასულიც არის სამაგალითოს თვისების მანდილოსანი. იგიც ღირსებული ადამიანია თავის მშობლეების. ჩვენ ამ ქალის პირადი ცნობა არა გვაქვს, მაგრამ მათ შესახებ შორიდამ კი მრავალთაგან გაგვიგონია სხვა და სხვა ცნობები და რაც გვსმენია, იმასაც აქ მოვიყვანთ, ნათქვამია: „ხმა მდგომისა და ხმა ერისაო“. უეჭველია რასაც ერთი მეორეს მოუთხრობს, ისიც საყურადღებოა ჩვენთვის და საინტერესო, ხალხის მართლმსაჯულებას უფრო უნდა მივენდოთ, ვიდრე პირად ცნობას და პატივისცემას.

მცნობთა და ნაცნობთა მოთხრობით ეკატერინე ივანეს ასული არის კარგათ განათლებული ქალი, ბუნებითაც მაღალ გონიერი მანდილოსანი, მის თანამედროვე ქალებში ყველანაირ

---

*) პატივცემულო დავით ზაქარიას ძევ! აქ თუ რამ წელიწადთა დროთა და ცნობათა მოხსენებაში შეცდომა გვექნეს, გთხოვთ მოგვიტევოთ. ეს შემდეგ გასწორდება.

**) ფორაქაანთ გვარის ამბავი, ჩემი ჯერ დაუბეჭდავი.

საქმითაც სახელოვანი და აღმატებული. მაინც როგორიც ამ ქალის მშობლები გახლდნენ თვითონ ეს ქალიც ისეთივე გამოვიდა და თავის ღირსებით მშობლებს ბევრის რამითაც გადააჭარბაო. ღირსეულ მანდილოსანმა ქრმის ხელში ყოფნა თურმე უფრო გამოიყენა, კარგი ენერგიის ადამიანი გახდა კარგის ცნობილის კაცის ოჯახის და საქმის მარჯვენად. ჩვენს დროში ესეთი ღირსება ქალისა არის უმაღლესი სამკაული, უმაღლესი თვისება და ჯილდო, ასეთ ჯილდოს სამწუხაროდ მრავალნი ბუნებისაგან ადვილად ვერ ეღირსებიან, მიტომ ეგენი ცხოვრებაშიაც დამარცხებულნი გამოდიან. ვერა სარგებლობენ იმ წარმატებით და ბედნიერებით, რასაც ბუნებით ნიჭიერნი და თანამედროვე განათლებით აღვსილ დედანი მიაღწევენ ხოლმე უადვილესად.

ასეთ ადამიანთ რიცხვი ყველა ოჯახისათვის ბურჯად ითვლება, ეგი დიდება არის და ჭეშმარიტი ნიშან წყალი იმ ფილოსოფიურის ღაღადების, რომელთ ძალითაც მოისმის მქუხარედ, რომ მდედრობითი სქესიც იმავ ღირსების არის და იმავ თანასწორობის რისაც მამაკაცები არიანო. ესეთი თანასწორული ღირსება მდედრობით სქესის მამრობით სქესთან მტკიცდება უფრო ისეთის მაგალითებით, როცა მდედრობით რიცხვიდამაც ვინმე ზე აღმატებულს ნიჭიერებას გამოიჩენს, შესამჩნევ რამე საგანს ან თანამედროვე განვითარების მხრით, ან ბუნებითი ნიჭის ზე აღმატებულებით რამე სახელოვანს საქმეს შექმნის. ვიტყვით ეკატერინე ივანეს ასულის მცნობთ მოთხრობით და მტკიცეს სიტყვით, რომ ეს ადამიანი სწორედ ასეთ ღაღადებათა და მტკიცების უტყუარი ნიშან წყალიც ყოფილა, რაც სასახელო უნდა იყოს ჩვენთვის.

იყო დრო, როცა საქართველო სანაქებოს ქალებით სავსე იყო, მაშინ ამათი ადამიანური შრომა და ამაგიც უხვი გახლდათ, ეხლა კი, ამ ახალ დროს, სამწუხაროდ ჩვენი დედათა გულიც სხვა ნაირად მოიმართა. დღეინდელ ქართველ ქალი არის სამწუხარო სურათი წარსულის ნაშთის. დღეინდელი დედანი დიდათ განსხვავდებიან მათ მომდევართ წინაპრემ-

თაგან. ამიტომ ასეთ ადამიანებსაც, როგორიც გახლავსთ ეკატერინე ივანეს ასული და მისი ადამიანური ღირსება, მის გამო ვანიჭებ მას სათნო მნიშვნელობას და მის ცხოვრებას და მოქმედებასაც ვნუხსავთ სხვა ქართველ ქალთა წინაშე სამაგალითოდ და გასაკვეთად, ასეთ პირთა სიცოცხლეს, ცხოვრებას და მოქმედებას რაღა ფიქრი უნდა, რომ თვით მათს საოჯახო საქმეთა პირობებზედაც ერთობ კარგი გავლენა ექნება და იგინი ყოველთვის მკაცრის მფარველობით შემოფარგლავენ თვის საოჯახო საქმეთა ინტერესებს.

დავით სარაჯიშვილის ფართო საქმიანობა არის ფართოს მორთულობის და მოწყობის, ამისთვის საჭიროა როგორც კარში კარგი, პატიოსანი ადამიანი, გამგე, მცოდნე და გულ შემატკივარი, ისევე ოჯახში, თუ ეს ასე არა, მაშინ თქვენი მტერი რაც იმ პირთ მოუვათ, ვისაც ეს არ ექმნება, ჩვენ კარგად ვიცით და თვით გვარებითაც კი ჩამოვსთვლით ისეთ პირთა, რომელთაც თავიანთის ულაზათობით და ცხოვრების არ ცოდნით თვისი ქრმის მონაგები ჩუმათ უფლანგავთ და მით თვისი ოჯახიც დაუღუპავთ, რომელ დაღუპვასაც ოდესმე მაინც გამოუყვია თავი საქვეყნოდ. ამიტომ აქ ცხადათ ითქმის, რომ ეკატირინე ივანეს ასული დავით სარაჯიშვილის მეუღლე ნამდვილი ამხანაგი, ნამდვილი ცალი უნდა იყოს, რომელსაც თავის ადამიანური ვალდებულება დავითის სახლში სამაგალითოდ უსრულებია და მით უტყუვრად დაუმტკიცებია ქრმისთვის, რომ ქართველ დედათ შორის სადაც ერთი და ორი უვარგისნი მოიპოვებიანო იქ მათ შორის, რიგიანები და პატიოსნებიც სჩანან.

ამიტომ ეს ადამიანი ჩვენგან მადლობის ღირსია და სამაგალითო, რომ იგი თავის მამამთილის და დედამთილის შემდეგ, თვის ოჯახში სიფრთხილით, სამაგალითოდ უვლის და ასეთ შრომას გარდა თავის შეძლების დაგვარად ჩვენს საზოგადო საქმეებსაც ემსახურება, დავით ზაქარიასძესთან ერთად ასრულებს სახელოვან ვალს წინაშე სამშობლო ქვეყნის, და-

ძინებულ ქართველობის და მით სახელოვნებს დავით ზაქარიას ძესთან ერთად მისი სახელიც.

ეკატერინე ივანეს ასული ყოველ თავის გამჭრიახობას და ენერგიასთან, არის ქართული მწიგნობრობის მოყვარე და როგორც განათლებული პირი გახლავსთ დიდი პატივის მცემელი მწიგნობრობისა, შესანიშნავის ქართველის ნაწერების და მწერლების, ეს ადამიანი ქმართან ერთად სწევს საერთო უღელს და რასაც დავით ზაქარიას ძე ემსახურება, ადიდებს და პატივს სცემს იმასვე ეს მანდილოსანიც ფაქიზათ და სუფთად ასრულებს. მართალია ამათ თავიანთი შვილები არა ჰყავსთ, უძეონი არიან, მაგრამ კეთილ გონიერნი ამაზედ სულაც არ ფიქრობენ, ვინც კარგია და ფარსაგი იგინი ყველა მათი შვილები არიან, ვინც არა და ის რა საჭიროა, უხეირო გინდ ჩვენი ყოფილა და გინდ სხვის, ეს ორივ ერთია, ეს პირნიც რასაკვირველია როგორც განათლებულნი სწორედ ისეც ეპყრობიან ამ საგანს და მით ასრულებენ ჩვენს წინაშე დიდს კაცობრივ ვალს.

ყოველი კაცი წევრია საზოგადოებისა, იგი თავიანთ შეძლების და გვარად საზოგადოებასაც უნდა ემსახურებოდნენ მით რითაც შეძლება ექმნებათ და ან მოეთხოვებათ, რომ დავით ზაქარიას ძე და ეკატერინე ივანეს ასულიც სწორედ ასე იქცევიან, იგინი ჩვენის ქვეყნის ინტერესებს ემსახურებიან დაუღლელად და უშურველად, ამიტომ უფრო გვმართებს მათი საქმის უკვდავ მაგალითების მიყოლა და სახეში მიღება, ვინაიდგან მათ არც უძეობა აფიქრებს და არცა რა სხვა კიდევ ასეთნი. ნეტა იყოს რამე, თორემ მათ კარგად იციან შინ ალაგი თუ სად ვის რა მოახმაროონ და რა საქმეები აკეთონ. ვიტყვით აქ იმასაც, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს დროში, ასეთ პატიოსან ქველ მომქმედ უძეო პირთ რიცხვიც თვით შეძლებულ პირთა შორის ერთობ მცირეა, ვიცით კარგად რომ ბევრს ალაგას ამის გამო ცოლქმართ საქმეც დარღვეულა, მათში მომხდარა დიდი აურ-ზაური და განხეთქილება. ამას გარდა ვიცი ისიც, ილია ჭავჭავაძის სიტყვით, რომ ერ-

თმა სახელოვანმა მდიდარმა თავადისშვილმა, თფილისის საადგილ-მამულო ბანკის დაარსებას უმტყუნა თურმე მიტომ, რომ „მე დმერთმა შვილი არ მიბოძა“.

რაც კი ამ საქმეთა გამო დავა დარაბა და განხეთქილება მომხდარა, ყველას ვერ მოვსთვლით- მხოლოდ ვიტყვით იმას კი, რომ უძეობის აურ ზაური, განხეთქილება და უბედურებანი ძუნწ კაცთა ხელობა უნდა იყოს და მასთან გაუნათლებელთაც, რომ რაკი ჩემი არა მყავსო, ამიტომაც გაავკაცებულან და ის უთქვამსთ, რომ „გინდ ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო“ ეს არის უსარგებლო კაცთა ხელობა, ასეთ უსარგებლო კაცთა რიცხვი კი მოიპოვება როგორც შეძლებულებში, ისე შეუძლოებში, როგორც ნასწავლებში, ისევე უსწავლელებში, ერთის სიტყვით კაცთა ცხოვრების ყველა წრეში, ამიტომ ასეთ პირთა წინაშეც დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილსა და მათს მეუღლე ეკატერინე ივანეს ასულს ვასახელებთ სამაგალითოდ და მისაბაძავად, ვისაც თვალთ ხედვა აქვს და სმენა—ისმინონ ესე სასმინარი, მიაქციონ ამ პირთა ჯეროვანი ყურადღება, იწავლონ მათგან მაგალითები, მით დაიმშვიდონ გული და ამ დამშვიდებულის გულით იმედია იგინი სულითაც ამაღლდებიან და გახდებიან ისეთივე მშვიდ მოქალაქენი, როგორიც ბრძანდებიან ზემოხსენებულ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი და მათი მეუღლე ეკატერინე ივანეს ასული.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი ეხლა 58 მიღწეული პირია, ამაგდარი როგორც თავის საკუთარის საქმეებისაგან, ისევე საზოგადოს სამსახურის და მზრუნველობისაგანაც. იგი დღესაც ისეთივე შეხედულების არის როგორც წინეთ იყო, იგი დღესაც იმავე სიცოცხლით არის სავსე როგორც ის წინედ იყო. მისი კარგი ლაპარაკი, დარიგება, შორს მჭვრეტელობა და სიმარდე არის ისეთივე როგორც წინედ გვინახავსთ, ესეც ერთი ბედნიერება არის კაცის ბუნებისა და დიდ-გრძელობის, მაგრამ უფრო კი ამის მიზეზები უნდა იყოს ის, თუ თავს ახალგაზდობიდამ ვინ როგორ დაიჭერს, ვინ როგორ წესებს დაიდებს ცხოვრების ასპარეზზედ შესასრულებლად.

არიან ისეთ პირნიც და არც შეძლებულნი, რომელნიც ერთ თავად საქმეს ძილსა, ჭამას, სმასა და თამაშობაში ატარებენ, ამათთვის არც საქმე არის, არც ვარჯიშობა, არც ბევრი სხვა რამ ამ გვარები. ასეთის თვისებისაგან დავით ზაქარიას ძე ვგონებთ შორს უნდა მდგარიყოს, ვინაიდგან იგი ჩვენ ხშირად გვინახავს დილით ადრე ამდგარი და თავის სახლიდამ ვერაზედ, თავის ქარხანაში ფეხით მიმავალი. ეს ჩვენ ზემოთაც ვახსენეთ და აქაც განვიმეორედ დავით სარაჯიშვილის გონივრულად ცხოვრების და მოქმედების შესახებ

მეორე: დავითის სიფხიზლეს, ბევრს ფიქრებს, მღვიძარეობას და შრომას მოითხოვს თვით მისი დიდი საქმიანობაც, ყოველ ქარხნის და ასეთ საქმეთ წარმოებას დიდი გაძღოლა უნდა, დიდი ენერგიული კაცის შრომა და აბა ყველა ეს სად მისცემს მას ნებას, რომ იგი ცხოვრების ასპარესზედ დაძინებულ იყოს და თავის საუკეთესო დროსაც ძილსა, სმასა, ჭამასა და თამაშობაში ატარებდეს. გინდა მისმა ხასიათმაც რომ ამ სივერაგეთა ნება აჩუქოს, მაინც რაც დავითს ყმაწვილ კაცობის დროს მამისაგან ბუნებითად შესჩვევია, იგი ამ ჩვეულებით დაშთება თვის უკანასკნელ დღემდის. ჩვენ აქ დავით ზაქარიას ძის ცხოვრებიდამ ვერ მოვსთვალეთ ვერც მეათასედი იმ ცნობების და საზოგადო საქმეების რაცკი მის ცხოვრებაში მომხდარა და მოხდება კიდევაც.

კეთილ გონიერ მკითხველი დააფიქრდეს აქ მოთვლილ ცნობებს, ასწონოს მათი არსების ვითარება, წარმოიდგინოს მათი მართვა-გამგეობის ტვირთი, შრომა, ცოდნა და მრავალ ნაირი საჭიროება და ის მაშინ ცხადათ დარწმუნდება დავით ზაქარიას ძის განუსაზღვრელს შრომის მოყვარეობაზედ, განათლებაზედ, ენერგიას და შორს მჭვრეტელობაზედ, რითაც ეს მარად სახსოვარი კაციც მართავს თავის საქმეებს ერთგულად და ჩინებულად. ჩვენ ქართველებმაც ასეთ პირის ცხოვრებით უნდა ვისარგებლოდ, მივაქციოთ მის ენერგიას და ცოდნას ჯეროვანი ყურადღება, შევისწავლოდ ყველა ის თვისებანი, რითაც დავით სარაჯიშვილია აღვსილი და დაჯილდოებული,

მივსდიოდ მისებურს მხნეობას და ტაქტიკას და იმედი არის, რომ ჩვენც შეგვეძლება მისებურად მხნეობა და ჩვენს საქმეებში მართვა-გამგეობა.

თორემ უამისოდ დავიღუპებით და გავქრებით ჩვენის სამშობლო ქვეყნის ასპარესზედ ისევე, როგორც გაქრნენ ჩვენთ შორის მრავლთ ისეთი ქართველნი, რომელთაც ცხოვრებაში დევიზათ მხოლოდ ჭამა, სმა და ქეიფები აქვნდათ საქმეთ გამხდარი. სწორედ სირცხვილიც კი უნდა იყოს, რომ ჩვენთ თვალთ წინ, ჩვენს გვერდით, ჩვენს საკუთარს სამშობლო ქვეყნის ასპარესზედ თითო ოროლა ასეთ კაცები გვყვანდნენ და ჩვენ კიდევ ვერ ვისარგებლოდ მათგან, ვერა ვისწავლოთ რა და თან ყოველთვის იმას ვიძახდეთ, რომ ქართველებს არაფერი გვაქვს და არც გვექმნებაო. ვგონებთ აქ მხნეობა არის საჭირო, განათლება და საქმის სიყვარული, თორემ დავით ზაქარიას ძისთანა კაცები ჩვენში მრავლად ეაჩნდებიან, მაშ ჩვენც უნდა შევუდგეთ იმის სამსახურს და ცოდნის შეძენას, რასაც ჩვენის ტომის სასარგებლოდ თვით დავით სარაჯიშვილი ასრულებს და ჩვენც მცნებათ გვაძლევს. ისწავლეთ, იმხნევეთ და იშრომეთო.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი ერთი კაცია, ერთიც მეუღლე ჰყავს. სხვა არავინ. მათ რამდენი ხანიც უნდა იცოცხლონ, მათთვის საცხოვრებელიც კარგად ეყოფათ, რომ მით უზრუნველად იცხოვრონ. ამისთვის მათ მარტოდ მოსვენება უნდათ, დაჯდნენ და იცხოვრონ თავიანთვის მოიკვენებით და მშვიდობიანად. მაგრამ არა, აი მაგალითი: კაცი დაჯილდოებული ყველაფრის შეძლებით, მასთან განათლებული და მომზადებული, შრომობს, იტანს ათასნაირს მუშათ აურ-ზაურს, თავის შეწუხებას, სცდის ბევრს უსიამოვნებას, ბევრს აუტანელს გარემოებითა პირობებს და ყველა ამას რათ სჩადის იგი, ვისთვის და რისთვის, რა აწუხებს მას, არაფერი, მხოლოდ უნდა ვსთქვათ ერთად ერთი ის, რომ იგი ეკუთვნის თავის სამშობლო ქვეყანას ქართველ ერს, მის ისტორიის წარსულს, აწმყოს და მომავალს. მას ასე თუ ისე კარგად აქვს

შეგნებული ქართველი ერის დღევანდელი დაცემული და საბირელი მდგომარეობა, მათი ცხოვრების ავ-კარგიანობა, ათას ნაირი იარები და მიტომაც იგი თავის ენერგიას, ძალ-ღონეს და სიცოცხლის საუკეთესო წუთებსაც ალევს თვის თანამემამულეთ სხვა და სხვა საქმეებს, იგი მით ასრულებს თავის კაცურს ვალს თვის თანამემამულეთ წინაშე.

თანამემამულეთ გარდა მის შრომას სხვა ტომთა წინაშეც იგივე მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ჩვენ კავკასიელნი გაუნათლებელი ხალხი ვართ, ქართველები. სომხები, რუსები და თათრებიც, მის ქარხნებში კი ყველ მშრომელნი ამ ხალხთაგან არიან. ვიტყვით იმასაც, რომ გაივლის დრო, ჟამი, მოვისპობით ყველანი, მაგრამ რაც შეეხება ხალხის ცხოვრების სახელოსნო, სატეხნიკო, სამრეწველო და სავაჭრო საქმედ ისტორიას და მის აღწერას, ეს კი აუცილებლად მოხდება, ხალხს ეყოლება ყოველთვის თავის ცხოვრების აღმწერნი და გამომხატველნი, ესენი მოსძებნიან ყველაფერს ასეთ სამრეწველო საქმეებს, მის არსებობას, მართვა-გამგეობასაც და დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილისთანა კაცებსაც შესაფერს აღწერას მიუძღვნიან, კანონიერის ღვაწლდებით და ამაგით მოიხსენებენ, მოიხსენებენ მით უფრო. რადგანაც ასეთ გათახსირების დროს, ასეთ ცუდს ხანში, მან დიდი შნო და ენერგია გამოიჩინა მუშების წინაშე, სახელოვნად იმოქმედა, თვისის მოქმედების შესახებ სახელოვანი ბიოგრაფიული ცნობები დასტოვა მომავალის სამრეწველო ისტორიის აღმწერისათვის.

სამრეწველო აღწერაში იგი ფართო ადგილს დაიკავებს და ნამეტურ მის აღებ მიცემის საქმეები, ქარხნის არსებობის და მოქმედების ცნობები, ერთსაც და მეორესაც აქვს საინტერესო ისტორია, როგორც ჩვენთვის, ისევე მთელის რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო საქმეებისათვისაც. მაინც ჯერ დღესაც, დავით სარაჯიშვილის სავაჭრო და საქარხნო ცნობები ხანდისხან იბეჭდება ხოლმე ეკონომიურს კრებულში, ისევე სხვა და სხვა ჟურნალებშიაც, სადაც დავით სარაჯიშვილის ქარხნების და სავაჭროების მოქმედების და აღებ-მიცემის ცნობები

ქება დიდებით მოჰყავსთ ხოლმე. ვიტყვით, რომ ჯერეთ დღეს, ალმწერნი მისი განცვიფრებით მოიხსენებენ დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის ცნობების, თან სასახელოთაც მიაჩნიად იგი, მისი საქმენი და საქმის წარმოებანი. სანაქებოდ მიაჩნიად მით უფრო, რადგანც თავის საქმეს სათავეში უდგა კარგად განათლებული კაცი, თავის საგანში ღრმად მომზადებული და მისთანავე კარგად მცოდნე მთელის ევროპის ერთ ასეთ სავაჭრო და საქარხნო საქმეთ ავ-კარგიანობის.

საქმე საქმეა და ენერგია კიდევ სხვა არის, მერე ის განათლებული ენერგია, რაც კი ამ კაცს ფლობს და აქვს შენაძენი თავის საქმის და საგნისთვის. საქმე ეს არის ჩვენში, ეს გახლავსთ სანატრი, რომ ასეთ კაცთა ნიჭიერება, მომზადება და ცოდნა საყურადღებოდ გახდეს მრავალთათვის, ნამეტურ ქართველთ დაცემულ გვარის წევრთ შვილთ შორის, ვინაიდგან ხშირად თუ არა ხანდისხან მაინც გაჩნდენ თითო ოროლა ასეთ ქართველ მრეწველნი და აღებ-მიცემის მიმდევარნი, როგორიც არის დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი. ეს იქმნება დიდი ბედნიერება ჩვენის ტომისთვის. სხვა ტომის ერნი იქმნება ასეთის კაცებით მდიდრები იყვნენ, ჩვენდა საუბედუროდ ჯერ ჯერობით ჩვენ კი ლატაკნი გახლავართ. ჩვენგან მოთვლილ საქმეთ და საგანთ ცოდნაში დავით მთელს საქართველოში ერთად ერთი კაცია, როგორც სჩანს, ამ პირს რა საქმისთვისაც ხელი მოუკიდნია და გაჰყოლია, ყველაფერი მუყაითად უსრულებია, ყოველივე კარგად უწარმოებია, გზაში ბევრი რამ დაბრკოლებანი და ბორცვნი მძლავრად და მაგრად დაუძლევია, უკანასკნელ თავის წადილს და ნატვრასაც დაახლოვებით, მიუღწევია თავის საჭირო საძებნელისთვის, ესეთი დაუცხრომელი ნიჭით და შრომის მოყვარეობა საქებია და განსაცვიფრებელი, ენა მოკლეთ იტყვის და საქმეს კი ვრცელი ასპარეზი აქვს, ამ კაცის ცხოვრება წარმოადგენს გამუდმებულს მეცოდინეობას, შრომას, საქმის დაწინაურებას, მის განვითარების და სხვაც ასეთნი, რაც არამც თუ მარტოდ

ჩვენში გახლავსთ სამთლით საძებნი, არამედ სხვა ტომთ შორისაც ხშირია.

ასე საქმის მოყვარეობა და ერთგულად მიმდევრობა, როგორც სთქვეს დავით სარაჯიშვილის მცნობთ და მცოდნე კაცთ, დაჯილდოვებულია თურმე განუსაზღვრელის ჭკუიერის შრომით და მეცადინეობითო. ყოველი ნაბიჯი დავითისა არის გასაკვეთი ქართველ კაცს რომ ნახავს, იმას მაშინათვე თავისებურის კილოთი დაუწყებს ლაპარაკსო, რა თვისების და შრომის მოყვარე თვით გახლავსთ, ლაპარაკშიაც ყოველთვის იგივ არისო. ყოველი მისი სიტყვა ნათლად ხატვენ მის მისწრაფებას. საქმეზედ ღრმა შეხედულებას, ყველაფერში სითამამეს და დიდს ენერგიასაო. ეს რომ ასე არ იყოს, უამისოდ, დავით ჩვენს დროში ვერას გახდებოდა რასო. ცხოვრებით არამც თუ დაწინაურდებოდა, არამედ დაკნინდებოდა და დაწვრილმანდებოდა. მაგრამ არაო, სთქვეს მის მცნობთ, დავითი დიდი ენერგიის კაცია და მიტომაც მოაწყო ასე თავის საქმენიო.

ეს კაცი საყურადღებოა ჩვენგან მით უფრო, რადგანაც მისი ქონებრივი ძალა შეძენილი არის დიდის შრომით და ცდით: არიან ისეთ შეძლებულ პირნი, რომელთაც თავიანთ შეძლების შეკრება-შეძენაზედ დიდი რამ შრომა არ მოსდომნიად. მაგალითებრ ავიღოთ თუნდ მენავთე მდიდრების საქმე, მათში არიან ისეთი მდიდრები, რომელთაც წერა-კითხვაც არ იციან. მათთვის მხოლოდ გარემოებას გაუჩენია ნავთის წყარო, მის გვერდით დამსხდბრან ოვინი და ამ მღვთისაგან ბოძებულ წყაროსთვის დაუდვიათ ფასი, ულიათ კაი ფულები და მით გამდიდრებულან. იქ მათთვის არც ჭკუა ყოფილა საჭირო არც განათლება, უამისოდ მათ მილიონებიც კი შეუძენიათ. დავით სარაჯიშვილის სამოქმედო ასპარეზი კი ასეთის გარემოების და პირობების არ გახლავსთ. იგი ითხოვს მცოდნე-განათლებულ პირს, მის ჭკვიანურს აღებ-დაღებას, მოქმედებას და სხვანი.—სთქვეს ამავ პირებმა, რომ საყურადღებოა დავით სარაჯიშვილი იმითაც, რომ იგი არ არის ისე-

თი ძუნწი და ხარბი, რომ მას თავის ენერგიული ცოდნა მარტოდ მას აქვნდესო: არაო, იგი მოახალისე არის, რომ თავის სამაგალითო მხარეები სხვებსაც გაუხადოს მისაბაძ საგნათ, ამიტომაც მას ყოველთვის მზათა აქვს დასარიგებელი სიტყვა-პასუხიო. თავის სამაგალითო თვისებათა გადატანა ისე არც ერთს ტომისთვის არ ენატრება და ემეტება, როგორც ქართველთათვის.—ეს რასაკვირველია ასეც უნდა იყოს, ეს ბუნებრივადაც გახლავსთ. დავით სარაჯიშვილი რომ მალლის მამულისშვილურის მიდრეკილებით არის სავსე და სხვა და სხვა ძუნწებს და ხარბებს არა ჰგავს, ესა სჩანს შემდეგის მაგალითებიდამაცაო. ვისაც კი შეხვდება ქართველს, ყველას თავის უკმაყოფილებას უცხადებს და თან დიდს ნატვრას ჩვენის ტომის ძეთა გონებითი ამაღლებაზედ იტყვის ხოლმე.

«ქართველები ვართ, ქართველები, არ ვარგივართ არაფერში, ყველაფერში ასე ვართ, უშნოები და მოუხერხებელ ზარმაცნიო».

ამისთანა სიტყვების თქმა და საყვედურის მიცემა დავითმა ხშირად იცის, ხანდისხან მეტად მკვახეც და უფრო მკაცრადაც; რაც უცხო კაცს დიდათ გააკვირვებს და ზოგს ქართველთ შეიძლება ეწყინოს კიდეც, მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ, რომ დავითს ესეთი სიტყვები ქართველთ მტრობით და ორგულობით კი არ მოსდიოდეს, არამედ სიყვარულით და იმის სურვილით, რომ ქართველ კაცში მეტი მისწრაფება იქმნეს გაღვიძებული, მეტი ლტოლვა და ცდა ყოველნაირად დაწინაურებისთვისაო.

ეს ქვეყანა სწორედ ბედის ჩარხია ზოგის ერისთვის და ზოგისთვის კი უბედურება, უკულმართობა. ჩვენ, ქართველებს, ბედი აოაფერში გვაქვს, აი ამის მაგალითიც: 100 წლის განმავლობაში მომხდარ ჩვენის დაძინების წყალობით სადღეისოდ, თფილისის პირველ ხარისხოვან ქუჩებზედ გაქრა ჩვენი სახლ-კართ მეპატრონეობის სახელი, თფილისის პირველ ხარისხოვან ქუჩებზედ, ქართველთ სახლ-კართ მეპატრონეთ ხსენება სამთლიან საძებარია, ყოველივე გავყიდეთ, შევჭამეთ და შევფლანგეთ. ზოგმა ქართველმა სთქვა: შვილი არა მყავს,

რათ მინდა მაინულით და გაყიდა მიტომ, ზოგმა ძმის ჯავრით, ზოგმა სახლი კაცის და ასე და ამ გვარის უკულმართობით ავიგავენით, ავიწმინდეთ პირველ ხარისხოვ ქუჩებიდამ.

უცხო მოგზაური, ჩვენი არ მცნობი, მნახველთ თფილისის ქალაქის ქუჩების და უცხოთ სახლების, სულ ვერ წარმოიდგენს, რომ ეს ქალაქი 100 წლის იყო ქართველების, ჰყვანდათ მათ მეფე, სამეფო და თუმც ღარიბათ, მაგრამ მაინც სამეფოს წელიწადში ნახევარ მილიონი შესავალი აქვნდა. დღეს კი ამის ჩრდილიც აღარ არის. აი ასეთ დროს. ჩვენს თვალებ გასახილებლად დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს თფილისის პირველს ქუჩაზედ, მთავარ მართებლის უახლოეს აქვს ორი კარგი შენობა, რომელიც ამშვენებს ამ ქუჩას და ამხნევებს ჩვენს დაწყლულებულს გულსაც. ამ შენობათა გარდა აქვს სხვა შენობებიც და ყველა მათზედ ქალგქის გამგეობაში იხდის პირველ ხარისხოვან გარდასახადს, რაც ჩვენთვის სასახელო უნდა იყოს ასეთ გათახსირების დროს.

ამ გარემოების მნიშვნელობის და ახსნის დასკვნა დაძინებულის ქართველებისთვის მიმინდვია. ამითაც მართალია ის სიტყვები რომ დავით სარაჯიშვილს ქართველთ კიცხვაშია, კი მკაცრად ენატრებათ ამ ერის დაწინაურება თავის მიწა მამულზეო. ასედ სულიერად ამაღლებულ მამულიშვილთ და მოღვაწეთ ამაგი სხვა ტომთ წინაშე სასწავლებელია. ამ გარემოებას სხვები მიბაძვით უყურებენ, ჩვენ კი გვძინავს, სხვები ვსეთ კაცთა ცდას საქვეყნოდ სთვლიან და აღიარებენ, ჩვენ კი აინუშიაც არ მოგვდის, სხვები ასეთ პირს სამაგიეროს აგებენ რამე საკეთილო საქმის დაარსების და ჩვენ კი ფიქრადაც არ მოგვდის. დიახ, ვიტყვით თამამად რომ დავით ზაქარიას ძე ჩვენს დროში, ჩვენის ტომის განვითარების, მამულის შვილობის, ხელოსნობის და ვაჭრობის მხრით ვალ გადახდილი სდგას, პირ ნათელი, თვით სიკვდილის შემდეგაც კი ჩვენის ცხოვრების მფარველობის და შრომის გამო ცოცხალი—უკვდავი—რაც დასანატრი უნდა იყოს ყველასთვის, ყველგან და ყოველს დროს. დიახ, ჩვენს ქართველთ დაცემულს დროში

და ცხოვრებაში უკვდავი და უტყუარი მაგალითია დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი თავის მოქმედებიდ და ცდით.

ეს გარემოება და ეს კაცი იგრძენით თანამემაულენო და თანა მექვეყნენო, გამხნევდით, ისწავლეთ, იშრომეთ და იდავითეთ თქვენც მისებრ.

ჩვენ ბევრი მაგალითები შოვიყვანედ და ვსთქვით, რომ დავით ზ. სარაჯიშვილს თავის საქმეების მართვა-გამგეობის დროს, უმთავრესად არ ავიწყდება საქართველო, ქართველი ერი, მათი დაქვეითება ყველა ასპარესზედ, აქ დაქვეითებულია მუშაც, ხელოსანი, ვაჭარი, მექარხნე და სხვანი. ყველას ჰფლობს უძლურება, სიღატაკე, უმეცრება და სხვანი. ასეთ უძლურებაში ყველაზედ მეტად ქართველი ერია გახვეული, ამიტომ მათ უნდათ პატრონობა, წახალისება და სხვანი. დავით სარაჯიშვილი ამის ღრმად მცოდნეა, მან კარგად იცის ქართველი ერის ცხოვრების უვიცობის საიდუმლოება და მიტომაც განაგრძობს თვის მოქმედებას თავის შეწუხებით, ეს რომ ასეა ამაზედ ვილაპარაკებთ აქედამ.

დედა-მიწაზედ, ხალხთა შორის, ცხოვრების ასპარესზედ ყველაფერს აქვს დასასრული. ბოლო ეღება როგორც მძლავრს, ისევე მის მონა, უკანასკნელს, დასასრული ორივესი ერთნაირია. ბოლო ეღება თვით მძლავრს სახელმწიფო კაცებს, ხელმწიფეებს და სხვა ასეთ პირთაც, ვისის შიშითაც გუშინ, ანუ გუშინ წინ მრავალნი ძრწოდენ შიშით და ცახცახებდნენ. ისპობიან თვით ისეთ გვამნი, ისეთ სახელმწიფო პირნი, ვისის ბრძანებითაც სცხოვრობდნენ მრავალნი, ვის ძალას და მახვილსაც ემონებოდნენ და ხშირად მსხვერპლადაც ეწირებოდნენ ათასობით და ორი ათასობით. ასევე ბოლო ეღებათ თვით ჩვენს უმაღლეს სულის მამებს, ცხონების გამღებთ რომის პაპებს, პატრიარქებს და სხვათაც მრავალთ ასეთებს.

დაუსრულებელი და მოუსპობელი არაფერია, ყველაფერს აქვს თვისი დრო, ჟამი. ყოველივე ამაოდ ხდება, ფუჭა და სხვანი. ხშირად მძლავრთ პირთა მოგონება და ხსოვნა კაცს

ზიზღს გვრის და აგმობინებს მას, აყვედრებინებს საშვილიშვილოდ, მძლავრთ ბრძანებელთ მოგონება თვით შესმენილ მეისტორიებსაც კი ემძიმებათ, თვით იგინიც კი ჰგმობენ მათ, და მათის მოგონებით კაცობრიობას ზიზღს გვრიან და შეჩვენებით მოიგონებენ ასეთ პირთ სახელებს და მათს ხსენების ხსოვნას. ამის მაგალითებს თვით ჩვენა ვხედავთ, თვით ჩვენა ვკითხულობთ ისტორიულს წიგნებში და წაკითხვის დროს დროის შესაფერად ვღელდებით კიდეც მათზედ.

ვგონებთ ამაზედ ლაპარაკი აღარ არის საჭირო, რადგანაც დღეს, კაცობრიობის ასპარესზედ, მრავალთ დაახწიეს თავი, მრავალთ იხსნეს სახელოვნება მომავლის შეჩვენების წყევლა-კრულვის ხვედრისაგან. დაახწიე თავი მიტომ, რადგანაც მათ სცნეს ამაოება ამ ქვეყნის, ფუჭი მნიშვნელობა და მის არარაობა, ამიტომაც მათ აუქციეს გზა ასეთ კვალს და გაჰყვნენ ისეთ მიმართვას და აზროვნებას რაც კაცობრიობას ცხოვრებით აფაქიზებს, აცხოვლებს და ასულდგმულებს ცხოველის მყოფელის მოქმედებით მომავლის ცხოვრებისათვის.

ვიტყვით, რომ განუსაზღვრელის ძლიერების, ბრძანების, ძრწოლის და შიშზედ ბევრად მძლავრი და ღირსეული გახლავსთ ის გარემოება და პირობები, რაცკი ხალხის ცხოვრებისათვის სასარგებლო საქმეს შეადგენს, რასაც კი შეიძლება, რომ ჩვენ კეთილ, და კარგი ვუწოდოთ, რასაც ხალხის ცხოვრებაში სამკაულებითი მნიშვნელობა აქვს, რაც ხალხის ცხოვრების მიმდინარეობას თავის მაგალითებით და საქმიანობით ამდიდრებს, რაც ხალხის ვაებას მალამოსავებ ევლინება, რასაც ხალხის ცხოვრებაში თავის წილად რამე უკვდავი და სასარგებლო ცნებანი შეაქვს, რაც ხალხს მომავლის ცხოვრების და მოქალაქობისათვის დიდათ ამძლავრებს, ხალხს ასწავლის და ამზადებს შრომის გაფართოვების ოსტატობას, მეურნეობას, ვაჭრობას, მრეწველობას, სოვდაგრობას და მრავალიც სხვანი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვსთ მინიჭებული თვით ცხოვრების მცოდნე მსწავლულთაგან.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს გათახსირებულს დროში,

ოდესაც კაცთა შორის, სვავობის მეტი სხვა არაფერი განისმის, ერთმანერთის გლეჯის, წატაცვის, წაგლეჯის, ანიავების, ერთმანერთის დაბრიყვების და ყოველივე მის, რაც კი ადამიანის ღირსებას ეშესაბამება, კაცის სახელს და ღირსებას მძლავრად არცხვენს და ამდაბლებს, აი სწორედ ამ უადამიანობის, ამ სვავობის და გაუმაძღრობის დროს, ჩვენთ შორის არიან ოითო ოროლა ისეთ მხნე ადამიანებიც, რომელთა სიცოცხლე და მოქმედება კიდევ გვაძლევს იმედს, რომ კაცობრიობაში თუმც უკეთმართობას ფართო ადგილი უკავია და მისებური პატივის მცემლებიც ჰყავს, მიტომ ჩვენდა სასიამოვნოდ, ასეთ უგვიან და უსარგებლო კაცთა შორის, მოიპოვებიან თითო ოროლა ისეთნიც, რომელნიც ჩვენს გულსა და სულს აიმედებენ და ახარებენ მით, რომ ჩვენთ შორის, თუმც არა მრავლად, მაგრამ მცირედ მაინც არიან ისეთ პირნი, ვისის ცხოვრების მაგალითები უკვდავნი არიან, სამაგალითონი, მისაბაძავნი და მომავლის მეისტორიეთათვისაც საყურადღებო და სახელოვნება ახსანუხსავ-აღსაწერად.

ვიტყვით აქ თამამად, რომ სხვა და სხვა ღირსებათა გარეშე, ასეთ დარგსა და კაცთა კრებულს ეკუთვნის დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, რომელმაც თავის კაცობრივი ვალი სამაგალითოდ დაასურათ-დაასაბუთა, კარგად გადიხადა, მან შეასრულა ის ზნეობრივი ვალი, რომელიც ყოველს ადამიანს თავის შეძლების და გვარად მხვედრად აწევს კისერზედ, ასეთ ვალდებულების პასუხის მგებელნი არიან ნამეტურ ისეთნი, რომელთაც ძალა, ქონებაც შესწევთ. შესწევით მით უფრო, რადგანაც მათ დევიზათ სიკვდილის შემდეგ ის მცნება უნდა გახდეს საგნად, რომ მათ ამ ქვეყანაში მარტო ჭამასმისთვის და შეძენისთვის კი არ იცოცხლეს და მერე სიკვდილისთვის... არამედ იცოცხლეს საქმისთვის და თვისის ნიჭიერებით სხვებსაც ემსახურეს. ასეთი ვალი დავით ზაქარიასძემ თავის ქვეყნის ერის წინაშე უკვე გადიხადა. ღმერთმა ქმნას, რომ ასე პირ ნათლად ყველას შეეძლოს გადახდა, ვისაც რი-

თი შეეძლება, იგი იმით ემსახუროს თავის ქვეყანას, ერს, ჯა-ტიოსნებას და შეუძლოთ.

დავით ზაქარიას ძის შრომა და ამაგი ჩვენში იყო, არის და იქნება დიდხანს უკვდავად, ამ შრომის და ამაგის ხსოვნას ერთი თავობა გადასცემს მეორეს, მეორე მესამეს და იგი ყოველთვის დაშთება სამახსოვროთ ქართველთ წინაშე. გარდა ამის მას კარგი მომთხრობი და მომგონებელნიც ეყოლებიან როგორც სიტყვით, ისევე კალმით. კალმით აღმწერს თვალთ წინ ექმნება გადაშლილი მისი მდიდარი ბიოგრაფიის ცნობები, ამას გარდა ეცოდინება კარგად ამისი სულიერი და ხიარ-ციელი ვითარება და ის მოქალაქური მიმართვაც, რითაც დავითი თავის ახალგაზრდობიდამ დღემდე არის აღვსილი. ასეთ აღსავსეობას, სამშობლო ერის და ქვეყნის სიყვარულს ჩვენ დღეს ბევრში სულ ვერ ვნახავთ. დავით ზაქარიას ძის თანამემამულეთა შრომის მოყვარეობით გამხნევება და წაქეზება სწორედ სამაგალითოა არის.

ცოცხალი და შორს მხედველი ადამიანი, ისეთი ადამიანი, რომელსაც სმენა და ხედვა აქვს და არ სძინავს, იგი დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილისაგან ბევრს რამე საქმის და საგნის მოყვარულობას შეისწავლის და შეიგნებს. აქ მხოლოდ დაკვირვება და სიფხიზლეა საჭიროა, ანუ ცოცხლად მოქმედება და შრომა. ეს რასაკვირველია ასე იქნება იქ, სადაც სიცოცხლით სავსე მაყურებელნი ეყოლებიან დავითს, სადაც ამის სიტყვას და დარიგებას მსმენელნი და გამგონიც გამოუჩნდებიან. მაგალითსაც მოგახსენებთ: დავითის საქმემ და სიტყვამ ერთობ დიდი ზეგავლენა იქონია თვით მასთან მოსამსახურე ქართველებზედ, თვით ესენი მიიზიდა მისმა მხურვალე დარიგებამ, მისმა შრომის მოყვარეობამ და უკანასკნელ თვით ესენი დაადგნენ დავით ზაქარიას ძისაგან გაკვალულს გზასა და ნაბიჯს, თვით ამათ მიჰბაძეს მას და მოისურვეს დავითისავე მსგავსად მოქმედება, აღებ-მიცემა და ქარხნის დაარსება.

ამათ მალეც გააქვეყნეს თვისი წადილი და ეს წადილი დავით ზაქარიას ძესაც შეატყობინეს. დავითს ამათი ამბავი დი-

დათ ესიამოვნა, გაუხარდა და ნიშნად თავის სიყვარულის და სიხარულის შემწეობაც აღმოუჩინა, დახმარება მისცა საქარხნოს საჭირო იარაღებით და თან კიდევ შეაქო და გაამხნევა, მასთან მისცა კარგი დარიგება, დააიმედა თვისის ყურადღების მიპყრობით და საქმის თანაგრძნობით, რაც ახალ საქმის დამწყობთათვის იყო უმაგალითო და გასაკვირველი. ესენი სახტად დაშთდნენ დავითის ასეთ საქციელს და თანაგრძნობაზე, მასთან ისიც დასაბუთდა ცხადათ, რომ დიახ დავით ზაქარიას ძე მართლაც რომ შესმენილი კაცი ყოფილა და ნაშდვილი შვილი თავის ქვეყნის და ერის დიდი გულ შემატკივარი, დიდი მოსიყვარულე და მათი ბედნიერების მონატრე, თორემ უამისოდ ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, აბა ამათ განძრახვას სიმპატიურის თვალით შეხედვა კი არა და სხვა უამისოს ვგონებთ დანთქმაც არ დაეშურებინა და მოსპობა. მათი დანახვაც კი ჭირათ მიელო. ასე მომხდარა ბევრს ალაგს და ხდება კიდევაც. მე ბევრს არაფერს ვიტყვი და ამ ცნობებიდამ თვით მკითხველმა წარმოიდგინოს დავით ზაქარიას ძის მიმართულების ღირსება და მამულის შვილობა. ვგონებთ ჩვენს დროში, ძრიელ იშვიათად ვპოვებთ ასეთ პირთ და გინდ შეძლებულთაც, რომ მათ სხვების საქმეს და ისიც საჯიბრო საქმეს კარგის თვალით შეხედონ. ამის მაგალითებს ჩვენ დღეს კარგად ვხედავთ, რომ ერთი მეორეს ნთქავს, მძლავრი სუსტს აქრობს, მძლავრი ძალა სუსტს ძალას ერევა, დიდ ფული პატარის და ყოველთვის არის ასეთი შურით სავსე დამოკიდებულება, ურთი ერთ შორის შთანთქმა და სხვანი. მაგრამ როგორც ვხედავთ, ღმერთმა გვიხსნას, ასეთ უდიერებას ჩვენ დავითში ვერ ვნახავთ, არამედ სულ სხვას, სულ სხვანაირ დამოკიდებულებას ყველასთან, რაც უფრო ამას ერთი ათად ამაღლებს.

ლიტონის სიტყვით ლაპარაკს თავს დავანებებთ და დავახახელებთ აქ თვით ცოცხალ მაგალითებს, რის მოწამეც იქმნებიან თვით ამ პირთა საქმიანობის ვითარება და ის ცნობები, რაც კი დავით ზაქარიას ძემ ამათ აღმოუჩინა და რასაც ეს პირნი დღესაც კი ქებით, დიდებით და მადლობით მოიგო-

ნებენ დავით ზაქარიას ძის ამაგს, პატივს, თანაგრძნობას და დახმარებას, რაც ამათ ყოველთვის გულში ექმნებათ მკვიდრად ჩანერგილი. ვისაც ჩვენი მოსაზრების ეჭვი ექმნება, მაშინ მან ვერაზედ, მონახოს ამ პირთა ახალი ქარხანა, სახელდობრ ,,ვერა'' და ჰკითხოს ამათ და ესენი აუწყებენ დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის სამაგალითო საქმეებს. ეს ახალ ქარხნის პატრონები გახლავან შემდეგნი: სოლომონ და დავით ლევანის ძე ნანობაშვილები. თვით დავითის ქარხანაშივე ნამყოფნი და გაწურთვნილნი, ნიკოლოზ ანტონის ძე ხახუტაშვილი, მიხეილ ნიკოლოზის ძე მამულაშვილი და ვასილი გიორგის ძე ენუქიძე, კარგა ხანს ნამსახურნი დავითის ქარხანაში, რაც ამ პირებმა გადმომცეს, რაც ამათ სიხარული და სიყვარული გამოსთქვეს დავით ზაქარიას ძის შესახებ, იმას მე აქ ყველას ვერ მოვსთვლი, მოვიყვან მხოლოდ ერთ ცნობას, პირდაპირ იმათგან მოთხრობილს, მათს საკუთრებას, აი ეს სიტყვები:

დავით ზაქარიას ძეს არამც თუ ეწყინა ჩვენი საქმე და ცნობა, არამედ გაეხარდა უსამზღვროდ და ჩვენ დიდი დახმარება მოგვცა. იგი რომ ასე არ მოგვქცეოდა, უამისოდ ჩვენ ვერაფერს გავაკეთებდით, არა ვიქნებოდით რა. აი დღეს ჩვენ თუ ვართ და საქმეს ვაკეთებთ, ეს არის დავით ზაქარიას ძის შნო და ამაგი, რისთვისაც ჩვენ მისი დიდი მადლობელნი ვართ და თან ვასახელებთ მას, როგორც ჩვენის ქვეყნის და ერის გულშემატკივარ პირად და უმაღლეს მამულის შვილად. ასეთი ზნეობრივი ქომაგობა გაგვიწია დავით ზაქარიას ძემ და დღესაც სადაც კი შეგვხვდება, მაშინათვე დიდის თანაგრძნობით გვკითხავს, როგორ არის თქვენი საქმეო, როგორ მიდის და სხვანი, რაც ჩვენ ერთობ გვახარებს, გვამაგრებს და გვამხნევებს. ღმერთმა აცოცხლოს იგი დიდხანს—ჩვენ კიდევ მის ამაგს არას დროს არ დავივიწყებთ. ეს ჩვენთვის დიდათ სასიხარულო არის, რომ იგი შორიდამ თვალ-ყურს გვადევნებს და სურს ჩვენი წარმატებაო".

ამ პირთა ბევრი რამ მიამბეს, მაგრამ მე აქ მარტოდ ეს

ერთი ადგილი მოვიყვანე. სხვა შემდეგ დროსა და გარემოებას და აღწერას დაუთმოთ. ვგონებთ ამ ცნობებით ცხადათ სჩანს, რომ დავით ზაქარიას ძე უნდა იყოს კარგად განათლებული კაცი, კარგად მომზადებული მრეწველი, სავაჭრო საქმეთ ვითარების მცოდნე, მცნობი ქართველის ერის მდგომარეობის და იმ პირობითი სავაჭრო მხარეების, რაშიაც დღეს მოთავსებული და გაბმულია ქართველი ერი. მთელი მისი მოქმედების პროგრამა ცხადათ მოწმობს, რომ მას კარგად აქვს შესწავლილი კაცის ბუნებრივი ვალდებულება. ამიტომაც ივი თავის, ანუ ადამიანურს ვალს ფილოსოფიურ მწერალთა მიერ ნალაღადებ მცნებათ თანახმად ასრულებს, მით ჩვენც გვაძლევს სამაგალითო მიმბაძავობას, რასაც მართლაცა და მის შრომის მოყვარეობას, საქმიანობას, აღებ-მიცემას და საქარხნო საქმეს მიმბაძავნიც გამოუჩნდნენ და რომელ მიმბაძავთა სამადლობელო ცნობა ჩვენ აქვე მოვიყვანედ.

აი კიდევ მეორე მხარე დავითის ცხოვრების და მამულის შვილობის, რომელსაც შემდეგ პირის ანუსხვაც დაასაბუთებს. ვიტყვით, რომ ბევრს მტერსა და მოკამათეთ გარდა დავითს ჰყავს ბევრი გულშემატკივარნი, მისი ღირსების ჭეშმარიტებით დამფასებელნი, ასეთ გულშემატკივართ ერთ პირს ჩვენ აქედამვე ავნუხსავთ.

ალექსანდრე ბეტრეს ძე სარაჯიშვილი. ქართულად ნათქვამია:—„ერთი კაცი პურის ჭამაშიაც ცოდვა არისო“. ეს ჭეშმარიტია, ვიტყვით თამამად, რომ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი მარტოდ თავის საქმეებს ვერას დროს ვერ გაუძღვებოდა ისე კარგად და რიგიანად, რომ მას გვერდით ვინმე გულ-შემატკივარი პირი არა ჰყოლოდეს, მისი ავ-კარგიანობის მოჭირნახულე, მცოდნე დაახლოვებით დავით სარაჯიშვილის ვითარების და სხვანი. შეიძლება ისიც სთქვას ვინმემ, რომ რატომ არ შეიძლება, რომ ერთი კაცი თავის საქმეს უძღვებოდესო. ესეც შეიძლება, მაგრამ ამასაც საქმე გააჩნია, ადგილი, საქმის ვითარება, ზომიერება და სხვანი.

ძველთაგან თქმულა ქართველებში:—„კაცი—კაცით არის

და ქვეყანა—ქვეყნითო“. ესეც ბრძნული თქმულება არის და სრული ნიშან-წყალი და საბუთი იმ ჭეშმარიტების, რომ ადრე საქართველოში კაცი—კაცით იყო და ქვეყანა—ქვეყნით, თორემ ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, შაშინ საქართველოს სამეფო 1801 წ. და 1810 წ. კი არ მოისპობოდა, არამედ ბიზანტიის, არმენიის და სლავენთა ტომთა სამეფოების მსგავსად ბევრად ადრე, თითქმის საშუალო საუკუნოებში დავიღუპებოდით, ასე ვიყავით ძველად და მიტომაც ჩვენს ძველებსაც თამამად გამოუთქვამთ თვის თანამედროვე კაცთათვის ზემოდ თქმული მცნებანი.

დღეინდელი ქართველი კი მოკლებულია ასეთ ღირსებას, ასეთ საქვეყნო, საოჯახო და საძმო ბედნიერებას და ამიტომაც გამოთქმულა XIX საუკუნეში, რომ „ქართველთ შორის გულ-შემატკივარი ადამიანი დღისითაც კი დიოგენივით სამთლით საძებარიაო“. დღეინდელს ჩვენის ცხოვრების ასპარეზზედ, ქართველთ შორის ის ასე აღარ არის, აქ აღარც კაცი—კაცით არის და არც ქვეყანა ქვეყნით, ყველაფერი გათახსირებულია და დაიშვიათებული. ამიტომ აქ ხშირად, კაცად კაცს, ვინმე იშვიათად არსებულს დიდი განსაცდელი მოელის, დიდი უბედურება, იგი ადვილად ვერ იპოვნის თავის სულიერს ამხანაგს, ძმას, მეგობარს და ჭირსა და ლხინში თავის გამტანს.

ვამბობთ ვერ იპოვნის, ვინაიდგან დრო გახლავსთ წაჭ. ხდარი, გათახსირებული, დღეს კაცობრიობის უმეტესი ნაწილი საძრახ, ანუ ხარბს კალაპოტშია მოთავსებული. აქ ერთი მეორეს ნთქავს, ერთი მეორეს ღუპავს, ძმა-ძმას მისევია, მამა შვილს, მეზობელი მეზობელს და ერთმანეთს სჭამენ უღმერთოდ და უსამართლოდ. უნდა ვსთქვათ, რომ ასეთ უდიერ ხელობის ხალხნი უფრო ჩვენ გახლავართ, ქართველები, მაგრამ მოგახსენებთ იმასაც, რომ ჩვენ ასეთნი მარტო ჩვენი თავისთვის ვართ, სხვა ტომის კაცთა ვერც შეჭმას მოვახერხებთ და ვერც მოტყუილებას, თუ რამეს ჩავდივართ, ისევე ჩვენ

ჩვენის თავის წინაშე, სხვებიც ჩვენ გვსპობენ და გვატყუებენ თვისის მახვილით და ჩვენც ჩვენს თავს ვმტრობთ.

დღეს აღარ ვართ ის, რაც ადრე ვიყავით, რაზედაც იტყოდენ: —„ძმა ძმისთვისა და ამ დდისთვისა“. დღეს ჩვენთ შორის აღარც ძმა ძმობს ვისმეს, არც ამხანაგი-ამხანაგობს და მეგობრობს თავის მოკეთეს და არცარა სხვა ქართველნი ასევე ყველა თავისთვის იღწვის, ყველას თავის თავმოყვარეობა და სიხარბე აქვს თავში გამოხატული. დავკარგეთ ყველაფერი ქრისტეს სწავლით ძმობის და ამხანაგთ სიყვარულიც, მის მაგიერ ახალი, ანუ ფილოსოფიური და მეცნიერულისაც ვერა შევიძინეთ რა. დავკნინდით, შევმცირდით. ამ შემცირებას, კაცის გაველურებას და გათახსირებას თავის ისტორიული მიზეზები აქვს, ეს მიზეზები განათლებულ კაცთათვის ცხადია და ამიტომ აქ ამაზედ არ ვილაპარაკებთ.

მხოლოდ ვიტყვით იმასაც, რომ ამ კაცთა იშვიათობის დროს, ძმა-ძმაზედ მისევის, ამხანაგთა ამხანაგის და სხვაც ასეთ მრავალნი, რომელთა რიცხვიც დიდია ჩვენთ შორის, არიან კიდევ ისეთი მადლიანი კაცები, ისეთი პირნი, მამულისშვილნი და მოღვაწენი, რომელთაც ჩვენის ცხოვრების ასპარეზზედ, ჩვენს გვერდით, ბნელის ღამის ბრწყინვალე ვარსკვლავივით ანათებენ, ასეთ კაცთა სიცოცხლე და მოქმედება გულს გვიმაგრებს და ცხოველის მყოფელის შუქით გვაძლევს იმედს, რომ კიდევ კარგი, კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ჩვენთ შორის, ამ გაფუჭებულ დროში, თითო-ოროლა რიგიანი პირნი მაინც მოგვეპოვებიან. სჩანს ბუნებას ჯერ ისე არ გაუწირივართ, ისე არ გაუმეტებივართ, როგორც იქნება ეს ზოგიერთებს სურსთ.

ყველა ეს გამახსენა დავით ზაქარიას ძის გულითადმა ამხანაგმა და მეგობარმა, მისმავე გამგემ და სახლიკაცმა, ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილმა და მისმა ცხოვრების და მოქმედების ცნობებმა, ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილი თფილისელი მოქალაქეა, ბიძაშვილი დავითის. ალექსანდრე პეტრეს ძე არის მარჯვენა მკლავი დავითისა, ანუ უკეთ რომ

ვსთქვათ, საძირკველი დავითის საქმეებისა. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს გათახსირებულს დროში, პატიოსანს მოღვაწეს და სასარგებლო სულსა და გულს პატიოსანი, საქმის და საგნის დამფასებელი და გულშემატკივარი ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილი მოვლენია. ჭოსამსახურეთა რიცხვი დავითის მცირე ნაწილს არ შეადგენს, მათ შორის ბევრი პატიოსანიც იქმნება, მაგრამ მაინც მათში ალექსანდრე პეტრეს ძე სხვა ადამიანია და დვითის საქმეების სულ სხვა ძალას და საჭირო საქმიანობის არსებას წარმოადგენს.

ასეთ კაცთა თვისება და ღირსება არის უმაღლესის ხარისხის. ძველად რომ იტყოდენ ჩვენში:—„ძმად შეფიცებულნიო“, სწორედ ასე მოუვლენია ბედს დავითისთვის ეს განვითარებული კაცი. ასეთი გარემოება და შეერთებულების მიზეზები ბევრნაირის პირობებით აიხსნება, შეიძლება იგი გამოწვეულ და მოვლენილ იქმნა დავითის წინაშე ნათესაურის ძალით, ანუ მეგვაროვნე სახლიკაცობით, ბიძაშვილურის გარემოებით, ან სხვა და სხვა საქმეთა ქონვის და არსებობის წარმოებით. ეს ჩვენთვის ორივ ერთია, ოღონდ კაცი კაცადი იყოს და ჭამია და ფლანგია ზარმაც ქართველებში სამაგალითო და სახელოვანი, თორემ ბევრს ალაგას ნათესავთა და მეგობართა შორის ასეთი ფარსაგი კაცები სამთლით საძებარნი არიან.

ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილს მე პირადად არ ვიცნობ, მისი მოქმედების, შრომის და განვითარების ცნობები სხვებისაგან მაქვს შეტყობილი, ნამეტურ მათგან, ვისაც მათს ქარხნებსა და კანტორებში უმუშავნიათ, ანუ უმსახურნიათ. ცხადი საქმეა, რომ ასეთ პირთა თქმა სწორე იქნება, ვინაიდგან იგინი თუ ვისმეს რამე საქმით დააფასებენ, ის დაფასება არ იქნება სრული, ვინაიდგან მოსამსახურე და მუშათა გული ისეა მოწყობილი სადღეისოდ, რომ ძვირად მათ ვინმე მექარხნე და ან მისი გამგებელი შეაქონ, ან მათზედ კარგი რამე სთქვან, სამწუხაროდ, დღეს ასეა მოსამსახურეთა ვითარება მომართული, მასაც აქვს თავის მიზეზები, ესენი თუ

შეაქებენ ვისმეს, ვიტყვით მასზედ, რომ იგი დაფასება იქმნება მაინც ოდნივი, ცოტათი, ზერა-ქვერეთ თქმული.

ჩვენთვის მაინც სულ ერთი გახლავსთ ეს და ალექსანდრე პეტრეს ძის სარაჯიშვილის სამაგალითო კაცობის დასამტკიცებლად ერთად ერთი ის ორიოდ ერთნაირი სიტყვებიც კმარა, რომ ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილი, კარგი, ჭეშმარიტი ადამიანი და ყველას წინაშე დიდის მართლ მსაჯულებით აღვსილიაო. სთქვეს, არა გვგონია, რომ ვინმე მუშას, ან მსახურს ალექსანდრე პეტრესძესაგან რამე სიტყვა სწყენოდეს, ან საქმე წახდენოდეს, ან დაჩაგვრა, ან შეღლი, დამუქრება, მტრობა და ასეთნი ვისმეს ახსოვდესო. მუშათა, ხელოსანთა და აქ მოსამსახურეებთან მას ყოველთვის სინიდისური დამოკიდებულება ჰქონია, აქვს და ექნება კიდეცაო.

ასეთი ღირსება მუშა და ხელოსნებს გარდა თვით დავით ზაქარიას ძემაც კარგად იცის, იცნობს ალექსანდრე პეტრეს ძეს სულიერს და ხორციელს ვითარებას და მიტომაც თფილისის მთელი ქარხნის წარმოება, აღებ-დაღება და საქმიანობა მასზედ აქვს მინდობილიო, ალექსანდრე პეტრეს ძეს ისე უმზერის როგორც თვის მარჯვენა მკლავს, როგორც საუკეთესო მშრომელს, ენერგიელს კაცს, სწორეს და ჭეშმარიტს, რომლის მსგავსნიც ჩვენს დროში ერთობ ცოტანი გახლავან. საითაც უნდა გიახლოსთ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, რაც უნდა დიდის ხნით გაეძგზავროს შორს, მაშინ ყოველივეს ალექსანდრე პეტრეს ძეს ანდობს და ამ პირის ხელში ისე აქვს დავითს თვისი საქმიანობა მიჩნეული, როგორც თავის თვალისა და თავის წინაშე, როგორც თვის მოქმედების და გამგეობის ზედამხედველობის ქვეშ.

ალექსანდრე პეტრეს ძემაც იცის ასეთი პატივის ცემის და ნდობის მნიშვნელობა, იცის ყოველივე დავითის აზრები და საქმეთა ვითარება და ამიტომაც იგიც ისე განაგებს, ისე მსახურებს, ისე მოქმედებს, როგორც პატიოსანი კაცი, როგორც ერთი გულ შემატკივარი ადამიანი, რომლის საქმიანობას და მოქმედებას ძნელად რომ ვინმემ რამე ნაკლი, ან ლა-

ლატი შეამცნიოს, საქმის იქით მიგდება, დროით და მკვირცხ-ლად არაზედ ყურება, ანუ საქმიანობის ზედამხედველობის, გადადება, წარმოებას კარგად არ ყურება და მრავალიც სხვანი, რაც ჩვენს დროში ერთობ ხშირი გახლავსთ და უხვი. დიახ, ჭეშმარიტად, რომ მხნე და იშვიათ დავით ზაქარიას ძეს კარგი, გულ შემატკივარი მუშაკი ჰყავს გვერდით, ჭეშმარიტად რომ ღირსნიც არიან ერთმანერთის ნდობის, საქმიანობის და პატივისცემის.

ამიტომ ჩვენც, ქართველები მადლობელნი უნდა ვიყოთ ალექსანდრე პეტრეს ძის და ვინატროდ მათი კარგად ყოფნა, ვინაიდგან შეიძლება, რომ ალექსანდრე პეტრეს ძის ენერგიულად მოქმედების შნო და სუფთა სწორე შეხედულება და დიდი კაცობრივი ადამიანობა სხვა ქართველთაც ისწავლონ. ჩვენთვის დღეს სასწავლებლად დიდს საჭიროებას შეადგენს ასეთ კაცთა ცხოვრების და მოქმედების მიმდევრობა და შესწავლა. ასეთ კაცთა ცხოვრების ცნობები შეკრებილი, შეკვანძული და სამაგალითოდ დაწერილი წიგნები აქვსთ მრავალთ და მათ შორის სმაილს, მისი წიგნები „თვით მოქმედება“ „თვით განვითარება“ და სხვა ასეთნიც ცნობილ კაცთა ცხოვრების მაგალითების აღწერას გარეშე სხვას არას წარმოადგენს და ამიტომ ქართველებშიაც ასეთი პირნი სამაგალითოდ უნდა იყვნენ გამხდარნი.

ალექსანდრე პეტრეს ძე თფილისში გახლავსთ დაბადებული. ეხლა იგი 43 წლებს მიღწეული გახლავსთ. თანამედროვე განათლება აქვს მიღებული. კარგა ხანი გახლავსთ მას შემდეგ, რაც ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილი დავითთან იმყოფება. ალექსანდრე პეტრეს ძე კარგად იცნობს მთელ ქართველ ერის სულიერ ვითარებას, იცის ყოველი ავი და კარგი ამ ერის შესახებ. თავის შეძლების და გვარად იცის საქართველოს ისტორია და ჩვენ წარსულის მნიშვნელობა და სხვაც ბევრი რამ, რის ცოდნასაც ყოველი ქართველია მოვალე, გარდა ასეთის ცოდნის და სამშობლო ქვეყნის პატივისცემის, იგი დახელოვნებულია თანამედროვე სხვა და სხვა სა-

ქმეთა კითხვებშიც. როგორც განათლებული კაცი დიდი მეტრფიალეა ქართველთ ერის დაწინაურების, განათლების და გონებით ამაღლების. ასეთ საქმეთა ნატვრა ალექსანდრე პეტრეს ძეს დიდათ აქვს განლვიძებული, იგი მეტად დიდი გულშემატკივარია ქართველის ერის. ასეთ გულ-შემატკივართა რიცხვით ჩვენ ერთობ ლატაკნი გახლავართ. სახლობის პატრონი გახლავსთ, მეუღლედ ჰყავსთ ცნობილის აწ განსვენებულის ტატო (იოსებ) გაბაშვილის ასული სოფრო გაბაშვილისა. სახლობით საყოველთაოდ სცხოვრებს თფილისში.

ამ უკანასკნელ დროს, მქონდა შემთხვევა და ერთხელ ერთ ალაგას სალაპარაკოდაც შევხვდი. ჩვენის ისტორიის შესახებ ბევრი რამე სთქვა და მერე ისიც გადმომცა, რომ რაც სარაჯიშვილების გვარი ქართულის სიგელ-გუჯრებით სჩანს, მას შემდეგ ორი საუკუნე უნდა იყოს გასულიო. მეტად-კარგი შეხედულება აქვს ჩვენს წარსულზედ. ამაებს გარდა გახლდათ ლაპარაკი კაცის შვილიერებაზედ და მის მნიშვნელობაზედ. ამის გამო ალექსანდრე პეტრეს ძემ სთქვა შემდეგი სიტყვები, რომლებიც მე აქ უმეტ ნაკლებოდ მომყავს.

„თვრამეტი წელიწადია მას შემდეგ გასული, რაც მე მეუღლე მყავს და მასთან შვილი არა მყავს, უშვილონი გახლავართ, მაგრამ რა ვუყოთ, ჩვენ ბევრი შვილები გვყავთ, ერთობ ბევრიო“.

სხვაც ბევრი რამ სთქვა კაცის სულის ასამაღლებელი და გასამხნევებელი, მაგრამ მე ის სიტყვები აქ არ მომყავს, რაც მოვიყვანედ, თვით ეს ორიოდ სიტყვებიც კარგად ხატვენ ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილის მაღალს მნიშვნელობას, იშვიათად, რომ ასეთი სიტყვა ჩვენს გათახსირებულს დროში ვინმემ სთქვას. მერე ისიც უნდა აინიშნოს, რომ ეს სიტყვები ცარიელი სიტყვები კი არ არის ალექსანდრე პეტრეს ძესი, არამედ საქმიანი და ნამდვილი საქმე, ვინაიდგან იგი რასაც სიტყვით ლაპარაკობს, იმას საქმითაც აკეთებს თურმე. იშვიათად, რომ მან რამე საზოგადო საქმეთა პატივისცემასა და დახმარებაში რამე საქმით ან თავის მხვედრით უკან

დაიწეროს. ეს თურმე არა დროს არ იქმნება და ამ მარად პატივ საცემ ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილს დავითივით მთელი თავის სიცოცხლე, მოქმედება და ძალ ღონე თავის სამშობლო ქვეყნის საკეთრებათ და ზვარაკად მიაჩნია, მიტომაც ბრძანა თამამად, რომ ,,ჩვენ ბევრი შვილები გვეყვსო'' ვინატრებ ამ სიტყვების სხვა ქართველთაგანაც დახსომებასა და მიბაძვას.

უნაკლულო დედამიწის პირზედ არავინ იბადებაო. თითო რამ ნაკლი და საქმიანობა ყველა ხორციელ ადამიანს აქვსო. ამის შესახებ ბევრს ბრძენს და ფილოსოფს ჰქონია სჯა და კამათი, უთქვამსთ, რომ უნაკლო თვით მაცხოვარიც არ ყოფილაო, შეიძლები და ძალიანაც ადვილად, რომ დავით ზაქარიას ძესაც რამე ნაკლი ექმნეს, ამას ჩვენ ხელს არ დავაფარებთ და უეჭველია არც თვითონ მოგვიწონებს ასეთ მიმართულებას, რომ ჩვენ მასზედ ისეთი აზრის ვიყოდ, რომ ვითომც მას არავითარი ნაკლი არ აქვნდეს. ამას არც თვით იკადრებს.

ჩვენ ავნუხსედ ჩვენის შეძლების და გვარად ყოველივე მის საქმიანობის, რასაკვირველია მოკლედ და გაკვრით, თორემ მისი მოღვაწეობის შესახებ მთელი ტომი დაიწერება. ჩვენთვის ქართველებისთვის ესეც კმარა, ჩვენ წინ რაც გადიშალა ამ კაცის ენერგიული საქმენი და მის ცნობანი, იგიც საკმარისია, თუ რამის სწავლა და მიბაძვა გვინდა, აქედამც ბევრ რამეს ვისწავლით ჩვენ, თუ არა და გინდა ორმოცი ტომი დაიწეროს, რა გამოვა მით არაფერი. საქმე გულის ყურია და ყურადღების მიპყრობა, თორემ ესეც საკმარისია დავით სარაჯიშვილის ცხოვრებიდამ ჩვენს წინაშე

ამის შესახებ, ჩვენ აქ მიტომ ვსთქვით რამე, ვინაიდგან ჩვენ ვხედავდით ჩვენის თვალით და ყურით, რომ ხშირად სჩდებოდენ ზოგი ერთ ისეთ პირნი რომელნიც დავით სარაჯიშვილს სხვა და სხვა ბრალდებას სდებდნენ, სწამებდნენ ბოროტებას და ხშირად კამათიც აქვნდათ მასზედ, რომ დავით სარაჯიშვილი ორის ნამდვილი ხაზეინიო და არა ისეთი კაცი, ისეთი მა-

მულისშვილი და მამა, როგორც ქართველ ნაციონალისტები ლაპარაკობენო. ამის შესახებ საუბარი თვით ჩემთანაც ჰქონიათ ხოლმე ზოგიერთ პირთ, ჩვენც არ ავხირებულვართ, გვაქვამს კეთილი, თანახმანი ვართ, იყოს ასე და მართალი ბრძანდებით თქვენ.

სიმართლის და ჭეშმარიტების არ გასაქელად, ჩვენ დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის საქმიანობისათვის მიგვიქცევია ყურადღება, გაგვიცნია ის ნაკლი და უდიერობანი, რომელნიც ზოგიერთებს ჩვენთვის უზიარებიათ და ბოლოს რა გამოსვლა, ყოველივე სიცრუე და ჭორი, მოგონილი ცილი, შურით, მტრობით და სხვანი. ასეთ მოგონებულ ცნობებს ხშირად გაზეთებშიც გაუვლია, ხანდისხან გამამტყუნებელი ცნობაც დასტამბულა, ყოველივე გამოქვეყნებულა, მტყუანს კი მაინც წარბიც არ შეუხრია და ახალ მოდურის რიხით მაინც საყვედურები და შური უცხადებია, ამის მაგალითი გახლავსთ შემდეგი გარემოება.

1909 წ. გაზეთ „ჩანგის“ 26-№ ში დაიბეჭდა პატარა წერილი დავით სარაჯიშვილის ქარხნის და მოქმედების შესახებ, წერილის ბოლოს აწერია „ბოგანო.“ ესე იგი პროლეტარი! ბოგანო საუბრობს დავით სარაჯიშვილის თვისებისა და შეუბრალებლობაზედ და ამბობს ერთ ალაგას, რომ დავით სარაჯიშვილი მუშების მამა არის თუ ხაზეინი? მისის ფიქრით ეს პირი უფრო ხაზეინი ყოფილა ვინემც მამა. ამის გამო აქ მოვიყვან თვით ბოგანოს სიტყვებს. ერთ ალაგას ასე ამბობს:

„რომ დავით სარაჯიშვილი ჩვენს დავალებას შეიწყნარებსო, ვრავის დაითხოვს და ჩვენს დავალებას ყველაფერს შეგვისრულებსო. მაგრამ ვრა იქნა რა. უნდა ადინიშნოს, რომ მუშებში ჯერ ბევრში დარჩენილა გულბრყვილობა. ჩვენ როდესაც ვამბობდით ასე მოხდებაო, ზოგი მუშები ამბობდენ დ. სარაჯიშვილი კეთილი კაცია, ის ჩვენი მამაა, ის ამას არ გვიზამს, მაგრამ ეხლა კი დარწმუნდნენ რომ ისიც სხვებსავეს ხაზეინია, ამხანაგობაში ყველაზედ მეტი ხმა მას ჰქონდა და მაქმაო კიდეც საქმის წაყვანა, მაგრამ 17 თიბათვეს ის სამზღვარ გარედ წავიდა და მისი ბრძანება აღსრულეს, ამ უტეკარ

საბუთმა ეხლა დაარწმუნა ის ურწმუნოები, რომელნიც დ. ზ. სარაჯიშვილს შამას უწოდებენ.“

ამ ცნობის დაბეჭდვის რამდენიმე დღის შემდეგ, ამავ გაზეთში დაიბეჭდა წერილი და უარყოფილი იქმნა დავით სარაჯიშვილის უდიერობა, ბოგანოს წერილის სიყალბე და სხვანი. გამოსჩნდა კარგად რომ შეუგნებელ მუშებში ხშირად ჭეშმარიტება ფეხქვეშ ილახება, შურის და მტრობის წყალობით საქმეს თვით წაახდენენ და მერე მექარხნეებს დასდებენ კისერზედ ცოდვად, ყოველივე ამის მიზეზები კი გახლავსთ გაუნათლებლობა, უსწავლელობა და გაუგებრობა, თორემ სადაც განათლებული და მცოდნე მუშები არიან, იქ არც ასეთ მტრობას აქვს ადგილი და არც შურს, ყოველივეს თავისი ადგილი უნდა და სისწორე. სიმდიდრემ და ქონებამ არ უნდა წაგვახდინოს, შურით და მტრობით ლაპარაკი არ გამოდგება, აქაოლა შეძლებული კაცია და ხაზეინი, ყველა ცილი არ უნდა ვიხმაროდ მის წინააღმდეგ.

ჩვენ ვიცით აწინდელი დრო, ჩვენი მუშების ვითარება და ამიტომ მათ უმეტეს ვურჩევთ ჭეშმარიტებას, სისწორეს და კაცის თვისების გაცნობას და ისე სჯას, კარგი და ავი მდიდრებშიაც არიან და ღარიბებშიაც, მექარხნებში და მუშებშიაც, ყველას არევა და ერთის თვალით ზომა არ გამოდგება და არც არავის პიროვნების და ღირსების შელახვა. დავით ზაქარიასძე რომ არ ყოფილა არას დროს ისეთი პირი და არც დღეს გახლავსთ, ეს მთელმა ქვეყანამ იცის, დიდმა, პატარამ, მუშამ, ხელოსანმა, ვაჭარმა და სხვებმაც და მიტომ უფრო გვმართებს საქმეზედ დუმილი, ჭეშმარიტებით მოფიქრება და არა ზიზღი, შური და მტრობა, რომელსაც ხშირად ჩვენში სძრავს უფრო სიხარბე, სიშურე და არა საქმის სინამდვილე ჭეშმარიტება. ესეთი გარემოება და მუშათა და ხელოსანთ ვითარება დავით ზაქარიასძემაც კარგათ იცის, იცის მან მათი ყოველივე სულიერი თუ ხორციელი ვითარება, მიტომც გახლავსთ რომ იგი გზაკვალ გადუხვეველი სდგას თავის საქმის ასზარეზედ და მოქმედებს პატიოსნურად.

ზ. ჭ.

947.922
ф 551

Книгохранилище
Серия № 22
САКИГНИ
Индекс № 1065/760
Цена 10

1

ფასი 30 კაპ.